

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2016 წ.

№6

სარჩევი

1.	„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან“ -----	3
2.	თეიმურაზ ადგიშვილი ----- ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემები	10
3.	მანანა ვაშაყმაძე ----- ზოგიერთი საკითხები ანტიკური ვანის გარე სამყაროსთან სავაჭრო, ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების შესახებ	14
4.	ბურამ კვიციანი ----- ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები	25
5.	ჯანსუღ კაკელია ----- საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები	31
6.	სოფო რამიშვილი ----- ნერილობითი არტეფაქტები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან	45
7.	აკაკი თევზაძე ----- უკვდავების ბინადარი	48
8.	ელენე მამფორია ----- „შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს“ (გამონათქვამები დიდ გალაკტიონზე)	54
9.	ინდირა გოგოძე ----- „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“	64
10.	ამირან ნიკოლეიშვილი ----- პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918- 1921 წ.წ.)	67
11.	ოზარ კახანაძე ----- ზოგიერთი საკითხები 1924 წლის აჯანყებისა და აჯანყებაში ვანის მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის მონაწილეობის შესახებ	85
12.	თორნიკე ეფრემიძე ----- ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (საბეკელი ჩიჯავაძეები სოლომონ I და სოლომონ II მეფობაში)	107
13.	თეიმურაზ ადგიშვილი ----- აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე	112
14.	თეიმურაზ ადგიშვილი ----- ღვანღმოსილი მეცნიერი-ფიზიკოსი თორნიკე ეფრემიძე	117

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან“

ორწლიანი არსებობის გადასახედიდან „კვლევის ცენტრი“ საჭიროდ მიიჩნევს ისაუბროს დროის ამ მონაკვეთში განუთლი საქმიანობის, ზოგიერთი სახის მომავალ გამიზნულობათა შესახებ და ამ მხრივ ერთგვარი ანგარიშითაც წარსდგეს დაინტერესებულ პირთა და საზოგადოების წინაშე. მითუმეტეს, ამდაგვარ ანგარიშს „კვლევის ცენტრს“ არავინ ავალებს, მაგრამ ყოველივე ეს კეთდება ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილითა და იმ მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა უზარმაზარი პატივისცემის გამოხატულებით, რომელთა მხრივ ინტერესსა და გამხნევებას ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ. ამდენად, ვსაუბრობთ „კვლევის ცენტრის“ დაფუძნებიდან ორწლიან საქმიანობაზე. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კვლევის ცენტრი არაა ის სამსახური, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს ისე, როგორც მას არსად, არასდროს არ ქმნის არცერთი ზედნაშენური ორგანიზაცია, უწყება და ა. შ. მაგრამ მათი არსებობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ვემსახურებით იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც „კვლევის ცენტრს“ გააჩნია, გაცხადდა დაფუძნებისთანავე და ემსახურება ცნობიერების გაღრმავებასაც და ინტელექტის ამაღლებასაც. მიგვაჩნია, რომ მყარად ვდგავართ რაიონის ისტორიული რეალობის დადგენისა და ღირსების დაცვის საქმეში. გვწამს, რომ „კვლევის ცენტრი“ წარმოადგენს რაიონის ისტორიული მემსიერების აღდგენის სამსახურს.

ეს ერთი.

მეორე – საქმიანობის ასეთი ფორმა მით უფრო გამართლებულად მიგვაჩნია ისტორიულ რეალობათა ისეთი ცვალებადობის პირობებში, რომელშიდაც ჩვენი საზოგადოება ცხოვრობს, რომელშიდაც წარსულის, საერთო ღირებულებათა, ღირსებათა, კეთილნამოქმედართა დევალაცია შეგნებულად და განუკითხავად მიმდინარეობს და მთავარ პოსტულატად იქცა „შერჩევითი მემსიერების ჩანერგვა,“ რომლის დამკვიდრებაც შეიძლება შემოტრიალდეს უკიდურესად ცუდად. ეს პროცესია საშიში თავისი არსით. მითუმეტეს, ასეთი მაგალითები გვხვდება ყოველ ნაბიჯზე, გლობალურადაც, ლოკალურადაც, ქალაქებშიც, რაიონებშიც, დასახლებულ პუნქტებშიც.

ახლა კონკრეტულად საკითხის ირგვლივ მხოლოდ შეხსენებისათვის:

„კვლევის ცენტრი დაფუძნდა 2014 წლის იანვრის ბოლოს, რომლის ძირითადი მიზანია მოიპოვოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და რაიონისა და საერთოდ, ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებულად ახალგაზრდობისათვის, ხელმისაწვდომი გახადოს ვანის რაიონის ისტორიის მანძილზე განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენათა წრე, რომელიც აქამდე ერთეულ ეპიზოდთა გარდა შესწავლასა და ანალიზს არ დაქვემდებარებია, (მხედველობაში არა გვაქვს ანტიკური ვანი, რომლის ირგვლივაც არქეოლოგიური კვლევების საფუძველზე ფუნდამენტური შრომებია დადებული), დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები, შედეგები, მისცეს მას შეფასება, დაიცვას იგი და გადასცეს მომავალ თაობებს. ამავე მიზანს ემსახურება ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ნიმუშების შესწავლა და ანალიზიც, რომელშიდაც კარგად ჩანს მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ყოფითი ნიშნები, განწყობილებები და წარმოადგენს რაიონის ისტორიის შემადგენელ ნაწილს. თუმცა, არ გვჭირდება და არც ვცდილობთ ამ მიმართულების საჩვენებელ ღონისძიებათა გამართვას. ეს სხვა სფეროა და მასზე შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იზრუნონ. ჩვენ, დაცვასთან ერთად, ბეჭდური ფორმით ვასაჯაროებთ ყველა ზემოთქმულ მიმართულებათა საკითხებს და ამ გზით ვხდით მას ხელმისაწვდომად.

საბედნიეროდ, კვლევებსა და საკითხთა შესწავლაში მოხერხდა უმაღლესი დონისა და მო-

ნაცემების მქონე ადამიანების ჩართვა, რომელთაც ხელენიფებათ და აქვთ გამოცდილება იკვლიონ საკითხთა და პრობლემათა წყება, გაანალიზონ და როგორც მაღალი რანგის პროფესიონალებმა მისცენ მათ ობიექტური შეფასება. თითოეული მათგანი გახმაურებული შრომების, არაერთი მონოგრაფიის ავტორია. გვამოძრავებს კეთილშობილური მიზანიც, დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ ჯეროვანი ნიჭისა და უნარის მქონე ახალგაზრდობა, გავუხსნათ მათ გზა. გამომდინარე აქედან, „კვლევის ცენტრთან“, როგორც ითქვა, თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ უმაღლესი დონის პროფესიონალები, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები:

– პროფესორი თეიმურაზ სურგულაძე, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, „კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი.

– პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი, „ცენტრის“ თანადამფუძნებელი, უკვე ვანის საპატიო მოქალაქე, რომელსაც გულწრფელად ვულოცავთ ამ ნოდებას. იგი არის სხვადასხვა სამეცნიერო და ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, არაერთ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მათ შორის, ნიუ-იორკის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიისა და ა.შ.

– „კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი და ცენტრის სამეცნიერო კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო ან გარდაცვლილი ბატონი ამირან ნიკოლეიშვილი, უდიდესი ერუდიციის მეცნიერი, რომელიც უმძიმესი დაავადებით გარდაიცვალა და დაგვაკლდა არა მარტო, როგორც კაცი, არამედ როგორც დიდი მეგობარიც.

– პროფესორი თორნიკე ეფრემიძე, ცენტრის თანადამფუძნებელი, ვანის ისტორიის კარგად მცოდნე, მკვლევარი, ვანის დიდად მოსიყვარულე პიროვნება და დიდებული ქართველი, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა.

– პროფესორი გურამ ყიფიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ჩვენი „კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებელი.

– პროფესორი ომარ ძაგნიძე კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, დიდებული პიროვნება, შესაშურია მისი ენერგიულობა და დახმარება ჩვენი სამსახურისადმი, მუდამ მებრძოლი და ერთგული მეგობარი.

– პროფესორი თეიმურაზ ადგიშვილი, ვანის ყოფილი კოსმოფიზიკური გამოკვლევების სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია-ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ცენტრის თანადამფუძნებელი.

– პროფესორი უჩა დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცენტრის თანადამფუძნებელი. ეს რაც შეეხება დამფუძნებლებს და აქვე უნდა მოვიხსენიო მურად ახვლედიანი, ვანის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, რომელმაც იურიდიული ძალა მისცა ცენტრის ფუნქციონირებას და ზურაბ გეგიძე, რომელთანაც სანყის ეტეპზე მოისინჯა ცენტრის დაარსების პოზიციები. მაგრამ ამას იქეთ არსებობს ცნობილ მეცნიერთა მნიშვნელოვანი წრე ჩვენი მხარდამჭერებისა და გვერდით მდგომებისა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ბოდიშს მოვუხდით თითოეულ მათგანს, რომელთა სახელი და გვარები აქ სრულყოფილად ვერ გამოვიტანეთ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ. ამდენად, ჩვენთან თანამშრომლობს 30-მდე მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აქედან 90% წარმოშობით ვანელია, ამოძრავებთ მშობლიური რაიონისა და ფესვებისადმი დიდი სიყვარული. თაყვანს ვსცემთ მათ უანგარო დამოკიდებულებას კვლევის ცენტრისადმი. პირდაპირ ვიტყვი კვლევების, სტატიების და ა. შ. დაახლოებით 70% ეხება უშუალოდ ვანს, მის ისტორიას, გამოჩენილ პიროვნებებს. „კვლევის ცენტრი“ გადავიდა სხვადასხვა გამომცემლობებთან აქტიურ

თანამშრომლობაზეც და ამან უკვე ჰპოვა პრაქტიკული ასახვა.

რაც შეეხება უშუალოდ ვანელებს, იმათ, რომლებიც დღესდღეობით ვანის რაიონის სივრცეში მოღვაწეობენ. ჩვენგან სათანადო კონტაქტებისა და კონსულტაციების შემდეგ აქტიურად არიან კვლევებში ჩართულნი ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები, ამავე ორგანიზაციის დირექტორი ბატონი ომარ გაბუნია, მეცნიერ-თანამშრომლები — მანანა ვაშაყმაძე და სოფო რამიშვილი, რაიონის საჯარო სკოლების დირექტორების უმრავლესობა, ცალკეული ინდივიდები, ექიმები — მურთაზ ივანიძე, რამინ ქობალია. პედაგოგები — თინა ტყეშელაშვილი, დოდო ჩახუნაშვილი, თამაზ ჩიტორელიძე და ა. შ. მათი სტატიები, კვლევების მასალები ჩვენს მიერ უკვე გასაჯაროვდა. საჯარო სკოლების დირექტორებსა და მათ თანამშრომლებს ვუმადლით შესაბამისი სოფლების ისტორიების კვლევებს. საბედნიეროდ, ბევრი მათგანი კარგადაა შესრულებული, მოკვლეულია არა მარტო მოცემულ სოფელთა დღევანდელიობა, არამედ წარსულიც, ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურული გარემო, დემოგრაფიული პროცესები, დროით გამოწვეული რყევები, ბევრ მათგანში ჯეროვან დონეზეა გაკეთებული შეფასებები და დადგენილია განვითარებათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. აქედან გამომდინარე, საერთო ჯამში, ენთუზიაზმის საფუძველზე კვლევის ცენტრთან თანამშრომლობს ორმოცდაათამდე პიროვნება. ასე რომ, ეს ვანის პირობებში და საერთოდაც, უმნიშვნელოვანესი და უზარმაზარი ინტელექტუალური მონაცემების მქონე დიდი კოლექტივია. დიდია მათი წვლილი ვანის ისტორიის ცალკეული მონაკვეთების დადგენის საქმეში. ამდენად, ეს კვლევები, რომლებიც კოლექტიური შრომის სახეს ატარებს უკლებლივ გადაეცემათ მომავალ თაობებს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მკითხველთა წრეში ხდება მათი გაცნობიერება. საბედნიეროდ, როგორც „სამეცნიერო კრებულმატიანეს“, ასევე კვლევის ცენტრის მიმართაც ინტერესი დიდია, რაც ზრდის პასუხისმგებლობასაც.

ვგრძნობთ ყურადღებას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის პირველი პირებისაგან — ზაზა ხურციდიისა და ალექსანდრე ლილუაშვილისაგან. კვლევის ცენტრი უფრო ხილვადი და პატივს სცემს მათთან ადამიანურ და საქმიან ურთიერთობებს. ასეთივე დამოკიდებულება გვაქვს გამგეობის ყველა სამსახურის უფროსთან, საკრებულოს შემადგენლობასთან. ამ ადამიანების მეშვეობით პრაქტიკულად რამდენადმე შეიცვალა „კვლევის ცენტრის“ თანამშრომელთა სამუშაო პირობები, აღჭურვილობა. ამ ეტაპისათვის გვაქვს თითქმის ყველაფერი, რაც აუცილებელია კვლევითი სამუშაოების ჩატარებისა და შესაბამის ორგანიზაციებთან, ინდივიდებთან ურთიერთობისათვის. უდიდესი მაღლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ბატონები — ბეჟან ნაქაძე და ზაურ თათვიძე, ბიზნესმენები და ქველმოქმედები, ასე რომ, ფრიად საქმიანი გარემო ჩამოყალიბდა. ვაფასებთ ამ განწყობილებას და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ უდიდეს პატივისცემას ყველა ზემოთ მოხსენიებულ ადამიანთა მიმართ.

გამომდინარე აქედან, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ ყველა იმ გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად, რომელნიც ჩვენს გვერდით დგანან, თავისი კვლევებითა და საგამომცემლო საქმიანობით, გაუზვიადებლად რომ ითქვას, არის მნიშვნელოვანი განზომილების კულტურული მოვლენაც და კერაც, რომელთა ანალოგი რაიონთა შორის, ალბათ, იშვიათობაა.

რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოთა ქრონომეტრაჟს:

მხოლოდ ზოგიერთ ტენდენციასა და აქედან, კვლევის ცენტრის მიერ გასაჯაროებულ რიგ კვლევებსა და სტატიებზე გავამახვილებთ ყურადღებას, საიდანაც მკითხველი თვითონვე გააკეთებს შეფასებასაც და დასკვნასაც.

დავინყებთ პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილით და აქვე პატივს მივაგებთ ამ დიდებული პიროვნებისა და მეცნიერის ხსოვნას. როგორც ვახსენეთ იგი „კვლევის ცენტრის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი იყო. დიდებული მკვლევარი, რომლის სტატიათა კრებული „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“ პირველად გამოქვეყნდა კრებულ „მატიანეს“ საშუალებით,

ხოლო შემდეგში „კვლევის ცენტრმა“ გამგებლის ზაზა ხურციძისა და მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსის გიორგი ნამიჭეიშვილის დახმარებით უზრუნველყო ამ ფრიად საინტერესო მონოგრაფიის გამოქვეყნება ცალკე წიგნად. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, იგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც თავისუფლად დავარქმევდით სამაგიდო წიგნს. მეტი უნდა იწერებოდეს და ქვეყნდებოდეს მსგავსი, ვიტყოდით, პატრიოტული მუხტით დატვირთული სამეცნიერო ნაშრომები. თაობებმა უნდა იცოდნენ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ, რა შეგვიქმნია მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების სათავეებთან. ამ მხრივ ერს აქვს უფლება იამაყოს ამით და გამოყენებული უნდა იქნას მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.

ვინც გაეცნობა პროფესორ გურამ ყიფიანის (რომელიც ასევე კვლევის ცენტრის დამფუძნებელია) მრავალთა შორის ბოლო მონოგრაფიას, „სურიუმი“, იოლად დარწმუნდება, საკუთრივ ვანი საიდან იღებს ფესვებს, რომ იგი ანტიკური საქართველოს უდიდესი განზომილების ქალაქია, რომელიც თავისი მნიშვნელობით ახალ სიტყვას ამბობს საქართველოს ისტორიის დადგენის საკითხებში, ეს ნაშრომიც დგას ანტიკურ ვანზე გამოქვეყნებული კვლევების გვერდით და ესეც გამოიცა „კვლევის ცენტრის“ ეგიდით.

ვანს ძალიან ბევრი გამოჩენილი პიროვნება ჰყავს, მაგრამ ქართული სულიერების ზნეობრივ-მორალური სრულყოფისა და განმტკიცების საქმეში უპირველესად მიგვაჩნია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ვანელი, სოფ. ტობანიერის მკვიდრი – კალისტრატე ცინცაძე. უდიდესი სასულიერო მოღვაწე. პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომლის კვლევები საქართველოს გამოჩენილ სასულიერო მოღვაწეებზე ამშვენებს ქართულ ისტორიოგრაფიას; ბატონების – აკადემიკოს გურამ ლორთქიფანიძის, პროფესორ ომარ ძაგნიძისა და „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელობის თხოვნით დაგვიდგა გვერდით და ამ საფუძველზე „მატიანეს“ პირველსავე ნომერში გამოვაქვეყნეთ მისივე ნაშრომი „უნმინდესი კალისტრატე და ქართული საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა“.

პირველად, ორიგინალური კვლევის სახით გამოვაქვეყნეთ „ვანის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება“ – ფრიად საინტერესო კვლევა, რომელიც აპრობირებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ავტორია ცნობილი ვანელი პედაგოგი, გეოგრაფიის სპეციალისტი ქალბატონი თინა ტყემელაშვილი.

დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სოფელ ყუმურში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სამეცნიერო დატვირთვითა და მნიშვნელოვანი კვლევებით მუშაობდა „ვანის კოსმოფიზიკური ობსერვატორია“, რომელიც მაშინდელი საკავშირო მთავრობის სპეციალური განკარგულების საფუძველზე შეიქმნა და ხელმძღვანელობდა ვანელი, ყუმურელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ადეიშვილი. აღნიშნული ობსერვატორიის საქმიანობის ირგვლივ მისი ხელმძღვანელის ბატონ თეიმურაზ ადეიშვილის სტატიით შევეხმიანეთ ქართველ და კონკრეტულად, ვანელ მკითხველს.

„კვლევის ცენტრში“ დამუშავდა და გაშუქდა სტატიები: „ვანელი ექიმები სამამულო ომის ფრონტებზე“ (ავტორი მურთაზ ივანიძე), მერაბ კვაჩიძის „ვანელები დიდ სამამულო ომში“, ომარ კაპანაძის „გერმანიის ვერმახტის გენერალი ვანიდან – შალვა მაღლაკელიძე“, ეს პიროვნება, დიხაშხოელი გლეხის შვილი, თავის დროზე განაგებდა სამხრეთ საქართველოსა და შემდეგ ქუთაისის მაზრებს, იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ხოლო შემდეგში თანამშრომლობდა გერმანიის უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებასთან და მინიჭებული ჰქონდა გერმანიის გენერლის სამხედრო წოდება, რაც გერმანული სამყაროსათვის იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. გამოვაქვეყნეთ პროფესორ თამაზ ბერაძის ნაშრომი – „ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან“, რამინ ქობალიას ავტორობით „ქრისტეს ქართველური წარმოშობა აკადემიკოსს ვლადიმერ ვახანიას მიხედვით“, ფილოლოგიის დოქტორის, როზა დევდარიანის კვლევა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ვანელ პოეტ გიორგი ნაფეტვარიძეზე, ვანის არქე-

ოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორის ომარ გაბუნისას „ვაზის უძველესი ფესვები ვანის ნაქალაქარიდან“, რომელიც დაფუძნებულია არქეოლოგიური კვლევების მასალებზე, მისივე – ვანის არქეოლოგიური გათხრებისა და მუზეუმ-ნაკრძალის ისტორიიდან“, პროფესორების დიმიტრი ახვლედიანისა და დარეჯან კაჭარავას – „განძი ვანის ნაქალაქარიდან“, ელენე მამფორიას „გალაკტიონ ტაბიძისა და ტიცვიან ტაბიძის სახლ-მუზეუმები, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერები“, ქეთევან ძაგნიძის – „კირილე ლორთქიფანიძე“ – ეს ვანელი კაცი (ისრითიდან) ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, თერგდალეულთა პლეადას ეკუთვნის. პროფესორ გურამ ყიფიანისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მადონა მშვილდაძის – „სოფელ ზედა ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია“, გურამ ყიფიანის – „ლაბაჯაურის წმინდა გიორგი“, (მდებარეობს სოფელ ისრითში), რომელშიდაც გაანალიზებულია ამ ისტორიული ძეგლის მნიშვნელოვანი მონაცემები, პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის – „თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია“, ხოლო „მატიანეს“ პირველ ნომერში გამოვაცქეყენეთ მისი კვლევა – „ძველი ორპირი, დანგრეული სანაოები“; ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომლის მანანა ვაშაყმაძის – „ბრინჯაოს პლასტიკა ვანში“, ომარ კაპანაძის – „ვანელი (საჩინოელი) თავადები 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი“, „საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით“, „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და ვანელთა ჩართულობა რევოლუციურ პროცესებში“; ახალგაზრდა მკვლევარის, ისტორიის მაგისტრის შალვა შარაშენიძის – „ვანელი ებრაელები“, პროფესორ ომარ ძაგნიძის – „ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის“, კვლევის ცენტრის თანამშრომლის, ფილოლოგის თამილა მუჟავანაძის – „სადღესასწაულო და ხალხური რიტუალები ვანის რაიონის ზოგიერთი სოფლის მიხედვით“; პროფესორ უჩა დვალის – „ვანის არქეოლოგია“ „როკვით განფენილი ქართული გენი“, კვლევა დაფუძნებულია ვანის არქეოლოგიურ მასალებზე, ფილოლოგიის დოქტორ ქრისტინე მეძველიას – „წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში“, სოფო რამიშვილის სტატია – „ვანში ტიმ სევერინის ექსპედიცია“, გასაჯაროებულია და სპეციალურადაა მომზადებული კვლევის ცენტრისათვის შ. შარაშენიძის სტატიის პირველი ნაწილი „სამედიცინო დარგის განვითარების ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით.“ იგი ეფუძნება საარქივო დოკუმენტებს, დღემდე უცნობ მასალათა ანალიზს, საქართველოს შ/ს სამინისტროს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს, ჟურნალ „საარქივო მოამბის“ რედაქტორთან შეთანხმებით გამოვაცქეყენეთ „შოთა რუსთაველი მსოფლიო რენესანსული აზროვნების მესაძირკვლე“, ესაა ჩვენი ახალი თანამშრომლის, ჟურნალისტ ინდირა გოგოძის წინასიტყვაობა პროფესორ ნანა გონჯილაშვილის კვლევაზე „გალიაში მომღერალი შაში თუ მოგისმენია“ და ეფუძნება უტყუარ, უაღრესად საინტერესო დოკუმენტურ მასალებს, ორიგინალური სახით გამოვაცქეყენეთ კვლევის ცენტრის ერთ-ერთი თანადამფუძნებლის, პროფესორ თორნიკე ეფრემიძის, ვანის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი კვლევა – „ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ“ და ა. შ. ჯერჯერობით, დღეისათვის წინამდებარე ნომრის ჩათვლით 87 კვლევა და სტატია, ესაა კონკრეტული ნაწილი იმ კვლევებისა, რომელიც გავასაჯაროეთ და მივანოდეთ ვანის რაიონის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. თითოეულ მათგანში ჩადებულია მომქანცველი გონებრივი შრომა და უკავშირდება იმ უცნობ მასალათა კვლევასა და შესწავლას, რომელიც „კვლევის ცენტრში“ დაგროვდა, დაექვემდებარა და ექვემდებარება ანალიზს.

საფუძვლიან ფუნდამენტზე მიმდინარეობს ვანის ისტორიის შემადგენელი ნაწილის – ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევა და თანამიმდევრულადაც ვაქვეყნებთ მათ ნიმუშებს. ვთვლით და მიგვაჩნია, რაიონისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ბატონ მალხაზ ერქვანიძის კვლევა „ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად ქრილში“. აქ საუბარია იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა თანამედროვე იმერული სამუსიკო ფოლკლორის დაცვასა და ტრადიციების გაგრძელებაზე ვანის რაიონის სოფლების

– სულორის, ტობანიერის, ყუმურის ეთნოსასიმლერო გუნდების რეპერტუარმა. ჩვენი აზრით ესაა ახალი სიტყვა და მომზადდა იგი კვლევის ცენტრის თხოვნით.

„კვლევის ცენტრში“ დღეისათვის წარმოდგენილია 100-ზე მეტი კვლევა, სტატია, აქედან 80% უშუალოდ უკავშირდება ვანს, ხოლო დანარჩენი ოცი პროცენტი მნიშვნელოვანი, ზოგადქართულია, მაგრამ მათთან შემხებლობა გააჩნია ვანის ისტორიულ წარსულს, რამდენიმე თემა მომზადებულია იმ გამოჩენილ ადამიანებზე, ძირითადად ვანელებზე, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ქვეყნისა და არა მარტო ქვეყნის განვითარების ისტორიაში – ქართული სივრცისათვის უზარმაზარი განზომილების სასულიერო პირებიდან, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა ჩათვლით. ამჟამად, „ცენტრში“ თავმოყრილია და მიმდინარეობს საკითხთა დაზუსტება 120-ზე მეტ გამოჩენილ ვანელზე, თითქმის ცხოვრების ყველა დარგადან, ეს მონაცემები გაფართოვდება.

„კვლევის ცენტრის თხოვნითა და აქტიური თანამშრომლობით დამუშავდა და წარმოდგენილია ვანის მუნიციპალიტეტის 15 სოფლის ისტორია, ბევრი მათგანი კორექტირებულია, შედარებულია დროსთან და ისტორიულ პროცესებთან, უკვე კრებულ „მატიანეს“ საშუალებით გასაჯაროებულია ხუთი. მოძიებულია და დაცულია ვანის ტერიტორიაზე არსებული 1200-ზე მეტი ტოპონიმი.

და რადგან კვლევების გასაჯაროების საკითხს შევხებით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ გამოცემით გადაწყდა მნიშვნელოვანი საკითხი, თუმცა ამ საკითხს ახლდა გარკვეული სიფრთხილე და შიშიც. ფაქტებისა და მოვლენების გასაჯაროება უნდა დაფუძნებოდა, ობიექტურ კვლევებს, საარქივო მასალებს, მათ ანალიზს, შეჯერებას სხვა სანდო წყაროებთან. ამას გარდა ნებისმიერი ზეპირი ინფორმაცია ან ინდივიდთა კოლექციებში მიკვლეული, დაცული მასალები ითხოვდა გადამონმებას და ტენდენციურობისა და ჰიპერბოლიზებისაგან განმეხდას. დაცული უნდა ყოფილიყო კვლევათა აკადემიურობა, საბოლოოდ დადგინდა სარედაქციო კოლეგიაც. უკვე გამოვეცით „მატიანეს“ ექვსი ნომერი, რომელშიდაც გასაჯაროვდა როგორც ითქვა 87 კვლევა-სტატია და ა. შ. საერთო ჯამში გამოქვეყნებული მასალები, ოთხი, მსხვილტანიანი მონოგრაფიის ტოლფასია და მოიცავს რაიონის ცხოვრების ყველა სფეროს, ისტორიას, მათ შორის, ვანის სოფლების ისტორიებსაც, არქეოლოგიას, რელიგიას, ლიტერატურას, ფოლკლორს, როგორც აღინიშნა, ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათა მოღვაწეობას.

საქართველოს სხვადასხვა არქივებში მიკვლეულია მნიშვნელოვანი წყაროები. დაწყებულია მათი შესწავლა და განზრახულია მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ქსეროასლების გადაღება და ვანში დაბრუნება. ვფიქრობთ და კონკრეტულ დროში განვახორციელებთ ვანის რაიონის დღემდე უცნობი ისტორიის საკითხებიდან ოთხი სხვადასხვა მიმართულების თემის დამუშავებას, რომელიც ჯერ გამოქვეყნდება კრებულ „მატიანეში“, შემდეგ შევეცდებით ნიგნად გამოცემას. კვლევის ცენტრის თანამშრომელი აკაკი თევზაძე მუშაობს ვანის სოფლების ხალხური პოეზიის კრებულის შედგენასა და გამოცემაზე, ამ მხრივ სამუშაო უახლოვდება დასასრულს.

კვლევის ცენტრს უკვე გააჩნია პოტენციალი, ვფიქრობთ და მომზადებულია ბაზა ცალკეულ მიმართულებათა განყოფილებების შექმნისათვის, რაც საქმეს ნამდვილად წაადგება. თუმცა, აქ წინასწარვეა საჭირო არა მარტო საქმიანი, არამედ ფრთხილი და მოზომილი მიდგომაც. ფასდაუდებელია ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორის, პროფესორ მერაბ კეზევაძის დამოკიდებულება კვლევის ცენტრისადმი. ჩვენი რედაქციის წევრია ამ არქივის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქრისტინე მეძველია. შედეგიანად მოისინჯა პოზიციები საქართველოს შ/ს სამინისტროს ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან. ასე რომ, სამუშაო პრომატევადია, მაგრამ კარგი გაგებით – აზარტულიც. უნდა ვთქვათ კრებულ „მატიანეს“ გავრცელების არეალზეც, იგი შედის მეცნიერებათა აკადემიისა და ეროვნულ ბიბლიოთეკებში, ცენტრალურ არქივში, ურიგდებათ სამეცნიერო წრეებს, რაიონის ცენტრალურ

და სასკოლო ბიბლიოთეკებს, შესაბამის სამსახურებს, იყენებენ საჩუქრად და სუვენირებად. ეს ჩვენთვის სასიამოვნო პოზიციაა, რადგან ამ გზითაც და საკმაოდ ავტორიტეტულად, ხდება გამოცემის პროპაგანდირება.

ჩვენი მიზანი იყო „კვლევის ცენტრთან“ შეგვექმნა, წარმოშობით ვანელ მეცნიერთა კვლევებზე გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოთეკა. მათთან კონტაქტებისა და მიმართვის შემდეგ გამომხატურება იყო საქმიანი, მომზადდა ბიბლიოთეკის სანყისი ბაზა და მასში უკვე ირიცხება 120-ზე მეტი მონოგრაფია, შრომა, სტატია და ა. შ. სხვათა შორის, საკმაოდ უნიკალური ნაშრომები, ისტორიიდან, ფილოლოგიიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან და ა. შ. ამათ გარდა კვლევის ცენტრში მოიპოვება და დაცულია რიგი ძველი და უნუკალური მასალები, გახსნილია ცალკეულ პიროვნებათა (მეცნიერთა და არამეცნიერთა) ფონდები, გზადაგზა გროვდება და დაცული იქნება მათი პირადი მიმონერები და ცენტრისადმი საჩუქრად გადმოცემული მიმონერებიც, სხვადასხვა საკითხებზე ჩამოყალიბებული ვერსიები და შეხედულებანი, დაქსეროქსებული მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ასევე საჩუქრად გადმოგვეცა კვლევის ცენტრს. აქვე შევხები მტკივნეულ თემასაც: ესაა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არაერთხელ აღგვინიშნავს და კვლავ ვიმეორებთ – ასეთ მუზეუმებს ის რაიონები (მუნიციპალიტეტები), რომელთაც იგი არ გააჩნდათ, დღეს ქმნიან, აგროვებენ მასალებს და სრულყოფენ დოკუმენტებზე აგებულ საკუთარი რაიონის ისტორიას. ჩვენთან კი, იგი 1952 წლიდან 2005-2007 წლებამდე არსებობდა და შემდეგ მერკანტილური დამოკიდებულებისა და გაუცნობიერებლობის მსხვერპლი გახდა. ეს მუზეუმი ფლობდა უდიდეს მასალას, რომელთაგანაც არაერთი გამოყენებული აქვს ცალკეულ მეცნიერებს დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხთა კვლევებისას და რომელიც რიგ სხვა ექსპონანტებთან ერთად დღეისათვის დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ. თუ ჩავთვლით იმას, რომ ამ ფასდაუდებელ ექსპონატთა მოგროვება-ანალიზზე თაობები მუშაობდნენ და მათზე დაყრდნობით გამართული იყო არაერთი სამეცნიერო სესია, კონფერენცია, არსებობდა ცალკეული კვლევები და ა. შ. რამდენადაც ვიცით, დღეისათვის საამისო პირობები უკვე არსებობს და ალბათ, დროა ვიფიქროთ მის აღდგენაზე.

დაახლოებით ასეთია ის საქმიანობა, რომელიც გასწია რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრმა“ და რომლის გაგრძელებასაც ვაპირებთ სამომავლოდ. ფაქტები სახეზეა, მითუმეტეს გასაჯაროებულია. მკრეხელობის გარეშე შეიძლება ითქვას – ესაა მომქანცველი შრომა და შეგნებული ვალდებულებაც, რომ რაიონისა და დაინტერესებული საზოგადოებაც ჩავახედოთ ვანის წარსულში, დღევანდელობაში და შევექმნათ ბაზა განვლილი გზისა და ისტორიის ობიექტური შეფასებისა და გაცნობიერებისათვის. ღრმად გვწამს დრო ამ შრომას დააფასებს.

პატივისცემით – მმარ კაპანაძე

„კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

თაიფურაზ ალაიშვილი

პროფესორი

ქართულთა ეთნოგენეზის პრობლემა

გასულ საუკუნეში ჩვენი ხალხების წარმოშობის შესწავლას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ თითოეული ეთნოსი მისი ამჟამინდელი განსახლების არეალში იმთავითვე ბინადრობდა. ასე მაგალითად, ცნობილი არქეოლოგის, აკადემიკოს ო. ჯაფარიძის მიხედვით „შესაძლებელია, რომ ლითონის გაჩენის ადრეულ საფეხურზე იბადებოდა ქართველური ეთნიკური ელემენტი, ყალიბდებოდა ქართველური ენა. ამ კულტურის მატარებელი ტომების განსახლებები ვრცელ ტერიტორიაზე ქმნიდნენ პირობებს ქართველური საერთო ფუძე – ენის დიფერენციაციისათვის.

აკადემიკოსის აზრით წინარექართველების სამშობლო შიდა ქართლი ყოფილა. ყოველივე ამის მტკიცება კი რაიმე დასაბუთების გარეშე ხდებოდა. ერთი სიტყვით, იშვიათი იყო ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას ვინმე სპეციალურად ჩაღრმავებოდა.

ამჟამად, აღნიშნული საკითხის დამუშავება ჩვენთან აქტუალური კი არის, მაგრამ დადებითი შედეგი განეული ძალისხმევის თითქმის უკუპროპორციულია. ამის შესახებ გამოჩენილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის გენეზისის საკითხი ყოველად შეუსწავლელია.“ ასეთნაირ კრიტიკულ შეფასებას მარტო ადრინდელი (ნ. ბერძენიშვილამდელი) ვითარება კი არ იმსახურებს, არამედ არსებითად მომდევნო ხანაც. თუ ჩვენი ქართველი მეცნიერებისათვის ეს საკითხი ისევ გაურკვეველია და ბუნდოვანი, მაშინ რა ეთქმის უცხოელ სპეციალისტებს ამ პრობლემის გააზრების შესახებ? არადა საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ ის ფუნდამენტურ გადანყვეტას, გამომდინარეს თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციიდან, აუცილებლად მოითხოვს.

თავდაპირველად განვიხილოთ, რუს ისტორიკოსთა ორი მაგალითი, 2009 წელს რუსი ავტორების მ.ბუხარინი, ი. ლადინინი, ბ. ლადინინი და ა. ნემიროვსკი, (რედაქორი – ბ. ლიაპუსტინი) მიერ სტუდენტთა სახელმძღვანელო – „ძველი აღმოსავლეთის ისტორია.“ წიგნის მესამე განყოფილება ეხება ანატოლიიდან ირანამდე არსებულ ტერიტორიის ეთნიკურ ისტორიას VI-V ათასწლეულებში და ის ასეა წარმოდგენილი: მისი საკმაოდ დიდი ნაწილი მცირე აზიიდან კასპიის ზღვამდე თითქოს დასახლებულია დღევანდელი ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ერთობის მატარებელი (ხურიტული) ტომებით... ამასთან, დღევანდელი სომხეთის ზეგნის ტერიტორია უკავიათ ამ ერთობის აღმოსავლურ შტოს, (დღევანდელი ნახურ-დაღესტნური ერები), ხოლო მცირე აზიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთის ნაწილი დაკავშირებულია ჩრდილოეთკავკასიური ერთობის დასავლური შტოს (აფხაზურ-აფსუურ-ადილეური ხალხები). წიგნში გარკვევით წერია „გაურკვეველია როდის და საიდან შეაღწიეს მტკვრის ზემო წელში ქართველებმა (პროტოქართველმა ტომებმა), მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი არ წარმოადგენენ ამ ტერიტორიის ავტოქტონურ მოსახლეობას.“

ამ ავტორების მიხედვით, IV-III ათასწლეულებში ყველაზე მსხვილი აბორიგენული მოსახლეობაა ხეთები, ანუ აფხაზურ-ადილეური მოდემის ხალხები. სომხეთის ზეგანი, ამიერკავკასია და მისი მეზობელი სხვა რაიონი წარმოადგენდა შედარებით მონოლითურ მტკვარ-არაქსის კულტურას. მისი წარმომადგენლები ყოფილან ამ არეალში მცხოვრები, გვიანდელი აღმოსავლეთ-კავკასიური ხალხების წინაპრები, მათ შორის, ხურიტები და ურარტუელები. ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებულია მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტები, რომელთა შემქნელები იყვნენ შემდგომი აღმოსავლეთ ამიერკავკასიელი ხალხები, რომელთაგან გამოირიცხებოდნენ წინარექართველები.

წიგნში თანდართულ რუქაზე მხოლოდ კოლხაა აღნიშნული რიონის, ქოროხის ქვემო დინებასა

და მტკვრის ზემო დინებას შორის. ქაშქებთან ერთად ხალიბებიც არაქართველური ეთნიკური სამყაროსადმი არიან მიკუთვნებული. მტკვრის შუანელის სამხრეთით, ე.ი. დღევანდელი ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სამხრეთ ნაწილში თითქოსდა მდებარეობდა გაურკვეველი ქვეყანა და ცხადია ხალხიც, კურიანის სახელწოდებით. დანარჩენი საქართველო თეთრი ლაქითაა დაფარული.

ძველი ნელთაღრიცხვის XII საუკუნეში რეგიონის აღმოსავლეთში გამოჩენილან თითქოს ინდოევროპული წარმომავლობის მუშქები, რომელთა შთამომავლები ყოფილან ერთი მხრივ კაბადოკიელები (დასავლეთში). ხოლო, მეორე მხრივ, სომხები (აღმოსავლეთში), რაც თითქოს „ყოველმხრივ დაუსაბუთებია“ რუს ისტორიკოსს ი. დიაკონოვს. რატომღაც ამ უკანასკნელს მიეწერება უმთავრესი როლი სომხეთის ზეგანის ძველი ისტორიის რეკონსტრუქციაში.

ამ სახელმძღვანელოში მოთავსებული ერთ-ერთი რუქის მიხედვით, მთელი დღევანდელი აღმოსავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი საქართველო, ძვ.წ.აღ. 640 წლისათვის ნაჩვენებია „სკვითების სახელმწიფოს“ შემადგენლობაში. ჩვენი ტერიტორია კი შესაბამისი ეთნოსის გარეშეა წარმოდგენილი.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი რუსული ენციკლოპედიის“ თანახმად გამოიყოფა „დასავლურ-კავკასიური ნეოლითური“ კულტურა ლოკალური ჯგუფებით, ხოლო ენეოლითის ხანაში „დასავლურ-კავკასიური“ კულტურა ახლოსაა პროტომაიკოპურ ძეგლებთან. თითქოს, ასევე გახლდათ, შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ადრეული ბრინჯაოს ხანის „დამოუკიდებელი კულტურა,“ ახლოს მდგომი „მაიკოპის კულტურასთან“. შემდეგ გვერდზე ვკითხულობთ: „დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში ძვ.წ.აღ. მესამე-მეორე ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა ე.წ. ოჩამჩირული კულტურა, რომელიც აგრძელებდა ადგილობრივ ტრადიციებს და მისი მატარებლები ენათესავებოდნენ დოლმენური კულტურის მატარებელ ხალხებს ანუ აფხაზებს.“ ამდენად, ამ რეგიონებში ცნობილი კოლხური კულტურა თურმე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარშიც არ არსებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მტკიცებულებები რუსულ ისტორიოგრაფიაში მანამდეც ბოგინობდა. 1966 წელს პროფესორი ი. დიაკონოვი აღნიშნავდა, რომ ძვ.წ.აღ. III ათასწლეულში, კერძოდ, ამიერკავკასიაშიც გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა, ხურიტული-ურარტულ და ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ტომებს მიეკუთვნებოდა, ხოლო პროტოქართველებს კი აქ უმნიშვნელო სივრცე ეჭირათ (სად გაურკვეველია). ცენტრალურ ნაწილში ისინი ვერ იქნებოდნენ, ვითომდაც ფუძექართველური ენის ანალიზიდან გამომდინარე. შესაძლოა მათ აღნიშნული მტკვარ-არაქსის კულტურის მხოლოდ მცირე ნაწილი ეკავათ. მისივე ნიგნში „სომეხი ხალხის წინა ისტორია“ (დაიბეჭდა ერევანში 1968 წ.) ისეა წარმოდგენილი, თითქოს დასავლეთ საქართველოს არა მარტო ზღვისპირეთი, არამედ ლიხის ქედამდე არსებული ტერიტორია აბეშლავლებით (აფხაზებით, უფრო სწორად აფსუებით) ყოფილა დასახლებული. დიაკონოვის აზრით, შესაძლოა ქართველთა წინაპრები ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში მართლაც ცხოვრობდნენ.

მეორე რუსი ისტორიკოსის ი. პიანკოვის მოსაზრებით, ჩრდილოკავკასიური ეთნიკური ერთობის საწყისები დაკავშირებულია უძველეს ნეოლითურ ცენტრებთან – ჰაჯილართან და ჩათალ-ჰიუიკთან. შემდეგში მათ შეუქმნიათ ჰალაფისა და მტკვარ-არაქსის (მთლიანად) კულტურები, საიდანაც გავრცელებულან ჩრდილო კავკასიაში. თუ ასეა, მაშინ სადაა ქართველთა უძველესი საცხოვრისი?

„უფროსი ძმის“ (რუსეთის) ისტორიკოსთა მონაჩმახი აიტაცეს აფხაზმა ისტორიკოსებმაც. კერძოდ, ო. ბლაჟბასა და ც. ლაკობას შეხედულებით, აფხაზურ-ადილეური და ვაინახურ-დალესტნური ენების ჯგუფები შეადგენდნენ ერთიან კავკასიურ ენათა ჯგუფს. პირველი ჯგუფის პრაენის მატარებელი ეთნოსი ძვ.წ.აღ. III ათასწლეულისათვის ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოსა და ჩანს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ხოლო მეორე ჯგუფის ხალხებს ეკავათ

აღმოსავლეთ საქართველო. ქართველთა პრეისტორიის თაობაზე კი წიგნში ვკითხულობთ: „რაც შეეხება ძველკავკასიურ ტომებს: კარდუ-ქართვეს, კოლხა-კოლხებს და სხვა, არსებული შეხედულებით, ჯერ კიდევ ათასწლეულის დასაწყისამდე ბინადრობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში და მხოლოდ შემდეგ გადაადგილდნენ ქოროხის ხეობით სანაპიროთი და მტკვრის ხეობით კოლხეთის ნიშაში (ე.ი. მთელი ძველი კოლხური კულტურა და არგონავტებში წარმოდგენილი აიეტის კოლხეთი, აფხაზური საკუთრება ყოფილა).

უფრო მეტიც, 2007 წელს ნიუ-იორკში დაიბეჭდა ამერიკელი ისტორიკოსის სიუზენ უაიზ ბაუერის თითქმის ათასგვერდიანი წიგნი „ძველი მსოფლიოს ისტორია: ცივილიზაციის საწყისებიდან რომის დაცემამდე.“ ამოდენა ისტორიული არეალისა და დროის შემცველ ნაწარმოებში არათუ ქართველები და საქართველო, არამედ კოლხეთი და იბერიაც კი არ არის მოხსენიებული. ამ ნაშრომში წარმოდგენილ რუქებზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია თეთრ ლაქადაა გამოსახული, ზოგჯერ ამიერკავკასიის რეგიონში სკვითებია მონიშნული, ხოლო ჩვენი ეთნიკური ტერიტორია ან თეთრი ლაქაა, ან მისი გარკვეული ნაწილი სომხეთის შემადგენლობაშია.

როგორც ვხედავთ, არის იმის მცდელობა, რომ წაგვართვან ის ისტორიული რეალობა, რომლის მიხედვითაც მეტნაკლებად ჩართული ვიყავით ძველადმოსავლურ ისტორიულ, ცივილიზაციურ სისტემაში (ხეთების სამეფო, ასურეთი, ურარტუ, ბაბილონი, მიდია, მითანი, სპარსეთი და სხვა).

ასეთი ტენდეციისაგან ოდნავ განსხვავებული ვითარება შეიმჩნეოდა თუნდაც პოსტსტალინური პერიოდის რუსულ სახელმძღვანელოებში. მაგალითად 1979 წელს გამოსული „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ (რედაქტორი ვ.კუზნიშინი) ერთ-ერთი თავის პირველ პარაგრაფში ლაპარაკი იყო უძველეს ამიერკავკასიურ ტომებზე, ხოლო მესამე პარაგრაფი მთლიანად ეძღვნებოდა ძველი სომხეთის, ალბანეთისა და საქართველოს (კოლხეთი და იბერია) უძველეს სახელმწიფოებს.

ი. დიაკონოვისა და სხვათა რედაქტორობით დაწერილ: „ძველ მსოფლიო ისტორიას“ (სამ ტომად დაიბეჭდა მოსკოვში 1982-1983 წლებში) მეორე და მესამე წიგნებში სამი ცალკე პარაგრაფი ჰქონდა დათმობილი ამიერკავკასიისა და კერძოდ, კოლხეთ-იბერიის ისტორიას. ამასთან ეს ჩართვა ხდებოდა ორგანულად, თითქოს ძველი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პერიოდში ჩვენთან საწარმოო ძალების განვითარებას მაშინდელი ზღვრისათვის მიუღწევია.

1987 წელს ჩრდილო ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში გამართულ საკავშირო კონფერენციაზე „კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ ძველადმოსავლურ კულტურულ სისტემაში არამარტო ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო, არამედ ჩრდილო კავკასიაც იყო ჩართული.

მაშინ რა მოხდა ამ ბოლო ხანებში? როგორც ჩანს მავან ავტორთა წარმოდგენებში ძველი ისტორია პოლიტიკური დაპირისპირებულობის საგნადაა ქცეული, ამიტომ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა არამარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონეც გახლავთ, რაც კიდევ უფრო მეტად აქტუალურს ხდის მას.

სწორედ, ეს ფაქტორი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, როცა ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრებმა, აკადემიკოსებმა ი. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯანაშიამ შექმნეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც პირველად 1943 წელს გამოიცა ს. ჯანაშიას რედაქტორობით. ამ ნაშრომის მიხედვით ქართველური ტომები უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ არამარტო დღევანდელი საქართველოს, არამედ გაცილებით უფრო დიდ არეალში. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ასეთი დიდი მასშტაბის სივრცეში გვაროვნული (მაინც პრიმიტიული) საზოგადოების პირობებში ერთიანი ქართველური ფუძე-ენის ფუნქციონირება, რომელიც შემდგომ ეტაპზე დაიშალა საკუთრივ ქართულ (ქართველთა), ზანურ (მეგრულ-ჭანურ) და სვანურ ენებად. ამიტომ საძიებელი იყო ის ვინაა არეალი, საიდანაც დაიწყო

ამ ენათა დიფერენცირება. სახელმძღვანელოში არასაკმარისი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი პროტოქართველების ნათესაობის საკითხს ძველი მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების შემქმნელ ხალხებთან: შუმერებთან, სუბარებთან, ხეთებთან, ეგვიპტელებთან, ლიბიელებთან (კართაგენი), ბასკებთან, ეტრუსკებთან, პელაზგებთან, პიქტებთან და სხვა. შესაძლოა ამან და სხვა ფაქტორებმაც განაპირობა ის შეხვედრა, რომელიც 1945 წლის 20-23 ოქტომბერს ქ. სოჭში მოაწყო ი. სტალინმა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან (ბატონი ივანე მაშინ უკვე გარდაცვლილი იყო). შემდგარი გულთბილი საუბრისას გადაწყდა, რომ დაინერებოდა საქართველოს ახალი ისტორია (რა თქმა უნდა არსებულზე დაყრდნობით), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი უნდა დათმობოდა ქართველთა ეთნოგენეზის საკითხს. ასეთი სახელმძღვანელო მომზადდა და 1948 წელს გამოიცა კიდეც. ის წინანდელთან შედარებით გაცილებით სრულყოფილი იყო. ისწავლებოდა სკოლებში, ითარგმნა მრავალ ენაზე, დაიმსახურა სტალინური პრემია და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ყველა ქართველისათვის (და არამარტო ქართველისათვის) სამაგიდო წიგნად ითვლებოდა. მაგრამ სტალინის გარდაცვალებისა და ხელისუფლებაში ტუტუცი ნიკიტას მოსვლის შემდეგ წიგნი „დააპატიმრეს“ და ის დღესაც სადღაც სეიფშია ჩაკეტილი. დროა სასწრაფოდ გამოიცეს ეს სახელმძღვანელო და საქართველოს ისტორიის სწავლება მის მიხედვით წარმოებდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამის შემდეგ, სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარე, მრავალჯერ შეიქმნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, მაგრამ არცერთ მათგანში ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი.

ამ კუთხით ძალზე მისასაღმებელია ჩემი მეგობრის, ან გარდაცვლილი (ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული) პროფესორ ამირან ნიკოლეიშვილის ძალზე საინტერესო წიგნი „ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან,“ რომელიც 2016 წელს დაბეჭდა ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრმა (ხელმძღვანელი ბატონი ო. კაპანაძე). მასში ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენი წინაპრების შესაძლო ნათესაური კავშირები როგორც კავკასიის, ისე ახლო აღმოსავლეთისა და საერთოდ, სხვადასხვა კონტინენტებზე აღმოცენებულ და განვითარებულ უძველეს ცივილიზაციებთან. თუმცა, როგორც ბატონი ამირანი აღნიშნავს: „ამ ნაშრომს ორიგინალური კვლევის პრეტენზია არ გააჩნია, ჩემს მიზანს მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ მკითხველს კიდე ერთხელ შევახსენო ქართველთა უძველესი წარმომავლობისა და ჩვენს განუზომლად დიდ წვლილზე კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნისა და განვითარების საქმეში“. ასეთი შეფასება ალბათ საკუთარი როლის დაკნინებასაც ნიშნავს, მაგრამ ეს ავტორის თავმდაბლობას უნდა მიეწეროს.

ისე, ჩემი აზრით, პარადოქსულია პრეტენზიას ვაცხადებდეთ ჩვენი მოდგმის გავრცელებაზე თითქმის მთელს მსოფლიოში და ამავდროულად საკუთარ მიწა-წყალზე ჩვენი ეთნიკური წარსული და წარმომავლობა არ გვექონდეს ბოლომდე გაცნობიერებული.

მანანა ვაშაყმაძე

ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი

**ზოგიერთი საკითხები ანტიკური ვანის გარე სამყაროსთან
სავაჭრო, ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების შესახებ**

კოლხეთის ისტორიის პრობლემების კვლევას საფუძველი მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ჩაეყარა. პრიორიტეტი ამ საკითხების მეცნიერულად კვლევა-ძიებაში ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სახელს უკავშირდება. ს.ჯანაშიამ პირველმა წარმოადგინა კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის პერიოდიზაცია, გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები ადგილობრივი ქალაქების აღმოცენების, ადგილობრივი მონეტისა და ფულადი მიმოქცევის შესახებ.

40-იანი წლების მიწურულს უკავშირდება ბ.კუფტინის ნაშრომების გამოქვეყნებაც, რომლებშიც მის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მეტად გონივრული მოსაზრებები კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის, ოქრომჭედლობის, აგრეთვე ადგილობრივი კერამიკული ტარის, კრამიტის სამონეტო სისტემის და მისი ემისიის ირგვლივ.

60-იანი წლებიდან ამ მეცნიერთა რიგებს უერთდება ოთარ ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. გამყრელიძე. ვ. ჯაფარიძე და სხვები, რომლებმაც მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური კვლევები აწარმოეს ვანის ნაქალაქარის მნიშვნელობის, მისი მსოფლიო, მეცნიერული როლის და პოპულარიზაციის განსაზღვრის საქმეში.

ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, დღეისათვის მეტ-ნაკლებად სისრულითაა შესწავლილი ანტიკური ვანის ეკონომიკის ძირითადი დარგები (სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა, სამაროვნებიდან მომდინარე კერამიკა, ლითონის ნაწარმი, სამკაული, ბრინჯაოს პლასტიკა) პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები, სოციალური წყობის ხასიათი და ურთიერთობანი შიგა და გარე სამყაროსთან.

ანტიკური ე. წ. პროდუქციის იმპორტი ვანში და მის მიდამოებში ანტიკური სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია. ამ პრობლემის შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ იმპორტული საგნების გავრცელება ვანში წარმოდგენას გვიქმნის ბერძენთა სავაჭრო აქტივიზაციის შესახებ ძველი კოლხეთის ერთ გარკვეულ რეგიონთან, რომელიც ზღვის სანაპიროს ასიოდე კილომეტრითაა დაშორებული და მდებარეობს უთუოდ მნიშვნელოვან და უძველეს სავაჭრო მაგისტრალზე (შემდგომში რომ მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალად იქცევა).

ვანისა და მის მიდამოებში აღმოჩენილი იმპორტული საგნების დეტალურმა შესწავლამ, რაც გულისხმობს მათ დათარიღებასა და სანარმოო ან მათი მწარმოებლური ცენტრის განსაზღვრას, შესაძლებელი გახადა, საერთოდ, ბერძნული სამყაროსა და მისი ძირითადი სახელოსნო-სავაჭრო ცენტრების სხვადასხვა პერიოდებში კოლხეთის ცალკეულ ოლქებთან სავაჭრო-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობის ინტენსიფიკაციის ხარისხი და მისი, როგორც ზოგადი, ასევე თავისებური ნიშნების განსაზღვრა.

ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: ძვ.წ. VI-II სს-ში ბერძნულ-მედიტერანულ სამყაროს (უფრო სწორედ, მის წამყვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს) შავიზღვისპირეთში ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და აგრეთვე ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით ერთმანეთისგან უაღრესად განსხვავებულ რეგიონებთან. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ხასიათი ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობისა, სტრუქტურულ-ლად და ტოპოლოგიურად სხვადასხვა ოლქებში ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

ცხადია, ბერძენთა დაინტერესებას სხვადასხვა ოლქში სხვადასხვა სფერო განსაზღვრავდა

— ერთგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სხვაგან ნედლეული და ა.შ. ასე რომ, ბერძნული სამყაროს შავიზღვისპირეთთან ურთიერთობის ერთიან ისტორიულ პროცესში, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ფაქტორები მოქმედებდნენ და ბუნებრივია ისიც, რომ შავიზღვისპირეთის ცალკეული რეგიონებისთვის, ამ ურთიერთობას, თავის მხრივ განსხვავებული შედეგები ჰქონდა. ამიტომაც, ანტიკური იმპორტის სისტემურ შესწავლას ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებსა და მიკრორეგიონებში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ კარგად ჩანს ბერძნული სამყაროს ურთიერთობა შავიზღვისპირეთთან, საერთოდ, „ბარბაროსულ“ სამყაროსთან და პირიქით. მეორე მხივ, ანტიკური იმპორტის შესწავლა ვანში დიდი მნიშვნელობისაა, საკუთრივ, „ვანის ქვეყნის“ ისტორიისათვის. ჯერ ერთი, უნდა განისაზღვროს ვანის ქვეყნის მონაწილეობა ბერძნებთან, კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ერთიან პროცესში. მეორე მხრივ, იმპორტის ინტენსიფიკაცია გარკვეულადაა დაკავშირებული ადგილობრივი ეკონომიკისა და შესაბამისად ბაზრის დივერსიფიკაციასთან, აქედან წარმოჩინდება მთლიანი ქართული სივრცეც.

ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულიდან, დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ბერძნულ სამყაროსთვის ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო. ძვ.წ. VI-V სს. კოლხეთის აყვავების ხანაა, რაც თვალსაჩინოადაა ასახული, როგორც ძველბერძნულ წყაროებში, ასევე უმდიდრეს და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალაში.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა კოლხეთის მიღმა ჩაიარეს. მას არ შეხებია ბერძნულ-მაკედონური ექსპანსია და კოლონიზაცია, რომელმაც საფუძველი დაუდო ისტორიის თვისობრივად ახალ პერიოდს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებსა და ძველ საქართველოში. ამიტომაც იწვევს დიდ ინტერესს ძვ.წ. IV-I სს კოლხური კულტურის სტრუქტურა, როგორც ერთ-ერთი მაგალითი ელინისტური ცივილიზაციის თავისებურებების გამოვლინებისა, იმ ქვეყნებზე, რომელთაც არ შეხებიათ ბერძნულ-მაკედონური ექსპანსია, ქვეყნებისა, რომლებიც ე.წ. ელინისტური ეპოქიდან პერიფერიებში მდებარეობდნენ.

ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობა ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ეს პროცესი ინტენსიურად მხოლოდ ძვ.წ. VII - საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და უკვე ძვ.წ. VI ს-ის დასასრულისთვის შავი ზღვის სანაპიროების ოთხივე მხარე თითქმის მთლიანად ბერძენთა ახალშენებით დაიფარა. ბერძნული სამოსახლოები კოლხეთში ძირითადად წარმოადგენდნენ სავაჭრო ქალაქებს, ან ფაქტორიებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები კოლხეთთან.

როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, მთელი ზღვისპირა ზოლი ჯერ კიდევ ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მჭიდროდ იყო დასახლებული და ფართოდაც ათვისებული. აქ უკვე არსებობდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით დანიშნულებული საზოგადოება, ამიტომ ბერძნული კოლონიზაცია დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა და იქ აგრარულმა ახალშენმა შემდგომ რომ დამოუკიდებელ პოლისებად უნდა ქცეულიყვნენ, ფეხი ვერ მოიკიდეს. ბუნებრივია, ბერძნებმა ვერ შეძლეს აქ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოების შექმნა და როგორც უკვე ვთქვით, ძვ.წ. VI საუკუნიდან დააარსეს თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დიდ კოლხურ საქალაქო ცენტრებთან: ფასისსა (დღევანდელი ფოთის მახლობლად) და დიოსკურიასში (დღევანდელ სოხუმთან), ხოლო უფრო გვიან, დღევანდელი ქობულეთისა და ოჩამჩირის მიდამოებშიც. ამ დროიდან ბერძნები კოლხეთად მოიაზრებდნენ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს – შავი ზღვის სანაპიროზე დღევანდელი ბიჭვინთის მიდამოებიდან ქოროხამდე და აღმოსავლეთით სკანდე-შორაპნის ხაზამდე. რა იზიდავდათ ბერძნებს კოლხეთში, როდესაც აქ თავიანთ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებდნენ? პასუხი შეიძლება სწორედ არგონავტების შესახებ ბერძნულ მითში ვიპოვოთ, რაც ჯერ კიდევ სტრაბონმა განმარტა: „ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით იყო

მიზეზი, რისთვისაც მოენყო ლაშქრობა.“ რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ადგილობრივი ნედლეულიც, პირველ რიგში კი ხე-ტყე, უპირველესად გემთმშენებლობისათვის, გაჰქონდათ რკინა და შესაძლოა რკინის ნაწარმიც. ხოლო ანტიკურ მწერალთა ცნობები კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს ოქროს ექსპორტზეც, ასევე მთელ ანტიკურ სამყაროში იყო განთქმული კოლხური სელის ზეთი, რომელსაც საკვები, სანათი და ასევე სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა.

მდინარე ფასისისი (რიონი) თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებულ სატრანზიტო სავაჭრო გზას წარმოადგენდა. ცნობები ამის შესახებ ძირითადად შემონახულია სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებში. სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ უხვად იყო სამოსახლოები და დასახლებული პუნქტები, თავისი მოსახლეობით, რომელიც, უდავოდ იყვნენ ჩართულნი სამეურნეო საქმიანობაში, გარდა საშინაო აღებ-მიცემობისა.

ანტიკური კოლხეთის ერთ-ერთი დაწინაურებული პოლიტიკურ-ეკონომიური და რელიგიური ცენტრის – ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათლად გვიჩვენა კოლხეთის სამეფოს ადრეკლასობრივი ბუნება, ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით. გაითხარა ზედა, მმართველი ფენებისა და წარმომადგენლების, დიდებულთა ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული მდიდრული სამარხები. დადასტურებულია პატრონებთან მსახურთა (მონები)? თანადაკრძალვის შემთხვევები, რაც ანალოგიების მიხედვით გარკვეულ კონკრეტულ ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადრემონათმფლობელობის პატრიარქალური მონობის სტადიას უნდა მიუთითებდეს. ვანის ნაქალაქარის მასალების მიხედვით კოლხეთის შემდგომი განვითარების ელინისტურ ეპოქას უკავშირდება სამხედრო ხელოვნებისა (რომელიც ადრე ელინისტურ ხანაში იწყება) და ქვის საძირკვლიანი ალიზის მძლავრი კოშკებით გამაგრებული გალავნის მშენებლობებიც. აქედან ასეთი შრომატევადი, ძვირადღირებული და ტექნიკურად საკმაოდ რთულ სფეროებზე პრაქტიკული ყურადღების გადატანა შეეძლო მხოლოდ ეკონომიკურად მძლავრად განვითარებულ კლასობრივ სზოგადოებას, მითუმეტეს კოლხეთში ელინისტურ ხანაში ვრცელდება ბრძოლის წარმოების რთული ტექნიკური საშუალებები (ურნალები, კატაპულტ-ფილაკანები და სხვა), რაც სათანადო სოციალურ-ეკონომიურ დონეს, საინჟინრო საქმის და გარე სამყაროში ამ მხრივ მიღწევების ცოდნას მოითხოვდა. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი საბრძოლო იარაღის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეიარაღების დონით კოლხეთი არ ჩამოუვარდებოდა მეზობელ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. სავარაუდოა, რომ შესაბამის დონეზე იდგა ბრძოლის წარმოების ხერხებიც. რაც მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ პროგრესირებად ეკონომიკასთან.

თითქმის იმ დროიდან მოყოლებული, რაც კლასიკური არქეოლოგია ჩაისახა, ძველი სამყაროს შესახებ მეტად კლასიციისტური თვალსაზრისი ბატონობდა. ის ხედავდა ათენს, (ან, შესაბამისად, რომს) როგორც მის ცენტრს, ხოლო „ბარბაროსული“¹ სამყარო იწყებოდა ბერძნულის საზღვრებიდან (ან, შესაბამისად, რომის იმპერიის) ამის შესატყვისად, ბერძენი კოლონისტები განიხილებოდნენ, კულტურის შემომტანებად, ყოველ შემთხვევაში ელინურობის შემომტანებად. ელინთა მატერიალურ კულტურას კი მეტ-ნაკლებად „ბარბაროსული“ მოსახლეობა იოლად იღებდა. თუმცა აქ ი. ვალერშტაინის აზრით სიფრთხილეა საჭირო კულტურათა შორის დინამიკის განვითარების შეფასებისას, რადგან კულტურათშორისი ურთიერთობის დინამიკისა და ეთნიკურობის კონცეფციის გააზრების მცდელობების ერთ-ერთი მთავარი მომენტია ელინიზაციის ტრადიციული ინტერპრეტაციის გადასინჯვა და ცდა იმისა, რომ გვერდი ავუქციოთ პირობით ცნებას „გავლენა“. ამის ნაცვლად, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ კონტაქტების პირუკუ გავლენას ბერძნებზე.

¹ ბერძენი ბარბაროსს უწოდებდნენ ყველა არაბერძენ და ბერძენთა სახელმწიფოს ფარგლებს მიღმა მცხოვრებ ხალხებს.(რედ)

როგორც კლერ ბალადიე თვლის: „ქალაქის განვითარების იდეის მხოლოდ ბერძნებისთვის მიკუთვნება სწორი არ იქნება. კოლხეთი ამ თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდებოდა უფრო სამხრეთით მდებარე სხვა რეგიონებისაგან. ამ რეგიონებმა რომელთაგან ზოგი უმნიშვნელოდ იყო ელინიზირებული კლასიკურ ხანაში, ზოგიც ოდნავ მეტად, ბერძნების მიერ კოლონიზებამდე გაცილებით ადრე მიაღწიეს განვითარების იმ დონეს, რამაც განაპირობა მათი სოფლიდან ქალაქად გარდაქმნა, ისე რომ აუცილებელი არ გამხდარა ყველა მექანიზმის შემოტანა საბერძნეთიდან. ქალაქი კოლონიები განსაკუთრებით სანაპირო ზოლზე, ცხადია, სარგებლობდნენ ბერძნული მოდელებით, მაგრამ შიგნით მდებარე ქალაქების განვითარება მართლაც რომ განსაკუთრებულია და ასევე განსაკუთრებული შეიძლება იყოს მათი გავლენა ბერძნულ სამყაროზეც (ამ შემთხვევაში ვანიც, მხედველობაშია გავლენა ვანიდან).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა მდიდარმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა კოლხეთის ამ ქალაქის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე დასკვნების გასაკეთებლად.

ვანის ძველი ქალაქის შემადგენელი სტრუქტურების დეტალური ანალიზით, სავარაუდო პასუხებიარსებობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბუნების განსაზღვრავად თავისი არსებობისა და ისტორიის ყველა ეტაპზე. საქართველოს ტერიტორიაზე მცირე ეთნოტერიტორიული ერთეულების, ანუ სატაძრო თემების არსებობას უძველესი ხანიდან ვარაუდობენ. (Меликишвили 1989 г. და შემდეგ მ. ინაძე 2004 წელი) კოლხეთის დაბლობზე ამგვარ ძეგლებად გ. გრიგოლია დიდი მდინარეების შენაკადების ხეობებში გამოვლენილი ბორცვების ჯგუფებს მიიჩნევს, რომელიც უდიდეს საკულტო ცენტრად აქვს განსაზღვრული. ადრე ანტიკური ხანის კოლხეთის სამეფო როგორც ჩანს ამ ქვეყნის სამხედრო და ეკონომიური ინტერესების, აგრეთვე წარმომავლობის, კულტისა და ტერიტორიის სიახლოვის საფუძველზე ჩამოყალიბდა და რამდენიმე „ქვეყანას“ მსხვილ წინასახელმწიფოებრივ წარმონაქმნს ანუ სკეპტუხიას აერთიანებდა. აღნიშნული ერთეულებისაგან შედგენილი კოლხეთის სამეფოს მთლიანობა ს. ჯანაშიას აზრით „დამყარებული იყო სოციალურად და თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პოლიტიკურ პრიორიტეტზე, რომელიც თავის სახელს („კოლხეთი“, „ეგრისი“, „ლაზიკა“) აძლევდა მის ტერიტორიას“.

კოლხეთის სამეფო, რომელიც უთუოდ შედარებით დანიშნაურებული ეთნიკური ელემენტის ინიციატივით ჩამოყალიბდა, იმის გამო, რომ აერთიანებდა ისეთ წინა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რომლებსაც სახელმწიფოში გაერთიანების მიუხედავად შენარჩუნებული ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობა და შიდა ორგანიზაციის ფორმები თანასწორუფლებიანობის პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალ ერთეულებს შორის თანასწორუფლებიანი კავშირის შესაძლებლობა ეკონომიკურად დანიშნაურებული რამდენიმე ცენტრის, კერძოდ ვანისა და საირხის დასახლების არსებობით დასტურდება. „მათი განსაკუთრებული სტატუსისა და მათ მიერ ორგანიზებული გაერთიანებების ავტონომიის შესაძლებლობის არაპირდაპირ მინიშნებად კი მდიდრულ სამარხებში ოქროს მცირე ზოდების არსებობა იქნა მიჩნეული, რადგან სამარხებში ლითონის, მით უფრო ოქროს ზოდების არსებობა გარდაცვლილთა არამარტო გამორჩეული ქონებრივი და აქედან გამომდინარე სოციალური მდგომარეობის შესაძლებლობაზე მეტყველებს, არამედ მათ მიერ განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსის ფლობის შესაძლებლობაზეც მიგვინიშნებს“. (ოთარ ლორთქიფანიძე 1986 წ.).

ის გარემოება, რომ ვანში ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი ზოდის წონა გარკვეულ სიახლოვეს ავლენს კოლხური თეთრის წონით სისტემასთან (იგი 5 გრ. ინონის), ხოლო ძვ. წ. III საუკუნის სამარხში სტატერთან მიახლოებული წონის (21,46 გრ) მქონე ზოდია დადასტურებული, რაც მონეტის ინდიკაციად განსაზღვრისთვის გარკვეულ საფუძველს იძლევა. ეს გარემოება კი მათ მფლობელთა გასაკუთრებული იურიდიული სტატუსის, კერძოდ მათზე დაქვემდებარებული ტერიტორიის ავტონომიური მართვის უფლებით უნდა იყოს განპირობებული.

მოგვიანებით ძვ.წ. III-II საუკუნეებში საირხის დასახლება ელინისტურ ხანაში კარგავს დიდი გაერთიანების მაორგანიზებელი ცენტრის მნიშვნელობას და რიგით სამოსახლოდ გადაიქცა. ვანის დასახლება კი, ელინისტური ხანიდან სატაძრო ქალაქად ყალიბდება, ხოლო ვანის სატაძრო ქალაქად ჩამოყალიბებას, მის შიდა ორგანიზაციაში მცირე აზიური ცენტრების ანალოგიური ძვრები უნდა მოჰყოლოდა და გარკვეულად უნდა შეეცვალა მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ქვეყნის მასშტაბით.

ვანის სატაძრო ქალაქის ირგვლივ აღმოცენებული პოლისის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დასახლებები, ცხადია, უშუალოდ ტაძარს ექვემდებარებოდა. ამგვარი შესაძლებლობის საფუძველს ქალაქთან მათი ტერიტორიული სიახლოვე და მცირეაზიური დასახლებების შესწავლის მონაცემები იძლევა. ახვლედიანების გორიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში, სადაც მდინარე რიონს მისი მარცხენა შენაკადი, მდინარე სულორი უერთდება, აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასახლების ნაშთები. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „საყანჩიას“ ეძახის, სადაც ნამოსახლარის გათხრისას გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ექვსი სხვადასხვა ნაგებობის ნაშთი, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ძვ. წ. III-II სს-ის შიდა კოლხეთის სამოსახლოების ნაგებობების დაგეგმარების, კონსტრუქციისა და სხვათა შესახებ, გარდა მეტ-ნაკლებად სრული სახით შემორჩენილი ნაგებობებისა, მიკვლეულია აგრეთვე ძლიერ დაზიანებული შენობების ნაწილებიც, რომლებიც ძირითადად საძირკვლების სახითაა შემორჩენილი. რა თქმა უნდა, სადაზვერვო მუშაობით მოპოვებული მასალა გადამწყვეტი დასკვნებისათვის საკმარის საფუძველს არ იძლევა ქალაქის ხასიათისა და სტრუქტურის შესახებ მსჯელობისთვის, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. კერძოდ: თუ გავითვალისწინებთ, რომ 1. საყანჩიას ველზე ქალაქის დაარსება ემთხვევა ახვლედიანების გორაზე გათხრილი ქალაქის აღორძინების ხანას. 2. ქალაქი არსდება სატაძრო ქალაქთან ახლოს და არა მის გარშემო. 3. ქალაქი შენდება ზედ რიონის პირას, რომელიც, როგორც ცნობილია და უკვე აღვნიშნეთ, უნიშვნელოვანეს სავაჭრო-სანაოსნო მაგისტრალს წამოადგენს კოლხეთში, მაშინ ცხადი ხდება ამ ქალაქის წარმოქმნის მიზეზი და მისი ფუნქციაც.

ახვლედიანების გორაზე დაარსებულ სატაძრო-ქალაქს, რომლის მცირერიცხოვან მოსახლეობასაც მაღალი ნოდება კულტის მსახურებასთან დაკავშირებული პირები შეადგენდნენ, არსებობისათვის ესაჭიროებოდათ გაცილებით დაბალი, ხელოსნებისა და ვაჭრების ფენა, რომელთა დანიშნულება სატაძრო ქალაქის მატერიალური უზრუნველყოფა იქნებოდა.

ამდენად, საყანჩიას ველზე აღმოჩენილი ქალაქი წარმოადგენს ახვლედიანების გორაზე გათხრილი სატაძრო ქალაქისადმი დაქვემდებარებული სამეურნეო დანიშნულების დასახლებას და ცხადია, ვერ ცვლის მის საკულტო ხასიათს.

„ვანის ქვეყნის“ გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს სოფელი მთისძირი, რომელიც მდინარე რიონის მარცხენა მხარეს, ვანის ნაქალაქარის დასავლეთით 8 კმ დაშორებით მდებარეობს. ხსენებული ტერიტორიიდან არქეოლოგიურად ყველაზე უფრო საყურადღებოა ორი პუნქტი: 1. „ადეიშვილების გორა“, სადაც საშუალო საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთებია. ეს სამხედრო მნიშვნელობის ნაგებობა განლაგებული იყო გორაზე და ზემოდან დაჰყურებდა მთელ გარემოს. გორის წვერიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი რიონის ხეობა. აქვეა „გეფერიძეების ნამოსახლარი“, რომელიც ადეიშვილების გორას სამხრეთიდან ეკვრის. აქ სამარხების ნაშთებია დადასტურებული. 2. ეს კი, ე. წ. „ნაშუებია“, აქ ჯერ კიდევ 1952 წ. აღმოაჩინეს მდიდრული სამარხისეული ინვენტარის ნაშთები. არქეოლოგმა ნ. ხოშტარიაშვილმა პირველმა გამოაქვეყნა მთისძირის ნივთები და მანვე დაათარიღა ისინი ძვ.წ. VI საუკუნით.

მთისძირში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით ასეთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: წინარე ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებშიც მთისძირში, როგორც

ჩანს, ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობს, თუმცა, ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვანაირი ინტენსივობით ხასიათდება. არქეოლოგიური შესწავლისას შეიმჩნევა, რომ აქ ნგრევა (ელინისტური ხანის ბოლომდე) ვანის ქალაქის პარალელურად ხდება. მთისძირი რამდენჯერმეა განადგურებული.

იმპორტული და ადგილობრივი კერამიკა მოწმობს, რომ მთისძირი კოლხეთთან ერთად ჩაბმული იყო ბერძენთა ვაჭრობის ორბიტაში. არ არის გამორიცხული, ის გარემოება, რომ მთისძირი ელინისტურ ხანაში, ვანის სასოფლო-სამეურნეო არეალს წარმოადგენდა. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ბრინჯაოს იარაღები, ხოლო საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმოჩენით სრულიად აშკარა ხდება მთისძირის სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა ე.წ. „ვანის ქვეყნისათვის.“ ხოლო თვით ნაქალაქარზე, ძვ.წ.V-IV საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, რომელიც კულტანაა დაკავშირებული, გაცილებით მეტია ვიდრე სხვა. ვანში დადასტურებულია უფრო გვიანდელი ხის სამლოცველოებიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებიდან ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებამდე, ვანი სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა. ქალაქში ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. აიგო ტაძრები და სამლოცველოები, აშენდა საკურთხევლები და ბევრი ნივთი იქნა შეწირული. აქ არსებობდა მთელი წყება ტაძრებისა. საქართველოს არქეოლოგიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ექსპერტი პროფესორი, აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე თვლიდა, რომ ვანი სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა და მოგვაგონებს პარალელს, მცირე აზიის სხვა ქალაქებისას როგორცაა: კომანა ზელა პონტოში, ზევს უენასეუსის კატაონის აპოლონის სამლოცველოები კაბადოკიაში, პესინუნტის ტაძარი, მიძღვნილი ღმერთთა დედისადმი, აპოლონ ლარენოსის რელიგიური თემი ფრიგიაში, სახელმწიფო ტაძარი კილიკიის ოლბიაში, რომლებიც არა მარტო რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენენ, არამედ პოლიტიკურსა და ეკონომიურსაც, კონტროლს უწევდნენ მინის უზარმაზარ ფართობებს და დიდ სიმდიდრეს. აქედან მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა მდიდარმა მასალამ, შესაძლებელი გახდა კოლხეთის ამ ქალაქის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე გარკვეული საინტერესო დასკვნების გაკეთება. ვანის ძველი ქალაქის შემადგენელი სტრუქტურების დეტალური ანალიზით, სავარაუდო პასუხები არსებობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ბუნების განსასაზღვრავად, თავისი არსებობისა და ისტორიის ყველა ეტაპზე.

ერთ-ერთი სამლოცველო, რომელსაც ასახელებს სტრაბონი, კოლხეთში მდებარეობდა და ის ეძღვნებოდა ქალღვთაება ლევკოთეას. ოთარ ლორთქიფანიძე თვლიდა, რომ ეს სამლოცველო ვანში მდებარეობდა და ვანის ნაქალაქართან უნდა გაიგივდეს. მისი აზრით, ლევკოთეა ადგილობრივი ღვთაებაა, ნაყოფიერების და მოსავლის მფარველი. ის წყალთანაა დაკავშირებული. „ვანის სამლოცველო ადგილობრივი სამლოცველო იყო მთელი რეგიონისათვის. მას პარალელები რიტუალების თვალსაზრისითაც მოეძებნება. ხოლო სატაძრო ქალაქი, რომელიც შეიძლება ზუსტად შევადაროთ ვანს, ესპანეთში (სევილია) მენიგუა – „წერს ესპანელი მეცნიერი ხოსე მარია ბლასკესი.“

ვანის ძველი ქალაქის სიმდიდრისა და კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის ხელსაყრელ მდებარეობას იმ სავაჭრო გზაზე, რომელიც მდინარე რიონზე გადიოდა და ბერძნულ სამყაროს აღმოსავლეთთან აკავშირებდა. ვანში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში უხვად გვხვდება უცხოეთიდან შემოტანილი, იმპორტული საგნები, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქალაქის კულტურულ-ეკონომიურ და სავაჭრო კავშირებზე გარე სამყაროსთან.

აღნიშნული პრობლემის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კერამიკა, რომელიც საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების წარმოებისა და ვაჭრობის

განვითარების დონე, ეტაპები თავისებურებები და ამის საფუძველზე დადგენილ იქნეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ზოგადი ტენდენციები.

ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დღეისათვის მეტნაკლებადაა შესწავლილი ამ პერიოდის ეკონომიკის ძირითადი დარგები (სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა) აგრეთვე ცალკეული ძეგლებიდან, მათ შორის სამაროვნებიდან მომდინარე კერამიკა, ლითონის ნაწარმი, სამკაული.

ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილი ბერძნული იმპორტი საკმაოდ მრავალფეროვანია და საინტერესო მასალას გვაძლევს ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობის ისტორიის შესახებ. როგორც ცნობილია, ბერძნული სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაწყება შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული მოსახლეობის წარმოქმნასთანაა დაკავშირებული. ამ დროს ბერძენთა კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობაში ორი ეტაპი გამოიყოფა. პირველ ეტაპზე ძვ.წ. IV საუკუნის მე-2 ნახევარი და V-ის დასაწყისი. ამ დროს აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული სავაჭრო სახელოსნოების აქტიური როლი, თუმცა უკვე ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კოლხეთში გზას იკვლევს აქტიური იმპორტიც. ამ უძველესი ეტაპის ბერძნული იმპორტი ვანის ნაქალაქარზე შედარებით მცირერიცხოვანია (ისევე როგორც კოლხეთის შიდა რაიონებში საერთოდ), ამ დროს განეკუთვნება ქიოსური პოლიქრომიული თასის, ანტიკური წვრილფიგურული კილიკების, ლესბოსური და ქიოსური ამფორების ფრაგმენტები, აგრეთვე იონური ოქროს საბეჭდავი ბეჭდები. მიუხედავად (ჯერჯერობით) მცირერიცხოვნებისა ზემოდასახელებული ნივთების აღმოჩენა სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. სავსებით აშკარაა, რომ ვანის ძველი ქალაქი ძვ.წ. IV საუკუნის მე-2 ნახევარში წარმოადგენდა საკმაოდ დაწინაურებულ ცენტრს, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობის რთულ პროცესში.

კერამიკული ტარა ვანის ნაქალაქარზე და მის მიდამოებში ძირითადად ამფორების სახითაა წარმოდგენილი. ამფორა, ეს თიხის ორყურა ძირვინრო ჭურჭელია. იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში. მისი ფორმა ძველმა ბერძენებმა ძველი აღმოსავლეთიდან გადმოიღეს, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელება და განვითარება ამ ჭურჭლისა საბერძნეთში მოხდა. უძველესი მათგანი რომელიც ნაქალაქარზე ფიქსირდება ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება. მათ შორისაა ლესბოსური და ქიოსური ნაწარმი. ეს უკანასკნელი შედარებით ხშირია და ქალაქის არსებობის ბოლომდე გვხვდება. ამფორა ძირითადად ღვინისა და ზეთის ზეთის გადასატანად იხმარებოდა, გამოიყენებოდა აგრეთვე თაფლის, ცვილის, ქონისა და სხვადასხვა მარცვლეულის გადასატანად. კოლხეთში კი, ძვ.წ. IV საუკუნეში იწყება ამფორების დამზადება. კოლხურ ამფორებს სხვებისაგან გამოარჩევს მოყავისფრო-მონითალოდ გამომწვარი მარცვლოვანი მინარევებიანი თიხა და აგრეთვე სპირალური ხვია ფსკერზე, რაც კორპუსთან ქუსლის მიმაგრების განსხვავებულ წესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება ანტიკური იმპორტიც, ამავე პერიოდისაა უცნობი ცენტრის რამდენიმე ფრაგმენტიც. ამფორები შემოტანილია აგრეთვე თასოსიდან, სინოპიდან. ცნობილია, რომ ამფორთა სინოპურობა განსაზღვრა მკვლევარმა ბ.გრაკოვმა. დამლებისა და მათში მოხსენიებული ასტინომოსებისა და კერამიკული სახელოსნოს პატრონთა სახელების შესწავლის საფუძველზე მან ისინი ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად დაჰყო. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამფორებიდან მხოლოდ მეოთხე ჯგუფის ამფორა არ გვაქვს, დანარჩენი ყველა არის. სინოპური ამფორებიც დასავლეთ საქართველოს საკმაოდ ბევრ პუნქტშია მოპოვებული, თუმცა მათი დამლიანი ყურები ძალზე იშვიათია, რადგან ყველა ეგზემპლარი არ იდამლებოდა.

ვანის ნაქალაქარზე დღემდე მოპოვებულ იმპორტულ ამფორებს შორის როდოსული ყველაზე მრავალრიცხოვანია... მათ უმრავლესობას შემორჩენილი აქვს დამლა, ან მისი კვალი, ხოლო ცნობილი ფაქტია, რომ როდოსული ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან პირველის დასაწყისამდე

ყველა იდამღებოდა. როდოსული ამფორები დასავლეთ საქართველოს რაიონებში ძალზე მცირეა, ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი ვანსა და მის მიდამოებში გვხვდება. ამფორებით ზეთისხილი, ზეთუნის ზეთი, ღვინო და ზოგჯერაც დამარილებული თევზიც კი შემოჰქონდათ.

„ვანის ქვეყნის“ მიდამოებში მოპოვებულ ანტიკურ ნაწარმს შორის უადრესი ნიმუშები ძვ.წ. IV საუკუნის დამლევს მიეკუთვნება. მოხატული შავლაკიანი ბადისებურ ორნამენტიანი ნითელფიგურული, სადა კერამიკა-თასებით, კილიკებით, სკიფოსებით, კანთაროსებით, ლეკანების, პელიკების, ამფორესკების, ჯამების, სათევზე ლანგრების, ე. წ. ნატიფი კილიკების კლასის ჭურჭელთა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, რაც თანხვედბა ათენის კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დასაწყისად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ თარიღს.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. V საუკუნის პირველ ნახევარში ეს ურთიერთობა ერთგვარად სუსტდება, რაც ვანის მონაპოვრებშიც აისახა. ამ ხანის მასალა მცირერიცხოვანია, მაგრამ ასევე აშკარად იკვეთება ათენის კოლხეთთან ურთიერთობის აღმავლობის პერიოდიც ძვ.წ. IV საუკუნეში. ეს ის ხანაა, როცა ანტიკურმა კერამიკამ ველარ გაუძლო იტალიისა და ეტრურიის ადგილობრივი კერამიკული სკოლების ნაწარმის კონკურენციას და დაკარგა დასავლეთში გასაღების ბაზარი, მაგრამ მის ნაცვლად ათენმა მოიპოვა ფართო ბაზარი შავიზღვისპირეთში.

ნითელლაკიანი კერამიკა, ნითელი ლაკით დაფარული ანტიკური ჭურჭლის თანამედროვე სახელია. ელინისტური ხანის კერამიკის სანარმოო ცენტრის შესახებ მოსაზრებათა სხვადასხვაობის გამო 1940 წელს ამერიკაში არქეოლოგთა საერთაშორისო სესიაზე გადაწყდა ამ კერამიკისათვის ტრადიციული სახელწოდება – პერგამონული დაეტოვებინათ. ნითელლაკიანი კერამიკა ლაკისა და კეცის თავისებურებებით ორ ჯგუფად იყოფა: 1. როცა კეცი წმინდადაა განლექილი, გამომწვარია ჩალისფრად, ლაკი ლუქისფერია, მბრწყინავი, სქელი. 2. შეინიშნება მინარევები, გამომწვარია ნაბლისფრად, ზოგჯერ უთანაბროდ, ლაკი მონითალო აგურისფერია, დადებულია თანაბრად, მქრქალია. პირველი ჯგუფი ვანში უმეტესწილად წარმოდგენილია ლანგრებით და ნახევარსფერული თასებით, არის ორყურა ჯამებიც. შავლაკიანი ჭურჭელი კი, მოყვანილობის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: სათევზე ლანგრები, თეფშები, ნახევარსფერული თასები, პირგადაშლილი თასები. მსაგავსი სათევზე ლანგრები აღმოჩენილია ელინისტური სამყაროს მრავალ პუნქტში, აღნიშნული ლანგრების გავრცელების ხანად ძვ.წ. მეორე საუკუნეა სავარაუდო, ხოლო სანარმოო ცენტრის დაზუსტება არ ხერხდება, რადგან ასეთ ჭურჭელს თითქმის ყველა ცენტრში ამზადებდნენ. ხოლო რაც შეეხებათ თეფშებს, ისინი მოყვანილობით ყველაზე ადრეულ ცალებს უკავშირდებიან და მათი დამზადების ადგილად მცირე აზია უნდა მივიჩნიოთ. მათი რაოდენობა ძალზე მრავალრიცხოვანია, ასევე მრავლადაა „კალენის“ ტიპის (გოფირებული) კერამიკა, დელოსური, ბოსფორული და უცნობი ცენტრებიდან შემოტანილი ნაწარმი. ეს რაც შეეხება სუფრის ჭურჭელს, ხოლო მხატვრული კერამიკა, რომლის შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ: ელინისტურ ხანაში მხატვრული კერამიკის სამი სახეობა იყო გავრცელებული – ლაკის ფონზე ამოკანრული და მოთეთრო საღებავებით მოხატული, ღია ფერის ფონზე მუქი საღებავებით მოხატული და რელიეფური კერამიკა. ვანის ნაქალაქარზე მხატვრული კერამიკა მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, თუმცა ბერძნულ სამყაროში გავრცელებული მხატვრული ნაწარმის თითქმის ყველა სახეობას აერთიანებს. ლაკის ფონზე ნაკანრი და საღებავებით შესრულებული ორნამენტირებული კერამიკა სპეციალურ ლიტერატურაში „გნათის“ სახელით შევიდა. გნათის სტილის კერამიკის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ამფორები და კანთაროსები. შედარებით იშვიათია მცირე ზომის თასები, ამგვარი კერამიკის აყვავების ხანად ძვ.წ. III-II საუკუნეები ითვლება. ვანში გნათის კერამიკის ორი ჯგუფია დამონმებული – ანტიკური და მცირეაზიური. რაც შეეხება პერგამონულ კერამიკას იგი თასების ნახატებითაა წარმოდგენილი, ეს ფრაგმენტები შემკობილია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით.

გარდა პერგამონულისა ვანში დამონმებულია ისეთი ნიმუშებიც რომელსაც განსხვავებული ტექნოლოგიური თვისებები აქვთ. ამ ნიმუშების წარმომავლობის დადგენა არ ხერხდება, ისინი ზოგადად მცირეაზიურ ნაწარმად იქნა მიჩნეული. კერამიკული ჭურჭლის სიუხვე და მათზე საუბარი, ცხადია, დაუსრულებლად შეიძლება და სულ სხვა კონტექსტით. ჩვენ, ამჯერად ამით შემოვიფარგ-ლოთ. ახალა კი, ვანის ნაქალაქარის მონაპოვარში წარმოდგენილ მინის ნაწარმზე მინდა შევაჩე-რო თქვენი ყურადღება, რაც პროდუქტ (საქონელ) წარმოების უმაღლეს კულტურებზეც მიუთითებს. ნაქალაქარზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მინის ჭურჭლების არც თუ ისე მცირე რაოდენობაა აღმოჩენილი, რომლებიც სხვადასხვა დროისა და ტიპის სანელ-საცხებლებსა და მათ ფრაგმენტებს აერთიანებს. ძვ.წ. IV ათასწლეულიდან მინა გამოიყენებოდა ჭიქურად ძველი სამყაროს რამდენიმე ცენტრში, ხოლო როგორც დამოუკიდებელი მასალა ის ცნობილია ძვ.წ. მესამე ათასწლეულიდან, ხოლო ქვიშის გულაზე ჩამოსხმული მინის ჭურჭელი ძვ.წ. II ათასწლეულში ჩნდება. ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში იზრდება დასავლეთის სანარმოო კერები, განსაკუთრებით როდოსზე, კვიპროსზე და საკუთრივ საბერძნეთშიც. IV საუკუნიდან კი მესოპოტამია ქრება ასპარეზიდან (ისტორიულ მოვლენათა შესაბამისად) სამაგიეროდ დანიანურდა სირიისა და ალექსანდრიის სანარმოები, რომლებიც ელინისტურ ხანაში მინის წარმოების საუკეთესო ძირითად ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამიტომ შემდგომი ხანის მინის ჭურჭელი წინა ეპოქებზე მეტი სისწრაფით ვრცელდება გაცილებით დიდ ტერიტორიებზე.

ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხების ფართო ურთიერთვაჭრობა აძნელებს იმის კვლევას, თუ საიდან მომდინარეობს ესა თუ ის ჭურჭელი. ვანის ნაქალაქარისა და მის შემოგარენში აღმოჩენილი მინის ნაწარმი უაღრესად ნატიფი და დახვეწილი ნამუშევრებია და წარმოგვიდგება, როგორც ფერადი მინის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშები. ყველაზე კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული ტიპები ჭურჭლებისა არის ამფორისკი და იონოხოია, რომლებიც უამრავი ნიმუშებითაა წარმოდგენილი მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში: ისინი აღმოჩენილია როგორც სირიაში, ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთის ფინიკიურ კოლონიებში, მაგრამ ძალზე ფართო გავრცელება საბერძნეთსა და ბერძნული ვაჭრობის გავრცელების არეალში ჰპოვა (იტალიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებზე, ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთში).

ვანში აღმოჩენილი პოლიქრომული მინის ნაწარმი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოთხნახნაგა სანელსაცხებლე, რომელიც ქუთუთოების შესაღებად, შავი პუდრის შესანახად იყო განკუთვნილი. (მოაღწია კიდეც ჩვენამდე) ესაა ე.წ. თვალების „ტუში.“ ვანის ეს ნიმუშები კარგად დათარიღებული სამარხიდან ძვ.წ. VI-IV საუკუნეებიდან მომდინარეობს და მათი წარმოების ცენტრად ჩრდილო-დასავლეთ ირანს ვარაუდობენ. ამდენად ვანის ნაქალაქარზე და შემოგარენში მოპოვებული პოლიქრომული მინისა ჭურჭლებისა და სამკაულთა კოლექციის, როგორც ნივთიერი წყაროს მნიშვნელობა ძალიან დიდია, როგორც ძველი კოლხეთის გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე სხვა ინვენტართან ერთად, შეძლებული ფენის ეკონომიკური დონის წარმოდგენის მხრივ. ხოლო თუ რამდენად ძვირფასი იყო ეს ჭურჭელი ანტიკურ ხანაში, ჩანს იქიდან, რომ ხშირად გატეხილი ცალები შეკეთებულია ხოლმე მინისვე წვეთით.

ზედმეტი პროდუქციის რეალიზებით ცხადია პირველ რიგში დაინტერესებული იყვნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. ბერძნებს კი, უმთავრესად რაც იზიდავდათ ეს გასაღების ბაზარი იყო, მერე სოფლის მეურნეობის იაფი ნედლეული და ამის შემდეგ კი ბუნებრივი რესურსები. მმართველი უმაღლესი კლასის წარმომადგენლები, მეთაურები, დიდი სიამოვნებით იძენდნენ ფუფუნების საგნებს, ძვირფას ბერძნულ ჭურჭელს, კეთილსურნელებს, სამკაულს. წარჩინებულთა სამარხები, რომლებიც ნაქალაქარზე გაითხარა ამის თვალნათელი დადასტურებაა. ისინი გადატვირთულია ფუფუნების საგნებით, რომლებიც დამზადებულია არამარტო კოლხეთში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. ისინი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნივთიერ წყაროს წარმოადგენენ მხატვრული ხელოვნების განვითარების დონის განსასაზღვრად.

ეს ნივთები უპირატესად, რა თქმა უნდა, ზედაფენის წარმომადგენელთა კუთვნილებას შეადგენდა. ამას თვით ეს ნივთები მოწმობენ: ანონიმი ბრწყინვალე ოსტატების მიერ შესრულებული მხატვრული კვეთის, ჭედურობის შედეგები – ასე რომ აოცებენ მნახველთ, მხოლოდ მდიდარი ფენის წარმომადგენლებისთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი ღირებულება უდავოდ დაბალი ვერ იქნებოდა. როგორც ითქვა ფუფუნების ეს ნივთები ძირითადად იმპორტულია, თუ საიდან, ეს უკვე აღინიშნა. არის ადგილობრივიც და მათ შემოქმედებაზე ძირითადად აღმოსავლურ ბერძნულ ხელოვნებაში მოღვაწე ოსტატებს მოუხდენიათ გავლენა. ამის გარდა ადგილობრივი მჭრელების მხატვრული სტილისა და კვეთის ხელოვნების განვითარებაზე გავლენას ახდენდა ხეთური (კაბადოკიური) და ასირიული გლიპტიკაც. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ოსტატები, იმგვარად ახერხებდნენ უცხო მხატვრული ელემენტების შერწყმას საკუთარ სტილთან, რომ მათ შემოქმედებაში „დამოუკიდებლობისადმი“ მისწრაფება აშკარადაა გამოვლენილი. ახლა, თუ ერთი წამით შევჩერდებით და, ჩვენ-ჩვენ წარმოსახვას მოვუხმობთ, ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ კოლხური არისტოკრატის მათ შორის ვანის საზეიმო წვეულება, ნადიმი: „მაგიდაზე უხვადაა დანყობილი ხორაგი, სუფრა კი განყობილია უძვირფასესი ნატიფი კერამიკული, მინის და ლითონის ჭურჭელით, მსახურებს ძვირადღირებული როდოსული ღვინოები შემოაქვთ, მაგიდასთან თავს იწონებენ ულამაზესი კოლხი ასულები, რომლებსაც საუკეთესო მაკიაჟი ამშვენებთ და დიდებული სამკაულებით მორთულან...“

ვანისა და საერთოდ კოლხური არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელი დასავლეთ საქართველო მჭიდროდ იყო დასახლებული, მეურნეობრივად ჰქონდათ ათვისებული, როგორც მთა, ასევე მთლიანად ბარი – კოლხეთის დაბლობი. არსებულმა ტექნიკურმა პროგრესმა თვალსაჩინო როლი შეასრულა კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისებისა და მიწათმოქმედების დანინაურებაში.

კოლხეთის პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობა, რომელიც მისი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შესვლამდე ივარაუდება, როგორც ჩანს მითრიდატეს მიერ წარმოებული საომარი ქმედებების შედეგად, ქვეყნის სრული პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითებით დასრულდა. მაგრამ პომპეუსის ექსპანსიის შემდგომი ხანა, როგორც ვანის ნაქალაქარის მონაპოვრების მიხედვით ირკვევა, ქვეყნისთვის ერთგვარი აღმავლობით აღინიშნა. მართალია, ამ დროს კოლხეთი რომის სამფლობელოდ ითვლებოდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ ადრეულ ეტაპზე, რომი საჭირო ძალების უქონლობის გამო „კონტროლს მასზე დამოკიდებული პირების საშუალებით ახორციელებდა. ამდენად, რომის მფლობელობა მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა და, როგორც ჩანს, ქვეყნის მდგომარეობა დამოკიდებული იყო უშუალოდ მმართველის ძალისხმევაზე.“

„პომპეუსის მიერ დანიშნული არისტარქე კი, ადგილობრივ ტრადიციებს ინარჩუნებდა და მიუხედავად იმისა, რომ რომის ვასალად ითვლებოდა, ქვეყნისათვის სასარგებლო საშინაო პოლიტიკას ახორციელებდა.“ („ძველი კოლხეთის საზოგადოება“, მ. ინაძე თბ. 1994 წ.) მის მიერ გატარებული წარმატებული პოლიტიკით უნდა იყოს განპირობებული შიდა ეკონომიკის გარკვეული აღმავლობა, რაც გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენასა და არისტარქეს მიერ ვერცხლის მონეტის ემისიაში აისახა, როგორც წესი მონეტის უპირველესი დანიშნულება ეკონომიკური უნდა ყოფილიყო და მას შიდა ბაზრის რეგულირება უნდა ჰქონოდა დაკისრებული. ეს გარემოება კი თავის მხრივ შიდა ბაზრისა და შესაბამისად წარმოების აღორძინებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. იგივე შეიძლება ითქვას გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებაც, რომელთა გამოცოცხლება ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი შავიზღვისპირეთის ცენტრების ნაწარმის, აგრეთვე ხერსონესსა და ბოსფორის ქალაქებში კოლხური „ყავისფერკეციანი“ ამფორების მომრავლების მიხედვით ივარაუდება. ხოლო რაც შეეხება ქვეყნის მთლიანობას, იგი აშკარად ძველ საზღვრებში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

ამგვარ შესაძლებლობებს ადასტურებს არა მარტო ვანის ნაქალაქარზე დამონმებული და აღმოსავლეთ კოლხეთის დღეისათვის გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის ერთგვაროვნება, არამედ სტრაბონის ცნობაც, რომელშიც შორაპანი და დიმნა კოლხურ ქალაქებადაა დასახელებული. მაგრამ არისტარქეს დროს დაწყებული აღმავლობა, როგორც ირკვევა ხანმოკლე აღმოჩნდა და მხოლოდ ძვ.წ.აღ. პირველი საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე, კოლხეთში მითრიდატე ევპატორის მემკვიდრეების: ფარნაკე ბოსფორელისა და მითრიდატე პერგამონელის თარეშებისა და რომის სამოქალაქო ომების დაწყებამდე გაგრძელდა.

ამგვარად, ელინიზმი გულისხმობს არა ბერძნული კულტურის ელემენტების მატარებელი მოვლენების ცალკეულ გამოვლინებებს, არამედ ცივილიზაციას, რომლის აღმოცენება განაპირობა „ბარბაროსული“ სამყაროსადმი ელინთა დამოკიდებულების შეცვლამ და როგორც აღინიშნა, პირიქითაც. ამ ცივილიზაციის უმთავრეს ცენტრებად ახალი ტიპის ქალაქები იქნა მიჩნეული, რადგან ამ ახლადშექმნილ დასახლებებში ნებაყოფლობითა თუ ძალდატანებით ხორციელდებოდა სხვადასხვა ეთნოსის წამომადგენელთა თანაცხოვრება და შერწყმა. ამავე ქალაქებმა დასაბამი დაუდო სავაჭრო გზებისა და ვაჭრობის, ელინიზმის ეკონომიკური საფუძვლის მანამდე არნახულ აღმავლობას. ამან კი, თავის მხრივ განაპირობა ელინიზმის გავრცელება მაკედონელთა ექსპანსიის მიღმა დარჩენილ, მაგრამ ბერძენთა ეკონომიური ექსპანსიის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ცალკეულ ქვეყანაში და მათ შორის „ვანის ქვეყანაში“ გამოვლენილი ელინისტური კულტურა, რომელიც მის ფორმირებაში უნივერსალური ბერძნული ელემენტის მონაწილეობის მიუხედავად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა, შეიძლება ადგილობრივი კულტურის განვითარების ერთ-ერთ საფეხურად განისაზღვროს. აღნიშნულ ხანაში კოლხეთში გავრცელებული კულტურაც, რომელიც როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების მიხედვით ირკვევა, ბერძნულთან ფორმალური სიახლოვის მიუხედავად მნიშვნელოვანი თავისებურებებით, ორიგინალობით გამოირჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანი VII გამ. „მეცნიერება.“ თბ. 1983 წ.
2. ოთ. ლორთქიფანიძე. „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“ — თბ. 1966 წ.
3. Г. Лордкипанидзе. „Колхида в VI-II вв до. н.э „ из „Мецниереба“ , Тб. 1978 г.
4. ნ. მათიაშვილი, „ელინისტური კოლხეთის ისტორიის საკითხები,“ თბ. 2005 წ.
5. „ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში.“
(მეათე საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი 2002 წ.)
6. მ. ინაძე „ძველი კოლხეთის საზოგადოება,“ თბ. 1994 წ.
7. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი. (1947-1972).
(სამეცნიერო სესიის თეზისები და ბიბლიოგრაფია 1973 წ.

ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები

ძნელია გაიხსენო და დაასახელო ბევრი ისეთი მოვლენა საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში, განსაკუთრებით, ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში, რომელთაც ასეთი ინტერესი გამოეწვიათ და ამდენად, დიდი გავლენა ჰქონოდათ ძველი ცივილიზაციების ისტორიისა და არქეოლოგიის შესწავლისათვის, როგორც იყო ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები. წლების განმავლობაში ისინი ასაზრდოებდნენ და ავითარებდნენ მეცნიერულ აზრს, უბიძგებდნენ მეცნიერებას შემდგომი წინსვლისაკენ, აერთიანებდნენ მრავალი ქვეყნის მეცნიერებს, ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, მთელი რიგი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ ვანის არქეოლოგიური სიმპოზიუმებით საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო თანამშრომლობას შავიზღვისპირეთის ქვეყნების შესწავლაში.

ამ სიმპოზიუმების ჩატარებას გააჩნდა თავისი წინამძღვრები, ისტორია და უდაო გმირი – გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე. ცოტა ხნით შეეჩერდებით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ადამიანის პირად წვლილზე საქართველოსა და მსოფლიო არქეოლოგიის წინაშე.

ბატონ ოთარს მისი სახელოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე არაერთი უდიდესი მიღწევა ეკუთვნის. ის მრავალი წლის მანძილზე იყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი და ეს იყო ისტორია ბრწყინვალე აღმოჩენებისა, რომლებმაც შორს გაუთქვა სახელი ვანსა და მთლიანად საქართველოს. 1977 წელს მან დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. ჩამოყალიბების დღიდანვე ცენტრი აწარმოებდა როგორც საქართველოში არსებული ყველა პერიოდის ძეგლის, ისე კავკასიისა და ძველი სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის კარდინალური საკითხების კვლევას. უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია), 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები. არ დარჩენილა ძველი საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არცერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეეხო, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორცაა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა“ და „ელინისტური კულტურის“ დეფინიციის პრობლემები, „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წინამძღვარი, კოლხეთის რელიგია, თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების (ძველი ქართული, ბერძნულ-რომაული, ძველ-აღმოსავლური) და ეპიგრაფიკული ძეგლების სკრუპულოზურ ანალიზზე.

ბატონი ოთარი არაჩვეულებრივი ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უნარით დაჯილდოვებული ადამიანი იყო. მან დააარსა საქართველოში უდიდესი, მისთვის ჩვეულ მაღალ სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი

საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრიუკენში, შტუტგარტში, ბრაუნშვაიგში, ბონში და სხვ.), რომელთაც დიდი მოწონება და აღიარება ხვდათ წილად.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პერიოდული ორგანო, ყურნალი „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, ასევე ოთარ ლორთქიფანიძის მიერ იყო დაფუძნებული.

საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნების (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) აკადემიების, ასოციაციებისა და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი იყო კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს – კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან იგი გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპოდენცია, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეფო-საისტორიო აკადემიის წევრი. გარდა ამისა, ბატონი ოთარი იყო ინდოევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულატის, ქალაქ მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი.

სწორედ, ოთარ ლორთქიფანიძემ ჩაუყარა საფუძველი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმებს. გარდა ამისა, მისი თაოსნობით მოეწყო არაერთი საერთაშორისო ფორუმი, მათ შორის, ორი საერთაშორისო კოლოკვიუმი კავკასიის იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ, ხოლო 2002 წლის აპრილში არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „არქეოლოგია XXI საუკუნეში მემკვიდრეობა და პერსპექტივები“, რომელიც მიეძღვნა ცენტრის დაარსებიდან 25 და საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების 150 წლისთავს. კონფერენციამ დასახა ახალ საუკუნეში საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

ვანის სიმპოზიუმებს თავისი წინაისტორია გააჩნიათ, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ თავდაპირველად მათ გამართვას სულ სხვა ადგილზე ჩაეყარა საფუძველი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერთა წიაღში, სულ უფრო მეტად მწიფდებოდა მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში მომნიშვნელოვანი როლის დროს მანამდე აღიარებული, ლამის დოგმატური თეორიები მოითხოვდნენ ერთგვარ რევიზიას ან კარდინალურ გადასინჯვას. ამის ერთ-ერთი, მაგრამ, ალბათ, ძირითადი მიზეზი გახლდათ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევები შავი ზღვის აუზში, რამაც გამოიწვია ახალი მონაცემების დაგროვება, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობაში შედიოდა მანამდე არსებულ შეხედულებებთან. ერთ-ერთი ასეთი სამეცნიერო მიმართულება, რომელშიც უკვე დიდი ხანი იყო მომნიშვნელოვანი წინამძღვრები ამ ცვლილებებისათვის, იყო შავიზღვისპირეთში, უფრო ფართოდ კი, მთლიანად ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის მიმდინარეობის საკითხები. ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია უკვე წარმოებდა ბევრ სამეცნიერო ცენტრში თუ ინსტიტუტში, მათ შორის, საქართველოში (ნ. ლომოური, თ. მიქელაძე, მ. ინაძე და, რა თქმა უნდა, ო. ლორთქიფანიძე და მის მიერ შექმნილი გუნდი). მიღწეული შედეგების შესაჯამებლად, კვლევის ახალი სტრატეგიების გამოსამუშავებლად, საჭირო შეიქმნა ისეთი პლატფორმის გამონახვა, რომელიც შექმნიდა მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს შემდგომი მეცნიერული წინსვლისათვის, ხოლო ასეთად ტრადიციულად ითვლებოდა მსხვილი სამეცნიერო ფორუმები, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობდნენ ხელს მეცნიერთა შეხვედრასა და აზრთა ურთიერთგაცვლას და ერთ-ერთი მეცნიერი, ვინც ყველაზე

კარგად გრძნობდა ამისთანა შეხვედრების აუცილებლობას, იყო ოთარ ლორთქიფანიძე. მაგრამ გარდა სპეციალური მეცნიერული ინტერესებისა მას გაცილებით უფრო შორს გამიზნული და პატრიოტული მოსაზრებები ამოძრავებდა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიაში დიდძალი მასალა დაგროვდა. ფართო მასშტაბები მიიღო კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით, რომლის მსვლელობაში აღმოჩნდა და შესწავლილ იქნა მნიშვნელოვანი ძეგლების მთელი რიგი. ზემო იმერეთში, კერძოდ, საირმეში, ასევე მნიშვნელოვან აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. და რა თქმა უნდა, ამ წარმატებათა რიგში საგანგებო ადგილი დაიკავეს კოლხური არქეოლოგიის მარგალიტის, ვანის ნაქალაქარის აღმოჩენებმა. ვანში, ახვლედიანების გორაზე 1947 წელს დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უკვე დასაწყისშივე მოგვცა არაჩვეულებრივი შედეგები. კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი გახდა ეს გათხრები 1966 წლიდან, როდესაც ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ოთარ ლორთქიფანიძე. კვლევის შედეგად გამოჩნებულა ისეთი ბრწყინვალე აღმოჩენები, როგორიცაა ვანის უმდიდრესი სამარხები, ტაძრები, მონუმენტური საკურთხევლები, საქალაქო თავდაცვითი ნაგებობები, კარიბჭე და სხვა მრავალი. აღმოჩენილი ნივთები, ისეთი როგორც ნატიფი საიუველირო ნაკეთობები, ქანდაკებები, კერამიკის ნიმუშები, დაამშვენებდა ნებისმიერ მსოფლიო მუზეუმს, მაგრამ მთელი ეს სიმდიდრე ძირითადად ცნობილი იყო დარგის მცირერიცხოვანი წარმომადგენლებისათვის. ამ აღმოჩენების მსოფლიო ასპარეზზე გატანა, ფართო საზოგადოებისათვის ჩვენება, საქართველოსა და, კერძოდ, კოლხეთის მნიშვნელობისა და ადგილის წარმოჩენა მსოფლიო ცივილიზაციების რიგში – ეს იყო ოთარ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი და მაგისტრალური ხაზი, რომელსაც მან მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე და ამის განსახორციელებლად ერთ-ერთ გზად საქართველოში რეგულარული სამეცნიერო ფორუმის დაფუძნება გადაწყვიტა.

შეუძლებელია ყველა იმ სიძნელეების ჩამოთვლა და აღწერა, რომელიც ამ სიმპოზიუმის საქართველოში გამართვის იდეას დაუხვდა წინ, რომელთა გადალახვა მოუწია ბატონ ოთარს. ამის სრულყოფილად გასაშუქებლად დიდი საარქივო მუშაობა იქნებოდა ალბათ საჭირო, მითუმეტეს, რომ პარალელურად მიმდინარეობდა დიდი ბრძოლა დამოუკიდებელი არქეოლოგიური ცენტრის შესაქმნელად, რომელსაც ასევე საინტერესო ისტორია გააჩნია. საბოლოოდ, უდიდესი ძალისხმევით, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის დახმარების და მთელი რიგი კოლეგების მხარდაჭერის წყალობით გადაწყდა პირველი სიმპოზიუმის ჩატარება 1977 წლის 4-11 მაისს კურორტ წყალტუბოში.

სიმპოზიუმის სახელწოდება იყო „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები“ და მასში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ვლადიმირის, კემეროვოს, სევასტოპოლის, ოდესის, თბილისის, სოხუმისა და ბათუმის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლები. სიმპოზიუმი გაიხსნა გელათის სახალხო აკადემიის შენობაში, რაც შემდგომ ტრადიციული გახდა ყველა შემდგომ ჩატარებული სიმპოზიუმისათვის. სიმპოზიუმზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: 1. ბერძნული კოლონიზაციის საერთო პრობლემები; 2. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები; 3. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები. სხდომები და განსაკუთრებით, დისკუსიები მიმდინარეობდა მეტად ცოცხალ, ზოგჯერ საკმაოდ მძაფრ, მაგრამ ძირითადად მეგობრულ გარემოში, რომლის განმავლობაში გამოითქვა ძალიან ბევრი მეტად საინტერესო მოსაზრება მთელ რიგ საჭირობოროტო, ყველასათვის საინტერესო საკითხებზე. მთლიანად სიმპოზიუმი მეტად მნიშვნელოვან და უაღრესად საინტერესო მოვლენად ჩაითვალა მისი მონაწილეების მიერ და დასკვნით სხდომაზე გადაწყდა მისი მუშაობის გაგრძელება მომდევნო წლებში. სიმპოზიუმის მსვლელობაში გაიმართა გამსვლელი სესია კოლხეთის არქეოლოგიურ

მუზეუმებში, ვანის, ნაქალაქევის, ფიჭვნარის, ციხისძირის, გონიო-ავსაროსის არქეოლოგიურ გათხრებზე. სიმპოზიუმის მუშაობის მასალები, მათ შორის გამართული დისკუსიების სტენო-გრაფიული ანგარიში ორი წლის თავზე გამოქვეყნდა სპეციალურ კრებულში.

ასე ჩაეყარა საფუძველი წყალტუბოსა და შემდგომ ვანის სიმპოზიუმების გამართვის ხანგრძლივ ტრადიციას.

მომდევნო ორი, 1979 წლის II და 1982 წლის III სიმპოზიუმები ასევე წყალტუბოში იყო გამართული. II სიმპოზიუმი გაიმართა 16-22 მაისს და მისი ძირითადი თემა იყო „დემოგრაფიული სიტუაცია შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში.“ როგორც წინა, ეს სიმპოზიუმიც არაჩვეულებრივად წარმატებული აღმოჩნდა შინაარსობრივად ღრმა მოხსენებებისა და მეტად აქტიური სადისკუსიო გარემოს წყალობით. აქაც ცალკე პრობლემად გამოტანილი იყო კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. მომდევნო III სიმპოზიუმი (1982 წლის მაისი) მიეძღვნა უკვე შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის პრობლემებს. ორივე სიმპოზიუმის მსვლელობისას ტარდებოდა კოლხეთის სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერება, და მათ შორის, რა თქმა უნდა, ვანის ნაქალაქარის.

უნდა ითქვას, რომ პირველ სიმპოზიუმებს მხოლოდ საკავშირო სტატუსი გააჩნდათ, თუმცა, უკვე მეორედან დაწყებული მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება დაიწყო უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლებმაც, რაც მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სიმპოზიუმების მიმართ საერთაშორისო ინტერესის გასაღვივებლად.

ასევე საკავშირო სტატუსი გააჩნდა IV სიმპოზიუმსაც თემაზე „შავიზღვისპირეთის ადგილობრივი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ.აღ VII-IV სს-ში.“ გარდა მეტად საინტერესო თემატიკისა (სახელდობრ ამჯერად მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა კოლხეთის სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი, რომელიც მეტად ცხოველი დისკუსიის საგანი გახდა), ამ სიმპოზიუმის მსვლელობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ჯერ ერთი, ამჯერად, სიმპოზიუმი გაიმართა არა გვიან გაზაფხულზე, როგორც ეს ადრე იყო, არამედ სექტემბერში, და ყველა მომდევნო სამეცნიერო ფორუმი სწორედ შემოდგომაზე იმართებოდა, მაგრამ მთავარი იყო სხვა რამ.

ვანში გაიხსნა არქეოლოგიური მუზეუმი. ძველ ვანელებს უნდა ახსოვდეთ ქალაქის ცენტრში ადრე არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის ექსპოზიციას ავსებდა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მცირერიცხოვანი ნივთები. 70-იანი წლების ბოლოს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე გაკეთდა მცირე მასშტაბის ექსპოზიცია, სადაც შეძლებისდაგვარად წარმოჩენილი იყო ნაქალაქარზე გამოვლენილი უახლესი აღმოჩენები. ერთ, მართლაც და მშვენიერ დღეს ნაქალაქარზე რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის სტუმრობისას გადაწყდა ნაქალაქარის გვერდზე სპეციალური არქეოლოგიური მუზეუმის აშენება. ამ გადაწყვეტილებას ძალიან სწრაფად შეესხა ხორცი, რასაც ხელი შეუწყო ვანის იმდროინდელი ხელმძღვანელობის, განსაკუთრებით კი ნ. ანდრიაძის უდიდესმა ძალისხმევამ. IV სიმპოზიუმის დაწყებისთანავე შენობა და ექსპოზიცია დასრულებული იყო. ამავე დროს სიმპოზიუმის ორგანიზატორებში უკვე მომნიშვნელებული იყო იდეა წყალტუბოს სიმპოზიუმისათვის მისამართის შეცვლის თაობაზე. ამ მიზეზით მუზეუმის ახალ შენობაში გამართული იყო სხდომათა დარბაზი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა სხდომების გამართვა.

IV სიმპოზიუმი ტრადიციულად გაიხსნა 1985 წლის 26 სექტემბერს გელათში და შემდეგ სხდომები გაიმართა წყალტუბოში, მაგრამ შემდეგ სიმპოზიუმის მონაწილეებმა გადმოინაცვლეს ვანში, დაბინავდნენ ქალაქის სასტუმროებში, კურორტ სულორში, და მონაწილეობა მიიღეს ვანის მუზეუმის საზეიმო გახსნაში, ხოლო შემდგომი მუშაობა უკვე მის სხდომათა დარბაზში გაგრძელდა. ამიერიდან ყველა მომდევნო სიმპოზიუმი შავიზღვისპირეთის უძველესი ისტორიისა და არქეოლოგიის თემაზე უკვე ვანში იმართებოდა.

V სიმპოზიუმი (1987 წელი, 24-30 სექტემბერი), რომლის გახსნა ისევ გელათში ჩატარდა,

უკვე მთლიანად ვანში ტარდებოდა და გამოირჩეოდა მონანილეთა გაზრდილი რაოდენობით. მონანილეთა განთავსების პრობლემა დიდწილად გადაწყვიტა ვანში ახალი, საკმაოდ კეთილმოწყობილი სასტუმროს აგებამ (შემდგომში ტურისტული ბაზის როლს რომ ასრულებდა). მისი თემა იყო „შავიზღვისპირეთი ძვ.წ. აღ VII-V სს-ში წერილობითი წყაროები და არქეოლოგია.“ სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მის მუშაობაში განხილული იყო არგონავტიკის პრობლემა და კიდევ ერთხელ დასაბუთდა ამ მითში მოყვანილი ცნობების რეალურობა. ეს სიმპოზიუმი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მან მიიღო საერთაშორისო სტატუსი. უცხოელი მონანილეები ადრეც საკმაოდ აქტიურად მონანილეობდნენ მუშაობაში, ეხლა კი, ეს უკვე ორგანიზაციულად გაფორმდა და შესაბამისად სიმპოზიუმის ოფიციალური სტატუსიც ამაღლდა. ეს სიმპოზიუმი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ამ დროიდან დაიწყო ნაყოფიერი თანამშრომლობა ფრანსკომპტეს უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), რაც გამოიხატა იმაში, რომ ამიერიდან ფრანგულმა მხარემ იკისრა სიმპოზიუმების მასალების გამოქვეყნება. ამას დიდად შეუწყო ხელი ოთარ ლორთქიფანიძის პირადმა მეგობრობამ სახელოვან ფრანგ მეცნიერ პიერ ლევეკთან, რომელიც ვანის საპატიო მოქალაქეც კი გახდა, რისი სიგელიც მას სწორედ ვანში, საგანგებო სხდომაზე გადაეცა.

ბერძნული სამყაროს ადგილობრივ საზოგადოებებთან ურთიერთობების საკითხს მიეძღვნა მომდევნო, VI ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობა 1990 წელს. ამ სამეცნიერო ფორუმამაც მეტად ცხოველი ინტერესი გამოიწვია და ასევე მრავალ მონანილეს მოიცავდა მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრიდან.

შემდეგი, VII სიმპოზიუმი უნდა გამართულიყო 1993 წელს. ამისათვის უკვე ყველაფერი მზად იყო, მოსაწვევებიც დაგზავნილი, მაგრამ საქართველოში იმხანად დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო მისი გამართვა ვერ მოხერხდა და ის გადაიდო 1994 წლისათვის. ამ დროიდან სიმპოზიუმის ხასიათი ერთგვარად შეიცვალა. სხვადასხვა, ძირითადად ეკონომიკური გარემოებების გამო, ისეთი ხალხმრავალი თავყრილობების გამართვა უკვე შეუძლებელი გახდა და სიმპოზიუმებმაც უფრო კამერალური ხასიათი მიიღო, თუმცა ამ ღონისძიებების სამეცნიერო ხარისხს ეს სრულებით არ დატყობია. ამ დროიდან მოყოლებული მეტად შესამჩნევი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის, ვანის ჭეშმარიტი პატრიოტების როლი.

ყურადღება ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან სიმპოზიუმებს ადრეც არ აკლდა, მეტიც, მათი ენერგიული მხარდაჭერის გარეშე მათი ჩატარებაც მეტად სათუო იქნებოდა, მაგრამ ახალ პირობებში, როდესაც ფაქტიურად მოშლილი იყო ინფრასტრუქტურა, აღარ ფუნქციონირებდა სასტუმრო, იყო დენისა და წყლის მონოდების სიძნელეები, ორგანიზატორებს გვერდში ამოგვიდგნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებმაც მოგვისსნეს სტუმრების განთავსების პრობლემები. სიმპოზიუმის მონანილეთა დიდი უმრავლესობა დაბინავდა კერძო სახლებში და სიტბო და სტუმართმოყვარეობა მათ არ მოკლებიათ. ეს ტრადიცია გაგრძელდა მომდევნო წლებშიც და შეიძლება ითქვას, რომ სხვა სიტუაციაში ეს სრულებით შეუძლებელი იქნებოდა.

1997 და 1999 წლებში ჩატარდა ვანის VIII და IX სიმპოზიუმები და მათი მასალები დაისტამბა ფრანგულ გამოცემაში.

X საიუბილეო სიმპოზიუმი ვანში 2002 წლის სექტემბრისთვის დაიგეგმა. მისი თემა იყო „ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულისა და კლასიკურ ხანაში.“ ყველა ჩვენგანი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დიდი მონდომებით ვემზადებოდით ამ მოვლენისათვის, მაგრამ მოხდა ყველასათვის სამწუხარო ამბავი – მუზეუმების საერთაშორისო დღეების გამართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამართვისას მათში მოულოდნელად გარდაიცვალა აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უცვლელი დირექტორი, ვანის სიმპოზიუმების სულისჩამდგმელი და მთავარი ორგანიზატორი. ეს საშინელი დარტყმა იყო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მაგრამ ქართველ და უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციების შედეგად მაინც გადაწყდა სიმპოზიუმის ჩატარება, ხოლო მისი

თანადაფინანსება აიღო საკუთარ თავზე „ბრიტანეთის აკადემიის შავი ზღვის ინიციატივის“ ფონდმა. დიდი დახმარება ორგანიზაციულ საქმეებში გაგვინიეს ქუთაისელმა და ბათუმელმა კოლეგებმაც. ერთი საგანგებო, ბოლო დღის სხდომა მიეძღვნა ოთარ ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას.

დროში ბოლო, მაგრამ იმედის, არაუკანასკნელი სიმპოზიუმი ჩატარდა 2005 წლის 26-29 სექტემბერს და ის მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის 75 წლისთავს. სიმპოზიუმის მთავარი თემა ამჯერად იყო „შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში.“ სიმპოზიუმის სპონსორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ცენტრი. სიმპოზიუმს ესწრებოდა 50-მდე მომხსენებელი და როგორც ადრე, მეტად საინტერესო მეცნიერულ დებატებში ჩაიარა.

განუზომელია წყალტუბოსა და შემდგომ ვანის სიმპოზიუმების როლი და მნიშვნელობა უძველესი შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის შესწავლაში. ამ წლების განმავლობაში სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარმოდგა რამდენიმე ასეული სამეცნიერო მოხსენება, განხილული იყო მრავალი საჭირობოროტო საკითხი თუ პრობლემა, დაისახა კვლევების მომავალი სტრატეგიები. სიმპოზიუმებმა ხელი შეუწყო მრავალი ქვეყნის სწავლულთა პროფესიული საქმიანობის კოორდინაციას, მათ დაახლოებასა და კოოპერაციას. ამავე დროს საქართველოსა და კოლხეთის უძველესი კულტურა, მაგრამ ამევე დროს მისი ანმყო და ხალხი უფრო ნაცნობი გახდა მსოფლიოსათვის. სწორედ ამ სიმპოზიუმების ერთგვარ გაგრძელებად იქცა ვანში აღმოჩენილი ფასდაუდებელი კულტურული ფასეულობების გამოფენები ევროპასა და ამერიკაში, რომელსაც მაღალი შეფასება მოყვა და შორს გაუთქვა ვანს სახელი.

ამჯერად, სიმპოზიუმებს ერთგვარი შესვენების პერიოდი დაუდგათ. ეს განპირობებულია ბევრი სხვადასხვა ხასიათის გარემოებებით, მაგრამ ძირითადად იმით, რომ ახვლედიანების გორაზე ამჟამად მიმდინაეობს დიდი რეკონსტრუქციული სამუშაოები. მშენებლობაშია არქეოლოგიური ბაზის ახალი შენობა, მიმდინარეობს ნაქალაქარის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. იმედია, ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ კვლავ აღდგება სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების ტრადიცია და ვანის სიმპოზიუმები დაუბრუნდება ჩვეულ ადგილს საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში.

კრებულ „მატიანეს“ რედაქცია მაღლობას უხდის პროფესორ ჯანსუღ კეკელიას მეუღლეს ქალბატონ ნანული კეკელიასა და შვილს, ბატონ დავითს – ბატონ ჯანსუღ კეკელიას ნიგნიდან „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“ სტატიის „საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობების“ გადმობეჭედის ნებართვისათვის.

ჯანსუღ კაკალია

პროფესორი

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები

ისტორიის მთელს მანძილზე მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა მოიცავს ქართული მოდგმის მოსახლეობითა და მატერიალურ-კულტურული ძეგლებით დატვირთული ტერიტორიების, საზღვრების დაცვისა და საქართველოს ხელისუფალთა იურისდიქციაში მოქცევისათვის ბრძოლას.

როგორც ქართული ისტორიოგრაფიული წყაროები მეტყველებენ, საქართველოსთვის პოლიტიკური დაძაბულობის ყველაზე მნიშვნელოვან უბნებს სამხრეთ-დასავლეთური, სამხრეთული და სამხრეთ-აღმოსავლეთური რეგიონები (სამცხე-საათაბაგო, ტაშირ-გარდაბანი და ჰერეთი) წარმოადგენდა.

ამ მხრივ საქართველოს ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთურ, ჩრდილოეთურ და ჩრდილო-აღმოსავლეთურ ნაწილში მოქცეული რეგიონები რამდენადმე დაცული იყო კავკასიონის ქედით და ეს ფაქტორი, ასე თუ ისე, ზღუდავდა მეზობელთა დამპყრობლურ მიზნებს.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში მიმდინარე იძულებითი ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო სამხრეთის ქვეყნების (თურქეთისა და ირანის) ექსპანსიური ინტერესებით, მაგრამ ცვლილებების დროს შექმნილი ტერიტორიული ვითარების ამსახველი სურათები (რუკები) არ არსებობდა.

ადრე ქართველი ერი თავისი ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ მხოლოდ ზეპირ და მდიდარ წერილობით წყაროს ფლობდა და მას არ გააჩნდა ტერიტორიისა და საზღვრების მოხაზულობის ერთიანი მიმოხილვის საშუალებები (რუკები). XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მოხაზულობა ჩნდება, რომლის ისტორიულ-კარტოგრაფიული რესტავრაციით შესაძლებელი ხდება მაშინდელი ვითარების ზუსტი სურათის წარმოდგენა.

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ერთიანი მიმოხილვის პირველ სარწმუნო საშუალებას – კარტოგრაფიულ წყაროებს, წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 – 1745 წლებში შექმნილი რუკები.

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული იყო და მისი ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ოსმალეთისა და ირანის მმართველობა ვრცელდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი თავის შრომებში გულმოდგინედ აღწერს ქართული მოდგმის მოსახლეობითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით დატვირთული თავისი ქვეყნის სივრცით განლაგებასა და საზღვრების მოხაზულობას.

სახელოვანი ქართველი მეცნიერები – ივანე ჯავახიშვილი (1919 წელი), პავლე ინგოროყვა (1990 წელი) და სხვა. ვახუშტის შრომებში აღწერილი საზღვრების საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და ხშირად სხვა ისტორიული წყაროების ფონზე იხილავდნენ და აზუსტებდნენ საქართველოს ან მისი ცალკეული რეგიონების საზღვრებს.

ქვემოთ შევეცდებით მკითხველს მივანოდოთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საზღვრების ვახუშტისეული „აღწერის“ გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ინტერპრეტაცია, ზუსტ რუკაზე პროექტირებული და დადგენილი ფართობი.

საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრები

საზღვრის აღმოსავლეთ მონაკვეთის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: **„... ვინცებთ ალაზნის შესართავიდან. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზნს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს და მოდის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ რიგი არს მთის ძირს, ... ამ გიშის წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის წყალი“**.

როგორც ვახუშტისეული საქართველოს ზოგადი რუკიდან ირკვევა, **„ალაზნის შესართავიდან ...სად არს ხორანთა“** ე.ი. დასახლებული პუნქტი, რომელიც მდინარე ალაზნისა და იორის შესაყართან მდებარეობდა (ამჟამად ადგილი მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული), **„მას ქვეით დიდს ალაზნს მოერთვის გიშის-წყალი“**, რომელიც ვახუშტისავე აღნიშვნით და მისივე რუკების მიხედვით კავკასიონიდან გამოედინება, მიემართება სამხრეთით გიშამდე. ეს დასახლებული პუნქტი ამჟამად აღინიშნება და იგი მდებარეობს მდინარე კიშჩაის (ანუ გიშის წყლის) ხეობაში, ქ. შექის (ნუხას) ზევით.

საყურადღებოა, რომ ვახუშტის გეოგრაფიაში მოცემული ობიექტის აღწერილობასა და მის რუკაზე ასახულ იმავე ობიექტს შორის მკვეთრი იდენტიურობაა დაცული. ანალოგიურ მიმართებაშია მისი ინფორმაცია თანამედროვე რუკებთან, მაგრამ ტოპონიმი **„გიშის წყალი“** არსად არაა აღნიშნული, ხოლო მდინარე გიშის წყლის (როგორც აღმოსავლეთის საზღვრის ხაზი) დაზუსტებაში ხელს გვინწყობს მდინარე კიშჩაი (ანუ გიშის წყალი) და იმავე სახელწოდების კიში, **„რომელი გამოსდის მასვე კავკასსა ...და მოდის ჩრდილოდამ სამხრით“** ალაზნის შესართავამდე, გიშის წყლის სახელით ყოფილა მაშინ ცნობილი. როგორც ჩანს თანამედროვე მდინარე აგრიჩაი, რომელიც მდინარე ალაზნს უერთდება **„მოსაბრუნის“** (იქვე) ადგილის ქვემოთ გიშისწყალი ყოფილა. სავარაუდოა, ტოპონიმის დაკარგვა განაპირობა ტერიტორიის დაკარგვამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი აღმდგენი ელემენტები მდინარე აგრიჩაის ზემო და ქვემო დინებაში მაინც შემორჩა **„კიშჩაის“** და **„ქურმუხჩაის“** ნომინაციით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თანამედროვე რუკაზე ვახუშტისეული აღწერილობასთან მისადაგებისას ქურმუხის წყალი, რომელიც **„გიშისწყალს მიერთვის ჩრდილოდამ“**, არ დასტურდება. 1:200000 მასშტაბის რუკაზე კი, მდინარე ქურმუხის წყალი მდინარე ალაზნს არ ერთვის, რადგან ქურმუხის წყლის გაგრძელებას დღეს აჯიჩაი ეწოდება. ეს თანამედროვე ზოგადპროგრაფიული ვითარება შესაბამისობაში მოდის ვახუშტისეულ აღწერილობასთან, მაგრამ მისი აღწერილობის ჭეშმარიტებაში მაშინ ვრწმუნდებით, როცა ვიყენებთ გასული საუკუნის მინურულში გამოქვეყნებულ რუსულ ხუთვერსიან რუკას, სადაც დასტურდება, რომ **„გიშისწყალს მიერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის წყალი“**, რომელიც ქურმუხის ხევის გამოზიდვის კონუსზე მოედინება მრავალ ტოტად.

ამგვარად, ვახუშტისეული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთით იწყებოდა კავკასიონის ქედზე, მიუყვებოდა მდინარე გიშის წყალს (კიშჩაის) და მდინარე აგრიჩაით მიდიოდა მდინარე ალაზნამდე, საიდანაც საზღვრის ხაზი მდინარე ალაზნს დაუყვებოდა სამხრეთით მდინარე ივრის შესართავამდე.

სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები

ვახუშტის ცნობებით, ქართლის აღმოსავლეთი ნაწილისა და გარდაბნის საერისთაოს ნაწილის საზღვრებია: **„აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“**. ამასთან, **„ნაგების აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა... ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი“**. ეს ტოპოგრაფიული აღწერილობა და საქართველოს ზოგად რუკაზე მოცემული საზღვრის კონტურები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მდინარეები: მტკვრის, იორისა და ალაზნის შესაყარის აღმოსავლეთით საქართველოს საზღვრის ხაზი მიუყვებოდა მდინარე მტკვარს დასავლეთით – **„ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთამდე“**. აქ უკვე ყველაფერი გარკვეულია: მტკვრით მოხაზული საზღვრის ხაზი აღწევს იმ ადგილამდე, სადაც

მტკვართან ბოლოვდება ბერდუჯად წოდებული „მცირე მთა“. აქედან იწყებოდა ყაზახისა და ქვემო ქართლის გამმიჯვნილი ხაზი, ხოლო, როგორც შემდგომი აღწერილობით ირკვევა, ბერდუჯის მცირე მთის სამხრეთულ დაბოლოებასთან საქართველოს ესაზღვრებოდა „რანი“.

საზღვრის ამ მონაკვეთის დასადგენად ნაწილობრივ გამოგვადგება საქართველოს სამხრეთი ნაწილის (ბამბაკის მიდამოების) საზღვრის ხაზის აღწერილობა: **„სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მალალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი... რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შორის შუა განვლის და ვიდრე რახსადმდე მივალს“**. ე. ი. მთა, რომელიც გადაჭიმულია გოქჩის ტბასა და რანს შორის: **„მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არს, ხოლო ჩრდილოეთ კერძი ბერდუჯისა და რანისა, ...ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამხრით, და მიადგების წინათქმულს ერევნის მთას“**.

თუმცა, ვახუშტი მიგვანიშნებს „წინათქმულს ერევნის მთას“, მაგრამ წინ იგი არსად არ იძლევა ამ დასახლებას, ხოლო რუკაზე სომხით-ერევნის გამყოფ მთას ერევნისას უწოდებს. ტექსტში ასევე აღნიშნავს, რომ **„აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისა არს რანისა, და დასავლით კერძი არს ბერდუჯისა“**. ე.ი. ყაზახის შემდეგ, სამხრეთით, ბერდუჯს ესაზღვრება რანი და გამმიჯვნილ ხაზად კი გამოდის წყალგამყოფი ხაზი **„მთა მცირე ბერდუჯისა“** და შემდეგ საზღვრის ხაზი მიუყვებოდა ერევნის მთას სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ მდინარე არაქსამდე ვერ აღწევდა. ამ მთას დღეს ბამბაკის ქედი ეწოდება.

ბამბაკის ქედის დაბოლოებიდან საქართველოს სამხრეთული საზღვრის შემდგომი გაგრძელების შესახებ ვახუშტი აღნიშნავს, რომ **„მთა ირჯანისა და ან ყარაღაჯად წოდებული... ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, ან ყაიყულად წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, ... პალაკაციოსა და აბოცს შორის არს მთა აღბაბასი, და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშალანისა“**.

როგორც ვხედავთ, აბოცი ვაკე ადგილია და პალაკაციოსაგან გამოყოფილია აღბაბას მთით, რომელიც ქართლისა და ყარსის საზღვარი ყოფილა. ე. ი. პალაკაციო საქართველოს საზღვრის მიღმა ყოფილა მოქცეული. მეცნიერი აქაც არ არღვევს გეოგრაფიული აღწერის ლოგიკურ თანმიმდევრობას და მთა აღბაბას დასახელების შემდეგ, საზღვრის ხაზის მიმართულებაზე სრული წარმოდგენის შექმნის მიზნით მიგვანიშნებს, რომ **„იგი არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ-ციხემდე და ტბამდე ტაშალანისა“**. ე. ი. თეთრ ციხიდან მოყოლებული და ტაშალანის ტბის (ყოფილი არფა-გიოლის ტბის) ავლით¹ და აღბაბას მთის თხემით, საზღვრის ხაზი მიდიოდა ნიალისყურის მთაზე, რომელიც ვრცელდება **„ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროს თავამდე, აღმოსავლეთიდან-დასავლეთად“** და საზღვრის ხაზიც ნიალისყურის მთას გასდევს დასავლეთით და შემდეგ გადადის ყარსის ქედზე.

თუ ჩავთვლით, რომ ჩვენს მიერ ამ მონაკვეთზე აღწერილი საზღვრის ხაზის მიმდებარე ტერიტორიის ტოფოგრაფიული ფაქტები ვახუშტისეული აღწერის სწორი ინტერპრეტაციაა, მაშინ საზღვრის ხაზის მიმართულებაც დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ყარსის ქედის (თანამედროვე სხელწოდების ალახიუკბერის ქედის) წყალგამყოფ თხემზე გამავალი საზღვრის ხაზი ერთმანეთისაგან გამოყოფდა კოლასა და ყარსის რეგიონს. ვახუშტის

¹ არფა-გიოლის ტბა სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ამჟამად, იგი მოქცეულია არფილიჭის წყალსაცავში. თანამედროვე ლიტერატურაში მოცემული ვახუშტისეული გეოგრაფიის ინტერპრეტაციისას ყოველგვარი კომენტარების გარეშე, არფა-გიოლის ტბას მიიჩნევენ აბოცის ტბად (მარუაშვილი, 1956, გვ. 28), ხოლო ი. შაქარიშვილის ტბების ჩამონათვალში ასახელებს აბოცის ტბას, მაგრამ არ აღნიშნავს მის შესაფუძვლელ თანამედროვე ტბას (1947, გვ.54) უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი საერთოდ არ ასახელებს თავის გეოგრაფიაში აბოცის ტბას. იგი მხოლოდ აღნიშნავს აბოცის დაბის მცირე ტბას... (1. გვ. 130). ამ მიზნებით აზუსტებს გეოგრაფიულ ფაქტს, თუ საიდან იწყება მდინარე ახალქალქის წყალი, **„რომელი გამოსდის აბოცის დაბის მცირე ტბას და მოერთვის მცირედ მუწვე ხავეთის ტბასა. აბოცის დაბის მცირე ტბად ვახუშტი გოლის ტბას მიიჩნევს ...მთა ნიალისყურისა, რომელიც მდებარეობს გოლის ტბიდან ანუ ხავეთიდან ყარსის მთამდე**. გოლის ტბა (დღევანდელი მადათაფას ტბა) და ხავეთის ტბა (დღევანდელი ბუღდაშენის ტბა) ერთმანეთთან ძალზე ახლოს მდებარეობენ. ლ. მარუაშვილი კი ხავეთის ტბას აიგივებს გოლის ტბასთან, ხოლო ტაშალანის ტბას ცალკე გამოყოფს ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ ღიად არის დარჩენილი არფა-გიოლის ტბის ვახუშტისეული სახელდების საკითხი. თუ ვიხელმძღვანელებთ ყარსსა და აბოცს შორის საზღვრის ხაზის ვახუშტისეული აღწერით, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ტაშალანის ტბა იგივეა, რაც არფა-გიოლის ტბა.

სიტყვებით: „**მზღვრის კოლას: აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარეობს ყალნუს მთიდან ნიალის-ყურის მთამდე**“ ე.ი. ყალნუს ანუ თანამედროვე სახელწოდების საგანლუს მთიდან (რომელიც ყარსის-ალახიუკბერის ქედის სამხრეთულ დაბოლოებას ემიჯნება დასავლეთური მხრიდან), საზღვრის ხაზი გადადიოდა ჩახირობასა ქედზე, „**ხოლო ოლთის-ნარიმანისა და იდის სამჯრით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი ...არს სომხითისა**“. ირიჯლუს მთა თანამედროვე რუკებზე აღინიშნება სომხითის მთის სახელწოდებით.

საბოლოოდ, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთური საზღვრის ხაზის დაზუსტების შემდეგ, ვახუშტი აღნიშნავს, რომ „**სიგრძე ქვეყნის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე**“ იგი ქართლის ყელს აიგივებს საქართველოს ყელთან და ხშირად გურჯი-ბოლანის ხეობითაც მოიხსენიებს და შემდეგ (როგორც თვითონ აღნიშნავს): „**...ეს ხევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა**“.¹

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების შესახებ ვახუშტი წერს: „**...ჭანეთის მთასა იქით, არს ჭანეთი, და ან უწოდებენ ლაზსავე**“, რომელიც ვრცელდებაო ტრაპიზონის საზღვრამდე – „**...არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე**“. ამ მონაკვეთზე საქართველოს საზღვრის ხაზის შესახებ იგი შენიშნავს, რომ „**...არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ, მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, ... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდან. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძენთისა. აქ არს რკინის-პალო, აქავ არს სატყეველა**“. ამასთან, აღნიშნავს, რომ „**ესე არს აღწერა ... ჩენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა**“.

საზღვრის ხაზის ეს აღწერილობა იმდენად დეტალურია, რომ თანამედროვე რუკებზე ყოველგვარი გართულების გარეშე იკითხება შესაბამისი ადგილები. ვახუშტის აღწერით, „მცირე მთა“, რომელიც ჭანეთის მთიდან ზღვისკენ ეშვება და თითქმის ზღვამდე მოდის, იწყება იმ უსახელო მწვერვალიდან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3478 მ-ია, ხოლო მთა „სატყეველა“ „**აქავ არს,**“ მთა რკინის პალოდან ჩრდილოეთით 6,5 კმ-ის მოშორებით; ეს მთა მიჩნეული უნდა იქნეს სატყეველას მთად, რადგან ამ მცირე მთის მწვერვალი – რკინის პალოს გაგრძელებაზე (ნათლად გამოკვეთილი სხვა სიმაღლე) ტოპოგრაფიულ რუკაზე არ არის.

ეს მცირე წყალგამყოფი, რომელიც ჭანეთის მთიდან ეშვება, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით საზღვარია და მის თხემზე გამავალი საზღვრის ხაზი ეშვება ზღვაზე მდ. კალპოტამოსის შესართავის სამხრეთით, 3 კმ-ზე სოფ. ქელალისთან, რამეთუ აქ მთავრდება ხსენებული „მცირე მთის“ თხემის დაბოლოება.²

ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილოეთის საზღვარი

ვახუშტის აღწერილობით, ჩრდილო-დასავლეთით, XVIII საუკუნეში აფხაზეთისა და ჯიქეთს შორის საზღვრად მდ.კაპპეტისწყალი ყოფილა. 1735 წლის რუკაზე ჯერ წერია „კაპპეტის წყალი,“ შემდეგ ხაზია გასმული და აღნიშნულია „აქეთ ჯიქეთი“, ე.ი. ჯიქეთი უნდა ვიგულისხმოთ აღნიშნული მდინარის იქით, ანუ ჩრდილო-დასავლეთით. თანამედროვე რუკებზე კაპპეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ საკითხის დასაზუსტებლად შეიძლება გამოვიყენოთ შედარებითი ანალიზი; ამის საშუალებას იძლევა ვახუშტისა და თანამედროვე რუკები.

¹ თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკაზე „**გურჯი-ბოლანი**“ აღნიშნულია, როგორც პუნქტი (გამაგრებული ადგილი) და მდებარეობს მდ. ყარასუს სათავეში ქ. თორთუმთან 22 კმ, ხოლო ქ. ერზრუმთან ჩრდილოეთით, 28 კმ. მოშორებით.

² მდ. კალპოტამოსის და სოფ.ქელალის, თურქეთის ცერიტორიაზე, რიზეს ვილაიეთშია მოქცეული.

ვახუშტის რუკაზე, ბიჭვინთის დასავლეთით, ზღვას ერთვის კაპპეტის წყალი. თანამედროვე რუკებზე, ბიჭვინთის დასავლეთით, კაპპეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ პუნქტის დასავლეთით, 7 კმ-ზე ზღვას ერთვის მდ. ბზიფი. მანძილის თვალსაზრისით იგივე ვითარებაა ასახული ვახუშტის რუკაზეც. ასე რომ, მდ. კაპპეტის წყალი და მდ. ბზიფი ერთი და იგივე მდინარეა.

ვახუშტის აღწერით, ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო *„...დასავლით ზღვა და კაპპეტის მდინარე ...ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჯრით ზღვა შავი“, ხოლო ამ ტერიტორიის გაგრძელებაზე „...ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის-წყლის დასავლეთს ...უნოდებენ ჯიქეთს ...ამ ჯიქეთის ჩრდილოთ კერძოდ, კავკასის მთის იქითს კერძს ზღვამდე, ... და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა.“*

როგორც ვხედავთ, ვახუშტი თავისი ჩვეული მანერით აქ აღარ ცდილობს ჯიქეთის დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნის დეტალურ დახასიათებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯიქეთი ვრცელდებოდა კავკასიონის მთავარ ქედამდე. ალბათ, ამას გულისხმობდა მეცნიერი, როდესაც აღნიშნავდა: *„კავკასიის მთის იქითს კერძს ზღვამდე“*, ამ მონაკვეთზე ვახუშტი მხოლოდ ერთ პუნქტს – ნიკოფსიას ასახელებს.

ქართველი მეცნიერის აღწერილობით, ჩრდილოეთის საზღვარი, აფხაზეთის შემდეგ, აღმოსავლეთით სვანეთის ჩრდილოეთური საზღვრით არის მოხაზული და აქაც ის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს რაჭის საზღვრამდე. იგი აღნიშნავს, რომ *„ჩრდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს შორისი კავკასია“*.

რაჭის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს: *„ჩრდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი“* ე.ი. აფხაზეთიდან დანყებული საქართველოს საზღვრის ხაზი რაჭის ჩრდილოეთ გაყოლებაზე მიუყვება კავკასიონის თხემს.

ხოლო შემდგომ აღწერს დვალეთს (ოფსეთს), რომელსაც აღმოსავლეთით აქვს *„...თრუ-სოსა და ჯევის საზღვარი, მერმე მყვინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჯრიდამ ჩრდილოდ, და დასწყდების ჯევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე; სამჯრით მზღვრის კავკასი, ჯევის-ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომლ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორის კავკასნი; ხოლო ჩრდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მალალი, და ... დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორის...“*

თანამედროვე გაგებით ვახუშტის მიერ მითითებული დვალეთის ეს საზღვარი იქნება: ჩრდილოეთით მ. ადაიხოსის (4404 მ) გავლით ხაზი მიდის აღმოსავლეთისაკენ მთა ახოტამდე (4069 მ), შემდეგ ეშვება მდ. არდონის ხეობაში, ვიდრე მიაღწევდეს მ. ტეპლის (4431 მ), გაივლის კურთათინის უღელტეხილს (3287 მ) და მიდის ხოხის ქედზე მ. სივერაუთამდე (3374 მ.), ხოლო აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოფარგლულია მთა ხოხი, უღელტეხილი როკა (2995 მ.), ზეკარის და ბრუც-საბძლის მთა, მამისონის უღელტეხილი (2820 მ).¹

დვალეთის დასავლეთით, საქართველოს ჩრდილო საზღვარს ვახუშტი ისევ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემზე ატარებს. მხოლოდ დარიალის ხეობა თერგს *„გველეთს ქვეით ერთვის... არაგვსვე ჯევი სამჯრ-აღმოსავლეთიდან, გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა... ამ ჯევის ქვეით დავიწროვდების ჯევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა... ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა... ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა“* „სადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკი, ამ არაგვს, ხეთაძის დაბის ზევით, ერთვის ქისტეთის-წყალი და ძურძუკისა ...ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი“.

ქართველი მეცნიერის აღწერილობა იმდენად დეტალურია, რომ ყოველი დასახლებული პუნქტის და ადგილის პოვნა თანამედროვე რუკებზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვინყობს ხელს. ს. ქვემო ლარსის ჩრდილოეთით თერგს მართლაც ერთვის მარჯვენა მხრიდან მდინარე, რომელიც 5-ვერსიან რუკაზე კისტინკადაა მინიშნებული (თანამედროვე რუკაზე მას არმხი ეწოდება). დასახლებული პუნქტი ჯარიეხი ჯერაბოვსკოედ

¹ ეს სივრცე, რომელიც ამჟამად ჩვენი საზღვრის მიღმა მდებარეობს, შეადგენს 566 კმ²

ინოდება, ხოლო თანამედროვე რუკაზე მდ. არმხის შესართავთან ასეთი დასახელების პუნქტი არ არის, მაგრამ მდ. არმხის აყოლებით, 5 კილომეტრზე აღნიშნულია სოფელი ჯაირახი. მის რუკაზე საქართველოს ტერიტორიის საზღვარი აქ სოლივითაა შეჭრილი, ხოლო მდ. ისტინკას ხეობა ყვითელი ფერითაა გამოყოფილი და მას ქისტეთი აწერია, ე.ი. საქართველოს აქ საზღვარი ედო იმ ქედის თხემის გაყოლებით, რომელიც მდ. არაგვის ხეობისაგან მდ. ქისტურას ხეობას გამოჰყოფს. თანამედროვე რუკაზე ამ ქედს ოხკურის ქედი ეწოდება. ქედის ჩრდილო-დასავლეთურ დაბოლოებაზე „... **სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი**“ ე.ი. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის – ქართლის ნაწილის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე ნერტილი.

საზღვრის ხაზის შემდგომ მიმართულებაზე წარმოდგენას გვაძლევს ვახუშტის განმარტება, რომ **„ქისტეთ ზეით, არს ძურძუკი ...ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი“**. უფრო აღმოსავლეთით, სადაც **„კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომენარი და მის ქვეით ჩაღმა ...მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორის ... ჩრდილოთ კავკასი“**.

ვახუშტის რუკისა და ამ აღწერილობის მიხედვით, და თანამედროვე რუკებითაც, კავკასიონს გადაღმა ორი ხეობაა გამოსახული – მდ. პირიქითი ალაზნის და თუშეთის ალაზნის, რომელთა შესართავის შემდეგ მდინარეს ეწოდება ანდის-ყოისუ. ვახუშტის რუკით წოვა მიჩნეულია მდ. პირიქითი ალაზნის აუზად, ხოლო ჩაღმა – მდ. თუშეთის ალაზნის აუზად. ამ **„ორსავ თუშეთს“** ამჟამად ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩნეთი და საზღვრის ხაზი გადის თუშეთის ქედის გაყოლებით – აღმოსავლეთით. აქედან მოკიდებული, სამხრეთულ მიმართულებაზე, აღმოსავლეთის მხრიდან, რუკის მიხედვით, კახეთს ესაზღვრება დიდოეთი. მეცნიერის გეოგრაფიული აღწერილობით **„დიდოეთი არს ლოპოტასა, გრემისა, შილდა-ყვარელის და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა.“** თანამედროვე ზოგადგეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, დიდოეთსა და კახეთს შორის საზღვარი გადის კავკასიონზე. საზღვრის ხაზის გაგრძელების თაობაზე წარმოდგენას გვიქმნის მდინარე „ნეინის-წყალი“, რომელიც **„გამოსდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასა“**. ამასთან, ბელქისწყლის, მანისწყლის და ქურმუხისწყლის დახასიათებით, რომლებიც კავკასიონის ქედიდან ჩამოედინებიან და მოქცეული არიან გიშისწყლის ჩრდილო-დასავლეთით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ გიშისწყალთან უკვე შეიკრა ვახუშტის შრომებში აღწერილი საქართველოს ტერიტორიის საზღვრები.

ამრიგად, ვახუშტისეული აღწერით, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თანამედროვე კარტოგრაფიული ინტერპრეტაციით, ასეთი სახის მოხაზულობას იღებს:

საქართველოს აღმოსავლეთით საზღვარი იწყება მდ. გიშისწყლის სათავიდან, მიუყვება მას მდ. ალაზნის შესართავამდე, შემდეგ მოდის სამხრეთისაკენ მდ. ალაზნის და მდ. იორის შესართავამდე; მდ. ალაზნის მტკვართან შესართავიდან საზღვრის ხაზი აღმა მიუყვება მდ. მტკვარს და მდ. ალსთაფას შესართავიდან მიდის სამხრეთით სევანის ქედამდე, გასდევს მის წყალგამყოფს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გადადის ბაზუმის ქედს, მოდის ჯავახეთის ქედის სამხრეთულ დაბოლოებამდე და აქედან ჩილდრის ტბას უვლის სამხრეთიდან, მიუყვება ყარსის ქედს, გადადის მდ. ჭოროხისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ თხემზე, გადაკვეთს მდ. ჭოროხს და ადის პონტოს ქედზე, მთა რკინის პალოს გავლით, საზღვრის ხაზი მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ეშვება შავ ზღვაზე სოფ. ქელალისთან.

აქედან, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით ნიკოფსეს მიდამოებამდე საზღვრის ხაზი ადის კავკასიონის თხემზე, გადის იალბუზთან, მიდის მყინვარწვერზე; აქედან ეშვება არაგვის ხეობაში და მდ. ქისტურას მხრიდან კვლავ კავკასიონის ქედით გადადის თუშეთის ქედზე. უკანასკნელის აღმოსავლეთური დაბოლოებიდან ეშვება სამხრეთით და კახეთის კავკასიონის წყალგამყოფი ქედით მიდის აღმოსავლეთით მდ. გიშისწყლის სათავეებამდე, მთა ცაილახანზე (3546 მ.).

საქართველოს საზღვრები ვახუშტისეული აღწერილობითა და მისი რუკისეული ინფორმაციით, თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებზე პროექტირების გზით, შესაძლებელი გახდა შემოფარგლული ტერიტორიის გავრცელების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და ფართობის დადგენა.


ამგვარად, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთით უკიდურესი წერტილი მდებარეობდა ცაილახანის მთაზე (3546 მ). – ჩ.გ. 41° 12'3, ა.გ. 47°21'30. უკიდურეს ჩრდილოეთით – აუზბაშის უღელტეხილზე – „ჩ.გ. 43°47', ა.გ. 42°25'; სამხრეთით – მთა ყარაგაპაზარზე (3133 მ) ჩ.გ. 40°28', ა.გ. 41°34'; ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსეს – ჩ.გ. 43°58', ა.გ. 39°13'. საქართველოს ტერიტორიის ფართობი ამ საზღვრებში შეადგენდა 134 ათას კმ², ანუ თითქმის ორჯერ აღემატებოდა თანამედროვე საქართველოს საერთო ფართობს¹.

საყურადღებოა, რომ ვახუშტის აღწერილი საქართველოს საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე, სოფ. ქელალისისდან ნიკოფსემდე 545 კმ-ს შეადგენს, ხოლო სახმელეთო საზღვრის სიგრძე აღმატება 2000 კმ-ს.

გეოდეზიტი ი. სტებნიცკი წერს: „თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ვახუშტის რუკები შედგენილია არა აგეგმვის საფუძველზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი სიზუსტის მხრივ, რამდენადაც ეს მოეთხოვება, საკმაოდ დამაკმაყოფილებელია.

XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთის იმპერია ფართოდ იყენებდა ვახუშტისეულ რუკებს და მის საფუძველზე ქმნიდა რუკის პირებს, რაც სამხრეთის ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის მტკიცე კარტოგრაფიულ დოკუმენტს წარმოადგენდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო არქივში დაცული 1743 წლის საქართველოს რუკიდან (№505 „Иверская земля“) გადაღებული ასლი და რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს და ახალი ინფორმაციით 1780 წელს შედგენილი რუკები.

ამ რუკებზე მოცემული იყო საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა. ამ დაყოფის საფუძველს წარმოადგენდა ვახუშტის რუკებზე მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები (ტაო, კლარჯეთი, შაუშეთი, ჯავახეთი და სხვა). ეს პროვინციები ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველს.



¹ ვფიქრობთ, რომ ვახუშტის თავის ზოგად რუკაზე ასახული უნდა ჰქონდეს ის ტერიტორია, რომელსაც ფლობდა საქართველო XII სს.

საქართველოს ტერიტორია და საზღვრები
1801-1917 წწ.

1801 წლიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში და ადმინისტრაციულ მოწყობაში. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით გააუქმა სამეფო, საერისთავო და სათავადო მმართველობის სისტემა. შემოიღო მართვის რუსული სისტემა. შექმნა ქუთაისისა და თბილისის გუბერნია, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა მაზრებად, ოკრუგებად და საპოლიციო უბნებად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიის ფართობის შესახებ მონაცემები არ არსებობდა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ რუკებზე გაზომვითი სამუშაოების ჩატარება არ ხდებოდა.

რუსეთმა მოიკიდა რა ფეხი კავკასიაში, 1801 წლიდან დაიწყო ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული საქმის ორგანიზება ჩვენს ქვეყანაში. დასავლეთ ევროპის გამოცდილებით აღჭურვილმა რუსეთის იმპერიამ ფრანგული და გერმანული წარმოების კუთხმზომი ხელსაწყოებით პირველი მოსამზადებელი ტოპოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად მოავლინა სამხედრო ტოპოგრაფები დრენიაკინი და დროზე. 1802 წელს მათ უკვე შეადგინეს ქართლის ტერიტორიის ამსახველი პირველი ორვერსიანი რუკა (1:210000 მასშტაბში). უფრო მაღალი სიზუსტის კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნას საფუძველი დაედო 1846-1847 წლებიდან და ამ საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა სამხედრო ტოპოგრაფს ი. ხოძკოს.

XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა 5 ვერსიანი რუკები და მათზე უკვე ზუსტად გამოყვეს გუბერნიების ტერიტორიები და საზღვრები. ჩატარდა კარტომეტრიული სამუშაოები გუბერნიების, ოკრუგებისა და მაზრების ტერიტორიების ფართობების გაზომვის მიზნით.

1801 წლის მდგომარეობით შედგენილი კავკასიის ზოგადი რუკის მიხედვით ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, არდაგანის და ართვინის ტერიტორიები საქართველოს საზღვრების მიღმა დატოვებული და დაქვემდებარებულია თურქეთის საფაშოებისადმი, ხოლო განჯის, შამშადილის ტერიტორიები ირანის სახალოებმა. 1828 წლის რუკაზე თითქმის ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური სურათია ასახული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შამშადილისა და განჯის ტერიტორიები ნაჩვენებია საქართველოს შემადგენლობაში. საყურადღებოა, რომ ამ კარტოგრაფიულ ნყაროებზე არსად არ არის ცალკე სახელდებული ქარბელაქანის ტერიტორია, მაგრამ 1801 წლის მონაცემებით ცალკე კონტურითაა მინიშნებული ქარისა და კახის დასახლებული პუნქტები. 1828 წლის რუკაზე კი მინიშნებულია – ლეკები.

1886 წელს კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების სამხედრო კორპუსის ტოპოგრაფმა, პოდპოლკოვნიკმა ნ.პ. ვინიკოვმა გამოთვალა კავკასიის ტერიტორიის გუბერნიების, მაზრების, მხარეების, ოკრუგების და საპოლიციო უბნების ფართობები. ჯამში რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული საქართველოს სავარაუდო ტერიტორიის ფართობი XIX საუკუნის ბოლოსთვის შეადგენდა 102.0 ათას კმ²-ს. ამ ფაქტს ადასტურებს საქართველოს სსრ ატლასში მოთავსებული XIX საუკუნის ბოლოსათვის არსებული ვითარების რუკა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ბადეც, ხოლო თუ საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილად არ ჩავთვლით ყარსის მხარეში გაერთიანებულ მხოლოდ ყარსისა და ყარიზმანის ოკრუგებს, მაშინ საქართველოს ტერიტორიის ფართობი იქნება 91841 კმ².

1900 წელს იგივე პიროვნებამ 5-ვერსიან რუკებზე განმეორებით გაზომა (24) და დააზუსტა გუბერნიების ფართობი და ყარსისა და ყარიზმანის ოკრუგების გარეშე ფართობმა შეადგინა 89.755 კმ².

რუსეთის კოლონიების და მათ შორის ქართული მიწების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა ნაკლებად ითვალისწინებდა ისტორიულ-ეთნიკურ თავისებურებებს და ძირითადად ხელსაყრელი კოლონიალურ-პოლიტიკურ მართვის პრინციპებს ემყარებოდა. ამასთან, რასაკვირველია, საერთოდ იგნორირებული იყო ანექსირებული მიწების – ყოფილი სახელმწიფოების ტერიტორიული ნიშნები.

ამიტომ, დემილიტაციის დროს საზღვრებზე საუბრისას, მაშინდელ ტოპოგრაფიულ რუკებზე,

მოცემული გუბერნიების, მხარეების, მაზრების და საპოლიციო უბნების გამმიჯნელი ხაზები იურიდიული ძალის მქონე არგუმენტად ყოველთვის ვერ გამოდგება. თუ ისტორიული წყაროების საფუძველზე შედგენილი – თანამედროვე რუკებით ვისარგებლებთ და მათზე ჩავატარებთ კარტომეტრიულ სამუშაოებს, მაშინ შეიძლება დადგინდეს საქართველოს ტერიტორიის ფართობის ტრანსფორმაციის საინტერესო სურათი.

ძვ.წ. I-ლი ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 140,4 ათას კმ², I-IV საუკუნეებში 134,2 ათას კმ², IX-X საუკუნეებში — 131,0 ათას კმ², XIII საუკუნის დასაწყისში — 205,3 ათას კმ², XVII საუკუნის მეორე ნახევარში — 133,1 ათას კმ², XIX საუკუნის ბოლოსათვის (1886 წ. მიხედვით) — 102,0 ათას კმ².

ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა (1900 წ. მდგომარეობით)

	გუბერნიები, მაზრები, მხარეები, ოკრუგები	ტერიტორიის ფართობი კმ ²
1	2	3
თბილისის გუბერნია		
1	ქ. თბილისის მაზრა	4556,64
2	ახალქალაქის მაზრა	2739,16
3	ახალციხის მაზრა	2653,79
4	ბორჩალოს (მარნეულის) მაზრა	6870,06
5	გორის მაზრა	6836,60
6	დუშეთის მაზრა	3882,63
7	სიღნაღის მაზრა	6022,06
8	თელავის მაზრა	2461,39
9	თიანეთის მაზრა	4836,57
	სულ გუბერნიაში	40858,97
II ქუთაისის გუბერნია		
1	ქ. ქუთაისი მაზრა	3462,50
2	ზუგდიდის მაზრა	2670,24
3	ლენხუმის მაზრა	4872,78
4	ოზურგეთის მაზრა	2161,11
5	რაჭის მაზრა	2818,35
6	სენაკის მაზრა	2127,14
7	შორაპანის მაზრა	2980,82
	სულ გუბერნიაში	21092,94
III	სოხუმის ოკრუგი	8254,22
IV	ბათუმის ოკრუგი	3703,45
V	ართვინის ოკრუგი	3271,85
VI	ზაქათალას ოკრუგი	3985,55
	სულ ოკრუგებში	19215,87
VII ყარსის მხარე		
1	ქ. ყარსის ოკრუგი	5785,37
2	ყალიზმანის ოკრუგი	4373,53
3	არდაგანის ოკრუგი	5604,54
4	ოღთისის ოკრუგი	2983,00
	სულ მხარეში	18746,44
	სულ ტერიტორია	99914,16კმ ²

ამდენად, ისტორიული რუკების საფუძველზე შედგენილი სქემები კარგად ასახავს საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობის იმ დინამიკას, რომელიც XIX საუკუნის ბოლომდე მიმდინარეობდა. ირკვევა, რომ ძირითადად საქართველოს ტერიტორიის ისტორიული ფართობი 130-135 ათას კმ²-ის ფარგლებში ვარირებს და გარკვეული სტაბილურობითაც ხასიათდებოდა.

რუსეთთან ტრაქტატის დადებისას – (1783 წ.) ერეკლე მეორე სამართლიანად მოითხოვდა მტრის მიერ მიტაცებული ამ ქართული მიწების შემოერთებას.

ამ მოთხოვნიდან 45 წლის შემდეგ 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად საქართველოს ფარგლებში მოექცა ქობლანი, ოძრახე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭარმაგი, ფოცხოვი და აბოცი (პალაკაციო) და ერუშეთი.

შემდეგში, 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის საზავო ხელშეკრულებით, შემოერთებული იქნა აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი-ოლთისი. საზღვარის მიღმა დარჩა ჭანეთი (ანუ ლიზისტანი) და ჭოროხის ზემო წელში მდებარე ნაწილი.

ექ. თაყაიშვილის ცნობით, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მთავრობამ ტერიტორია გაჰყო, ყარსისა და ბათუმის ადმინისტრაციულ ოლქად. ყარსის ოლქს შეადგენდა ოკრუგები ყარსისა, ყალიზმანისა, არდაგანისა და ოლთისისა. ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ყარსის და ყალიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანისა და ოლთისისა-საქართველოს. ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწერილი ყარსის ოლქზე. გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში, ვინაიდან მოქცეულია ჭოროხის შემდინარე ოლთისის წყლის არემარეში, და ჭოროხი კი ეკუთვნის შავი ზღვის აუზს, ხოლო ყარსის სხვა ოკრუგები ეკუთვნიან კასპის ზღვის აუზებს. არდაგანის ოკრუგი, რომელიც მდებარეობს წარმოადგენს ზეგანის პლატოს, გაყოფილი იყო უბნებად (უჩასტკებად). პირველი სამი მდებარეობს მტკვრის ზემო წელში, ხოლო ფოცხოვის უბანი ფოცხოვის წყალზე. ისიც ხელოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკრუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენდა არდაგანის ზეგანის პლატოს ნაწილს, არამედ ეკუთვნის ახალციხის ტერასას და შეიცავს ფოცხოვის წყლის აუზის ნაწილს.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთური უბნის სასაზღვრო ხაზი მთლიანობაში შემდეგ მოხაზულობას ღებულობდა: ამ უბნის უკიდურეს აღმოსავლეთურ წერტილიდან – სოფ. გულთაშენიდან, საზღვარი მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთით მწვერვალ დიდ ახბაბამდე და ჩილდირის ტბის სამხრეთით სოფ. დაშბაშის გავლით სამხრეთიდან უვლიდა ლავაშის ტბას და იქვე, უსახელო მდინარის ხეობით მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთით ჩილდირის ქედზე მდებარე უსახელო მწვერვალამდე – 3125 მ. (x=4540000, y=8337800), და ეშვებოდა სამხრეთ-დასავლეთით სოკალთუთანის უღელტეხილზე (2240 მ.), საიდანაც წყალგამყოფი სერით მ.ბურას (2718 მ.) გავლით მიემართებოდა ალახიუკერის (ყარსის)¹ ქედის სერით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, უღელტეხილ ეშაკმეიდანის (2468 მ.) გავლით მდ. გუმბრზე (კუმრი 2845 მ.) საიდანაც წყალგამყოფი თხემით გადადიოდა მდ. სოგანლიდაგამდე (2805 მ.) და აქედან ხანის უღელტეხილის გავლით საზღვრის ხაზი სამხრეთ-დასავლეთით მიუყვებოდა ჩახიტრბაბა (ბაბას) თხემს და ადიოდა მდ. ოიუკტაშზე (2852 მ.). შემდეგ საზღვარი მიუყვებოდა მის თხემს და მიემართებოდა მდ. აქარქისს აუზისა და მდ. ჭოროხის შემდინარეების – თურთუმის და ოლთისის წყალგამყოფ თხემზე მდებარე მწვერვალების: კაბიჩანის (2667 მ.), ყარაპაზარის (3133 მ.), კუშკულა-ობაზის (3147 მ.), ონუსბაბას (3248 მ.) და უღელტეხილ ხორტოკის (3045 მ.) სამხრეთ-დასავლეთური მიმართულებით მწვერვალ სულაკის (2978 მ.) გავლით და წყალგამყოფი თხემით (რომელსაც ივ. ჯავახიშვილი მესხეთის მთის სახელით მოიხსენიებს)¹ კვეთავდა მდ. ჭოროხს (სოფ. ხოფისტასა და ქიფაისს შორის) და ადიოდა პონტოს ქედის სერზე, სადაც ლაზისტანის საზღვარი იყო. აქედან მთა „რკინის პალოს“ – 3478 მ.² (ალ. გრ. 40°28', ჩ. გ. 40°32') გავლით საზღვარი მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მდ. კოლოპოტამოსის (კალაპოტამოსის) და მაქის (მაკის) წყალგამყოფი სერის შემდეგ საზღვარი ეშვება შავ ზღვაზე, დასახლება ოფის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ში სოფ. კელალისთან.

¹ იხ. 1923 წ. გამოცემული „საქართველოს ისტორიული რუკა“.

² 5 ვერსიან რუკაზე და ახალ რუკებზე ეს მთა უსახელოა. ამ სახელით მას იმონებს ვახუშტი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

აქედან ზღვის სანაპიროთი მანძილი ბათუმამდე 150 კმ-იყო, ხოლო მთლიანად კი ხმელეთით ფსოუმდე იგი 467 კმ-ს შეადგენდა.

საბოლოოდ, პარიზის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ამ უბანში საქართველოს თანამდროვე საზღვრებს გარეთ მოქცეული ძირძველი ქართული მიწები, ფართობების მიხედვით, შეადგენდა: ლაზისტანის – 3925 კმ², ართვინის – 2933 კმ.², არდაგანის – 5724 კმ², ოლთისის – 3040 კმ².

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ცვლილებების დოკუმენტებისა და კარტოგრაფიული წყაროების ანალიზი (1918 წლიდან 1960 წლამდე)

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების პრობლემა 1918-1921 წლებში

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამან წარმოშვა საზღვრების საკითხიც, რამეთუ საქართველო ტერიტორიულად უნდა გამიჯნულიყო რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა საზღვრების დამდგენი კომისია. მის შემადგენლობაში იყვნენ კაკი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე. კომისიის დასკვნით საქართველოს საზღვარი გადიოდა მცირე კავკასიონის ქედზე, მიუყვებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთულ საზღვარს, გადადიოდა გოგჩას ტბის ჩრდილოეთით წყალგამყოფ ქედზე, უხვევდა ჩრდილო აღმოსავლეთით მდინარე ალსტაფაზე მიდიოდა სადგურ ძეგამდე, მოიცავდა საინგილოს. ამ პრობლემამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ერობის („ზემსტვო“) შემოღების დროს. მაშინდელი პოლიტიკური პარტიები დიდი დავის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ საერობო ტერიტორიების შემოხაზვისას უნდა ეხელმძღვანელათ მოცემულ ტერიტორიაზე დამაგრებული მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით. მაგალითად, იქ სადაც ქართულ ტერიტორიაზე სახლობდა სომხობა, იგი სომხურ ერობას უნდა მიკუთვნებოდა. ამ ნიშნის გარდა გამოყენებული იყო მოსახლეობის სარწმუნეობაც. წარმოიშვა კამათიც.

საბოლოოდ მოხდა ის, რომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ყოველმა ცალ-ცალკე, პარიზის კონფერენციისათვის შექმნეს პრეტენზიული შინაარსის მქონე რუკები. 1919 წელს პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე თავი მოიყარეს დელეგატებმა. საქართველოს მხრიდან დელეგაციის წევრები იყვნენ: კარლო ჩხეიძე (ხელმძღვანელი), კაკი წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები.

საზღვრების შესახებ ქართულმა დელეგაციამ შემდეგი დოკუმენტი წარმოადგინა:

Приложение Границы Грузии А. Описание

Сухопутная граница Грузии начинается на восточном побережье Черного моря у устья маленькой Макопсеб расположенной в 14 км к юго-востоку от г. Туапсе.

Следуя вверх по течению р. Макопсе, граница проходит по горе Псеушко, с которой стекает эта река, и оттуда продолжается на северо-восток вдоль гребня гор, который отходит от главного хребта Большого Кавказа и создает водораздел между бассейнами р. Туапсе и Аше, впадающих в Черном море.

На севере граница Грузии идет вдоль главного хребта Большого Кавказа, не прерываясь на юго-восток, вплоть до массива Адай-хох.

За Адай-Хохом граница пересекает р. Ардон у ущелья Касар (недалеко от источника, известного под названием Тазанити и продолжает на восток по Главному хребту большого Кавказа, по вершинам гор Тепли (Архонский массив) и Казбег.

На этой высоте граница направляется на север, проходит через горы Чач-Хох и Кайджани и пересекает р. Терек в 5 км к северу от станции Ларс напротив маленькой деревни Озми, расположенной на правом берегу реки.

На правом берегу р. Терек граница идет вдоль р. Аркмехи, маленького притока р. Терек, до

деревни Лиаджию Здесь граница поворачивает на юг, проходя по возвышенности правого берега р. Архма (приток р. Аркмехи) до горы Мльчоче-Корт.

Отсюда граница продолжается на юго-восток по хребту Большого Кавказа до горы Кара-Кайа, проходя по древней границе между Тифлисской Губернией, с одной стороны, и территориями Терека и Дагестана, с другой.

Далее граница Грузии следует по древним границам между Закатальским округом и районом г. Нуха, сворачивает к югу и идет по течению р. Качка-Чай, притоку р. Агричай, вплоть до слияния последней с рекой Алазани.

Отсюда грузинская граница направляется на юг по р. Алазани до р. Куры, отсюда она снова поднимается, принимает направление на северо-запад до слияния с р. Храми. Затем граница Грузии идет вдоль древней границы между районом Борчало (Тифлисская губерния) и Казахи (Елизаветпольская губерния), проходит через горы Передового Кавказа, составляющих линию водораздела между бассейнами р. Дебеда-Чай и Акстафа (гора Зикатари, гора Чатин-Даг, гора Соук-Булаг) и дальше на северо-запад до горы Бешекечemas.

Отсюда граница следует вдоль старой границы между Тифлисской и Ереванской губерниями на северо-запад и пересекает р. Бамбак между станциями Чагали и Караклис; затем продолжается по хребту Бесобдал к северо-западу по горам Карагач и Леглидаг, по гребню Мокрых гор.

От Леглидага граница направляется на запад по горам Мадатапан, к югу от озера Мадатапан, затем продолжается до Уч-Тапалана, откуда сворачивает на юг, обходит озеро Чалдил, проходя по вершинам Ачк-Баба и Кисир-Даг, далее по границе между территориями Ардагана и Карса.

От Кисир-Дага граница Грузии направляется на юго-запад по линии водораздела между бассейнами р. Кура (на грузинской территории) и Аркса (на армянской территории). Она проходит по горам Бугатапа, Кабахтапа и Коп; затем по старой русско-турецкой границе.

На турецкой территории грузинская граница идет на юго-запад, проходит по хребту Чахир-баба, водоразделу между бассейнами верховьев р. Аракса и Олти-чай (приток р. Чорох).

От горы оскан граница следует на запад по хребтам Думлудаг. Казан-Бачи и Кортикдаг огибает с севера верховье Чороха, которое остается за ее пределами, поднимается вверх по Испиру, немного на запад от монастыря Килисакалу до деревни Маден.

На левом берегу чороха вновь идет на север по гребню гор, ответвляющемуся от Понтийского хребта лазистана (гора Кашиш-Кай). Таким образом, подойдя к Понтийскому хребту,

она какое-то время тянется на запад, в районе гор Кирклиар и по линии границы санджака Лазисстана (турецкая территория) направляется на север, к устью р. Калапотамос, между Ризе и Офом на Черном море, омывающем Грузию на западе до устья макопсе.

Б. Пояснения

Земли, которые должны входить в состав территории Грузинского государства, можно разделить на три категории:

1. Земли, ставшие провинцией Россиский Империи после присоединения к ней Грузии в 1801 г.
2. Грузинские земли, отданные Турцией России по Адрианопольскому (1829) И Берлинскому (1878) договорам.
3. Некоторые земли, находящиеся во владении Оттоманской Империи.

Как с исторической, так и с этнической точки зрения, совершенно неоспорима принадлежность земель, обозначенных в пунктах 2 и 3 грузинскому народу, они составляли часть единой и неделимой Грузии, какой она была до того, как ее раздробили, затем их захватила и поработила Турция. Даже будучи обращенными в ислам, их жители сохранили свои этнические черты и продолжили оставаться чистыми грузинами.

Единство всех этих территорий естественным образом определяет общую линию границ Грузии. Только в нескольких пунктах выбор был продиктован чисто практическими целями.

Областями Грузии, сохранившими свою политическую независимость до соединения с Россией, являются: Картлийско-Кахетинское царство, Имеретинское царство, Мингрелское княжество, Гурийско-Абхазское княжество, а также несколько менее значимых областей.

Картлийско-Кахетинское царство позже было преобразовано в Тифлисскую губернию, но без Ахалцихского и Ахалкалакского уездов. Остальные территории были объединены в Кутаисскую губернию с Сухумским уездом.

Что же касается грузинских земель, которые до 1801 г. Уже потеряли свою независимость и оказались во власти Оттоманской Империи, то следует заметить, что по трактату, заключенному в 1783 г. Между Грузией и Россией, последняя обязалась вернуть их Грузии, если сумеет получить

их у Турции. Часть этих земель, а именно Ахалцихский и Ахалкалакский уезды, отданные Турции в 1829 г., были присоединены потом к Тифлисской губернии. Другая же часть – Батум с округами Ардагана и Олти от Карской губернии – перешли в 1878 г. к России.

То же самое касается Тифлисской губернии, к которой присоединили Закатальский уезд, который был всегда частью Кахетинского царства, но был оторван от него в XVII в. В результате войн с Персией и с той поры населен представителями разных национальностей и местностей.

Следует также заметить, что земли, присоединенные к Восточной Грузии и разделяющие районы Елизаветополя и Эривани, при царском режиме составляли уезд Казаха и часть уезда Александрополя, а сейчас являются границей раздела между Арменией и Турцией.

Из всего сказанного следует, что элементы, составляющие границы грузинского государства, дополняются административными границами Сухумского округа, Кутаисской губернии, Тифлисской губернии и Закатальского уезда, и уездами Ардагана и Олти (Район Караса). Для того чтобы получить эти составные части, достаточно продолжить на север, в район Большого Кавказа, линию северной границы Сухумского уезда, Тифлисской и Кутаисской губерний и Закатальского уезда, и линию, которая на юге отделяет старую Тифлисскую губернию от старых губерний Елизаветполя и Эривани вдоль демаркационной линии между двумя западными уездами (Ардаган и Олти) и двумя восточными уездами (Карс и Кагизман) и районом Карса вплоть до пересечения этой линии с турецкой границей.

По мнению грузинского правительства, эта намеченная схема по всей своей длине потребует лишь только небольших поправок пракического характера, как, например, в районе Мамисонского перевала, где уточнение линии границ требуется лишь силу соображения орографического порядка, или же на юге, у границ Турции, где Кура образует отличную границу между станами, граница должна пройти по той стороне, где в Куру впадает р. Алазани, поскольку старая граница между Тифлисской и Елизаветопольской губерниями шла параллельно этой реке (Алазани).

Некоторые участки грузинской границы требуют специального пояснения. Это, с одной стороны, граница между хребтом Большого Кавказа и Черноморским побережьем (в пределах бывшей Черноморской губернии) и, с другой стороны, кусок границы между точкой ее пересечения и линией бывшей русского – турецкой границы (после 1878 г.) и южным берегом Черного моря, в пределах вилайета Трепезунда.

Что касается первого участка границы, сформированного рекой Макопсе и начинающегося с ее устья, то ее линия диктуется удобством этой границы с точки зрения административной. С точки зрения этнографической, присоединение к Грузии территории между р. Макопсе и р. Мзымта, которая кстати принадлежала ей в прошлом, не может вызвать возражений. После насильственного выселения отсюда в XIX В. Местных кавказских племен, этот край уже не имеет определенного этнографического характера.

Если бы встал вопрос о возвращении на родину горцев, вывезенных в Турцию, или о присоединении части Черноморского побережья к государству на Севером Кавказе, Грузия очевидно не возражала бы против того, чтобы предложенная линия была изменена в этом случае или заменена другой, которая пройдет между реками Макопсе и Мзымта.

Что касается той части границы Грузии, которая предполагает включение в состав Грузии санджака Лазистана, а также части вилайета Эрзерума (в районе р. Чорох), то следует заметить, что эта территория рассматривается нами, как древние грузинские земли, отнятые у Грузии Турцией, но сохранившие свой этнический характер, несмотря на обращение их населения в ислам.¹

Июль 1919 г.

სომხური რუკის ვარიანტზე სომხეთის ტერიტორიასთან ერთად დამატებით, საზღვარს შიგნით მოქცეული იყო თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქის ნაწილები. მათი „გამჭრიახი“ აზრით გამოდიოდა, რომ ეთნიკური ნიშნის მიხედვით სხვის ტერიტორიაზე შექმნილი თემები მიმდებარე ტერიტორიით, სომხეთის კუთვნილებად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული?!

აზერბაიჯანელების მიერ შექმნილი რუკის ვარიანტის მიხედვით მათ საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი მესხეთითურთ. ამ მოთხოვნას საფუძვლად ედო მოსახლეობის სარწმუნოება.

1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ტერიტორიისა და

¹ Georgian Archive. Harvard University. Reel 82, box 25, book 2. Перевод с французского (27).

საზღვრების რუკის მიხედვით (რომლის პირი ფრანგულ ენაზეა შესრულებული), საქართველოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო:

მინები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იყო დაფიქსირებული;

ის მინები, რომლებიც ადრიანოპოლის ზავისა (1829წ.) და ბერლინის ტრაქტატის (1878წ) საფუძველზეა დაკანონებული;

ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი ტერიტორია.

გაეცნენ რა ტერიტორიულ პრეტენზიებს. ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ 1920 წელს მოიწონა თავისი კომისიის გეგმა ბათუმისა და მისი ოლქის შესახებ. განზრახული იყო ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყოთ საქართველოსა და სომხეთს. საქართველოს შეუერთდებოდა ოლქის ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთს კი მიეცემოდა ართვინის რაიონი. სომხეთ-საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების საზღვრების გამიჯვნა უნდა მომხდარიყო ამ რესპუბლიკებს შორის მოლაპარაკების გზით. ლაზეთი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. ამავე კომისიის რეკომენდაციით უნდა დაწესებულიყო თავისუფალი ტრანზიტი ამიერკავკასიაზე.

საქართველოს დელეგაცია ამ გეგმის წინააღმდეგი წავიდა და მოითხოვა მოენვიათ სამი მეზობელი რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) თათბირი ამ საკითხის მოსაგვარებლად ინგლისი დათანხმდა.

1920 წლის 16 მარტს ანტანტის დადგენილების პასუხად საქართველოს დელეგაციის წევრმა ზ. ავალიშვილმა (18) მოამზადა ნოტა¹:

1. ბათუმის ოლქი, ბათუმისა და ართვინის „ოკრუგები“, ქართველ მუსულმან მცხოვრებთა უმრავლესობით დასახლებული შეერთებული უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიასთან.

2. ბათუმის ოლქის დანაწილება და მისი რომელიმე ნაწილის მიკუთვნება სხვა სახელმწიფოზე გამოიწვევს სერიოზულ უსიამოვნებას მეზობელ ხალხებს შორის.

3. თუ დადგინდება, რომ სომხეთს შავ ზღვაზე მიეცეს გასასვლელი რკინიგზის მეშვეობით, მაშინ ამ გასასვლელზე უნდა დამტკიცდეს საქართველოს უზენაესობა.

4. ბათუმში ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა (რომელიც ბათუმის ოლქს უნდა მოიცავდეს), გამოიწვევს გართულებას. აქედან გამომდინარე არც ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება მოგვიტანს წარმატებას მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

5. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს და იცავს თავის პრეტენზიებს ყარსის ოლქის ორ მაზრაზე: არდაგანისა და ოლთისის მაზრებზე.

6. საერთო პოლიტიკიდან გამომდინარე და იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასაზღვრო ხელშეკრულების დამტკიცება, მხარი შეიძლება დაეჭიროს ბათუმის პორტში სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნასა და საქართველოსთან ხელშეკრულების დადებას.

ამ ნოტაში გატარებული იყო იდეა იმის შესახებ, რომ თუ არდაგანის და ართვინის ოლქები შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაშინ მეზობლებს მიეცემოდათ ვიწრო დერეფანი შავ ზღვაზე დიდი დავის შემდეგ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დელეგაციების საერთო სხდომაზე ბოლოს აღიარა საქართველოს უზენაესობა ბათუმის ოლქზე. ხოლო ბათუმში დაცული იქნებოდა, როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის ინტერესები. მაგრამ სომხეთმა შემდეგ მოითხოვა კიდევ ბათუმის პორტის ნაწილი და საკუთრებად კი რკინიგზის გასაყვანი მიწა ყარსიდან ბათუმამდე.

1920 წლის 16 აპრილს სხდომაზე სომხეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი ბათუმის ოლქად მიიჩნევს ტერიტორიას მდინარე ჭოროხამდე. ე. ი. საზღვარიც აქ უნდა დადებულიყო. ბუნებრივია ქართული დელეგაციისათვის ეს საკვებით მიუღებელი იყო და ამის გამო სომხების ცდა ჩაიშალა. ჩაიშალა ის პროექტიც, რომლის მიხედვითაც სარკინიგზო მაგისტრალის ტერიტორია ყარსიდან-ბათუმამდე მათი კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ქართულმა დელეგაციამ არც ეს მოთხოვნა მიიღო და საბოლოოდ შეთანხმება ვერ მოხერხდა. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები დარჩა იმ ფარგლებში, როგორშიც ადრე იყო ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები.

¹ რომელშიც გათვალისწინებული იყო ზოგიერთი მომენტები გენერალ ი. ოდიშელიძის მიერ 1920 წ. 4 თებერვალს შედგენილ მემორანდუმშიდან.

წერილობითი არტეფაქტები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან

ვანში, ახვლედიანების გორაზე, ძველი ქალაქის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი დამწერლობის ნიმუშები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის დადასტურებაში. მათი უმეტესობა შესრულებულია ბერძნული ასოებით. არქეოლოგებმა ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიაკვლიეს არამეული დამწერლობის ნიმუშსაც. ეს წერილობითი ძეგლები, თავისი შინაარსით ადგილობრივი ოფიციალური ხასიათის და სატაძრო საკანონმდებლო დოკუმენტებს განეკუთვნება. წარწერები აღმოჩენილია აგრეთვე კოლხურ სამეფო საბეჭდავ ბეჭედზეც და კრამიტებზეც.

ამ დროისათვის ბერძნულ და არამეულ ენებს მასიურად იყენებდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებული ხალხები. მათ შორის ჩვენი ქალაქის ძველი მოსახლეობაც, რაც ამ საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს მიანიშნებს.

ერთ-ერთი პირველი წარწერა ახვლედიანების გორაზე, ვანის ექსპედიციამ 1966 წელს აღმოაჩინა. იგი ნაპოვნი იქნა ქალაქის შესასვლელში, ქვედა ტერასაზე, კარიბჭის ხუროთმოძღვრულ კომპლექსთან. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში, ქვიშაქვის ბაზაზე აღმართული იყო კვადრატული მოყვანილობის მარმარილოს კვარცხლბეკი, რომლის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ფოსო, იგი ტყვიით იყო შევსებული, შიგნით შემორჩენილი მარმარილოს ნატეხებით. როგორც ჩანს, ოდესღაც აქ იდგა მარმარილოს თეთრი ქანდაკება, მაგრამ რა ბედი ეწია მას უცნობია. აქვეა კედელზე ბერძნული ასოებით ამოკანრული წარწერაც, რომელიც ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ არის შესრულებული. წარწერა გაშიფრა პროფესორმა თინათინ ყაუხჩიშვილმა და ასე გადმოთარგმნა: „გვეედრები (შენ) მეუფეო (ქალღმერთო).“ ამკარად ჩანს, რომ აქ აღმოჩენილი თეთრი მარმარილოს ფრაგმენტები ზემოთ მითითებულ ქანდაკებას ეკუთვნოდა და ქალაქის მფარველი ქალღმერთი იყო. ქალაქის შესასვლელში მფარველი ღვთაების ქანდაკების დადგმა დამახასიათებელი იყო ძველი კოლხეთის ქალაქებისთვის. ამის დადასტურებაა, რომელიც სამხედრო მოხელის არიანეს ცნობა – „ქალაქ ფაზისში რომ შედიხარ, მარჯვნივ აღმართულია ფაზისელი ქალღვთაების ქანდაკება.“

კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა შემოგვინახა მის მიერ დანერგულ „გეოგრაფიაში“, გვამცნობს: „ლეგკოთეას ტაძარი ფრიქსეს აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ წირავენ მსხვერპლად, ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკემ გაძარცვა, ხოლო შემდეგ მითრიდატე პონტოელმა.“ ცნობაში მოყვანილია ქალაქის სახელწოდება „ლეგკოთეა.“ აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ვანში ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ქალაქი, სწორედ, რომ ლეგკოთეაა. ეს ქალაქი ელინისტურ პერიოდში კოლხეთის სატაძრო ცენტრს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი უამრავი ტაძრები, საკურთხევლები, სამლოცველოები, საკულტო დანიშნულების სამსხვერპლოები. სტრაბონის მიხედვით ქალაქი ორჯერ არის გადამწვარი, ფარნაკეს და ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პონტოელის მიერ ძვ.წ.ად. I საუკუნის შუა ხანებში, ხანმოკლე დროის მანძილზე. ქალაქის ორჯერ დანგრევის კვალი საკმაოდ კარგად ჩანს ვანის ნაქალაქარზე. პირველი შემოსევა უთუოდ გაზაფხულზე განხორციელდა, როდესაც კარიბჭესთან რელიგიური დღესასწაული იყო გამართული, კედლის გარეთ აღმოჩნდა დანახშირებილი ხის ძელი და თიხისაგან გამოძერწილი ნიღაბი, რომელიც დიონისეს თავს გამოსახავს. პირველი შემოსევის შემდეგ ცხოვრება მხოლოდ ცენტრალურ ტერასაზე განახლებულა, მაგრამ სულ მალე ახალი კატასტროფა დაატყდა თავს. აქედან გამომდინარე, ცნობაში აღწერილი ამბავი, ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და წარწერა ადასტურებს იმ აზრს, რომ ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ქალაქი შესაძლებელია ლეგკოთეა იყოს.

კიდევ ერთი წარწერა არქეოლოგებმა კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე გამოავლინეს. ეს წარწერაც ბერძნული ასოებით არის შესრულებული და იკითხება ასე „არსანს“, იკითხება

მარჯვნიდან მარცხნივ და სავარაუდოდ, მამაკაცის სახელს წარმოადგენს, მაგრამ ვინ იყო ჯერჯერობით დაუდგენელია.

1978 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქალაქის ცენტრალურ უბანზე უნიკალური და ორიგინალური თორმეტსაფეხურიანი საკურთხეველი აღმოაჩინა, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდძალი განძია ნაპოვნი. აქვე ყურადღება მიიქცია თიხისგან დამზადებულმა 150-მა სანაფემ, რკინის სატევარმა და მცირე ზომის ბრინჯაოს ფარმა – უმბონებმა, ვერცხლის ქალღვთაების გამოსახულებებმა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ორი ოქროს ფირფიტა. ერთი მათგანი ფრაგმენტულია, მასზე შემორჩენილია თავის ქალის გამოსახულება. მეორე, ოქროს სწორკუთხა ფირფიტის შუაგული ამოჭმულია. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ამ ნაწილში აუცილებლად რაღაც გამოსახულება იქნებოდა წარმოდგენილი. ფირფიტაზე შემორჩენილია არამეული დამწერლობის შესრულებული წარწერა, მაგრამ სამწუხაროდ, იგი დღემდე არ არის გაშიფრული. მთელი ეს კომპლექსი ძველი წელთაღრიცხვის II – I საუკუნეებით თარიღდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არამეული დამწერლობის ნიმუში ყველაზე ძველია ჯერჯერობით საქართველოში აღმოჩენილ არამეულ წარწერათა შორის და მსგავსი დამწერლობის აღმოჩენა კოლხეთის ტერიტორიაზე პირველი შემთხვევაა, რადგან მანამდე არამეული წარწერები მხოლოდ ქართლის სამეფოს, იბერიის ტერიტორიაზე გვხვდება. ვფიქრობთ, წარწერის გაშიფვრა მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვანვდის ქალაქის ისტორიის შესახებ.

უაღრესად მნიშვნელოვანია წარწერა ოქროს ბეჭედზე, რომელიც 1969 წელს 17 მეტრიანი კედლის საძირკველზე კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა. სამარხმა დაგვანახა აქამდე უცნობი და ახალი ტრადიციები დაკრძალვის რიტუალში. იგი ჩასვენებული იყო ხის სარკოფაგში. მიცვალებულს ჩაცოლებული ჰქონდა რკინის შუბის პირები, ხელშუბები, რკინის ფარი, მახვილი და სატევარი, კიდურებს მოსავდა ბრინჯაოს აბჯარი. მეომრის საიქიო ცხოვრებისთვის გაუტანებიათ მდიდრული თიხისა და ლითონის ჭურჭელი, ოქროს მონეტა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მამის, ფილიპე მეორის მიერ არის მოჭრილი. ძალიან მდიდრული იყო მეომრის სამაჯური, მის თავს მოსავდა ოქროს თავსაბურავი, ჭვირბურთულიანი ოქროს საყურე, ოქროს ყელსაბამი, ოქროსთავიანი სალესი ქვა, სამი წყვილი სამაჯური. ხელის თითებზე ეკეთა ოთხი ბეჭედი, მათგან ერთ-ერთი საბეჭდავს წარმოადგენდა. ბეჭედზე არის გამოსახული ტახტზე მჯდომი ქალღვთაება, რომელზედაც ბერძნული წარწერა არის ამოტვიფრული – „დედატოს“, რომელიც ბეჭდის მფლობელის სახელია და რომ მისი მფლობელის ინსიგნიაა ოფიციალური საჭიროებისათვის განკუთვნილი უფლებრივი საბეჭდავი. ასე რომ, ჩვენთვის ცნობილია სამარხში დაკრძალული პირის საკუთარი სახელი „დედატოს“. ეს სახელი ბერძნულად ჟღერს, მაგრამ ქალბატონი მარგარიტა ასკენის, რომ ის კოლხი მამაკაცის სახელი გახლავთ, რადგან ბერძნული საკუთარი სახელების სიაში ეს სახელი დღემდე ცნობილი არაა. ასე რომ, ჩვენთვის ამ წარწერის მეშვეობით ცნობილი გახდა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული კოლხი სამხედრო პირის საკუთარი სახელი.

1978 წელს არქეოლოგებმა ნაგებობის ნანგრევების ქვეშ ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები აღმოაჩინეს, რომლებიც სწორკუთხა დამლებით იყო აღჭურვილი. ერთზე აღნიშნულია სახელი „OPAZO“, მეორეზე იკითხება ორსტრიქონიანი წარწერა „ΒΑΣΙΛΙΚΗ და ΜΗΛΑΒΗC“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს ჯერ უცნობ საწარმოო ცენტრის კრამიტთან, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა. „ΒΑΣΙΛΙΚΗ და ΜΗΛΑΒΗC“ სახელები ორადო და მელაბესი არ გვხვდება ბერძნულ ონომასტიკონში. ამ კრამიტების გაშიფვრის გამო სხვადასხვა აზრი აქვს მეცნიერებს: გ. გამყრელიძე მიიჩნევს რომ კრამიტი ადგილობრივად არის დამზადებული. იგი წარმოების თარიღად III-I საუკუნეს მიიჩნევს. მისი აზრით ამ პერიოდში კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ბუფერული ქალაქ-სახელმწიფოები წარმოიშვა. სწორედ, ასეთი ქალაქ-სახელმწიფოს ბასილევსი იყო მელაბესი. რუსუდან ფუთურიძე ეთანხმება მოსაზრებას, რომ აღნიშნული კრამიტის დამამზადებელი სახელოსნო სამეფოა, ხოლო მცირე ზომის დამლაში მოხსენიებული სახელი „ორადო“ ხელოსანს უნდა ეკუთვნოდეს. იგი მიიჩნევს რომ სახელი „მელაბეს“ სამეფო მოხელეს უნდა ეკუთვნოდეს. მეცნიერები თანხმდებიან იმ მოსაზრებას, რომ ყავისფერკეციანი კრამიტები მიეკუთვნება ადგილობრივ ნაწარმს, ვინაიდან თიხის შემადგენლობა ისეთივე

ფორმისაა, როგორც ე. წ. „ნიშნანი“ კრამიტი, რომელიც აგრეთვე კოლხურად არის მიჩნეული. გარდა ამისა ეს დამლები ვანის გარდა არსად არ არის მიკვლეული. ახალმა აღმოჩენებმა გამოავლინეს კიდევ ოთხი ახალი სახელი: XOPCII, MHNO, ε[P?]MΩ-- და X---XA დამლებში მოხსენიებულ პირთა ონომასტიკური კვლევა ჯერ კიდევ გრძელდება, ზუსტად არ შეიძლება იმის თქმაც კი, რომ ეს სახელები სრულად დანერგულია, თუ შემოკლებით.

ხაზგასმულია კიდევ ერთი ფაქტი, ვანის ტერიტორიაზე მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმში ამოკანრულია სხვადასხვა ნიშნები. სპეციალისტთა ერთი ნაწილი იხრება მოსაზრებისაკენ, რომ ამ შემთხვევაში ეს ნიშნები შეიძლება იყოს პროტოქართული დამწერლობის ნიმუში. მითუმეტეს ეს ნიშნები კერამიკაზე ვანის გარდა გვხვდება საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. ისინი ყველაზე ხშირად ამოკანრულია ქვევრებზე, კრამიტებზე, ამფორებზე. ყველა მათგანი ადგილობრივი წარმოებისაა და ცხადია, მათი დამზადების პროცესში დატანილი ნიშნები ადგილობრივი ხელოსნების მიერ არის დასმული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ნიშნები ყოველ ცალკეულ ფორმაზე სრულად განსაზღვრული წესითაა ამოკანრული თიხის გამოწვამდე. ყველა მკვლევარი მათ ორ ჯგუფად ჰყოფს: ბერძნული ასოების ნიშნებად და გაურკვეველი ასოების ნიშნებად. „გაურკვეველი“ ჯგუფის ნიშნები ფორმალურ მსგავსებას ამჟღავნებს სხვადასხვა ხანის ანბანის ასოებთან. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ კერამიკაზე დასმული ნიშნები წარმოადგენს დამწერლობის ნიმუშს. ამ აზრს ეთანხმება პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და მკვეთრად გამორიცხავს აზრს, რომ ეს ნიშნები საგვარეულო დამლებს წარმოადგენს.

1989 წელს არქეოლოგებმა ქალაქის ცენტრალურ ტერასაზე აღმოაჩინეს ბრინჯაოს ფირფიტაზე შესრულებული ბერძნული წარწერის ფრაგმენტი. ამ აღმოჩენამ შეიძლება ითქვას თავდაყირა დააყენა ჩვენი მოსაზრება ქალაქის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ბრინჯაოს ფირფიტაზე შემორჩენილია 26 სტრიქონი, რომელიც გაშიფრა ქალბატონმა თინათინ ყაუხჩიშვილმა. მისი აზრით ფირფიტა წარმოადგენს საკრალურ დოკუმენტს – სატაძრო საკანონმდებლო წარწერას, რომელიც პოლიგრაფიული და ენობრივი თავისებურებების საფუძველზე ძვ.წ.აღ. III საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. მე-17 სტრიქონზე წარწერა ἡ ἐν Σούρει καθύστεν ასე იშიფრება „ალიმართა სურისში.“ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ქალაქის სახელწოდებაა. სახელი „სურიუმ“, „სურიონ“. პროფესორი ნინო ხომტარია ეთანხმებოდა ვანის სურიუმთან გაიგივებას და მოიშველიებდა პლინიუსის (ბუნების ისტორია VI, II 13) და პტოლომეოსის (გეოგრაფია V, 9 6) ნახსენებ სურიუმს. წარწერაში კიდევ არის მოხსენიებული ორი ქალაქი. ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით გავითვალისწინოთ, რომ „სურიუმი“ ნამდვილად ამ ქალაქის სახელწოდება იყო.

წარწერა მნიშვნელოვანია ფუნქციური თვალსაზრისითაც, რადგანაც ის სატაძრო, საკანონმდებლო წარწერას წარმოადგენდა. ეს კიდევ ერთი მონიშნავს იმისი, რომ ქალაქი სატაძრო ცენტრი იყო. ინტერესს იწვევს მე-14 სტრიქონში მოხსენიებული სიტყვა Γυναϊκᾶν, რაც აღნიშნავს სატაძრო მონებს. ეს კი მონიშნავს ელინისტური ხანის ვანის სატაძრო თემის არსებობას, რომელიც კოლექტიურად ფლობდა სატაძრო მონებს – ჰიეროდულებს.

მე-18 სტრიქონი გაშიფრულია ასე: დედამინა (Γῆ), მზე (Ἡλιος), მთვარე (Μεῖς) ანუ მოხსენიებულია ღვთაებათა ტრიადა. აქ თვალნათლივ ჩანს საკულტო რიტუალების პოლითეისტური ხასიათი. გამორიცხული არ არის წარწერის დაკარგულ ნაწილში იხსენიებოდეს სხვადასხვა ღვთაებები. თინათინ ყაუხჩიშვილი მაინც იმ აზრისაა, რომ წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს სწორედ, ეს სამეული ღვთაებისა, რომელთა კულტი კოლხეთში დასტურდება სხვა ეთნოგრაფიული მონაცემებით.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ბრინჯაოს ფირფიტის დიდი ნაწილი შემორჩენილი არ არის, ამიტომ წარწერის სრული გაშიფვრა ვერ ხერხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთარ ლორთქიფანიძე – „რა საიდუმლოს ინახავს ვანი.“
2. დიმიტრი ახვლედიანი – „კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან.“
3. ვახტანგ ლიჩელი – „კოლხეთის და იბერიის კულტურის საკითხები.“
4. ოთარ ლორთქიფანიძე – „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი.

აკაკი თევზაძე

პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

უკვდავების ბინადარი

მოვიდა იგი – ნომბრის ნაირფერ თოვლად მოვიდა. სივრცეთა უდაბნოების იდუმალებითა და მწუხარე სიმარტოვით. მარტოსული იყო და ბოლომდე მარტოსულად დარჩა. „ყრმა გენიოსს“ ერთდროულად ასულდგმულებდა ველური ყინი ქარიშხლის და ნაზი სუნთქვა სიოსი. „ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით!“ აცხადებს ის ერთ-ერთ თავის ლექსში. მართლაც მზის საუფლოდან დაეშვა და მზის გული დაჰყვა თავარა. განგებას მასზე აღმატებული, მშვენიერი და ბედნიერი ვინ და რა უნდა ეშვა მინისა და ცის გასახარად.

გალაკტიონ ტაბიძის ბადალი ბუმბერაზი პოეტები საუკუნეებში თითო-ოროლა თუ იბადებიან მხოლოდ. „თვითმეცნობილი პოეტური გენია“ აშკარად გრძნობდა თავის გამორჩეულობას, ერთადერთობას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დიდი სიამაყით გვიცხადებს:

**„როგორც ერთია ქვეყანა მთელი –
ისე ერთია გალაკტიონი.“**

„მზე ჩემთვის ბრწყინავს, ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი.“

„... და იშვიათად თუ მობრწყინდება, სხვა საუკუნე გალაკტიონის.“ არც შეუდარებელ რუსთაველზე ფრთების დატოლებაა მისთვის შემთხვევითი, რადგან თავად წერს: „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ და „რუსთაველი – ხანია, ისიც ცხრა ანბანია,“ თანაბრად ისე, ვით „გალაკტიონ“.

მან ძალიან კარგად იცოდა თავისი პოეტური ნიჭის ფასი. უაღრესად ფაქიზი, სპეტაკი სულის შემოქმედი იყო და ხშირად აღიზიანებდა მავანთა და მავანთა ჩხირკედელაობა, სულში რომ აწვეთებდნენ სანამლავს. ბევრჯერ დასცდენია სინანულით: „გართმევთ პოეტობას? – ვამბობ დანანებით: მიეთმოეთობას თავი დაანებეთ.“ „მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების, დაუსრულებელი როცა კამათია... არ ღირს იმ ერთ ცრემლად თვალს რომ მოედება...“

სიცოცხლეშივე „საქართველოს პოეტების მეფედ“ აღიარებული სამართლიანად მიიჩნევდა თავს ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების სახელოვანი გზის გამგრძელებლად, ამიტომაც მიმართავს დიდებულ შემოქმედ ნინაპრებს: „... რომ ნაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი!“ ფრიად საგულისხმოა მისი სიტყვები: „ვინ მოგვიღია გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჩვენი ილია, აკაკი, ვაჟა — გასაკვირველი, დიდება დროთა და მათ გვირგვინად მუდამ პირველი – ტიტანი შოთა.“ უპრიანი იქნება გავიხსენოთ პოეტის ერთი უსათაურო ლექსი:

**„რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და ...“**

ბუნებრივია – მრავალწერტილში მოისაზრება სარიტმო ერთეული „გალაკტიონი“. გალაკტიონს, როგორც ილიასა და აკაკის, ძალიან კარგად ესმოდა პოეტის დანიშნულება ამ ქვეყნად. ის მუდამ ხმალშემართული იდგა თავისი ქვეყნისა და ხალხის სადარაჯოზე, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი საპროგრამო ლექსი „ჩვენ – პოეტები საქართველოსი“:

**„დავდგეთ იქ – სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი...
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ – პოეტები საქართველოსი!“**

გალაკტიონის პოეტური სიმაღლე და სიდიადე ძალიან ბევრს აღიზიანებდა, შურით აღანთებდა.

„ – არ მოსწრებია ქართულ პოეზიაში არავის იმდენი მოჯიბრე და მტკაველის დამზომელი,

რამდენიც გალაკტიონს“ (ნ. დუმბაძე) უნებლიედ მაგონდება ცხოვრების ამაოებაზე მგოდებელი, რჩეული პოეტი – ტერენტი გრანელი, რომლის გარშემო „მსოფლიო სევდის ცეცხლი“ ენთო. გრანელი საკმაოდ დიდი მასშტაბის შემოქმედი იყო და გალაკტიონთან მისი გაპაექრება – შეტოლება უხერხულობის განცდას არ ბადებს. ვფიქრობ – მას ჰქონდა საბაბი, ეთქვა:

**„გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.“**

ან

**„გალაკტიონში მინა ანათებს
და ჩემში უფრო ზეცის სხივია.“ –**

გალაკტიონში დემონურიც იყო („მიხმობს, მეძახის ჩემი დემონი“) და ანგელოზურიც, მასში მინაც ანათებდა და ზეცაც, რამეთუ ახსოვდა:

**„ზეცა – ვით ზეცა და არა მინა
მინა – ვით მინა და არა ზეცა!“**

„მას არ გააჩნდა პრაქტიკული ცხოვრების ელემენტარული უნარი, უჭირდა სხვასთან დაკავშირება და დაახლოება... ეტყობა, პოეტურმა ტალანტმა ისე მიისაკუთრა და ამონურა მთელი მისი ადამიანური შესაძლებლობა, რომ კომპესაციის არავითარი საშუალება აღარ დაუტოვა... (ვ. ჯავახიძე)

თუ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში უმწეო და არაპრაქტიკული იყო, „ყოველისშემძლე ხდებოდა, როდესაც კალამს აიღებდა ხელში“. უკიდურესად გამახვილებული პოეტური სმენითა და ღვთაებრივი ხილვის უნარით დაჯილდოებული სეისმოგრაფის სიზუსტით აღიქვამდა შინაგან და გარეგან იმპულსებს, სულ სხვა თვალთ ხედავდა საგნებსა და მოვლენებს. მის ამ განსაკუთრებულ თვისებებს უსვამს ხაზს უთვალსაჩინოესი პოეტი ი. აბაშიძე გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში „ბილიკი მღერის“, მომაქვს ამონარიდები ამ შესანიშნავი ნაწარმოებიდან:

**„იისფერ თოვლის ვნებიანად ხიდიდან ცვენა,
შუქი და ბინდი, ცა დამდნარი რთვილად და ნამად...
ო, ყველაფერი მას ესმოდა მუსიკის ენად,
ო, ყველაფერი მას ესმოდა ერთ გაბმულ გამმად.
ან იქნებ არა, იქნებ არა, იქნებ პირიქით,
საგანი თავად იქცეოდა მის წინ ბგერებად
და ყველა ვარდი, ყველა ლამე, ყველა ბილიკი
თვით იყო ჰანგი, იყო ჟღერა, ასიმღერება.
ის კი, უტყუარ ყურთასმენით, გაუგონარით,
ამ ჟღერის ტალღებს, ჟღერის წვეთებს, ჟღერის ცვარ-ნამებს
იჭერდა, რალაც მიმლეობის უცნობ უნარით,
როგორც დღის პეპლებს, ვარდის ფურცლებს, ლამის ფარვანებს.**

.....

**და იგიც, იგიც ხმებს უყვარდათ, ვით მოსვლა წვიმის,
უყვარდათ ბგერებს, როგორც ბალებს, მშივრებს და შიშვლებს;
მშობლიურ ენას მან უპოვა თვისება სიმის,
მშობლიურ სიტყვებს კვეთდა, როგორც მუსიკის ნიშნებს.
ნეტავ მის სმენას, ნეტავ იმ ხმებს, ნეტავ მის ლელვას,
ის იყო ღვიძლი დღეთა მისთა აზრის და ფერის...
არის დრო ქვეყნად, როცა მღერის საგანი ყველა –
ყვავილი მღერის, ცრემლი მღერის, ბილიკი მღერის.**

„მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს – ეს სიმღერაა გალაკტიონის“ (გ. ტაბიძე).

პროფესორი აკაკი ხინთიბიძე თავის წიგნში „მოგონებანი გალაკტიონზე“ წერს: „მე და ბარათაშვილის“ ავტორს (ავტორში იგულისხმება ა. მირცხულავა – ა.თ.) ერთ სალიტერატურო საღამოზე უთქვამს: „ლექსის ვეფხვი და გრიგალი მე ვარ და გალაკტიონი.“ გალაკტიონი შეხვედრია და ეუბნება – შესანიშნავია, ძამიკო ალიო, მხოლოდ ერთი ასო უნდა შეცვალო: „მე ვარ და“ კი არა: „მოვარდა“ – გალაკტიონი.

საყოველთაოდ ცნობილია „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის პოეტ კ. ნადირაძის ნიჰილისტური, ინდიფერენტული დამოკიდებულება გალაკტიონის შემოქმედებისადმი.

მე პირადად მაქვს მოსმენილი სასიქადულო პოეტის და მამულიშვილის ბატონი ირაკლი აბაშიძის ეს სიტყვები, ჭყვიშის გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმში, როცა უთვალსაჩინოეს ქართველ მწერლებს ვუნევდი გიდობას:

„მილიარდჯერ ჩვენზე ნიჭიერი იყო, მილიარდჯერ. სულ გვაქილიკებდა და გვაბითურებდა, ჩვენ პოეტებად არ გვთვლიდა“

მის გარშემო ხშირად გულნამცეცა, შურიანი და ღვარძლიანი ადამიანებიც ფუსფუსებდნენ, სისხლს რომ უშრობდნენ პოეტს, მაგრამ ისინი, როგორც ზღვის ტალღა გამობრძმედილ პიტალო კლდეს – ვერაფერს აკლებდნენ მის სახელ-დიდებას.

უსაზღვრო ფანტაზიის პატრონი იყო. მისი მშფოთვარე სული „სწუხს – ვით სამრეკლო ცის უდაბნოში,“ მარად ზენიტისკენ ლტოლვაში დაოსებულ მის „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.“ პოეტზე უფრო შესაბრალისი არვინ ეგულვის მთელს დუნიაზე.

**„შეგებრალება თვითონ კაენიც,
თუ კი პოეტის ჰქვია სახელი“**

ღრმა მწუხარებითა და პოეტისადმი თანაგრძნობითაა გამსჭვალული ეს გულმომწყვლელი სტრიქონები. თუმცა მის გარშემოც, როგორც რუსთველისა და სხვა გენიოსების გარშემო „ყველა დროის მღელვარება რბოდა,“ მაინც განამებული იყო ცხოვრებით. აბა, სხვა მხრივ როგორ შეიძლება ავხსნათ ამ სიტყვების დედააზრი:

**„არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე,
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.“**

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ – მახსენდება გენიალური ვაჟას ბრძნული ნათქვამი. შეუდარებელი პოეტი იყო გალაკტიონი, ამიტომაც მტერი და მოშურნეც მრავლად ჰყავდა. ამას ხომ თავადაც აშკარად გრძნობს:

**„... დუმილი გახდა ვინრო გალია,
დაუძინარი და უჩინარი,
მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,
მარად და მარად ტყდება ჩინარი.
როგორც ჩინარი – ისე პოეტი,
მისთვის სიმაღლე არის წამება,
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარავს მტერთა ცილისწამება.“**

როგორი ავი და მრისხანე ქარებიც არ უნდა ედებოდეს მის პოეტურ მწვერვალებს „ის – მაღალია, დიდია მაინც!..“ შეუპოვარი და ქედუხრელი.

ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ უდავოდ, რომ მაღალმა ღმერთმა თავისი მაღლიანი კალთა XX საუკუნის დასაწყისში ღვთიური გულუხვობითა და უშურველობით, მომეტებულად, მხოლოდ პატარა ჭყვიშს დააბერტყა, თორემ – სხვა მხრივ წარმოუდგენელია ამ ხელისგულისოდენა მიწაზე ორი სწორუპოვარი პოეტის დაბადება.

„გალაკტიონი და ტიცციანი რომ არა, ჭყვიშის არსებობა უცხოთაგან ორიოდე თავგამოდებულ ტურისტს თუ ეცოდინებოდა. საქართველოშიც ბევრისათვის ალბათ არაფრის მთქმელი იქნებოდა ეს სახელი. დღეს კი ყველამ უწყის, რომ XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის!“ (ნ. ტაბიძე). ერთი ჩვენი ცნობილი პოეტის თქმისა არ იყოს – უკვდავების ბინადარი ორი ტაბიძე მართლა ეყოფა პოეზიაში ცხრა მოდგმას.

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს 125 წელი სრულდება ღვთაებრივი გალაკტიონის დაბადებიდან. დადიოდა ჩვენს შორის კაცი „რუსთველის ტოლი თავზარდამცემი ნიჭით“, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი,“ ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ადამიანურ გრძნობათა, განცდათა, ლელვათა და მისწრაფებათა უბადლოდ აღმომთქმელი, „ძეგლთა სიმაღლით, სივრცეებში!“ სულის ნუხილის ამგები, „ლანდი – არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა,“ სამყაროს შემოქმედივით ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი, მის სიმაღლესთან – რაღა იყო სიმაღლე სხვათა?!

ქართული პოეზიის ცადაზიდულ მწვერვალთა შორის თავისი პირველყოფილი მშვენიერებითა და სიდიადით ამაყად დგას მაისის ალით აზამბახებული, ვით შეყვარებული და მეოცნებე, მალალ ზრახვათა მეფის – გალაკტიონის მწვერვალი, რომლის დალაშქვრა დღემდე ძეხორციელთაგან ვერავინ შესძლო.

ქართულ სინამდვილეში კარგა ხანია დაკანონდა პოეტისეული ვერსია; რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა. აი, ეროვნული პოეზიის განვითარების მაგისტრალური გზა. რიცხვით მეშვიდე „ოდა“ ხომ თავად გალაკტიონია, განუმეორებელი გალაკტიონი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული.

გალაკტიონი, მართალია, ქართული პოეზიის უნოყიერესი ნიადაგიდან ამოიზარდა, ჩვენი კლასიკოსების ღირსეული მემკვიდრეა, მაგრამ ამასთანავე ვერავინ უარყოფს სიმბოლისტი პოეტების: ვერლენის, ბოდლერის, მალარმეს, რემბოს, ემილ ვერჰარნის, ედგარ პოს, რუსი პოეტების – ბლოკის, ბრიუსოვის და სხვათა უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას მის შემოქმედებაზე. ქართველი და უცხოელი ლიტერატურული მასწავლებლების შეგირდობა საამაყოდ მიაჩნდა თავად გალაკტიონს, და, თუ ძალზე შორს იხედებოდა და პოეზიის უხილავ სივრცეებს გვაზიარა, ეს იმიტომ, რომ ასეთი ტიტანების მხრებზე იდგა.

„მის გამოხედვით არეებს უკვდავი ცა მიესხურათ.“ პოეტის შემოქმედება ზღვასავით ვრცელი და ამოუნურავია. მისსავე არსებაში გრძნობდა ბობოქარი ზღვის მღელვარებას:

**„და მე ვიგრძენი უეცრად, მძაფრად
– არა ჩემს გარეთ, არა რამე სხვა,
არამედ ჩემში ახმაურდა ზღვა,
ზღვა ახმაურდა!“**

სინამდვილის რომანტიული შეგრძნება განაპირობებს მისი ლექსების ცხოველმყოფელობას. ასე უშუალოდ, ასე გულწრფელად, ბევრს არ გამოუხატავს მამულის სიყვარული და წინაპართა საფლავებზე ვალალი:

**„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!
წინაპართაგან ნავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში,
მოხუცი მამა, მოხუცი მამა,
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება...
ისევ აყვავდა მდელი და კორდი!
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“**

„რაც მტრობას დაუნგრევია – სიყვარულს უშენებია“ – უთქვამს ბრძენ ხალხს. სიყვარულს შეუქმნია მსოფლიოს უიშვიათესი სულიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლები. სიყვარულმა დაბადა „ვეფხისტყაოსანი“. სიყვარულმა დაარწია გალაკტიონის პოეზიის მადლიანი აკვანი.

მისი „მერი“, „თოვლი“, „უსიყვარულოდ“... სატრფიალო ლირიკის უკვდავი შედეგებია. სრულიად ჭაბუკი აშკარად გრძნობს, რომ:

**„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სიღმაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.“**

სამშობლო ხომ გალაკტიონის პირველი და განუმეორებელი სიყვარულია, მისი პოეტური შთაგონების წყაროსთვალვივით წმინდა სათავე („აი, პირველი, აი, პირველი – რის სიყვარულიც მე მისწავლია“).

სამშობლო, საქართველოა მისი შემოქმედების მთავარი მფეთქავი ძარღვი, უკეთესად ვერც ვერავინ იტყოდა:

**„საქართველო! – აი, რა
არის შემოქმედება!..“**

მზით დაფერილ ფიქრთა ნისლოვანებში დანთქმული პოეტი დღესაც გულდაჟინებით გვიკვირებს:

**„სამშობლო არ დაივინოთ,
სამშობლო უმთავრესია!..“**

გალაკტიონი ქართული ლექსის შეუდარებელი ჩუქურთმის მჭრელია, „მღელვარე სულის“ ჩუქურთმის მჭრელი. მისი პოეტური ფენომენის ახსნა არც თუ იოლი საქმეა. „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს – ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“ – ლაღადებს პოეტი და შეუცნობელის შეცნობის დაუოკებელ წყურვილს გვიღვიძებს თავისი ზღაპრული შემოქმედების ლაბირინთებში ჩასახედად.

მისი პოეზიის ცხრაკლიტულში შეღწევას კი საუკუნეები დასჭირდება. უნებლიედ გვახსენდება ცნობილი პოეტის, გალაკტიონის ლექსთა ერთ-ერთი კრებულის (1958წ.) შემდგენელის, დიდ პოეტზე შესანიშნავი ნიგნის „უცნობის“ ავტორის ვ. ჯავახიძის სიტყვები:

„... მეც ვიცნობდი.... რადგან იგი მთელი საქართველოს რჩეული ნაცნობი იყო... ბევრჯერ შევხვედრივარ და ავდევენებივარ...“

როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით....

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თალებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა“.

„პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“.... ანდერძივით დაგვიტოვა სწორუპოვარმა გალაკტიონმა.

„...გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა მე-20 საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნ. ღუმბაძე). მასშიც იმ ერთი ვინმე მესხის გამოხედვაა, მზიური გამოხედვა, წრფელი და მოუსყიდველი. პოეტის ძარღვებში არაქართული წვეთი სისხლი არ ჩქეფდა და ძაფი – ნერვის არ იყო მასში არაპოეტის. ისიც ხომ, ვითარც ვინმე მესხი მელექსე, დაჭრილ ვეფხვივით, ოცნებისთვის გაიჭრა მშობლიურ მთა და ველებზე:

**„ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.
იყო ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სროლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი.
ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი,
ის არი სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლეს ის არი.
შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე“.**

გალაკტიონი სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი, ქართული ლექსის ნოვატორი, რეფორმატორი, ენის ჭეშმარიტი შემოქმედი. „ქართული ენა მის ხელში მორჩილია, როგორც გადნობილი ცვილი“ (კ. გამსახურდია) მისი პოეტური სახეები სასოებით ნაძერწი, რაფინირებული და ჩამოქნილია. ღმერთების ენაზე გველაპარაკა. ადამიანის სულის რხევის თითქმის ყოველი

ნიუანსის გადმოცემა შესძლო. უცნაურად ამიტომ არ გვეჩვენება ეს თამამი აღსარება: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“...

ვერც ვერვინ ჩამოართმევს კადნიერებაში ამ სიტყვებს: „არცერთ ეპოქას არა აქვს უფლება გაესაუბროს ჩემსას თამამად!“ ვინა სთქვა მისი გარდაცვალება? „უკვდავთან —სიკვდილს რა ხელი აქვს?!“

გალაკტიონი, როგორც პოეტი ყოველდღიურად იბადება და იზრდება... სიცოცხლეშივე გრძნობდა გენიალობასა და უკვდავებას. ჩვენც მხოლოდ ისლა დაგვრჩენია მისივე ნათქვამი დაუუდასტუროთ:

**„შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი“.**

მინდა ეს წერილი პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით დავასრულო:

**.... ღია ჭრილობებს სისხლი ღვარად სდის
მსოფლიო ღელვის ასე მგრძნობელი, –
ხარ შორეული, მაგრამ მარადის
ახლობელი და შეუცნობელი.**

**ცას რომ ასტრალურ სევდას მიაშლის,
ნამს ჩამოიმცვრევს ღრუბლის ცურები,–
ლურჯა ცხენების გრგვინვა-გრიალში
შენს ვულკანურ ხმას დავეყურები.**

**ტყეთა შრიალი, ფერთა ლალანი
სიმღერა მთების, ქართა ვედრება –
ხარ დიადი და ისე მაღალი,
შე ღვთისნიერო, ვინ შეგედრება?!**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ტაბიძე „რჩეული“, გამოც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1982 წ.
2. ტ. გრანელი, „ლირიკა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972 წ.
3. ი. აბაშიძე, „ასი ლექსი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1984 წ.
4. აკ. ხინთიბიძე. „მოგონებები გალაკტიონზე“, გამომც. „ლოგოს პრესი“, 2004 წ.
5. ვ. ჯავახაძე, „უცნობი“, გამომც. „ნაკადული“, თბ. 1991 წ.
6. ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. , 2000 წელი.

ელენა გამფორია

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

„შენ სივრცეებზე დაგაბინდრეს“

(გამონათქვამები დიდ გალაკტიონზე)

– „გალაკტიონ ტაბიძის დაბადებას პირველ ყოვლისა მის მშობლიურ მიწას, მის სათაყვანო რიონის ქალებს მივულოცავ; მის, სადღაც მივარდნილ სოფელს, მის ხელისგულივით პატარა ეზოს, სადაც ცვრიან ბალახში ჯერ კიდევ ფეხშიშველა ბავშვმა იგრძნო, რაა მამული, მის ცრემლივით მონყვეტილ პატარა სახლს, რომლის სარკმელშიც ველთა ზღაპრები ისმოდა, და საიდანაც შორს, ძლიერ შორს კავკასიონის მოჩანდა ქედი; მის აკვანს, საიდანაც მან ეს საკვირველი ზეცის კამარა პირველად იხილა, მთელი სიცოცხლე ეთაყვანა და სიკვდილის შემდგომაც შეპირდა: – „მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ – სიზმარი!“

ირაკლი აბაშიძე

* * *

– „გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება...“

– საქართველო მუდამ იამაყებს სამი გენიოსის სახელით. ესენი გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან აგრე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა, გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედეგებს ვერ დაწერდნენ.“

კონსტანტინე გამსახურდია

* * *

– „შენი სათნო სახე, შენი მაღლიანი, მარილიანი სიტყვა მუდამ დარჩება ხალხის მომავალ თაობათა გულში და იმედი გქონდეს, უკვდავო გალაკტიონ, რომ შენი ლექსები თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.“

იოსებ გრიშაშვილი

* * *

– „მინდოდა გამომეხატა დიდი პოეტის სული... რამდენი ხანია ამაზე ვოცნებობ... ადრედაც მიცდია გალაკტიონის დახატვა... შევქმენი კიდევ ერთი სურათი „გალაკტიონი და ლურჯა ცხენები“. ვნანობ, რომ ვერ შევძელი მისი ისეთი პორტრეტის დახატვა, როგორც ჩემს ხსოვნას შემორჩა, მაგრამ ეს მარტო ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიცაა. ისევე შეუძლებელია, როგორც მისი პოეზიის სხვა ენაზე თარგმნა.“

ლადო გუდიაშვილი

* * *

– „გალაკტიონი არის პოეტი სიმართლისა და ჭეშმარიტების, მგოსანი ადამიანისადმი გულის ნრფელი სიყვარულისა, მომღერალი საყვარელი სამშობლოს აყვავებისა და წინსვლისა.“

კორნელი კეკელიძე

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძის ლექსი უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება, მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ყლერენ, თითქო ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში.“

ტიციან ტაბიძე

* * *

– „პოეტი, როგორც გალაკტიონი იყო, არასოდეს მოკვდება, ვინაიდან მისი სიტყვები ცოცხალია და სტიმულს აძლევს ხალხს გაიმეორონ მისი სიტყვები. მე მიზნად მაქვს დასახული შევადგინო ქართული პოეზიის ანთოლოგია ბასკურ ენაზე, სადაც გალაკტიონის პოეზია ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზით მე მივცემ ჩემს ხალხს მარგალიტებს და ამავე დროს, მე პატივს დავდებ მის ხალხს, ქართველ ხალხს.“

შაბიერ კინტანა

* * *

– „ღმერთო!.. უმრავლეს ჩემს საქართველოს ბუმბერაზები. რამდენი ბედნიერების ცრემლი ჩამომვარდნოდეს გალაკტიონის კითხვისას, იმდენი სიხარული მიეცი ჩემს სამშობლოს. რამდენი ადამიანი გაეკეთილშობილებინოს გალაკტიონს, იმდენი საუკუნე ხსოვნა და არდავინწყება ამ უდიდეს კაცსა და მის ხალხს!“

ჭაბუა ამირეჯიბი

* * *

– „მე თუ მკითხავენ, ვიტყვი, რომ გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამინის ზურგზე მისი სიმალის პოეტს არ გაუვლია და რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული.“

– გალაკტიონი პარნასზე ავიდა, მან უზენაესი მწვერვალი დაიპყრო და რადგან გენიოსები დაპყრობილი მწვერვალებიდან უკან არ ბრუნდებიან, ყოველივე ის, რაც მას აღარ სჭირდებოდა და ხელს უშლიდა, მწვერვალიდან დაბლა გადმოყარა, თავად კი დარჩა თავის სწორთა მარადიულ სამყოფელში...

– არ მოსწრებია ქართულ პოეზიაში არავის ამდენი მოჯიბრე და მტკაველის დამზომელი, რამდენიც გალაკტიონს. რიგში იდგნენ და დგანან დღესაც მთელი თაობები და აზომებენ საკუთარ პატარა მტკაველს მის დედამინის გულივით გადაშლილ უსაშველოდ დიდ და თბილ ხელისგულს. ის კი დგას დალოცვილი, ღიმილიან თვალებში ეშმაკური ელვა დაუთამაშებს და გაქეზებს: კი, ძამიკო, შენმა აჯობაო...

– გალაკტიონთან ძალიან ახლოს მისვლა შეუძლებელია იმიტომ კი არა, რომ კარგად ვერ გაუგებ მას, არა, სრულებითაც არა, იმიტომ რომ იგი მოქმედი ვულკანია, თვლემს, როგორც ლავა და ღმერთმა უწყის, როდის გაიღვიძებს...

– როგორც სვეტიცხოველს უნდა ვუმზიროთ არმაზიდან, ჯვრიდან და ზედაზნიდან, როგორც ალავერდს უნდა ვუმზიროთ სიღნაღიდან და კავკასიონიდან, რათა მთელი სიდიადე შევიგრძნოთ, ისე უნდა ვუმზიროთ გალაკტიონს რუსთაველიდან, გურამიშვილიდან, ბარათაშვილიდან, აკაკიდან, ილიადან, ვაჟადას.“

ნოდარ დუმბაძე

* * *

– „საფიქრებელია, ბარათაშვილი ვერ გძნობდა თავის გენიალობას; სხვაა გალაკტიონი. გალაკტიონის ცხოვრება და პოეზია იყო განუწყვეტელი ლტოლვა ზენიტისაკენ. გალაკტიონმა იცოდა თავისი ფასი. გალაკტიონი თვითშეცნობილი პოეტური გენია იყო...“

– პოეტის გიგანტური ფიგურა მთელი სიცხადით გამოიკვეთა მისი თანამედროვე პოეზიის ფონზე და სიტყვაშეუბრუნებელი მანძილით დასცილდა საუკუნის პოეტური ცხოვრების ყოველდღიურობას, რომლის წიაღშიც იგი ტრიალებდა...

– უახლეს ქართულ პოეზიაში არ არსებობს პოეტი, რომელსაც ამდენი შედეგით გაემდიდრებინოს მშობლიური ლიტერატურა. მე-20 საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის

გალაკტიონ ტაბიძის სახელი მშობელმა ერმა ჯერ კიდევ პოეტის სიციცხლეშივე ჩაწერა უკვდავთა თანავარსკვლავედში...

– გალაკტიონ ტაბიძემ მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე გრანდიოზული ტექნიკური რევოლუცია მოახდინა ვერსიფიკაციის, კერძოდ, რიტმიკის სფეროში: განავითარა და სრულყო ძველი ტრადიციული რითმები, დაამუშავა და მწყობრ სისტემად აქცია აქა-იქ სტიქიურად მინიშნებული, თუ ცალკეულ ავტორთა მიერ შეცდომით გამხელილი რიტმები. შექმნა საკუთარი, მანამდე ქართულ პოეზიაში საერთოდ არარსებული ათეულობით რიტმი.“

მურმან ლებანიძე

* * *

– „გალაკტიონის შემოქმედებაში თავი მოიყარა ქართული ლიტერატურისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ფერებმა და ჰანგებმა. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური აკვანი ჩვენი ქართული ენაა და ამ ენის თვითმყოფადი პოეტურობაა და მისი ლექსების დაუცველი წყარო. ახლის ძიებით შეპყრობილი თვითონ აცხადებს: „პოეტები სვამდენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოჰკიდებოდათ.“

– გალაკტიონ ტაბიძე სიტყვაში თავისი სულის თრთოლვას გრძნობდა და მისთვის ლექსი სხვა არაფერი იყო, თუ არა სულიერი მღელვარების ვარიაციათა თავმოყრა. მისი ლექსის ფორმა უაღრესად არტისტულია და ქართულ პოეზიაში ძალიან ახალი...

– გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს იმ საგნების მაგიური ძალა, მიმზიდველობა აქვთ, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გიხმობენ ამოსაცნობად...

– გალაკტიონ ტაბიძისათვის ზღვა თვითონ პოეზიაა, ამაღლებული და დანმენდილი, მაგიური ძალის მომცველი და აღმგზნებელი ისევე, როგორც ლოცვა ან ფიცი.“

თამაზ ჭილაძე

* * *

— «большое чувство гордости уносиш с собой после знакомства с великим поэтом Грузии Г.Табидзе. Достойный сын своего народа своей замечательной жизнью и творчеством прославил свой край и весь Союз.»

Херсонская область

«Поэзия Г.Табидзе произвела на меня очень сильное впечатление. Она родилась выше «Эльбруса», выше «Казбека», она родилась там, где у поэта-подлинное имя-Галактика. Я очень рад, что смог побывать там, где родилась эта большая поэзия.»

Молдавский поэт Тимур Штирбу.

* * *

– „გალაკტიონი არის დიდი ქართული პოეტური კულტურის სრულყოფილი გამონათება მეოცე საუკუნეში. ამ პოეტურ კულტურას რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას მიერ დამკვიდრებულს, მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან ღირსეული შეხვედრით უნდა გავცხადებინა თავისი ეროვნულობაც მეოცე საუკუნეში...“

– გალაკტიონი ჩვენს ფიქრს აყენებს უდიდეს განზომილებათა წინაშე, სულითა და ხორციტ გვამაღლებს იმ განზომილებათა შეცნობისას, რითაც მეოცე საუკუნის ადამიანის ფილოსოფიური აზრი არის დაპყრობილი.“

ჯანსუღ ღვინჯილია

* * *

– „ჩვენს მწერლობაში ერთბაშად ამოხეთქა გალაკტიონის პოეტურმა გენიამ. წინამურში ტრაგიკულად შეწყვეტილ „დიდი ეპოქის“ გულისძგერას თითქოს გენეტიკურად დაუკავშირა

განგებამ მეორე თარიღი — ქართული ლექსის ისტორიაში „ახალი პოეტური ნელთაღრიცხვის“ დაბადების თარიღი.“

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

* * *

– „... ეს კი შემოძლია ვუთხრა რუს მკითხველს, რომ გალაკტიონი ქართულად ჟღერს ღვთაებრივად. მინდა რომ რუსი მკითხველი მერწმუნოს: გალაკტიონი ბუმბერაზი პოეტია!..“

ბელა ახმადულინა

* * *

– „ვის ჰგავს გალაკტიონი? არავის. ვით საქართველო არ გავს არც ერთ სხვა ქვეყანას... გალაკტიონი იმათგანი იყო, ვინც დღენიადაგ იღვწის ხალხის სულის შესანარჩუნებლად. იგი მარად დარჩება საქართველოს პოეტურ ხმად და ხატად — პოეტმა ეს დაიმსახურა.“

– გალაკტიონი რომ გამხდარიყავ, საუკუნეთა მხრებს უნდა დაყრდნობოდი, გალაკტიონივით უნდა გეცხოვრა, საკუთარი მხრებით უნდა შესდგომოდი საუკუნეებს. ვის გავს გალაკტიონი? არავის. ვით საქართველო არა ჰგავს არც ერთ სხვა ქვეყანას.“

ვიტალი კორიტჩი

* * *

– „გალაკტიონი იყო მორიდებული, თავმდაბალი, კეთილი და რბილი ხასიათის, მას იშვიათი მხატვრული გემოვნება, პოეტური გაქანება და სიღრმე ახასიათებდა. იგი არის ავტორი რამდენიმე ათეული ისეთი შედევრისა, რომლითაც თავისებურად იამაყებდა ყოველი დიდი ლიტერატურა, დიდი პოეზია...“

– გალაკტიონი მუსიკას თვლიდა პოეზიის უმაღლეს გამოვლინებად, ლექსის ბუნებრივ სანყისად. მისი თქმით, მუსიკა უპირველეს როლს ასრულებს ლექსში. იგი ოცნებობდა პოეზიაზე, რომელიც მიუახლოვდებოდა მუსიკას...“

– გალაკტიონს ნამდვილად ახასიათებდა მუსიკოსის სიყვარული მუსიკისადმი. იგი მუსიკალური იყო თავისი სულით, მას ბუნებაში ესმოდა ისეთი ხმები, რომლებიც მანამდე არავის გაეგონა...“

– გალაკტიონში ბუნებრივად იყო შერწყმული სიბრძნე და ბავშვური გულუბრყვილობა...“

– გალაკტიონის აზროვნება იყო ყოველთვის პოეტური და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც თხზავდა. იგი ფლობდა დიდ პოეტურ კულტურას...“

– გალაკტიონს ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს უშუალოდ ითვისებდა, უყვარდა მშვენიერება ყველა თავის გამოვლინებაში-პოეზიაში, ბუნებაში, ადამიანებში...“

– გალაკტიონი მიუთითებდა: „პოეტი მრავალმხრივად უნდა იყოს განსწავლული, ცალმხრივობა და შეზღუდულობა მტერია ქვეყნისა...“

– გალაკტიონს კარგი ხმა ჰქონდა, მრავალი ქართული სიმღერა იცოდა. გ.ქუჩიშვილთან ერთად შესანიშნავად მღეროდა რთულ გურულ სიმღერებს, ე.წ. კრიმანჭულს. ხშირად უთქვამს ჩემთვის — „განსაკუთრებით ლექსის წერის დროს ვარ სიმღერის ხასიათზე, ლექსს ჯერ გონებაში გავმართავ მუსიკალურად, ჩემთვის დავამღერებ კიდეც და შემდგომ გადამაქვს ქალაღებზეო.“

შალვა რადიანი

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება საამაყო მთელი ქართველი ხალხისათვის და ამ სახლში ყოველთვის მოწინებით მოიდრეკენ მუხლს მისი პოეზიის პატივისმცემლები არამარტო ჩვენს დროში, არამედ მომავალშიც.“

გრ. აბაშიძე, ნ. აგიაშვილი, დ. შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვა.

* * *

– „ტალღას ნადირის ღმუილი დასცდა, ნაპირს მოაწყდა თავანყვეტილი, გალაკტიონი მივიდა ზღვასთან და ზღვა გამოჩნდა როგორც წერტილი.“

ლილი ნუცუბიძე

* * *

– „ძეგლის ღირსი ხარ, რადგან სული უკანასკნელი შენ ერთ სიყვარულს, ხელოვნების ტაძარს შესწირე!“

ნ. უშვერიძე

* * *

– „ადამის დროიდან კაცობრიობის განვითარების მანძილზე, დიდია პოეტთა რაოდენობა და მნიშვნელობა მათი შემოქმედებისა. ამ გამოჩენილ და სახალხო პოეტთა შორის გალაკტიონი უკვდავია, რადგან მან შთაბერა ქართულ პოეზიას კიდევ ერთი ლეგენდარული სული.“

ტ. გახარია

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძეს — ქართული პოეზიის მთავარანგელოზს, — აგრეთვე არ შეეფერება მანკიერი რამ ისე, როგორც სერაფიმის ფრთას — მტვერი და ჭუჭყი.“

აკაკი განურელია

* * *

– „ძალიან სასიამოვნოა, რომ სახლ-მუზეუმს არ მოეპოვება სურათი გალაკტიონის მამისა... ძალიან სასიამოვნოა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს გალაკტიონი იყოს ჩვეულებრივი მოკვდავი... ალბათ, სულ რაღაც ერთი თუ ნახევარი საუკუნის შემდეგ, მის სახელს და ცხოვრებას, ქრისტეს მსგავსად, ყოველივე ადამიანური ჩამოშორდება და გალაკტიონი დარჩება ღვთაებად... ეს იქნება მომავალი საუკუნის მითი...“

თ. ნუცუბიძე

* * *

– „სულიერი მატერია, რომელმაც მოიცვა და შეიწოვა ნახევარი საუკუნე — აი, გალაკტიონი... ყველა ასაკი ემორჩილება გალაკტიონს და ყველა წოდებაც მკითხველთა მოდგმისა.“

ვლადიმერ ლეონოვიჩი

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია წკრიალაა, ვით ციდან მონასმენი ზარის რეკვა, ას წელიწადში ერთხელ რომ მოესმით ხოლმე ლიტერატურაში. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია პოეზიაა ყოველი დროისა.“

ია ეკალაძე

* * *

– „გალაკტიონის ლირიკაში ბუნებისეული ყველა მოვლენა — მთა, ტყე, ნაკადული, მდელო და ველი, ზღვა და ზღვისპირი — გულით დანახული, წარმტაც რეალობად წარმოჩენილი ის სამყაროა, სიცოცხლისა და სიყვარულის პრიზმაში გამოტარებისას რომ გარდაიქმნება ამაღლებულ ესთეტიკურ რეალობად“.

სიმონ არველაძე

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძემ უდიდესი გავლენა მოახდინა ახალ ქართულ პოეზიაზე. დღემდე ქართული პოეზიის ყველა მნიშვნელოვანი ნაკადი გ. ტაბიძის პოეზიის სათავეებიდან მოედინება, და არ ყოფილა ჩვენი დროის ქართველი პოეტი, რომელსაც მისი გავლენა არ განეცადოს.“

გრიგოლ აბაშიძე

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოვებული ღვთიური ცეცხლით. მისი სევდა უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა.“

ალ. აბაშელი

* * *

– „სხვა მრავალმხრივ თავისებურებათა გამობრწყინებასთან ერთად, გალაკტიონი გახდა უდიდესი კლასიკური მაგალითი და მარადიული ნიმუში, თუ როგორ შეიძლება დედაენის ძალმოსილების გამომჟღავნება და ჩვეულებრივი სიტყვის აყვანა მხატვრულ გენიალობამდე და ენობრივი სიმარტივე პოეტურ ჯადოქრობამდე.“

ტიტე სულაბერიძე

* * *

– „გალაკტიონის პოეზია თავისი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა ქართველმა ხალხმა და არამარტო ქართველმა ხალხმა, რადგან ის მომავალს ნათლად ჭვრეტს და თანაც ყველაზე უფრო კარგად.“

ნოდარ ანდრიაძე

* * *

– „რა უნდა შემატოს ჩემმა სიტყვებმა ამ მიუწვდომელ და განუზომლად დიდ პოეტს. მგონია, რომ მისი გენიალური პოეზიით, სიტყვათა ელვარებითა და ნავარდით ღმერთები ლაპარაკობენ.

საოცრად დიდი ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ! — ღვთისაგან გამორჩეულად ნაკურთხი და ხელდასხმული!“

ომარ კაპანაძე

* * *

– „გალაკტიონის პოეზია ქართული სიტყვის გამოვლენაა, ფოლკლორული ელემენტებით გამდიდრებულიც, გამძაფრებული და აღმატებული. მისი ლექსები საზრდოობს იმ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, პოეტური ხილვითა და გააზრებით, რომლებიც ნიშანდობლივია ქართული ფოლკლორისათვის. ალბათ არავის ისე ღრმად და მრავალფეროვნად არ გამოუხატავს ქართველი კაცის მეოცნებე ბუნება, როგორც ეს გალაკტიონმა მოახერხა. ალბათ, არავის ისე სრულყოფილად არ წარმოუჩენია ქართული სულის მთრთოლვარება, როგორც ეს გალაკტიონმა შეძლო.“

ფიქრია ზანდუკელი

* * *

– „ქართული ლექსი, ქართული პოეზია, ჭეშმარიტად, ორპირის ხაზით გაიმართა მსოფლიო რადიუსით და პატარა ჭყვიშიც სამართლიანად ითვლება მე-20 საუკუნის ჩვენი მწერლობის მექადა.“

აკაკი თევზაძე

* * *

– „მუსიკის, პოეზიისა და ფერწერის ბედნიერი შერწყმა იშვიათად ხვდომია წილად სიტყვის ოსტატებს. გალაკტიონმა თავის მხრივ განადიდა ფუნჯის ოსტატთა გენიის ძალა, ყალმით შექმნილი პოეზია.“

სიმონ არველაძე

* * *

– „გალაკტიონი განსაკუთრებით გამორჩეულია. ზოგიერთ მხატვარზე ამბობენ – პოეტურიაო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი გალაკტიონი უაღრესად ფერწერულია.“

უჩა ჯაფარიძე

* * *

– „გალაკტიონი ვირტუოზია არამარტო ლექსისა, ქართული ენის შემოქმედიცაა. მისი ლექსი და პოეტური სახეები – ეს არის რაღაც უჩვეულო, გაუგონარი, აროდეს ნახული, შეუდარებელი და ბრწყინვალე ფერია. ვაგლახ, რა ადრე შეწყდა ამ დიდი ორფეოსის გულისცემა.“

კონსტანტინე გამსახურდია

* * *

„ჩუქურთმის მჭრელო, ოქროპირო, კაცო ალალო,
გულის ფესვიდან ამომსკდარო სიტყვავ ნათელო,
არ ჩაუვლია შენს სიმღერას, შენს ლექსს ამაოდ,
შენს წმინდა სახელს უკვდავ ნათელს ფენს საქართველო.“

ოსებ ნონეშვილი

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან გამოდის ხმები ნაზი და სალუქი, გულისმომწყვლელი და ამაღლევბელი. ხშირად ეს ხმები ისეთი მომხიბლავია, მიმზიდველია, მახლობელი და სულში ჩამწვდომი, რომ განცვიფრებული დგები ამ ტაძრის წინაშე და... თითქოს გაბედნიერდი...“

შალვა დადიანი

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძემ, როგორც მხატვრული სიტყვის შეუდარებელმა ოსტატმა, ჩვენი ცხოვრების ყველა კუნჭულში ჩაიხედა და საკუთარი თვალით დანახული ბრწყინვალე სტრიქონებში გადაიტანა, საუკუნე მხრებით აზიდა და თვით უკვდავებაში გადასახლდა.

– გალაკტიონის პოეზია ტკბილია, ვით რძე დედისა. „გალაკტიონის პოეზია პოეზიაა ყოველი დროისა“, იგი (გალაკტიონი) ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა.

– ფართო საზოგადოებისათვის გალაკტიონი იყო ერთ-ერთი შეუდარებელი ორიგინალური ხილვების მქონე შემოქმედი, რომლის ბადალი ერთობ ძნელია მოიძებნოს თანამედროვე მხატვრულ ოსტატთა შორის.“

გიორგი ახოვაძე

* * *

– „ამ საუკუნეში ჩვენ არ გვეგულება მეორე ქართველი პოეტი, რომელიც ასეთი დიდი მასშტაბით ამაღლებულიყოს ქვეშარიტი პოეზიის მწვერვალამდე.“

დიმიტრი ბენაშვილი

* * *

– „გალაკტიონის ლექსის იდუმალი მუსიკა — პირველი და ალბათ, ყველაზე დიდი ესთეტიკური სიხარული, რომელიც კი ოდესმე ლირიკისაგან მიმიღია.“

– „გალაკტიონი, საუკეთესო შემთხვევაში, არათუ გრძნობს, ხედავს კიდეც სიტყვების „აურას“.

– „მისი პოეზიის აღქმა არაა ადვილი, მაგრამ ჰერმეტიულიც არ არის, გახსნილია, ემოციურად ყოველთვის გასაგებია.“

დავით ნერედიანი

* * *

– „მუდამ არსებობდეს ქვეყანაზე ერი, რომელსაც ჰყავს ისეთი დიდი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ: გალაკტიონი და ტიცინი!“

ნინო ბურჯანაძე

* * *

– „გენიოს ადამიანებზე შთაბეჭდილების, აზრის, ემოციის გამოთქმა ვერ წარმომიდგენია... მაშინებს და მერიდება... მერიდება იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს გალაკტიონი! გაღმერთებულად, მონონებით, ალტაცებით... სჯობს ჩუმიად ვიყო, როგორც საყდარში...“

მადლიერი სტუმარი — მედეა ჩახავა

* * *

– „უდიდეს მსგავსებას ვხედავ გალაკტიონსა და ბეთჰოვენს შორის. ორივე მიმაჩნია სამყაროს პირველ სასწაულად.“

ინჟ.ტექნ. ნ.ჭელიძე

* * *

– „გალაკტიონის მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმა ყოველი ქართველისათვის უდიდესი ბედნიერებაა და მეც ტანში ჟრუანტელი მივლის...“

პროფესორი — ანდრო ლოსაბერიძე

* * *

– „რამდენჯერაც უნდა შევაბიჯო დიდი გალაკტიონის ბინაში, იმდენჯერ განვიწმინდები სულიერად, ისე როგორც ეკლესიაში... მიბრუნდება ძალა, რწმენა...“

დოდო აბაშიძე

* * *

– „კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ გალაკტიონის ტექსტებზე დაწერა სიმღერები „თეთრი გედი“, „სიმღერა საქართველოზე“. გენიალური ლექსის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ მიხედვით დაწერა „ვედრება“, რომელსაც კომპოზიტორი ქართულ „ავე მარიას“ უწოდებდა.“

არჩილ კერესელიძის მეუღლე ნაზი ჭავჭავანიძე-კერესელიძე

* * *

– „რა ყოფითი და მხოლოდ მიწიერი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არ ყოფილიყო მისი პოეზია. რა სილამაზე მოაკლდებოდა ხელოვანებს... ხელოვნების ადამიანებს... ღმერთო, ეს ფოთლების შრიალი მის ეზოში, ეს იასამნის ტოტი მის პატარა ოთახის ფანჯარაში, ეს

პატარა სახლი გულისტკივილამდე ძვირფასია. გმადლობ, რომ შენ იყავი და იქნები ჩვენი შთამომავლობისთვის...”

მედეა ჯაფარიძე

* * *

– „გალაკტიონი ქართული სულის სიმაღლე, სილამაზე და სიმხნევეა! იგი მარადისია, როგორც დრო! ჩემი თაყვანი მზიურ სახეს!“

პოეტი გ. ძნელაძე

* * *

– „იგი (გალაკტიონი) მართლაც არის ქართული შემოქმედებითი გენიის ისეთი საოცრება, რომლის მსგავსი ჩვენს მარავალსაუკუნოვან ლიტერატურას არავინ მოეძებნება.“

იზა ორჯონიკიძე

* * *

– „გალაკტიონ ტაბიძე დიდი ლირიკოსი პოეტია. ლირიკა გულისნადების გამჟღავნებას ჰგავს და ამ გამჟღავნების ფორმა დიდი ფიქრითა და ტკივილით იძებნება ხოლმე. გალაკტიონმა თქვა: „რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიანო!“

– „გალაკტიონის სახელი ქართული პოეზიის სიამაყედ დარჩება, რადგან გალაკტიონ ტაბიძე იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „საუკუნეთა განმავლობაში თვლიდნენ სიამაყეს სიკვდილამდე უმაღლესად, დიდებას ამა სოფლისას ამაოებად და ახსოვდათ მხოლოდ დიდება- მარადისი.“

შალვა რადიანი

* * *

– „განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია უმთავრესი პრინციპი, რასაც გ.ტაბიძის პოეტური სისტემა ეფუძნება — ესაა მუსიკალური ეფექტი. აკი, მის შესახებ თავად აცხადებს „მანიფესტში“: „ვმღეროდი დამთვრალ ყვავილთა მტვერში, ვმღეროდი ტრფობის და მტრობის ხმაზე, მსურდა ყოველთვის და ყველაფერში, მუსიკა, გრძნობა და სილამაზე.“

– „ძნელი ამოცანის წინაშე ვიდექი, როცა გალაკტიონის ლექსების თარგმნას მოვკიდე ხელი. თარგმნისას მიზნად დავისახე არა ის, რომ უბრალოდ გადამეტანა იტალიურში გალაკტიონისეული ტექსტი, არამედ იტალიელი მკითხველისთვის მიმეწოდებინა გალაკტიონ ტაბიძის საოცრად კონსტრასტული, დიადი და ამდენად „უთარგმნელი“ პოეზიის ჩემეული ნაკითხვა.“

ლუიჯი მაგარეტო

* * *

– „გალაკტიონი გენიოსი იყო და მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ ახსნას.“

– „საერთოდ, პოეტის ცხოვრებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ იგი უზარმაზარ ფარულ ენერგიას ფლობდა. არაერთხელ ჩავარდნილა ურთულეს მდგომარეობაში, ყოფნა-არყოფნის ზღურბლზეც მდგარა და გაჭირვებიდან თავდაღწეული სულ მოკლე ხანში ფენიქსისებრ განახლებული წარმოჩენილა.“

ნოდარ ტაბიძე

* * *

– „...მისი განსაცვიფრებლად მგრძნობიარე პოეტური ნერვები კამერტონივით აბრუნებდნენ პოეტის სულზე დარხეული ურთულესი ყოველდღიურობის ექოს....

– როგორ ჰგავს თბილისში მდგარი გალაკტიონის სიმბოლურ ძეგლს თვით საქართველო: თით-ქოს ახლიდან ამოსვლას ლამობსო, ქარისაგან ნვერგახრილი, თავანული, ღონიერი ქედითა და შორს გამიზნული მზერით დგას იგი, საუკუნის მოხუცი, ბიბლიურად ლამაზი და დაუჯერებელი. დგას და თავისი ნერვული ხმით დროჟამს გასძახისო: ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა, დაისერა მსოფლიო გამოუცნობ ნყლულებით.

– მეოცე საუკუნეში არავის მოუხდენია ქართულ მწერლობაზე ესოდენ გრანდიოზული გავლენა და დღესაც, თითქოსდა, გალაკტიონის მისწერი ხელი მართავს თანამედროვე ქართულ პოეზიას.“

რევაზ მიშველაძე

„საქმიან შენთან გამოგაჩინოს“ – ბეჟან ნაქაძე

როგორც ქორონიკონი მოგვითხრობს, პირველი ქრისტიანები, ძირითადად, კატაკომბებში, მონამეთა საფლავებზე, (ან იშვიათად სახლებში), იკრიბებოდნენ და იქ აღავლენდნენ წირვალ-ლოცვას. მას შემდეგ, რაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა, ტაძრების შენება დაიწყო. ქრისტიანის სულიერ ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადო ღვთისმსახურებას. ამიტომაც ენიჭება ეკლესია-მონასტრების შენებას ესოდენ შეუდარებელი და დიდი მნიშვნელობა. ქართველი კაცი ძნელბედობის ჟამსაც კი აგებდა ტაძრებს, რომელშიც კეთილსინდისიერ სასულიერო მოღვაწეთა საქმიანობა მუდამ იყო მიმართული ზნეობრივი განმწმენდისა და სიმტკიცის, ერის მთლიანობის, პატრიოტულ-მამულიშვილური განწყობისა და საგანმანათლებლო დონის ამაღლების კეთილშობილური საქმის სრულყოფისაკენ. ქართველთა შორის მართლმადიდებლობა შერწყმული იყო ქართველობის მცნებასთან.

კეთილი საქმე, მაშინ არის წარმატებული, როდესაც მას ღვთისა და ხალხის, მოყვასის სიყვარული უდევს საფუძვლად. ეს ფენომენი პიროვნებას ისე აკეთილშობილებს, რომ სურვილი უჩნდება უფრო და უფრო მეტი გასცეს, მოწყალება გაილოს და ქვეყნის სასიკეთოდ გაისარჯოს. ყველაზე მთავარი კი, ის არის, რომ სიკეთის კეთება ამ ადამიანებს შინაგან მოთხოვნილებად აქვთ ქცეული. ასეთები, ჩვენს პატარა რაიონს, უფლის წყალობით ჰყავს. „მატიანეს“ საშუალებით უკვე გავაცანით მკითხველს ერთ-ერთი მათგანი. „არ ყოფილა თითქმის არც ერთი დღე, რომ ვანზე არ მეფიქროს“ — ასე წარმოგვიდგა მაშინ ბიზნესმენი, ქველმოქმედი და მეცენატი, ბატონი ბეჟან ნაქაძე, რომელსაც 2012 წელს, ვანის საკათედრო ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის სიგელი გადასცეს. როგორც აღვნიშნავდით, აქ, ჩვენს რაიონში გაიარა მან მოღვაწეობის ჩვიდმეტწლიანი გზა, ერთ-ერთი უდიდესი ახალგაზრდული საწარმოს ეკონომიკური სამსახურიდან, საგადასახადო ინსპექციის უფროსამდე. გავიდა წლები, დღეს იგი ერთ-ერთი ცნობილი ქველმოქმედი, რომლის საქველმოქმედო არეალი ისე გაიზარდა, რომ საუბარი არაერთ ტაძარზე მოგვინევს, რომელსაც უშუალოდ ჩვენი რესპონდენტი აშენებს, შეენია თუ შეენევა...

დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ბეჟან ნაქაძე, დღიდან დაფუძნებისა, გვერდით უდგას ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრსაც. უანგარო და უზადოა მისი დახმარება და ხშირად ვამბობთ იმასაც, რომ, რომ არა ამ ღვთისნიერი კაცის წამოშველება, ალბათ ჩვენს სამსახურსაც ასეთი წინსვლა არ ექნებოდა.

– ბატონო ბეჟან, თავიდან იმით დავიწყოთ, რომ თქვენი აზრით, რა განსხვავებას ხედავთ იმაში – იყოთ ჩვეულებრივი ბიზნესმენი და აშენებდეთ ამა თუ იმ საერო შენობა-ნაგებობებს და მეორეს მხრივ, აშენებდეთ ეკლესია-მონასტრებს და შეხება გქონდეს მარადიულობასთან...

– ძალიან დიდი განსხვავებაა აშენებდეთ საერო შენობებს და აშენებდეთ, ან თუნდაც მონაწილეობას იღებდეთ ეკლესია-მონასტრების შენებაში. საერთოდ, მშენებლობა ღვთიური საქმეა, უდიდეს ბედნიერებას გაძლევს ადამიანს ის განცდა, რომ შენს მიერ აშენებულ სახლში ადამიანები ბედნიერად ცხოვრობენ. როცა შენს მიერ შექმნილი შენობის წინ დგახარ და მას უყურებ, ამაყი ხდები კაცი, რომ ამდენ ოჯახს ბედნიერება მიანიჭე, მაგრამ ყოველივე ამას მაინც კომერციული დატვირთვა აქვს. ხოლო ეკლესია-მონასტრების შენება ან სხვა საქველმოქმედო საქმიანობისაგან მიღებული სიამოვნება, შეუდარებელია. ეს გაძლიერებს და უდიდეს რწმენას გაძლევს.

– რომელი იყო ის პირველი ტაძარი თქვენს ცხოვრებაში, რომელსაც შეენით ან პირველი ტაძარი, რომელიც თქვენ ააშენეთ?

– ბევრია ტაძრები, რომელშიც შენირულობის სახით მაქვს მონაწილეობა მიღებული, ხოლო პირველი ტაძარი, რომელიც მე ავაშენე, ეს იყო თბილისში – საპატრიარქოს ტელევიზიის ეზოში.

– თითქმის ორი წელი გავიდა კრებულ „მატიანეში“ თქვენი ინტერვიუს გამოქვეყნებიდან და ინტერესი თქვენი საქმიანობისადმი არ განელეზულა. როგორც ვიცით, მოცემულ პერიოდში, ჩამონათვალი ტაძართა მშენებლობისა და თქვენს მიერ გაღებული შეშნეობისა, ჩვენს რაიონში, საკმაოდ გაიზარდა. გთხოვთ გვიამბოთ ამის შესახებ ...

– მომდევნო ტაძარი მე ავაშენე ჩემს სოფელში – მეორე სვირში. შემდეგი იყო, დიდი გალ-აკტიონის მშობლიური სოფელი-ჭყვიში. მივიღე მონაწილეობა, ზედა ვანის ეკლესიის აღდგე-ნაშიც. ამჟამად, იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ზესტაფონში, იწყება ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი – მარგვეთ-უბისის ეპარქიის საკათედრო ტაძრის მშენებლობა, გალავნის ჩასხმას ვამთავრებთ მახათას მთაზე მშენებარე ტაძრისას და ალბათ, ამ ჩამონათვალთ არ დასრულ-დება ყოველივე. უფლის განგება თუ იქნება, კვლავაც ვაპირებ ამ მიმართულებით მუშაობას, რამეთუ ნათქვამია: „ადამიანი ფიქრობს – უფალი განაგებს.“

– იმედი გვაქვს ეს ყველაფერი, უფრო დიდებულის დასაწყისი იქნება. რას გეგმავთ სამომავ-ლოდ ჩვენთან ბატონო ბეჟან? კიდევ რით უნდა გაახაროთ თქვენი „საფიქრალი“ რაიონი?

– რაც შეეხება ვანს, აქ რამდენჯერმე ნათქვამს კვლავ გავიმეორებ, – ეს ჩემი უსაყვარლესი რაიონია, სადაც მე ფაქტიურად ჩამოვყალიბდი, როგორც პიროვნება და თუ რამ კარგი და ფასეულია ჩემში, ეს ვანისა და ვანელების დიდი დამსახურებაა.

როგორც კი საშუალება მომეცა, რომ დავხმარებოდი ქვეყანას, ადამიანებს, ეს ყველაფერი ვანიდან დავიწყე. ჯერ კიდევ 2002 წელს, სამტრედიის შემოსასვლელიდან ვანში, მაღალყოვ-ლაღუსამღვდლოესი მეუფე ანტონის ლოცვა-კურთხევით, ეპარქიის აღმნიშვნელი დიდი ჯვარი აღვმართეთ. შემდეგ იყო სასულიერო სკოლა-გიმნაზია ვანში. შენობის რეკონსტრუქცია და რემონტი-დამერწმუნებით ლამაზი გამოვიდა. ამავე სკოლაში, მოსწავლეებისა და მასწავლე-ბლების მოტივაციის ამაღლების მიზნით, დავანესე ფულადი პრემიები პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეთათვის, ასევე მათი მასწავლებლებისთვისაც.

ბევრ ვანელს დავხმარე და ვეხმარები, როგორც ჯანმრთელობის აღდგენაში, ასევე სხვა მატერიალური პრობლემების მოგვარებაში.

ამჟამად, ვფიქრობ, ჭყვიშის წმინდა დავითის სახელობის ეკლესია წლის ბოლომდე დავას-რულო. შემდეგ ნაბიჯებს კი უფალი გვიკარნახებს.

– და ბოლოს, მთელ რიგ სახელგანთქმულ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, თქვენ ამავდროულად ბრძანდებით, ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის, სამეცნიერო კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. როგორ შეა-ფასებდით ჩვენს ერთობლივ თანამშრომლობას? რას ფიქრობთ დღევანდელი გადასახედიდან ჩვენი მუშაობის შესახებ?

– ჩემთვის უდიდესი პატივია ამ სახელოვან ადამიანთა ჯგუფთან ერთად საქმიანობა, თუმცა ჩემი საქმიანობა მცირეა. ისინი ჩემს ჩართვამდეც აკეთებდნენ ყოველივეს და მე მხოლოდ მცირედით შევეხიდე. მათ მუშაობას უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათ-ვის. ნათქვამია: „იმას, ვისაც სარგებლობის მოტანა სურს, შეკრული ხელებითაც უსაზღვრო სიკეთის გაკეთება შეუძლია.“

ასე რომ, დიდ წარმატებას ვუსურვებ მათ დაწყებული საქმის კეთებაში. მე შევეცდები კვ-ლავაც დავეხმარო...

მეგონა ჩვენი რესპონდენტის კეთილ საქმეთა ჩამონათვალის ამონაწილს მივუახლოვდი, მა-გრამ – არა. აქ, ვანი-ბაღდათის ეპარქიის სასულიერო გიმნაზიის, წარმოჩინებული სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების აღმშენებლობაში შეტანილმა წვლილმა „ქვათა ღაღადის“ როლი შეასრულა. არც ამ შემთხვევაში დაუკარგავს სანთელ-საკმეველს თავისი გზა. პირიქით, უანგაროდ გაკეთებულ სიკეთეს, თავიდანვე სწორი გზა აქვს ნაპოვნი და მიზანს მართებულად ემსახურება. ყველაფრის შემდეგ გიჩნდება კითხვა საკუთარ თავთან-თურმე, აქამდე, რამდენი რამ არ ვიცოდით ამ პიროვნების შესახებ... თურმე რა ჩუმიანი ჭეშმარიტი სიყვარულით გაკეთე-ბული მადლი...

– „სრულიად გეთანხმებით, – წერილობით დაგვერწმუნა საქართველოს საპატრიარქოს, წმი-და მოციქულთასწორის ნინო ქართველთაგანმანათლებლის სახელობის ვანის მართლმადიდე-

ბლური გიმნაზიის რექტორატი, – მაღლის კეთება მაღლიანი კაცის ჩვევად ქცეული საქმეა. გაკეთებული სიკეთის დაუნახაობა, უმადურობის თაიგულია, რომელიც სიკეთის კეთების სურვილს მოუკლავს არა მხოლოდ სიკეთის მიმბაძველს, არამედ იმ ადამიანსაც, რომელიც მაღლის მარცვლებს თესავს იმისათვის რომ მოსავალი სხვამ მოიმკოს!

ბატონი ბეჟანის ქველმოქმედებას არაერთი ადამიანის გული გაუთბია, არაერთ ორგანიზაციას თუ ეპარქიას დადგომია გვერდით და თავისი წვლილი გულუხვად შეუტანია მის აღმშენებლობაში. გამონაკლისი არც ვანისა და ბაღდათის ეპარქიაა და არც საპატრიარქოს მართლმადიდებლური გიმნაზიაა ქალაქ ვანში. წლების წინათ, როდესაც გიმნაზია შეძლები-სდაგვარად თავისი მწირი ბიუჯეტით მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობდა რეაბილიტირებული შენობის ინტერიერის და ექსტერიერის მოწყობისთვის, ბატონმა ბეჟანმა თავის თავზე აიღო შენობის წინა ფასადის და სახურავის შეცვლა გიმნაზიის შენობისთვის და პრაქტიკულად განახორციელა კიდეც.

გიმნაზიასთან მისი ურთიერთობა ერთჯერადი არ ყოფილა. იგი როგორც განსწავლული და მიზანდასახული ადამიანი, სტიმულს აძლევს ნიჭიერ გიმნაზიელებს და ყოველწლიურად მაღალი საფეხურის სამ წარჩინებულ კურსდამთავრებულს და მათ აღმზრდელ პედაგოგებს ფულადი საჩუქრით აჯილდოებს. სტუმრობს კიდეც გიმნაზიას და მუდმივ მზადყოფნას აცხადებს თანადგომისთვის.

ვანის მართლმადიდებლურ გიმნაზიას ბატონი ბეჟანი ეიმედება და მაღლიერებით აღნიშნავს მის ყოველ თანადგომასა და ქველმოქმედებას“...

მაღლობის მეტი რა გვეთქმის ამ კეთილშობილი ადამიანის მიმართ. უფალმა უმრავლოს ჩვენს პატარა რაიონს და სრულიად საქართველოს მისებრ თავდაუზოგავი, სიკეთის ქმნით გულანთებული ქართველები. მაღლი თქვენს მარჯვენას ბატონო ბეჟან...

პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წლები)

1918 წ. გაზეთები საქართველოში ქართულ ენაზე მხოლოდ ხუთ ქალაქში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთსა და ფოთში გამოდიოდა. მათი დიდი ნაწილი ცალკეულ პარტიათა გამოცემას წარმოადგენდა და შესაბამისად ამა თუ იმ პარტიის ინტერესების გამომხატველი იყო. 1918 წ. 28 მაისს, ახლადშექმნილი რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ყოველდღიური სამთავრობო გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსების შესახებ. შესაბამისად, მიღებული იქნა კანონიც და მის პირველ რედაქტორად გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი პ. ქავთარაძე დაინიშნა. გაზეთის პირველი ნომერი 25 ივლისს გამოვიდა. მოგვიანებით, 1918 წელსვე რედაქტორად პ. საყვარულიძე დაინიშნა. ბუნებრივია, რაკი გაზეთი მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო, ის ხელისუფლების ინტერესების დამცველს წარმოადგენდა. თავისი პირველი ნომრის მონივნავეში იგი წერდა კიდევ, რომ მთავრობის ამ ოფიციალურ ორგანოში „განუწყვეტლივ იმეტყველებს მთელი ხალხის საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ სახელ-მწიფოებრივი ენა, კანონი და სამართალი.“¹

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსვლასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ გააუქმა გაზეთი „კავკაზი“, რომელიც მანამდე უპირველეს ორგანოს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა, 1918 წ. ქართულ ენაზე შემდეგი გაზეთები გამოდიოდა თბილისში: „ალიონი“, „ახალი საქართველო“, „ახალი სხივი“, „ბრძოლა“, „ერთობა“, „თავისუფალი გზა“, „კლდე“, „მათრახი“, „მუშის ბრძოლა“, „რაჭის ხმა“, „რევოლუციური ნობათი“, „რუსთაველი“, „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „სოციალისტ-ფედერალისტი“, „შრომა“, „ჩემი საქმე“, (მოხეტიალე მუსიკოს ი. ქურხულის გაზეთი), „ჩვენი რესპუბლიკა“ და „ჯარისკაცი“. ქუთაისში: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სოციალ-დემოკრატი“, „სოციალისტ-რევოლუციონერი“, „ჩვენი ბრძოლა“, „ჩვენი ქვეყანა“, „ხალხის მეგობარი“ და „ხმა ქართველი ქალისა“, ბათუმში – „მუშის სიმართლე“, ოზურგეთში – „გურიის ხმა“, და ფოთში – „ამხანაგი“. ქართული გაზეთი გ. კერესელიძის რედაქტორობით ბერლინშიც გამოდიოდა და იგი ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი. მისი სულ 18 ნომერი გამოვიდა და 12 სექტემბერს გამოცემა შეწყდა.

1918 წ. ჟურნალები, აღმანახები და კრებულებიც გამოდიოდა. თბილისში – „ახალი კვალი“, „ახალი სიტყვა“, „ახალი ძალა“, „განათლება“, „ექიმის თანაშემწე“, „ემმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თებერვალი“, „კავკასიის ქალაქი“ (მას ქალაქთა კავშირი ქართულ და რუსულ ენებზე სცემდა), „კავშირი“, „კუნწულა“, „მებრძოლთა ხმა“, „პირველი ნაბიჯი“, „პრომეთე“, „რესპუბლიკის ჯარი“, „რუსთაველი“, „საქართველოს ეკონომისტი“, „საქართველოს კალენდარი“, „საქართველოს სიძველენი“, „სახალხო კალენდარი“, „ხმა ებრაელისა“, „ჯარი და ერი“ და „წინსვლის ემბლემა“. ქუთაისში – „აისი“, „ლიგია“, „მევენახეობა და მეღვინეობა“ და „სასოფლო გაზეთი“.

ამ სფეროში საკვლევი პერიოდის მთავარ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ გაზეთებში ხშირად სიცრუეზე დაყრდნობილი მასალები იბეჭდებოდა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებდა ქვეყანას. უმეტესად ასეთი რაიმეები შეგნებულად კეთდებოდა. ამიტომ, 30 ივლისს, მწერალთა მონაწილეობით გაიმართა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა შეკრება, სადაც განიხილეს აღნიშნული საკითხი და მისი აღმოფხვრისათვის შეთანხმდნენ შეექმნათ ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომელიც ინფორმაციებს მთავრობისაგან მიიღებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწვდიდა მას პრესას. კრებამ წესდებაც მიიღო და ბიუროს თავმჯდომარედ პ. სურგულაძე, მდივნად ა. სიგუა, ხოლო წევრებად ა. ასათიანი, მ. ბერძენიშვილი და დ. დუმბაძე აირჩიეს.²

თავის მხრივ იუსტიციის სამინისტრომაც მიიღო გადაწყვეტილება და ის რედაქტორები, რომლებიც ამ წესს დაარღვევდნენ და ყალბ ინფორმაციებს დაბეჭდავდნენ, სამართალში მიეცემოდნენ.³

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918წელი, #1

² გაზეთი „საქართველო“, 1918 წელი, #127-134.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წელი. #92.

პრესისათვის ობიექტური ინფორმაციების მიწოდების მიზნით თავისი საინფორმაციო ბიურო 1918 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც დააარსა,¹ ასევე გადამწყდა თბილისში ფუნქციონირზე მძლავრი რადიო სადგურის აგებაც.²

როგორც ზემოთ ვნერდით, ყოველი გაზეთი თავისი პარტიის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ ყველა ისინი მაინც შეიძლება ორ უმთავრეს ბანაკად დავაჯგუფოთ ე. ი. ერთი ოფიციალური ხელისუფლების მხარდამჭერი და მეორე ოპოზიციური. ოფიციალურიდან ყველაზე აქტიურ ბრძოლას ოპოზიციური პრესის წინააღმდეგ „ერთობა“ ეწეოდა. განსაკუთრებული დაპირისპირება იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად მენშევიკებს და მათ გაზეთ „ერთობას“ სულ სხვა პოზიცია ეკავათ ამასთან დაკავშირებით. ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება – გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა ვ. ნიკურაძის წერილი, რომელშიც ასეთი რამ იყო გაცხადებული: „ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, იძულებული შეიქნა თავისი მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთის მხრით საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და მეორეს მხრით ა/კ მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართული დემოკრატია გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობას... შეუძლია ქართველ დემოკრატებს ნაციონალისტებთან ერთად (ვ. ნიკურაძის აზრით ნაციონალისტები იყვნენ „ი. ეკალაძე, გაზეთი „საქართველო“ და სხვა ეროვნული მოღვაწეები ა. ნ.) მიიღოს მონაწილეობა ამ სადღესასწაულო ზეიმში (ზეიმით საქართველოს დამოუკიდებლობას აღნიშნავდნენ ა. ნ.)? ცხადია არა, იმიტომ რომ ქართველ დემოკრატებს ჯერ კიდევ არ მიუღწევია თვის მიზნისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობა მის მიზანს არ შეადგენდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ ისეთ პატარა ერს, როგორც არის ქართველობა, დამოუკიდებლად არსებობა დღევანდელი კაპიტალისტური წყობილების დროს არ შეუძლია და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას დღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის, როგორც იძულებით ნაბიჯს (დემოკრატებად მენშევიკები მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ. ა. ნ.), გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევს, როგორც საშუალებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას.“³

„ერთობა“ სხვა დროსაც წერდა, რომ „ჩვენი სურვილია ა/კ ფედერაცია ე. ი. აღდგენა იმისა განახლებული სახით, რაც ასეთი უღმობელოებით, ასე უდროოდ შთანთქა ამ რამდენიმე თვის წინათ ისტორიის ბედის ტრიალმა“. „ერთობის“ ის პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა „საქართველოში“ ლ. ჯაფარიძემ. ამით აღმოფოთებულმა „ერთობამ“ არა თუ დაიცვა თავისი მოსაზრება, დასცინა „საქართველოს“ და განსაკუთრებით ცინიკურად მოიხსენია ლ. ჯაფარიძე.⁴ ეს არცაა გასაკვირი, რადგან „ერთობა“ დარწმუნებული იყო, რომ „ნახევრად ველურ ქართველ თავადებს არ შეუძლიათ დღეს ქვეყნის მართვა.“⁵

„ერთობამ“ „საქართველო“ შემდეგაც გააკრიტიკა რ. ინგილოს ერთ-ერთი წერილისათვის – „განა სამარცხვინოა რუსეთის სოციალ-დემოკრატის სახელის ტარება? ამას გვიკიჟინებს იგი (ე. ი. რ. ინგილო ა. ნ.), ინგილოს აზრით ერთა სოლიდარობა დანაშაულია. იგი გადაგვარებულ თავად-აზნაურთა იდეოლოგიაა.“⁶

მკაცრად გააკრიტიკა „ერთობამ“ „საქართველო“ და „სახალხო საქმე“ საინგილოს და სამხრეთ საქართველოს საზღვრებზე ხმის ამოდებისთვისაც – „ოცნებობს სახალხო საქმე ახალციხე-ბათუმისა და ლაზისტანის დაბრუნებაზე. შეიძლება ასეთი ლალი ფანტაზია?“⁷

ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მაშინდელი ხელისუფლების პოზიციაზე ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ემიგრანტმა სოციალისტ-ფედერალისტმა, ამერიკაში მცხოვრებმა პროფესორმა გ. ნაკაშიძემ, რომელმაც 1993 წელს ინტერვიუ მისცა ა. ერქომაიშვილს.

¹ გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, #212
² გაზეთი „საქართველი“, 1918 წელი, #114.
³ გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, . #113
⁴ გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, #152.
⁵ იქვე, #161.
⁶ იქვე, #116.
⁷ იქვე, #121-221.

აქ ჩანს, თუ როგორ უყურებდნენ დამოუკიდებლობას მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები – „ჟორდანია იყო, ოო! იგივე ფილიპე მახარაძე... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მოულოდნელი ამბავი, საქართველოს დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდნენ, რომ თურქები და გერმანელები არ შემოსულიყვნენ საქართველოში. ეს იმათ გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა. ჟორდანია უმაღლეს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე რუსეთსა და პლენანოვს უღალატებდა. გერმანიამ აიძულა დამოუკიდებლობის გამოცხადება, სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამდათ, ფედერალისტები კი დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ. ავტონომია, ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია – სხვა არაფერი. დამოუკიდებლობა სჯეროდა მარტო მიხაკო წერეთელსა და გიორგი ჯორჯაძეს, მეტს არავის.

ხალხი სოციალ-დემოკრატებს უჭერდა მხარს, ინტელიგენცია კი სოციალ-ფედერალისტებს. ჟორდანია ნამდვილი ხალხის ლიდერი იყო, საპრეზიდენტო კაცი იყო ივანე ჯავახიშვილი, ის ათ ჟორდანიას ჯობდა, ჯორჯაძესაც. ნოე რამიშვილი ათჯერ სჯობდა ჟორდანიას, დაუძინებელი მტერი ბოლშევიზმისა, უნიჭიერესი იყო, მეორე სტალინი ოლონდ დადებითი. საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდეც. მერე შეტრიალდნენ სოციალ-დემოკრატები, თუ არა რამდენჯერ ჩამოვუგდევარ ტრიბუნიდან, როცა ვიტყოდი დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოსთქო. სოციალ-დემოკრატებს რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ, ისინი რუსეთს გამოეყვნენ მას შემდეგ, რაც მოულოდნელად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.¹

სოციალ-ფედერალისტების და მათი გაზეთის „სახალხო საქმის“ კრიტიკა პირველივე ნომრიდან დაიწყო „საქართველოს რესპუბლიკამაც.“

გამორჩეულად განსხვავებული პოზიცია ეკავათ „საქართველოს“, „სახალხო საქმეს“, „ჩვენ ქვეყანას“ და „კლდე“, რომლებისთვისაც ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება უპირველესი საზრუნავი იყო. ძალზე საინტერესო მასალებს ბეჭდავდა ამ მხრივ ქუთაისში გამომავალი ედბ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“-ც, (რედაქტორი დ. კვიციანი). რომელშიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა კ. კაპანელი – ჭანტურაიას ბრწყინვალე წერილები „ერი და თავისუფლება“ (№102), „სული და სოციალიზმი“ (№111), „ნარსული და იდეალი“ (№117), „ერი და ინტელიგენცია“ (№120). „რელიგია და იდეალი“ (№128-129), „ერის სული და სამშობლოს იდეა“ (№132), „საქართველო და სოციალიზმი“ (№148), „ეროვნული სული“ (№150-151-154-161), „ამაოება“ (№153), „სამშობლოს იდეა და სიყვარული“ (№108), ი. ეკალაძის „რევოლუცია და პიროვნება“ (№137), „საქართველო აღსდგა“ (№95), „ქვეყნის დამოუკიდებლობა“ (№110), ა. თორაძის „დასელები და საქართველოს ავტონომია – ისტორიული ანალიზი“ (№140) და მრავალი სხვა.

1919 წელს ქართულ ენაზე შემდეგი გაზეთები გამოდიოდა: „ამხანაგი“ (ფოთში), „ახალი ნაკადი“, „ახალი სხივი“, „განახლებული მესხეთი“ (ახალციხეში), „ერთობა“, „თავისუფალი გზა“, „ია“, „ივერია“, „კლდე“, „მათრახი“, „მესხეთ-ჯავახეთი“ (ახალციხეში), „მთლიანი საქართველო“ (ბათუმში), „მილიცია“, „მინა“, „მნათობი“ (სოხუმში), „მუშათა ბიულეტენი“ (ხაშურში), „მშრომელი“, „ნაციონალისტი“, „პიტალო კლდე“, „რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ხმა“ (თბილისში), „რევოლუციური დროშა“, „რუსთაველი“, „სალი კლდე“, „სამუსულმანო საქართველო“ (ბათუმში), „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“, „სიტყვა ქართული“, „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისში), „სოციალ-ფედერალისტი“, „შრომა“, „ჩვენი საქმე“, „ჩვენი ქვეყანა“ (ქუთაისში), „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისში) და „ხაშურის მუშათა ბიულეტენი“, ჟურნალები, აღმანახები და კრებულები: „ახალი კვალი“, „ახალი ნაკადი“, „ახალი ძალა“, „ახირებული“, „განათლება“, „დამფუძნებელი კრება“, „დემოკრატიული კალენდარი“, „ერობა და ქალაქი“, „ეკიმი“, „ემმაკის მათრახი“, „თეატრი და მუსიკა“ (ქუთაისში), „თეატრი და ცხოვრება“, „თებერვალი“, „თოლაბულისის სარტყელი“, „კავკასიის ქალაქი“, „კავშირი“, „კრონოსის სარკე“, „კუნწულა“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „მეოცნებე ნეამორები“, „მოსამსახურე ფარმაცევტი“, „მუშათა ცხოვრება“, „მხედარი“, „პირველი ნაბიჯი“, „პროლეტარი“, „რესპუბლიკის ჯარი“, „საქართველოს კალენდარი“, „საქართველოს სიძველენი“, „სახალხო კალენდარი“, „სმარაგდი“,

¹გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1993 წელი. №31-32.

„ფოსტა-ტელეგრაფის ხმა“, „შვიდი მნათობი“, „ცისარტყელა და ხელოვნება“ (ქუთაისში).

წინა წელს არსებული დაპირისპირება პოზიციურსა და ოპოზიციურ პრესას შორის (უნდა ითქვას, რომ საერთოდ იყო ძალზე მტრული დამოკიდებულება საქართველოში გამომავალ გაზეთებს შორის) 1919 წელს კიდევ უფრო გამწვავდა, აქედან გამომდინარე ხელისუფლებისა და „ერთობისათვის“ პრინციპულად მიუღებელი გახდა გაზეთი „სახალხო საქმე“, რადგან იგი მისთვის იყო „ქუჩური ზნეობისა“ და „ჭორიკანა“ გაზეთი, რომელშიც ნაცარქექიები და ღვარძლიანები მუშაობდნენ.¹ „ერთობის“ აზრით, მასში ერთი ჭკვიანიც არ არის და იგი ლპებოდა და იხრჩობოდა ოპოზიციის ჭაობსა და სისულელეების ბეჭდვაში.² „სახალხო საქმეში“ თურმე ... ბერნი პოლიტიკოსები მუშაობდნენ, რომლებიც ისტერიაში ვარდებოდნენ ვინმე განის წერილებით. „ერთობა“ მათ უწოდებდა ცბიერად მოცრემლეებს, უჭკუოებს, რომლებიც გასანკეპლავები იყვნენ „ერთობის“ სალანძღავი წერილების გამო.³

უნდა ითქვას, რომ ამდენი ლანძღვით გაღიზიანებულ „სახალხო საქმესაც“ აევსო მოთმინების ფიალა და მანაც გვარიანად შეამკო „ერთობა“ ტერმინების „უმეცარი“, „კლარიოკი“, „უმგვანო ენა“, „კალმით მოცულლუტე“, „ენაჭარტალა“, „ქუჩური ჟარგონი და სტილი“, „უხეირო“, „საქართველოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი უფიცნი“, „რომელთა ინტელექტუალურ ავლადიდებას ბაჭია ცალი ფეხით წაიღებდა“ და ა.შ. გამოყენებით.

„ერთობა“ აღაშფოთა „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილმა დეპუტატ ს. დადიანის წერილმაც, რომელიც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა და ამხელდა მენშევიკებსა და ხელისუფლებას იმაში, რომ მათ დიდი თანამდებობები მისცეს მკვლელებს კარტოზიასა და წულუკიძეს (ეს წერილი „საქართველოშიც“ დაიბეჭდა). „ერთობის“ აზრით, ამ წერილის დაბეჭდვა იყო მთავრობის შეურაცხყოფა. გაზეთმა დაბეჭდა ბ. ჩხიკვიშვილის წერილიც, რომელშიც იგი „ერთობის“ პოზიციას იცავდა. ბ. ჩხიკვიშვილის თქმით, მართალია კარტოზიამ კი მოჰკლა კაცი, მაგრამ სიმთვრალეში, მოუფიქრებლად და ბოროტი განზრახვის გარეშე. წულუკიძესაც... უცაბედად მოუკლავს სამიკიტნოში შემოსვლის დროს მეარლნე და იგი თურმე ... ერთი თვე ჯავრობდა ამის შემდეგ.⁴ მკითხველი აქ თვითონ გააკეთებს დასკვნას, თუ ვის იცავდა „ერთობა“. აი, რა ზნეობრივ-სამართლებრივ პოზიციებზე იდგა იგი და აქედან გამომდინარე, მისი პარტია და ხელისუფლება.

„ერთობას“ ასევე სძულდა ედუ და მისი პრესაც. იგი „საქართველოს“ პოლიტიკური საჭურისების გაზეთს (განი) ეძახდა და მას ქვეყნის ყველაზე დიდ მტრად თვლიდა.⁵ რაკი გაზეთი „საქართველო“ სოციალისტების მონინალმდეგედ გამოდიოდა, „ერთობა“ მას გასაუქმებლად მიიჩნევდა.⁶ გაზეთი „საქართველო“ „ერთობისათვის“ სასაცილო იმიტომაც გახდა, რომ მან ასეთი მოსაზრების დაბეჭდვა „გაბედა:“ „მენშევიკებს ისე აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში სოციალისტობა, რომ სენატიც სოციალისტური უნდათ, მთავრობაც, ერობაც, სამართალიც და ადმინისტრაციაც.“ „მაგრამ განა დანაშაულია ეს? კითხულობდა გაოცებული „ერთობა“ და გაზეთ „საქართველოს“ იმიტომაც ლანძღავდა (თითქმის ყველა ნომერში), რომ მასში მუშაობდნენ გ. ლეონიძე და პ. ინგოროყვა, ხოლო გაზეთისადმი მიძღვნილ სალამოზე გამოვიდნენ ვ. ანჯაფარიძე, ც. ამირეჯიბი და პ. იაშვილი.⁷

„ერთობას“ სძულდა ედუ-ს მეორე გაზეთი „ივერიაც“ და თვლიდა, რომ იგი ჩაფლული იყო უზნეობის ჭაობში და თვითონაც შიგ ცურავდა. გაზეთი იყო ნაბილწული, გარყვნილი და ზნეობრივად გახრწნილი.⁸ „სასაცილო არაა, წერდა „ერთობა“, ივერიაში“ ს. დადიანი და ს. ბარათაშვილი გვიწუნებდნენ სოციალისტობას? ისინი გვასწავლიან სოციალისტობას სოციალ-დემოკრატებს?“⁹

¹ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №184-234.

² იქვე, №276

³ იქვე, №282

⁴ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №233

⁵ იქვე, №153

⁶ იქვე, №259

⁷ იქვე, №20-224

⁸ იქვე, №276

⁹ გაზეთი „ერთობა“, 1919წ. №288

თავის უფროს „ძმას“ – „ერთობას“, არც ქუთაისში გამომავალი „სოციალ-დემოკრატი“ ჩამორჩებოდა იქვე გამომავალ ედუ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ლანძღვაში.

წინააღმდეგობა არა მხოლოდ „ერთობასა“ და ოპოზიციურ პრესას შორის არსებობდა, არამედ ზოგჯერ ერთმანეთს თვითონ ოპოზიციური გაზეთებიც უპირისპირდებოდნენ. ამის მაგალითად გამოდგება „სახალხო საქმე“ დაბეჭდილი კ.კობახიძის დიდი წერილი ი.მეუნარგიას დასაფლავებაზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კ.კობახიძის ეს წერილი ცილისმწამებლური და ბოროტი თესლის გამღვივებელი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს ცალკეულ კუთხეებს უპირისპირებდა ერთმანეთს. კ.კობახიძე წერდა, რომ დასაფლავებაზე თითქოსდა გამოსულიყოს მეგრულ ავტონომისტთა „მაფალუს“ სახელით მათი წარმომადგენელი და ეთქვას სამეგრელოს დაჩაგრულობაზე და მოეთხოვოს მხარის თავისუფლება.¹ საპასუხო წერილი“ ბ-ნ კოტე კობახიძის პროვოკაციის გამო „საქართველოში“ ვინმე მ.კ-მ დაბეჭდა. როგორც იგი აღნიშნავდა, კ.კობახიძე ცილისმწამებელი იყო. სინამდვილეში იგი დაკრძალვაზე სამეგრელოს კულტურის მოტრფიალეთა სახელით გამოსულა და აღუნიშნავს ის დიდი წვლილი, რაც ი.მეუნარგიას სამეგრელოს ცხოვრებაში შეუტანია. მ. კ. კატეგორიულად უარყოფდა მისადმი დაყენებულ ავტონომისტობის ბრალდებას.²

ოპოზიციური პრესის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სიტყვით არ შემოიფარგლებოდა და ხელისუფლებამ აშკარად დაიწყო მათი ჯერ შევიწროება და შემდეგ დახურვებიც კი. თუ თავიდან ეს პროცესი უფრო „მოკრძალებული“ იყო და 1918 წ. მხოლოდ ერთხელ დაიხურა რამდენიმე დღით გაზეთი „საქართველო“ (მის ნაცვლად გამოსვლა დაიწყო „ახალმა საქართველომ“, მაგრამ მალე ისიც დაიხურა), 1919 წლიდან ასეთი მოქმედებები უფრო გახშირდა. მაგალითად, 1919 წ. „საქართველო“ დაიხურა ივლისში, ნოემბერში (12 ნოემბრიდან რედაქციამ ეშმაკობას მიმართა და გაზეთი „ახალი საქართველოს“ სახელწოდებით გამოდიოდა რამდენიმე დღეს) და ორჯერ დეკემბერში. ასევე დაიხურა „მთლიანი საქართველო“ (იგი ბ. ჩხიკვიშვილმა იმ წერილისათვის დახურა, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, ისტორიული ქართული მიწების დაბრუნების შესახებ ტრაპიზონამდე. ბ. ჩხიკვიშვილის აზრით, ასეთი მონოდება პროვოკაციული იყო, რადგან შუღლს აღვივებდა თურქეთთან),³ და „სამუსულმანო საქართველო“ ბათუმში (იგი ბათუმში საქართველოს განსაკუთრებულმა რწმუნებულმა გ. გიორგაძემ შეაჩერა 470-ე ნომერში დაბეჭდილი „ნაცი-ონალისტური“ (ე.ი. პარტიული – ა. ნ.) მონინავის გამო და ეს მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს არ დაურღვევია ქვეყანაში 1920 წლის 7 მაისიდან გენერალური შტაბის მიერ შემოღებული სამხედრო ცენზურის მოთხოვნები) და „კლდე“ და „სალი კლდე“ თბილისში და ა. შ. ცალკე უნდა შევეხოთ გაზეთ „კლდის“ დახურვის საკითხს. იგი პირველად 1919 წ. 15 თებერვალს დაიხურა ერთი კვირით, მასში რ. გაბაშვილის წერილის დაბეჭდვის გამო, ხოლო მეორედ გაზეთი (ახლა მას „სალი კლდე“ ჰქვიადა) ივლისში დაიხურა და კვლავ რ. გაბაშვილის გამო („სალ კლდეს“ 54-ე და 55-ე ნომერებში დაბეჭდილი წერილების გამო მინათმქმედების სამინისტრომაც უჩივლა). უფრო მეტიც, რ. გაბაშვილს ჯერ ბინა გაუჩხრიკეს, შემდეგ რედაქცია და 30 ივლისს დააპატიმრეს კიდევ! მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „საქართველოს“ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა „სალ კლდესთან“, იგი მაინც გამოვიდა გაზეთის დასაცავად, რადგან ასეთი ქმედებები მან პრესის დევნად ჩათვალა.⁴ საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ მისმა განხილვამ პარლამენტშიც გადაინაცვლა. 2 აგვისტოს, 45-ე სხდომაზე, ედუ-ს წარმომადგენელმა ს. კედიამ დასვა შეკითხვა გაზეთის დახურვის თაობაზე და რ. გაბაშვილის დაპატიმრება მიიჩნია სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ კანონის უხეშ დარღვევად. ს. კედიამ ასეთი პასუხი მიიღო: „თუ თქვენ ჩაუკვირდებით იმ მოღვაწეობას, რომელსაც აწარმოებდა „სალი კლდე“ და მისი ჯგუფი, დამეთანხმებით, რომ მთელი ეს მოღვაწეობა ფაქტიურად მიმართული იყო ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.“ გაზეთის დახურვის მიზეზი კი გამხდარა... ინგლისელ ბიჩზე დაბეჭდილი ყალბი

¹ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. 540.

² გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 134

³ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. 203

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 162

ცნობები და ი. გველესიანის წერილი, რომელშიც ასეთი წინადადებაც ყოფილა: „ჩვენი ქვეყანა განუვითარებელი არის, ეკონომიკა ძალიან დაქვეითებული არის“. ხელისუფლების აზრით ეს ყოფილა პროვოკაცია, რაც თურმე ძირს უთხრიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ხელისუფლება განსაკუთრებით აღუშფოთებია რ. გაბაშვილის წერილს „პასუხი ინგლისს“, რომელიც „საქართველოს სახელით შვება ამას, რაც დონკიხოტობა არის.“ დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა გაზეთის დახურვა. „სალი კლდის“ დახურვა და რ. გაბაშვილის დაპატიმრება „ერთობამაც“ მოიწონა, რადგან მის წერილებს თურმე ინგლისთან ურთიერთობა გაუმწვავებია.¹

17 ივლისს პროკურატურამ „საქართველოს კომუნისტიც“ დახურა. გაიცა სანქცია მისი რედაქტორის, მ. ორახელაშვილის დაპატიმრებაზეც, თუმცა მან მიმალვა მოასწრო. გამომძიებელმა დილევსკიმ რედაქციის 45 თანამშრომელს ჩამოართვა ხელწერილი, რომ მათ სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქვეყანა.² სხვებისაგან განსხვავებით, ხელისუფლება ამ შემთხვევაში სწორი იყო, რადგან „საქართველოს კომუნისტი“ მართლაც აშკარად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ქვეყანაში არსებული ხელისუფლების დასამხობად და გამოდიოდა ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის მოწოდებით. იმავე წელს სასამართლომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გამოსვლაც შეაჩერა.³

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პრესაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებზე მსჯელობას. პრობლემისადმი მიდგომაში აშკარად იყო გამოკვეთილი ორი პოზიცია და თუ „ერთობისათვის“ (და იგი ხელისუფლების პოზიციას გამოხატავდა) იგი სამწუხარო რეალობას წარმოადგენდა, ოპოზიციური პრესისათვის სანუკვარი რეალობა იყო. ამის მაგალითად გამოდგება შემდეგიც: 1919 წ. 26 მაისის მონინავეში („ერთობა“ წერდა – „სანამ ძლიერი იყო რესეთის რევოლუცია, სანამ მისი დემოკრატია ერთს მთლიან ფრონტს წარმოადგენდა, დამოუკიდებლობაზე არავის უფიქრია. ამ მხრით მედგარი და შეუპოვარი იყო ჩვენი პოზიცია... მაგრამ რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იძულებული გავხდით გვეფიქრა დამოუკიდებლობაზე... თუ ხალხის, დემოკრატის ინტერესები მოითხოვენ, ჩვენ არც შემდგომში შევუშინდებით სხვა სახელმწიფოსთან შეერთებას. მაგალითად, ა/კ ფედერაციაში შესვლას, რუსეთის თუ ევროპის შეერთებული შტატების (აშკარა გამოძახილი ლენინის სტატიაზე! ა. ნ.) ერთ-ერთ ნევრად გახდომას“.⁴

„ერთობის“ ეს ყოვლად მიუღებელი პოზიცია გააკრიტიკა „საქართველომ“ – თუ სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალე დღესაც არ ხარ, თუ იდეალად მას არ ისახავ, თუ იგი შენი ფეტიში არ ყოფილა და არც არის, სად გექნება ზნეობრივი ძალა ხალხს, ერს, სამშობლოს დაუძახო ქუდზე კაცი გამოიყვანოს და განემზადოს უდიდესი მსხვერპლის, სიცოცხლის შესაწირავად? სად არის უზენაესი იმპულსი?“⁵ ამით აღშფოთებულმა „ერთობამ“ განმეორებით განაცხადა, რომ ისინი ისევ იგივე, სწორ აზრზე იყვნენ. „ჩვენთვის დიდი და პატარა სახელმწიფოც საშუალებაა, გარდამავალი საშუალებაა სულ სხვა მიზნისათვის. ხალხის სამსახურისათვის საბოლოო მიზანი, სანუკვარი ღვთაება, ჩვენი არის – სოციალიზმი და აი, ამ სოციალიზმის განხორციელების გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით არც დამოუკიდებლობის და არც სხვა სახელმწიფოსთან შეერთების წინაშე... ნაციონალისტები ყოველთვის ცდილობდნენ ერის დამოუკიდებლობა ფეტიშად ექციათ.“⁶

ცოტა მოგვიანებით, „ერთობამ“ ქუთაისში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთი „ხმა ებრაელისაც“ არ დაინდო (ეს იყო სიონისტთა საოლქო ორგანიზაციის გაზეთი) და დაიწუნა იგი და მთლიანად სიონიზმი, რადგან „ებრაელები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ.“ „ერთობამ“ უტოპიად მიიჩნია ებრაელთა თავმოყრა და მათი სახელმწიფოს შექმნა.⁷

¹ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №175

² გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №851, „ერთობა“, №142

³ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №280

⁴ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №116

⁵ გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. №110

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №119

⁷ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №176

ყველაზე გამოკვეთილად დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ გვარდიის II ყრილობაზე განაცხადა, რაც „ერთობამ“ მაშინვე აიტაცა – „ჩვენ, მარქსისტები თეორიულად ფედერაციასთან ავტონომიას ვაძლევთ უპირატესობას, მაგრამ როგორც პრაქტიკულად მოგვიხდა არჩევა: სეპარაცია ან ხალხის ფიზიკური განადგურება, ჩვენ ვარჩიეთ სეპარაცია.“¹ ძნელი წარმოსადგეი სულაც არაა, თუ როგორ იბრძოდა რესეთთან შეერთების (დაპყრობის) წინააღმდეგ ქვეყნის „სეპარატისტი“ ხელმძღვანელი ნ. ჟორდანი.

სამაგიეროდ, ენერგიულად იცავდა დამოუკიდებლობის იდეას „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „კლდე“, „ჩვენი ქვეყანა“ და სხვა ოპოზიციური გაზეთები. მაგალითად, „საქართველოში“ დაიბეჭდა ისეთი საყურადღებო წერილები, როგორებიც იყო მ. ჯანიშვილის „ქართველობა“ (ერთიანობასა და კუთხურობაზე უარის თქმის მოწოდებით),² ი. ვართაგავას „კატალინა რომის კართანაა, ჩვენ კი ვმსჯელობთ“ (ინტილიგენციისადმი მოწოდებით – ეჩვენებინა ქვეყნის დაცვის მაგალითი),³ მონინავე „ეროვნული დროშა“ და ა. შ. ამ უკანასკნელში გაკრიტიკებული იყო ხელისუფლება იმის გამო, რომ იგი (ე. ი. ხელისუფლება) არ ტოვებდა არც ერთ შესაძლებლობას, რათა არ გამოსულიყო დეკლარაციით რუსეთის „ჭეშმარიტ დემოკრატიასთან“ შეერთების შესახებ. „სწორედ ამიტომ უფროხდნენ მენშევიკები ყოველგვარ ეროვნულ ნიშნებს. სასახლის თავზე არ ფრიალებდა ეროვნული დროშა და იქ აღმართული იყო წითელი დროშები. მთავრობამ იძულებით შექმნა ჯარი, ფული, ეროვნული დროშა. სასახლეზე ამართულია რევოლუციის ბაირალი დიდი და უზარმაზარი და მის დაბლაა შეუმჩნევლად ორი ეროვნული დროშა. ამის თაობაზე ამერიკელებმაც აღნიშნეს.“⁴

წერილი „ეროვნული დროშა“ ს. ფირცხალავამაც დაბეჭდა „სახალხო საქმეში“. როგორც ავტორი წერდა, „იგი ნიშანია ერის სუვერენობის, თავისუფლების. მისი პატივისცემა არის პატივისცემა ერის თვითარსებობისადმი. ვერ მივაქციეთ ამას სათანადო ყურადღება. პირველ ხანებში თითქოს გვეშინოდა და გაბედულად ვერც კი გამოვარჩინეთ. მთელი წლის განმავლობაში არ იყო აღმართული სასახლეზე იგი. ახლა ამშვენებს დამფუძნებელ კრებას ორი პატარა დროშა, მაგრამ აქაც იგივე გაუბედაობა და მორიდება მოსჩანს, თითქოს კიდეც ვყოყმანობთ. ამით სახელმწიფო არც აშენდება და არც დაიქცევა, მაგრამ ხშირად პატარა მოვლენა ბევრ რამეს ააშკარავებს. ამერიკელებმაც კი მიაქციეს ყურადღება სასახლეზე აღმართულ დროშებს და უხერხულობა დაინახეს. ადამიანები, ვინც ეროვნულ დროშას გულით ვერ დაენდობიან, მტკიცე სახელმწიფოს ვერ შექმნიან, ვინაიდან არა აქვთ მტკიცე რწმენა ამ სახელმწიფოსი. დიდად მიყვარს წითელი დროშა, ემბლემა რევოლუციისა და სოციალიზმისა, მაგრამ საქართველოს აქვს თავისი დროშა. ესაა უპატივცემულობა ეროვნული შემოქმედებისა, დამოუკიდებლობისა. არ შეიძლება ეროვნული დროშის აბუჩად აგდება, უნდა დაჩქრდეს გაეროვნება, კვლავ რუსულად წერენ. სამინისტროში რომ შეხვალთ, თავი რუსეთში გეგონებათ. გაეროვნებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ზოგან რაც გაკეთდა, იმასაც აუქმებენ და კვლავ რუსულზე გადადიან.“⁵

ქვეყნის ეროვნული ერთობის იდეის განმტკიცების თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო მასალებს ბეჭდავდნენ ორენოვანი „სამუსულმანო საქართველო“ და ახლადდაარსებული ასევე ორენოვანი გაზეთი „განახლებული მესხეთი“ (რედაქტორები ლ. რუხაძე და ო. მიქელაძე).⁶ ამ გაზეთების ასეთი პოზიცია მოიწონა „საქართველოს რესპუბლიკამაც“,⁷ რომელიც უნდა ითქვას, რომ „ერთობისაგან“ აშკარად გამოირჩეოდა ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებისადმი უფრო სწორი და ჯანსაღი მიდგომით. ეს ალბათ იმის გამოც, რომ გაზეთის რედაქტორებად ყოველთვის მუშაობდნენ ისეთი გამოცდილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ:

პ.ქავთარაძე, პ.საყვარელიძე, ა. ახნაზაროვი, გ. მაჭავარიანი და ვ. ნოზაძე (ეს უკანასკნელი

¹ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. №260
² გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. №149
³ იქვე, №114
⁴ გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. №219
⁵ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. №648
⁶ გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“, 1919 წ. №10, „განახლებული მესხეთი“ №1
⁷ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. №143,156.

გაზეთს ხელს როგორც რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი 1919 წ. 2 მაისიდან აწერდა, როცა პ. საყვარელიძე დამფუძნებელი კრების დეპუტატი გახდა) და ა. შ.¹

როცა დემოკრატიული საქართველოს პრესაზე ვწერთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა იმ მასალებს, რომლებიც უცხოეთში ქვეყნდებოდა საქართველოს შესახებ. მაგალითად, ასე იყო გაზეთ „საქართველოში“, განსაკუთრებით „ერთობაში“ და ა. შ. ეს უკანასკნელი ხშირად არა უბრალოდ გადმოებქდავდა მათ, არამედ ურთავდა საფუძვლიან კომენტარს, რაც ყოველდღიურ რუბრიკაში „უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ“. ასევე თვალშისაცემია იმ წლების პრესაში (განსაკუთრებით ოპოზიციურში) ისეთი თარიღის ფართოდ აღნიშვნა, როგორიც 26 მაისი იყო. შუქდებოდა ამ თარიღისათვის მზადება, მისი ჩატარება და ა. შ.

1919 წ. 26 მაისის ზეიმი ფართოდ აღინიშნა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, გალში, ქვეყნის სხვა დაბა-ქალაქებში და თვით ბაქოშიც კი (ბაქოში გამართულ ზეიმში თვით აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრიც მონაწილეობდა). თბილისში, ამ დღეს ჯარების პარადი 10 საათზე დაიწყო და იგი ნ. ჟორდანიამ ჩაიბარა. მასთან ერთად იყვნენ ამერიკის, აზერბაიჯანის, ინგლისის, იტალიის, საბერძნეთის, სომხეთის და მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. ალღუმში მონაწილე ჯარი მუსიკითა და სიმღერით გაემართა ვაკეში, მისთვის საგანგებოდ მოწყობილ სტადიონზე. ქალაქს გადაუფრინეს თვითმფრინავებმა, ისროლეს ზარბაზნებიდან და ა. შ. ვაკეში საგანგებოდ იყო მორთული კარვები მთავრობის, პარლამენტის და უცხოელთა წარმომადგენლებისათვის. ზეიმში მონაწილე ხალხი დანყობილი იყო ისეთნაირად, რომ კოლონები ცალკეულ მხატვრულ ფიგურებს ქმნიდნენ. ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი მომღერლები. ალღუმში მონაწილეობდა „შევარდენის მოსწავლეები, სოფლებიდან ჩამოსული დელეგაციები, ამქრები, აზჯარ-მუზარადში გამოწყობილი ხევსურები და ა. შ. სულ 100 000-მდე კაცი. დღესასწაული სტადიონზე ორ საათზე დაიწყო „დიდების“ შესრულებით. შესრულდა სხვა ჰიმნებიც კ. ფოცხვერაშვილის დირიჟორობით, გაიმართა სპორტული ვარჯიშები, ხევსურთა ფარიკაობა, ფეხბურთის მატჩი, სალამოს თეატრებში გაიმართა საზეიმო წარმოდგენები, ჰაერში აუშვეს მამხალეები და ა.შ.²

განსაკუთრებული მასშტაბურობით ჩატარდა ზეიმი სოხუმსა და გალში, სადაც საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელთა პორტრეტების გვერდით რუსთაველის, ილიას, აკაკის და სხვა ქართველ მწერალთა პორტრეტებიც გამოიტანეს.

1919 წ. სოციალიზმის მშენებელმა ხელისუფლებამ და მისმა პრესამ ძალზე ფართოდ აღნიშნეს პირველი მაისი, მარქსის, ენგელსის, პლენანოვისა და საერთოდ სხვა სოციალისტური საიუბილეო თარიღები და ა. შ.

1918-1919 წლების ტენდენცია არც 1920 წ. დარღვეულა და არაერთი ჟურნალ-გაზეთის დახურვა-გაუქმებასთან ერთად, ახლებიც არსდებოდა. 1920 წ. საქართველოში გამომავალი ქართულენოვანი პრესა ასე გამოიყურებოდა: გაზეთები – არლიკინი, ახალი ნაკადი, ახალი საქართველო, ახალი სხივი, ბათომის ფურცელი, ბათომის ცხოვრება, ბარიკადი, გურიის ერობის მოამბე (ოზურგეთში), ერთობა, ერი, ივერია, კლდე, კომუნისტი, მათრახი, მნათობი (სოხუმში), მსახიობის დღე, მშრომელი, პოეზიის დღე, რკინიგზელი, სასოფლო გაზეთი, საქართველო, საქართველოს რესპუბლიკა, სახალხო საქმე, სოფლის მუშა, სოციალ-დემოკრატი (ქუთაისში), სოციალისტ-ფედერალისტი, სოციალური დახმარება, სოციალური საზოგადოება, ფოთის მოამბე, ქართველი სტუდენტი, ქუთაისი, შვეისწავლოთ სოციალიზმი, შრომა, ჩემი საქმე (ქუთაისში), ჩვენი გზა, ხალხის მეგობარი (ქუთაისში) და ხუმარა. ჟურნალები, ალმანახები და კრებულები: ახალი კვალი, ბაღდადის წეროები, ბუნება და ხელოვნება, განათლება, გზათა უწყების მოამბე, დამფუძნებელი კრება, ელამი არლეკინი (ბათუმში), ერთობა, ერობა და ქალაქი, ეშმაკის მათრახი, ვაზი და ღვინო, თბილისის ქალაქის საბჭოს მოამბე, თეატრი და ცხოვრება, თებერვალი, იმედი (სიღნაღში), კავშირი, კუნწულა, ლეილა, მევენახეობა და

¹ უნდა ითქვას, რომ 1919 წ. 26 სექტემბრიდან, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას სავალდებულო წესით გამოეწერა.

² გაზეთი „ერთობა, 1919 წ. 116

მებაღეობა, მეურნე, მზიური საქართველო, მომავალი, მუშათა ცხოვრება, მხედარი, ნაკადული (მოზარდებისათვის), ნაკადული (მცირე წლოვანებისათვის), პარნასი, პირველი ნაბიჯი, პროლეტარული მწერლობა, რიჟრაჟი (ფოთში), საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა, საქართველოს კალენდარი, საქართველოს მუშგლეხკაცი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, საქართველოს სიძველენი, სახალხო გვარდიელი, სახალხო კალენდარი, სკოლა და ცხოვრება, ტფილისი, ფოსტა-ტელეგრაფის ხმა, ქართველი სტუდენტი, ღვინო და ვაზი, შვეარდენი, შვილდოსანი, შოლტი (სამტრედიაში), ჩვენი ქალაქი, ცისარტყელა, ჭლექი და მასთან ბრძოლა, ხათაბალა, ხელოვნება (ქუთაისში) და ჯეჯილი.

სიტუაცია დიდად არც ცალკეული გაზეთების ერთმანეთთან დაპირისპირებულობის თვალსაზრისით შეცვლილა. კვლავ დაუნდობლად ებრძოდა პოზიციური პრესა ოპოზიციურს. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა ტონის მიმცემი მენშევიკური „ერთობა“ იყო, რომლის უპირველეს სამიზნეს ედვ-ს გაზეთები „საქართველო“ და „ჩვენი ქვეყანა“ წარმოადგენდა.

„ერთობისათვის“ „საქართველო“ (რედაქტორი ს. კედია) გაერთიანებული რეაქციის ორგანოს წარმოადგენდა და მას იმდენად აღიზიანებდა „საქართველოს“ თითქმის ყოველი პუბლიკაცია, რომ უპასუხოდ არ ტოვებდა არც ერთ მათგანს. ასე მოხდა მასში ს. დადიანის წერილის პუბლიკაციის დროსაც, რომელშიც ავტორი გულისტკივილს გამოხატავდა ინტელიგენციის უკიდურესად მიძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. „ერთობისათვის“ ესეც კი აღმოჩნდა მიუღებელი და დადიანი მისი დასაცინი გახდა. იგი ირონიულად პასუხობდა მას – „მამ გაუმარჯოს საკუთარი ჯიბის გასქელებას.“¹ „ერთობის“ შეფასებით „საქართველო“ იყო სპეკულიანტების ორგანო, როსკიპი ქალი, ყოყლოჩინა და სიყალბის გამავრცელებელი, მინათმოქმედების სამინისტროს საქმიანობაზე სისტემატიურად სიცრუეების მბეჭდავი, თავშიშველა ბავშვების თავშესაფარი, მატყუარა, ყვითელი პრესა, ბურჟუაზიის მანჩანალა გაზეთი, მყრალი ლექსიკონის მქონე და ა. შ. „ერთობა“ თვლიდა, რომ „საქართველო“ უმიზეზოდ იყო გადაკიდებული მომარაგების სამინისტროსა და უდიპლომო მინისტრებზე, ხოლო მთავრობას ასევე ყოვლად უსაფუძვლოდ აკრიტიკებდა მუშების გამორჩეულ მფარველობასა და ინტელიგენციისადმი უყურადღებობაში.

გაზეთ „საქართველოს“ დემაგოგობის დასამტკიცებლად „ერთობა“ წერდა, რომ იგი მას თითქოსდა ინტელიგენციასთან ბრძოლას აბრალედა, რაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან „ერთობამ“ იცოდა ინტელიგენციის ფასი.²

თავის მხრივ დიდად კულტურული სიტყვებით არც „საქართველო“ პასუხობდა „ერთობას“, რომლისთვისაც იგი იყო ქუჩური ლექსიკონის, მდაბალი გულისთქმისა და ქვეწიქური დემაგოგიის მატარებელი და გახრწნილი „საქართველოს“ აზრით, „ერთობის“ რედაქციიდან ყურით უნდა გაეთრიათ და ქუჩის ლაზღანდართა თავშესაფარში მიეჩინათ ბინა ურცხვ და ყოველივე სიფაქიზეს მოკლებულ, ბრიყვ და უჭკუო თანამშრომლებისათვის, რადგან მათთვის თურმე დამახასიათებელი ყოფილა მენშევიკური ურცხვობა, ცინიზმი, ტაცობა, ღორმუცელობა, ჩაფუნთულებული ლოყები, ძვირფასი კრაველის ტარება, აზნაურებისა და ბურჟუაზიის ნასუფრალით მუცლის ავსება და ა. შ.³

„საქართველოს“ ასეთივე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „კლდესა“ და მის რედაქტორ გ. ვეშაპელთანაც.

1920 წლის 8 აპრილს გაზეთმა „საქართველომ“ მიძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო შეწყვიტა გამოსვლა და იგი მხოლოდ 15 აგვისტოს განაახლა, მაგრამ ახლა იგი შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახურა ერთი კვირით. დახურვის მიზეზი გახდა საეკლესიო საკითხებზე (გელათის მონასტერში დაცულ სიძველეებზე) მთავრობასთან მომხდარი განხეთქილება. მინისტრმა ნ. რამიშვილმა, „საქართველოს“ თქმით, მათ ამ საკითხებზე წერა აუკრძალა, რასაც რედაქცია არ დაეთანხმა. სწორედ ამის გამო დახურულა გაზეთი.⁴ შეჩერებული „საქართველოს“ ნაცვლად გამოსვლა დაიწყო „ახალმა საქართველომ“, მაგრამ 13 ნოემბერს ისიც დაიხურა. ამჯერად „ახალი საქართველოს“ ნაცვლად „ივერია“ გამოვიდა, მაგრამ იგივე საეკლესიო საკითხების

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 24

² იქვე, 219,221,223,226,227

³ იქვე, 22

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. 164

გამო მალე ისიც დაიხურა. „ივერიის“ ნაცვლად გამოსული „ახალი საქართველო“ 2 დეკემბერს კიდევ ერთხელ დაიხურა. მკითხველი იოლად დარწმუნდება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ნამდვილად არ ყოფილა დემოკრატი პრესასთან (ამ შემთხვევაში „საქართველოსა“ და მის მემ-კვიდრებთან) მიმართებაში.

ასევე იდეებოდა ედვ ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ჩვენი ქვეყანაც“ და იგი შინაგან საქმეთა მინისტრმა დახურა 1919 წლის დეკემბერში, მასში არმიასა და გვარდიაზე გამოქვეყნებული წერილის გამო.¹

„ერთობის“ თავდასხმებს განიცდიდა „სახალხო საქმეც“. 1920 წ. „ერთობა“ განსაკუთრებით გააღიზიანა „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილმა ს. დადიანის ერთ-ერთმა წერილმა, რომელშიც საუბარი რსდმპ ეროვნულ პოზიციაზე იყო. „25 წელია, წერდა ს. დადიანი, რაც რსდმპ და მისი კავკასიის განყოფილება თავგამოდებით ებრძოდა ხალხში ეროვნული გრძნობის შეტანას და ეროვნული ინტერესების შეგნებას, მაგრამ ისტორიამ საშინლად დასცინა მათ. ისტორიამ ისინი დააჩოქა ეროვნული სამსხვერპლოს წინაშე და თაყვანი აცემინა იმისათვის, რასაც იგი გუშინ გამობდა. ასე გაამტყუნა ისტორიამ სოციალ-დემოკრატების გეგმები, აზრები და ლოზუნგები“. ამის შემდეგ ს. დადიანი აქებდა ფედერალისტებს და განსაკუთრებით კი ა. ჯორჯაძეს, რომელიც მისი თქმით „გრძნობდა, რომ ეროვნული თვითშეგნება მხოლოდ ჩაფერფლილი იყო და მალე იფეთქებდა. ა. ჯორჯაძის ასეთმა მოხსენიებამ ალაშფოთა „ერთობა“ და მან დაუყონებლივ უპასუხა ს. დადიანს – „ჯორჯაძე ხედავდა და ჟორდანია ვერა? სისულელეა ეს თქვენი ინილო-ბინილო“.²

„ერთობა“ ებრძოდა „კლდესაც“ და მას უზნეოდ, შავრაზმელების, სამშობლოს მოლაღატეებისა და გამყიდველების გაზეთად თვლიდა. „რომ შეიძლებოდეს, წერდა ვინმე განი „ერთობაში“, „კლდეს“ გავყიდდი ძალიან იაფად, მაგრამ ვის უნდა, იგი ვარგა მხოლოდ „დღია მუზეია დურნოგო ვკუსა“.³

როგორც უკვე ვწერდით ერთგან, სახელისუფლებო გაზეთებიდან შედარებით სწორ პოზიციაზე „საქართველოს რესპუბლიკა“ იდგა. იგი ნაკლებად ებმებოდა ასეთ ერთმანეთის შეურაცხმყოფელსა და სალანძრავ დისკუსიებში და უფრო თავისი აკადემიურობით გამოირჩეოდა, 1920 წ. დამფუძნებელმა კრებამ განიხილა გაზეთის საქმიანობა და დეკრეტით დაუმტკიცა მას ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.⁴ განხილვის დროს, გაზეთის რედაქციას მწვავედ შეუტყუეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა. ამ უკანასკნელებმა მაგალითად, მისი დახურვაც კი მოითხოვეს, რადგან მათი აზრით გაზეთი... სუსტი იყო. უთუოდ სწორი იყო დამფუძნებელი კრების რეაქცია ამაზე, რომ ნაკლის გამო გაზეთი კი არ უნდა დახურულიყო, არამედ მიეღო ზომები მის გამოსასწორებლად. განსაკუთრებით მკაცრად იქნა დაწუნებული გაზეთის საინფორმაციო სამსახურის მუშაობა. ლ. შენგელიას აზრით, გაზეთს აუცილებლად უნდა დაემკვიდრებინა მონინავე სტატიების ბეჭდვა, რომლებშიც მთავრობის პოლიტიკა უნდა ასახულიყო (რაკი გაზეთი სამთავრობო იყო).

„ერთობამ“ ლ. შენგელიას ეს ერთობ უწყინარი და სავსებით სწორი გამოსვლაც ხელისუფლების ღირსების შელახვად ჩათვალა და მყისვე უპასუხა მას: „ლ. შენგელიას გაზეთის სიკარგე კი არ ანუხებს, არამედ, ის, რომ მისი წერილები და გამოსვლები არ იბეჭდება იქ ვრცლად. ნუ უკვირს ეს მას, რადგან იგი მთავრობის გაზეთია და ამიტომ მასში მთავრობის წევრთა სიტყვები იბეჭდება ვრცლად.“⁵

ცალკე უნდა შევეხოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომავალი ბოლშევიკური პრესის ფლაგმანს, გაზეთ „კომუნისტს“ (მისი გამოსვლა რუსეთთან 1920 წ. ზავის დადების შემდეგ გახდა შესაძლებელი), რომელიც აშკარად ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ახალგაზრდა სახელმწიფოს წინააღმდეგ და გამოდიოდა მონოდებებით შეიარაღებული გზითა და რუსეთის დახმარებით დაემხოთ ხელისუფლება. გაზეთის ირგვლივ თავი მოიყარეს უცხო ქვეყნის (რუსეთის) მოქალაქეებმა, ქვეყნის ორგულმა და მოლაღატე

¹ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1920 წ. 1

² გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 25

³ იქვე, 208

⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 108

⁵ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 122

ქართველებმა და დაიწყეს არმიასა და გვარდიაში თავიანთი იდეების პროპაგანდა, რითაც ცდილობდნენ დაესუსტებინათ ჩვენი ფრონტი აზერბაიჯანელი და სხვა მუსულმანი მემბოხეების წინააღმდეგ (მათ გამოსვლებს თურქული გაზეთი „სუდაი მილეთი“ ხელმძღვანელობდა). სხვა ქართული გაზეთები, უპირატესად კი „ერთობა“, რუბრიკაში „პრესის მიმოხილვა“ ყოველდღიურად ამხელდა „კომუნისტის“ ასეთ ნაბიჯებს. ამას დაემატა ისიც, რომ მთავრობამ ხელთ იგდო დოკუმენტი, საიდანაც ჩანს თუ როგორ დააყენა ჩვენი ჯარისკაცები ლალატის გზაზე „კომუნისტმა“. მათ მიატოვეს ფრონტი აჭარაში და ამით საფრთხეში ჩააგდეს ხულოში მოქმედი ჩვენი ჯარი. „კომუნისტმა“ ს. პრესმანის ხელით 5 ივნისს გაავრცელა ორი მონოდებაც (პრესმანი დააპატიმრეს ნატანებში, როდესაც ეს მონოდებანი მას ბათუმში მიჰქონდა), რომელსაც ხელს რუსეთის კომპარტიის ბათუმის კომიტეტი აწერდა. ერთი მიმართული იყო მთავრობის, ხოლო მეორე ინგლისელთა წინააღმდეგ. მათში იყო აშკარა მონოდება, რუსეთთან ერთად დაემხოთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება. პრესმანის განმარტებით, ეს ფურცლები მას თბილისში „კომუნისტის“ სტამბაში მისცეს. ასევე გამოიყენა „კომუნისტმა“ ოსური ბანდების გამოსვლაც მთავრობის საწინააღმდეგოდ და მოითხოვა ოსების, აფხაზეთის და აჭარის თვითგამორკვევა, რაც ფაქტიურად ამ მხარეთა დაკარგვას ნიშნავდა. ყოველივე ამის გამო, მთავრობა იძულებული გახდა „კომუნისტი“ დაეხურა.¹

ხელისუფლების ყოველად გაუმართლებელი რბილი პოზიციის გამო, მალე ისევ განახლდა ბოლშევიკთა გაზეთის გამოსვლა, ოღონდ ამჯერად ახალი სახელწოდებით – „საქართველოს კომუნისტი“. რა თქმა უნდა შეიცვალა მხოლოდ გაზეთის სახელწოდება, მისი საქმიანობა კი კვლავ იგივე დარჩა. „საქართველოს კომუნისტი“ გამოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო ინტელიგენციის გადაბირებისათვის მუშაობა და იწონებდა რუსეთის ინტელიგენციის იმ ნაწილის მოქმედებას, რომელიც ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. „ერთობა“-მ „საქართველოს კომუნისტი“-ს მზაკვრული ჩანაფიქრიც ამხილა.²

გაზეთ „კომუნისტის“ დემაგოგიას ერთა თვითგამორკვევის შესახებ „ერთობაში“ საფუძვლიანად უპასუხა ლ. ნათაძემ სტატიით „ერის თვითგამორკვევა“ და „კომუნისტი“. სამართლიანად წერდა ლ. ნათაძე, რომ „კომუნისტი“ აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და მოითხოვდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ერს მისცემოდა თვითგამორკვევის უფლება. ადრე კომუნისტები თვითგამორკვევას ბურჟუაზიულ ლოზუნგად თვლიდნენ, მაგრამ შემდეგ შეიცვალეს აზრი და საქართველოში მცხოვრები ერების თვითგამორკვევის მხარდაჭერით ფაქტიურად საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. რაც შეეხებოდა რუსეთს, კომუნისტები თვითგამორკვევას მხარს არ უჭერდნენ, რადგან ისინი არ სცნობდნენ თვით მთელი ერის თვითგამორკვევის უფლებას მაშინაც კი, როცა ამ ერს არ სურდა რუსეთთან ერთად ყოფნა და პარადოქსია, რომ სცნობდნენ რომელიმე ერის მცირე ნაწილის თვითგამორკვევის უფლებას. რა თქმა უნდა სწორი იყო ლ. ნათაძე როცა წერდა, რომ ჩვენ კი გვწამს ერის თვითგამორკვევის უფლება, ოღონდ ეს უნდა იყოს მთელი ერისა. მაგალითად სომხეთში სომეხ ერს აქვს ამის უფლება, მაგრამ სხვაგან მცხოვრებ სომხებს არა, არა აქვთ ამის უფლება არც ბაქოში მცხოვრებ 10 000 ქართველს. საქართველოში თვითგამორკვევის უფლება აქვთ მხოლოდ ქართველებს, სხვებს არა, რადგან მათი ძირითადი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის გარეთ არის. ჩვენ არ გვსურს ქართველთა თვითგამორკვევა ბაქოში ალაგირში, ნალჩიკში, მოზდოკში... სომხების თვითგამორკვევა უნდა მოხდეს სომხეთში და არა საქართველოში, აზერბაიჯანლებისა აზერბაიჯანში, რუსებისა რუსეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებს, თათრებს და სომხებს მივცეთ თვითგამორკვევის უფლება. კომუნისტები რომ წერს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს მიეცით თვითგამორკვევის უფლებაო, ე. ი. უნდა შეიქმნას მანგლისისა და ალბულანის რუსთა რესპუბლიკები, თბილისის, ბორჩალოსა და სოხუმის ოლქის სომეხთა რესპუბლიკები, გორის მაზრის ოსთა რესპუბლიკა ოსეთის კანტონი (ხომ მოითხოვს ეს ოსებმა) ე. ი. შევწიროთ საქართველო ამას? კომუნისტებს სწორედ ეს სურს. კომუნისტებს ამის თქმა გჭირდებათ არა იმიტომ, რომ მართლა გსურს ერთა თვითგამორკვევა, არა, თქვენ გსურს აქ

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 133

² იქვე, 136,146

მონური თანაგრძნობები ეროვნულ უმცირესობათა სახით. თუ დასჭირდათ მათ (ე. ი. კომუნისტებს – ა. ნ.), ისინი ამ ეროვნულ უმცირესობებსაც გასთელავენ. ასე ქნეს მათ მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიაში და არ მისცეს მათ თვითგამორკვევის უფლება. „კომუნისტი“ გაზეთ „ერთობას“ აბრალებს, რომ მათ სურთ საქართველო ქართველებისათვის. „ტყვილია ეს. ჩვენ გვინდა საქართველოში ეროვნულ უმცირესობებს ქონდეთ მეტი უფლებები. ი. ნერეთელი იცავს შეკვეცილ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას. ჩვენი პარტია (მენშევიკების – ა. ნ.) კი მიიჩნევს, რომ ეროვნულ კავშირებს არ მიეცეთ საჯარო უფლებები, თუმცა ჰქონდეთ მცირე ერებს კონსტიტუციური გარანტიები“. ლ. ნათაძე იხსენებს იმასაც, რომ ერთ დროს კულტურული ავტონომიის მიცემის წინააღმდეგ კი იყო სტალინი აფხაზებისა და ოსებისათვის, მაგრამ ახლა კომუნისტები თავს იკლავდნენ იგივე ოსების თვით-გამორკვევისათვის. ე. ი. აქედან დასკვნა – მათ როცა როგორ სჭირდებოდათ ისე ამბობენ. „მათ ფეხებზე ჰკიდიათ ერების ბედი, ყველას გათელავენ, გაარუსებენ თუ ის ხელს შეუწყობს მათ რუსეთთან შეერთებას. დიახ! მათ მარტო რუსეთის ინტერესები ალაპარაკებთ. მათი ლოზუნგია „საქართველო რუსეთისათვის“.¹

მაღე საქართველოში „კომუნისტი“ რუსულადაც დაიწყო გამოსვლა და ისიც იმავე პოზიციაზე დადგა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სავსებით სწორი იყო „ერთობა“, რომელმაც „კომუნისტის“ პოზიცია გააკრიტიკა. ხელისუფლება კი იძულებული გახდა 17 ივლისს იგი დაეხურა და პროკურორის გადანყვეტილებით რედაქტორი თუმანოვი დაეპატიმრებინა.² რამდენადაც ხელისუფლების ეს გადანყვეტილება სწორი იყო, იმდენად გაუგებარსა და ალოგიკურს წარმოადგენდა მისი მეორე ნაბიჯი – სწორედ კომუნისტ კიროვის საქმიანობის გაკრიტიკებისათვის დაიხურა გაზეთი „გრუზია“.³

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა რადიოსადგურის მშენებლობისათვისაც (თბილისსა და ბათუმში მძლავრი რადიოსადგურების აგებაზე სერიოზული ფიქრი ჯერ კიდევ 1918 წ. დაიწყო) და გადაწყდა 1920 წ. იგი საფრანგეთის დახმარებით აეგოთ თბილისში (ბათუმში უკვე მოქმედებდა, თუმცა არა დიდი სიმძლავრისა). მისი მოქმედების რადიუსი 5000 კმ. იქნებოდა და მას სააქციო საზოგადოება „ევრაზია“ ააგებდა.⁴ რადიოსადგური იმდენად მძლავრი იქნებოდა, რომ იგი პირდაპირ დაუკავშირდებოდა ევროპის რადიოსადგურებს. „ევრაზიასთან“ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემდეგ მოხსენება მისი აგების თაობაზე მთავრობამაც მოისმინა და გადაწყდა სასწრაფოდ დაწყებულიყო მისი აგება. რადიოსადგურის აგების ინიციატორი საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა იყო, ხოლო პროექტი ფრანგმა ემერმა შეადგინა.⁵

თბილისში მოქმედებდა საინფორმაციო ბიუროც, თუმცა ძალზე არაეფექტურად, ის პრესაში მხოლოდ იმ ინფორმაციებს აგზავნიდა, რასაც უცხოეთიდან ლებულობდა.⁶ ამიტომ, სავსებით ლოგიკურად დაისვა საკითხი, რომ შექმნილიყო საქართველოს პრესბიურო, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს საქმიანობის სწორ გაშუქებას საქართველოსა და უცხოეთში.⁷ მაღე, დეკრეტით, მართლაც შეიქმნა საქართველოს დეპეშათა სააგენტო 17 საშტატო ერთეულითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით და იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა.⁸

მაღე დეპეშათა სააგენტოს საქმიანობა და ხარჯთაღრიცხვა დამფუძნებელმა კრებამაც განიხილა და სამართლიანად გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები მისი საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ.⁹

ცალკე უნდა შევეხოთ იმას თუ რა თემატიკით იყო დაკავებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა. მიუხედავად იმისა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს პარტიული კუთვნილებისა, ყოველი მათგანისათვის ერთ-ერთ უპირველეს საკითხს ქვეყნის დამოუკიდებლობა წარ-

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 145.

² გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 147,161

³ გაზეთი „გრუზია“, 1920 წ. 90

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. 93, „ერთობა“, 187

⁵ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 164, 172, „ერთობა“, 168, 201.

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 144

⁷ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 47

⁸ იქვე, 125.

⁹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 122.

მოადგენდა. განსაკუთრებით ფართედ შუქდებოდა 26 მაისისათვის მზადება და ჩატარება. მაგალითად 1920 წლის პრესა დაწვრილებით წერდა იმაზე თუ როგორ ჩაიარა 26 მაისმა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში და სხვა დაბა-ქალაქებში. თბილისში მოენყო პარადი, გაიმართა მიტინგი, ჩატარდა მრავალი სანახაობითი ღონისძიება, გაიმართა სპექტაკლები, თეატრში მოენყო „შევარდენის“ გამოსვლა და ა. შ. დიდი ზეიმი იყო სოხუმშიც, ხოლო ფოთში იგი იმითაც გამოირჩეოდა, რომ აქ გამოვიდნენ აფხაზურად, აჭარულად, მეგრულად, ქართლურად, მთიულურად და ა. შ. მორთული გოგონები.

ასევე ფართედ შუქდებოდა ყოველწლიურად საპირველმაისო სამზადისი და ზეიმი.

1920 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა სოციალისტური ინტერნაციონალის დიდი დელეგაცია, ეს მოვლენა წარმოუდგენლად ფართოდ გააშუქა პრესამ. განსაკუთრებით ითქმის ის „ერთობაზე“. მაგალითად, მისი 210-ე ნომერი მთლიანად მიეძღვნა სტუმრებს და სხვა მასალებთან ერთად დაიბეჭდა გ. ქუჩიშვილის, ვ. რუხაძის, დ. მეჩონგურეს, ვ. ტუქსიშვილის და სხვათა ლექსებიც.

პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო რუსეთთან ურთიერთობა, გარდა იმისა, რომ შუქდებოდა რუსეთის ყოველდღიური ცხოვრება, იბეჭდებოდა ანალიტიკური ხასიათის წერილებიც, მაგალითად, „ერთობაში“ გამოქვეყნდა ვ. ნოზაძის წერილების სერია „თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა“,¹ „საქართველოში“ გ. გვაზავას „რუსეთის პრობლემა და კავკასია“ და „რუსების დამკვიდრება საქართველოში და გმირი ლევან ბატონიშვილი“,² „სახალხო საქმეში“ ს. ფირცხალავას წერილები და ა. შ. გაზეთ „საქართველოს“ კი 1919 წლიდან შემოღებული ჰქონდა რუბრიკა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები“, რომელშიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის „ჩერქესნი“ (№196), „ჩაჩნები“ (№196), „ლეკები“ (№200), „ლეკების გამირები“ (№201), „ოსები“ (№204), ი. დიდიძის „საჩაჩნეთი“ (№243) და ა. შ.

1920 წელს ასევე წამყვანი თემა გახდა გორში მომხდარი მიწისძვრა და მისი ტრაგიკული შედეგები. ფართედ შუქდებოდა ის დიდი თანადგომა რასაც დაზარალებულებისადმი მთელი ქვეყანა იჩენდა.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ისტორიულად მძიმე დღეში მყოფ კუთხეებსაც. მაგალითად, საინგილოზე დაიბეჭდა რ. ინგილოს „განამებული მხარე“.³ ზ. ედილის „ზაქათალის ოლქის (საინგილოს) მნიშვნელობა ჩვენთვის“,⁴ ჯავახეთზე „მწარე ფიქრები, ახალქალაქის ტრაგედია“ (წერილში საუბარი იყო მთავრობისაგან მიტოვებულ იქაურ ქართველთა მასიურ მკვლევლობებსა და უმძიმეს მდგომარეობაზე, რაც განსაკუთრებით კუთხიდან ოსმალების გასვლას მოჰყვა თან. ქართულმა ჯარმა მხარე მხოლოდ 1919 წლის 4 დეკემბერს დაიკავა),⁵ რ. ინგილოს „მგზავრად მესხეთში“,⁶ სამაჰმადიანო საქართველოზე „ქართველი მაჰმადიანები“,⁷ პ. სურგულაძის „სამაჰმადიანო საქართველო“ (მასში საუბარია საქართველოზე ახლად შემოერთებულ მიწებზე) და ა. შ.

ძალზე ბევრი იწერებოდა ე. წ. სამუსულმანო საქართველოზე და პრესა თითქმის ყოველ ნომერში აშუქებდა აჭარის, ართვინის, არტაანისა და არტანუჯის ცხოვრებას. მაგალითად „ერთობა“ წერდა რა ართვინის (არტაანის) ოლქზე, რომელიც 1919 წლიდან საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა (იგივე ირუშეთი, იყოფოდა ორტყიან და ვაკის ადმინისტრაციულ ერთეულებად) აღნიშნავდა, რომ ოლქი მოიარა ბათუმის კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა, რომელმაც მოინახულა სომხური ეკლესია და მეჩეთი და გასცა განკარგულება მეჩეთის შეკეთების თაობაზე.⁸ იმავე წლის სექტემბერში არტაანისა და ბათუმის ოლქები ა. ჩხენკელმა და გენერალმა ზაქარიასძემაც მოინახულეს. ისინი იყვნენ არტაანში, ართვინში, არტანუჯში, ბორჩხაში, მურღულში და ფოცხოვში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები მათ დიდი ზეიმით შეხვდნენ.⁹

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 216, 217, 226, 227

² გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. 96, 97, 101, 102, 105, 107, 109, 209.

³ იქვე, 163

⁴ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ. 839.

⁵ გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. 161

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. 174

⁷ იქვე, 97

⁸ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 190.

⁹ იქვე 215

ასევე დაიბეჭდა „ერთობაში“ წერილი ართვინის კულტურულ მდგომარეობაზეც და აღინიშნა, რომ საჭირო იყო იქ ფართე კულტურული მუშაობის გაჩაღება.¹ ყურადღებას იმსახურებს ბათუმის პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის სურვილიც – 1920 წლიდან დაეარსებინათ გაზეთი „ლაზისტანი“, რომელსაც უზარმაზარი საქმე ექნებოდა გასაკეთებელი, მას თავის ისტორიულ ფესვებთან უნდა დაებრუნებინა სამშობლოს ოდესღაც ბედუკულმართობით მოწყვეტილი ქართველობა. „ერთობამ“ ასევე დასვა საკითხი არდაგანამდე რკინიგზის სასწრაფოდ გაყვანის შესახებ.² 1920 წლის 7 ივლისს ბათუმი დედა სამშობლოს დაუბრუნდა და იქ ქართული ჯარი შევიდა. ეს უდიდესი მოვლენა ფართედ აღინიშნა პრესაში. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა „ერთობაში“ დაბეჭდილი საუბარი ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილთან, სადაც იგი იზიარებდა რა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებით გამოწვეულ დიდ სიხარულს. აღნიშნავდა, რომ უნდა განხორციელებულიყო მათი სარწმუნოების ხელშეუხებლობა და ფართედ გაშლილიყო კულტურული მუშაობა, რისთვისაც აუცილებელი იყო დამხმარე ძალების თბილისიდან გაგზავნა.³

დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის უმეტესი ნაწილი ძალიან გულუხვად წერდა სოციალიზმის თეორიისა და მშენებლობის საკითხებზეც. და ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ იმას, რომ მენშევიკების მთავარ მიზანს ხომ სოციალიზმის აშენება წარმოადგენდა. უფრო მეტიც, 1920 წელს თბილისში ხელისუფლების ხელის შეწყობით გაზეთი „შევისწავლოთ სოციალიზმიც“ კი გამოვიდა.

პრესისათვის ტონის მიმცემი ყველაზე დიდი სოციალისტის ნოე ჟორდანიას თეორიული დებულებები იყო და ისიც შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ თითქმის ყოველ თავის გამოსვლაში ხაზი არ გაესვა სოციალიზმის მშენებლობის აუცილებლობისათვის მთელს ევროპასა და საქართველოში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1920 წლის 25 მარტის მისი ასეთი გამონათქვამი „უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ჩვენ სოციალისტურ წყობილებას მანამ ვერ დავამყარებთ, სანამ ევროპაში არ იფეთქებს სოციალური რევოლუცია“.⁴ ნოე ჟორდანია ძალიან ნუხდა ევროპაში რევოლუციის დაგვიანებაზე.

1920 წლის „ერთობის“ 58-ე ნომრის პირველ გვერდს, რომელიც მთლიანად რუსეთის რევოლუციის მესამე წლისთავს მიეძღვნა, უზარმაზარი სათაური „გაუმარჯოს სოციალიზმს“ ამშვენებდა.⁵ რუსეთის რევოლუციის მესამე წლისთავს საქართველოს დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაც მიეძღვნა.⁶ გამოვიდა კაუცკის წიგნიც „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში,“ პრესამ ასევე ფართედ აღნიშნა გ. პლეხანოვის გარდაცვალების ორი წლისთავიც (საერთოდ მენშევიკები აღმერთებდნენ პლეხანოვს და თითქმის ყველაფერს მის სახელს არქმევდნენ), ფ. ენგელსის დაბადებიდან 100 წელი, რომლის საზეიმო სხდომას 28 ნოემბერს ნ. ჟორდანია და კ. კაუცკიც ესწრებოდნენ (ნ. ჟორდანიამ სიტყვაც წარმოთქვა)⁷ და სხვა სოციალისტური თარიღები.

1921 წ. 12 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარეს. ამის გამო, საქართველოში 6 თებერვალს დიდი ზეიმი გაიმართა. ყოველივე ეს ჩვენი პრესის ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა.

1921 წ. თებერვლიდან კი საქართველოს პრესის ფურცლებზე უმთავრესი ადგილი სამხედრო-პატრიოტულმა თემატიკამ და საბრძოლო ოპერაციების აღწერამ დაიჭირა, რაც სრულებით არ იყო შემთხვევითი – ქვეყნის დამოუკიდებლობას გარედან აშკარა საფრთხე დაემუქრა. 18 თებერვლიდან ქართული გაზეთების გამოცემა ორგვერდიანი გახდა, თანაც ისინი მთლიანდ საბრძოლო ამბების აღწერასა და საომარ მონოდებებს ეთმობოდა.

1918-21 წლებში, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა პრესის გავრცელების ორგანიზაცია.

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 194

² იქვე, 208

³ იქვე, 168

⁴ გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 74

⁵ იქვე, 58

⁶ იქვე

⁷ იქვე, 268

ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა პერიფერიებში ან საერთოდ არ მიდიოდა, ანდა თუ მიდიოდა ძალზე დიდი დაგვიანებით. მაგალითად, ქუთაისშიც კი, სადაც მოქმედებდა (აშკარად სუსტად) ი. კვიციანიძის პრესის გამავრცელებელი კანტორა, პრესა მხოლოდ მესამე დღეს ჩადიოდა. პრესის გამონერის შესახებ ინტენსიური პროპაგანდის მიუხედავად, ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების ტირაჟები ძალზე დაბალი იყო. პერიფერიების დიდი ნაწილი საერთოდ იყო პრესის გარეშე დარჩენილი და ხშირ შემთხვევაში ამ ინფორმაციულ ვაკუუმს მონინაალმდევე მხარის პროპაგანდისტული მანქანა იკავებდა.

ჟურნალისტთა ცხოვრებაში უთუოდ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა 1920 წ. 31 მარტს გამართული კრება, სადაც მოხსენებით დ. დუმბაძე გამოვიდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი, გადადგმული ჟურნალისტთა კავშირის ჩამოყალიბების გზაზე. კრებამ აირჩია შვიდკაციანი საორაგნიზაციო კომიტეტი (ყოფილად აუხსნელი მიზეზების გამო ამ შვიდიდან ქართველები მხოლოდ დუმბაძე და ჯაფარიძე იყვნენ), რომელმაც თავის მხრივ თავმჯდომარედ ბუქმტეინი, ხოლო მდივნად კროტოვი აირჩია. მალე დაიბეჭდა ჟურნალისტთა კავშირის წესდებაც.¹

გარკვეული (თუმცა სუსტი) ნაბიჯები გადაიდგა ჟურნალისტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც და 1920 წ. 13 მაისს შეიქმნა თბილისის ჟურნალისტთა პროფკავშირებიც (თავმჯდომარედ ანინი იქნა არჩეული).

ცალკე განვიხილოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოშვებული რუსულენოვანი პრესა, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე მრავალრიცხოვანი იყო. 1918 წ. რუსულ ენაზე გამოდიოდა: „გრუზია“, „ბორბა“, „ედინენი“, „ზნამია ნაროდა“, „ევრეისკი გოლოს“, „რაბოჩი სოიუზ“, „ზნამია ტრუდა“, „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა“, „ნოვოსტი დნია“, „პრობუჟდენიე“ (აზერბაიჯანელთა ორგანო), „რეჩ“, „ნაროდნაია სვობოდა“, „სვობოდნი პუტ“, „სოციალ-დემოკრატ“, „ვოზროჟდენიე“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ოტელიკი ტიფლისა“, „სუხუმსკი ლისტოკ“ და „ჟურნალ კლუბა სლუმატელი ცენტრალნოგო ნაროდნოგო უნივერსიტეტა“. 1919 წ. გამოდიოდა: „ედინენი“, „რაბოჩი სოიუზ“, „გრუზია“, „ბორბა“, „ნაროდნოე ზნამია“, „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა“, „ნოვოსტი დნია“, „სვობოდნი პუტ“, „სოციალ-დემოკრატ“, „ვოზროჟდენიე“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ზაკავკაზსკოე სლოვო“, „სლოვო“, „სუხუმსკი ლისტოკ“, „ვოლნა“, „ვოლნი გორეც“, „ზნამია სოციალიზმა“, „რევოლუციონნაია ზნამია“, „ნა რუბეჟე“, „ზნამია ნაროდა“, „ნაშე სლოვო“ (სოხუმში), „ნოვი დენ“, „ნაშ კრაი“ (ბათუმში), „ტიფლისკი ლისტოკ“, „ოზნოვლენიე“, „ნაროდნოე სლოვო“, „გოლოს ტრუდა“ (ბათუმში), „გოლოს რუსკოგო რაბოჩეგო“, „სუვერნი კავკაზ“, „ტიფლისკაია გაზეტა“, „ბატუმსკი ვესტი“, „ნაშა ზნამია“, „ზნამია ნაროდა“ და „ნაროდნოე ზნამია“. 1920 წელს გამოდიოდა: „რაბოჩი სოიუზ“, „გრუზია“, „ბორბა“, „იზვესტია ზაკავკაზსკოგო რუსკოგო ნაციონალნოგო სოვეტა“, „ნოვოსტი დნია“, „ვოზროჟდენიე“, „სლოვო“ (სომეხთა ორგანო), „ვოლნი გორეც“ (ჩრდილოეთ კავკასიელთა ორგანო), „ნაშ კრაი“ (ბათუმში), „ნოვია გრუზია“, „ბათუმსკაია ჟიზნი“, „ევრეისკაია ჟიზნი“, „ვესტი“, „გოლუბოე ზნამია“, „კომუნისტ“, „კომუნისტ გრუზიი“, „ნოვოსტი დნია“, „გოლოს რაბოჩეგო“, „ტიფლისკაია გაზეტა“, „ზნამია სოციალიზმა“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ნოვოსტი“ და „სოციალ დემოკრატ“. 1921 წელს გამოდიოდა „რაბოჩი სოიუზ“, „გრუზია“, „ბორბა“, „სლოვო“, „ბატუმსკაია ჟიზნი“, „ევრეისკაია ჟიზნი“ და სხვა. (აქ „და სხვას“ როცა ვწერთ მხედველობაში გვაქვს ლიტერატურული და სამეცნიერო ხასიათის გამოცემები, რომლებიც შესაბამის თავებში გვაქვს განხილული).

დასახელებული რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების ნაწილს ქართველებიც ცემდნენ. მაგალითად „გრუზიას“ (რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ლ. ჯაფარიძე და ე. გორდელაძე), „ბორბას“ (რედაქტორობდა დ. შარაშიძე), „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორობდა ე. გორდელაძე), „ოზნოვლენიეს“ (რედაქტორობდა რ. ივანიცკი, ხოლო გამოსცემდა ე. გორდელაძე) და ა. შ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გამოცემათა აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ფაქტიურად რუსულ აგენტურას წარმოადგენდა და მას რუსეთი აფინანსებდა. ეს რომ მართლაც ასე იყო როგორც სამართლიანად წერდა ამის თობაზე „ერთობა“, დასტურდება შემდეგითაც – გაზეთის ერთი ნომერი რომელიც 30 მანეთი ჯდება სავაჭრო ქსელში 10 მანეთად იყიდებოდა.²

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 74, 87

² გაზეთი „ერთობა“, 1920 წ. 280

საქართველოში გამომავალი რუსული პრესა პრაქტიკულად ორ დაჯგუფებად იყოფოდა და ერთი რუსების, ხოლო მეორე სომხების ინტერესებს იცავდა. უნდა ითქვას ერთიც, რა თქმა უნდა რუსების პრესა პირველ რიგში სწორედ რუსეთის ინტერესებს იცავდა, მაგრამ ისინი იმავდროულად ასევე აშკარად იდგნენ სომხურ პოზიციებზე, რადგან თვით სომხები იყვნენ რუსული ორიენტაციისანი.

ამ გაზეთების დიდი ნაწილი არა უბრალოდ მტრობდნენ საქართველოს, არამედ ბეჭდავდნენ ცრუ ინფორმაციებს და ამით დაზავდნენ ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან. ასე მაგალითად რუსი კადეტების გაზეთი „ნოვოე სლოვო“, ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა საქართველო და სომხეთი. „ყველა ღირსეული რუსის მოხელენი, წერდა გაზეთი, დარჩებიან თავის ადგილებზე სომხეთში, საქართველოში კი არა, რადგან იქ საქმის წარმოება რჩება რუსულ ენაზე.“ ამას გვერდი თვით „ერთობამაც“ კი ვერ აუარა (მიუხედავად მისი პოზიციისა რუსეთის მიმართ) და იგი იძულებული გახდა რუსული გაზეთი გაეკრიტიკებინა.¹

ასევე აგდებდა შულს ოსმალეთთან „ზნამია ტრუდაც“. იგი თავისი პუბლიკაციებით თითქოსდა გამოესარჩლა ოსმალებს და ამით ხელოვნურად დაძაბა ურთიერთობა მუსულმან ქართველებთან. ეს აღნიშნა თავის გამოსვლებში გაზეთმა „ერთობამაც.“²

რეაქციონური ხასიათისად მონათლა საქართველოს მთავრობის ეროვნული პოლიტიკა რუსულმა „სოციალ-დემოკრატმაც.“ ამის გამო იგი „საქართველოს რესპუბლიკამ“ გააკრიტიკა.³

რუსული გაზეთები ძალზე გააღიზიანა და აღაშფოთა იმანაც, რომ საქართველოში ტექნიკურ, სასურსათო, სამხედრო და საფინანსო საქმეებში უცხოელი ინსტრუქტორების მონვევა დაიწყეს. მათ შეეშინდათ, რომ ამით საქართველოში უცხოელი, ე.ი. სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გაძლიერდებოდნენ და ამით რუსეთის გავლენა შესუსტდებოდა. განსაკუთრებით ბევრს წერდა ამის თაობაზე „ვოზრაჟდენიე“, რისთვისაც იგი „ერთობამ“ მკაცრად გააკრიტიკა.⁴

სამწუხაროდ, ზოგჯერ რუსებს გვერდით გადაგვარებული ქართველებიც ედგნენ და თბილისში ისინი უზარმაზარ ენერგიას ხარჯავდნენ რუსული გაზეთების გამოცემაზე. მაგალითად, 1919 წ. თბილისში ორი რუსული გაზეთი მთლიანად ქართველთა ძალებით გამოდიოდა. ამ საქმეში ყველაზე სამწუხარო მაინც ის იყო, რომ ისინი საკუთარ ხალხს უთხრიდნენ ორმოს და მტერს ემსახურებოდნენ. აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას გადაგვარებულ ქართველ ლ. ყიფიანზე, რომელიც თავგამოდებით იცავდა რუსებს „კავკასკოე სლოვოსა“ და „იდინენიეში“ (ის ამათი აქტიური ავტორი იყო). სავსებით მართებულად უპასუხა ლ. ყიფიანს „ერთობამ“, რომ ჩვენ ვლანძღავდით არა საერთოდ რუსებს, არამედ ცალკეულ რუსებს, რომლებიც აშკარად მტრობდნენ საქართველოს.⁵ ლ. ყიფიანი „საქართველომაც“ გააკრიტიკა – „ყიფიანი საქართველოში იძულებულია რუსულად წერდეს და სომხურად იღებდეს.“ რაკი ლ. ყიფიანი „საქართველომ“ გააკრიტიკა, „ერთობამ“ უცბადვე შეცვალა თავისი პოზიცია (როგორც საერთოდ სჩვეოდა მას) და იგი ახლა მის დამცველად მოგვევლინა.⁶

ძალზე პრინციპული იყო ამ კუთხით გაზეთი „საქართველო“, რომელმაც 1918 წ. დაბეჭდა რ. ინგილოს წერილი „დაყოვნება შეუძლებელია“ რაშიც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეწერა, რომ „საქართველოს მართავდნენ ისინი, ვისი მიზანიცაა საქართველოს სახელმწიფოს დაშლა. ასეთია რუს მოხელეთა აზრი. ამათ კი (ე.ი. მტრებს) ხაზინა ასაზრდოებს. პარლამენტში დავსვით მეორე შეკითხვაც, რომ საქართველოს რუსები (ესენი კი უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებია) სცემენ ყოველდღიურ გაზეთებს და მათში ბეჭდავენ ყალბ ცნობებს საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ასაბუთებენ, რომ საქართველო დაინგრეს და შეუერთდეს რუსეთს. ეს რუსული პრესა ერთმანეთს ეჯობრება საქართველოს დამცირება-გამასხრებაში, გვიპირისპირებენ ტყვილებით გერმანიას, მთავრობა კი არაფერს აკეთებს ამის საწინააღმდეგოდ. დამოუკიდებლობის შემდეგ,

¹ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 165

² იქვე, 110,112.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 1.

⁴ გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 161.

⁵ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. 215.

⁶ იქვე, 216.

მაშინვე უნდა მიგველო კანონი ქვეშევრდომების შესახებ და იგი მოსპობდა ბევრ გაუგებრობას.¹

გარდა ამისა, რომ ქართული პრესა სისტემატიურად ამხელდა არაქართულ ენოვან ორგანოებში დაბეჭდილ ცილისმწამებლურ და მტრულ პუბლიკაციებს, ხელისუფლება იძულებული იყო არც თუ იშვიათად ადმინისტრაციული წესითაც ჩართულიყო მათს საქმიანობაში და მიეღო გადამჭრელი ზომები. მაგალითად, 1918 წ. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა გადანყვეტილებით დაიხურა ან დროებით შეჩერდა ა/კ სდმპ ორგანო, გაზეთი „ზნამია ტრუდა“ (101-ე ნომერში დაბეჭდილი წერილისათვის „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“, რომელიც შულს ალვივებდა მეზობელ სახელმწიფოებთან), ბოლშევიკური „სოციალ-დემოკრატი“, რომელიც ენერგიულად იბრძოდა ა/კ ფედერაციის აღდგენისათვის და შემდეგ მისი რუსეთის შემადგენლობაში შეყავნისათვის, „ვოზრაჟდენიე“, სდმპ ორგანო „ტრუდოვოე ზნამია“ (მისი რედაქტორი პასუხისგებაშიც კი მიეცა მტრული პროპაგანდისათვის, რაც №57 დაბეჭდილი წერილით გამოიხატა, რითაც მან გადაგვიკიდა გერმანია),² კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა“, „ზნამია რევოლუციი“, „ზნამია ნაროდა“, „რეჩ“, „კავკასკოე სლოვო“, „ზაკავკასკოე სლოვო“, „ნოვოე სლოვო“ (მისი რედაქტორი სიცრუისათვის დააპატიმრეს) და ა. შ. თუმცა საქმეს ესეც არ შველიდა, რადგან ერთი დახურული გაზეთის ნაცვლად მეორე დღეს სახელშეცვლილი ახალი გაზეთი გამოდიოდა, რომელიც პოზიციას მაინც არ იცვლიდა. მართალია 1918 წელს არ დახურულა, მაგრამ საქართველოსადმი დიდი სიმპატიებითაც არ გამოირჩეოდნენ „ედინენიე“, „სლოვო“, მუსულმანთა ახალდაარსებული გაზეთი „პრობუჟდენია“, „გრუზია“ (მის რედაქტორად პეტროგრადიდან მონვიეს „პეტროგრადსკოე ვედომოსტის“ რედაქტორი ა. ჩერქეზიშვილი, რომელიც იქაურ ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეც იყო),³ ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ და ა. შ.

1919 წ. თბილისში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „სევერნი კავკაზმაც“, რომელმაც თავი მალე იმით გამოიჩინა, რომ უცერემონიოდ დაიწყო საქართველოს სამინაო საქმეებში ჩარევა. იგი აშკარად იცავდა სხვა ქვეყნის ინტერესებს. გაზეთი „საქართველო“ სამართლიანად წერდა თბილისში „სევერნი კავკაზის“ გამოსვლის წინააღმდეგ.⁴

ასევე გაუმართლებელი იყო ხელისუფლების მოქმედება იმასთან დაკავშირებითაც, როცა იგი თბილისში თავისი ხარჯებით სცემდა ორენოვან ჟურნალ „კავკასიის ქალაქს“ რუსულ და ქართულ ენებზე. ამასთან დაკავშირებით, სწორად მიუთითებდა გაზეთი „საქართველი“, რომ თუ ჟურნალი საქართველოსი იყო, მაშინ მას შესაცვლელი ჰქონდა სახელწოდება, მაგრამ სინამდვილეში ჟურნალი საქართველოს ინტერესებს სულაც არ ემსახურებოდა. ხელისუფლება არც ამჯერად ღალატობდა თავის ყბადაღებულ ინტერნაციონალიზმის პრინციპს – „ჩვენ ვიცით, წერდა გაზეთი, რა იმალება ამის იქეთ, დროა საქართველომ თავიდან მოიშოროს ეს ინტერნაციონალური ბუტაფორიები, რომელიც ხელს უშლის ეროვნულ თვითგამორკვევას. ასევე არ ვიცით რატომაა ნახევარი რუსული, ან რატომაა კოლეგიაში საქართველოს მტერი სმირნოვი?“⁵

„კავკასიის ქალაქის“ წინააღმდეგ გაილაშქრა „საქართველოს რესპუბლიკამაც“, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ფაქტიურად ეს რუსულენოვანი ჟურნალი. ამან ალაშფოთა „ერთობა“ და მან დაიცვა ჟურნალი. მისი აზრით, პირიქით, კარგი იყო ის, რომ ჟურნალი რუსულადაც იბეჭდებოდა, რადგან იგი აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა და როგორც იმათ ეხმარებოდა ქალაქების თვითმმართველობების უკეთ მონყობაში, ისე ჩვენთვისაც სასარგებლო ყოფილა, რადგან ამით თურმე გავიცნობდით მათ გამოცდილებასაც.⁶ რა თქმა უნდა, „ერთობის“ ეს მოსაზრება მცდარი იყო, რადგან თუ გამოცდილების გადმოღებამდე იყო საქმე მისული, მაშინ არა ამათგან უნდა გადმოგველო (ანდა რა ჰქონდათ მათ გადმოსაღები?), არამედ აჯობებდა ეს საქმე მსოფლიოს მონინავე

¹ გაზეთი „საქართველო“ 1818 წ. 135.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 50

³ იქვე, 43

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1919 წ. 44

⁵ გაზ. „საქართველო“, 1919 წ. 20.

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. 234

ქვეყნებიდან გაგვეკეთებინა. თანაც, საქართველოს იმ დროს ძალიან უჭირდა ფინანსურად, არ ჰქონდა ქალაქი თვით ძალზე აუცილებელი საჭიროებისთვისაც კი და ამ დროს, არიქა, სხვა რესპუბლიკებმა გამოცდილება მიიღონო, ამისათვის გვებეჭდა მათთვის ჟურნალი?

მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ინტერნაციონალიზმისა და რუსეთთან ურთიერთობის მეხოტბე „ერთობამ“ სრულიად მოულოდნელად შეიცვალა პოზიცია ჟურნალთან მიმართებაში. მისი აზრით ეს ჟურნალი უნდა გადაქცეულიყო ერობის ორგანოდ, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა მასში შესულიყვნენ ერობის წარმომადგენლებიც.

კიდევ უფრო გახშირდა რუსულენოვანი გაზეთების დახურვები 1919-1920 წლებში და დაიხურა, ანდა დროებით შეჩერდა 1919 წელს „ტიფლისკი ლისტოკ“, „ვოლნა“, „ნაროდნოე ზნამია“, „სლოვო“, „ზნამია სოციალიზმა“, „რევოლუციონნაია ზნამია“, „ზნამია ნაროდა“, „ტიფლისკაია გაზეტა“ (რედაქტორი ლებედევი თბილისიდანაც გააძევეს), „ნოვოსტი დნია“, „გრუზია“, „ვოზროჟდენიე“, „ნამ კრაი“ (იგი ბათუმში ინგლისელებმა შეაჩერეს ოთხი დღით და ძველი რედაქტორის ნაცვლად დანიშნეს თბილისიდან გაძევებული დენიკინელი რედაქტორი ფრანჩესკი), „კავკასკოე სლოვო“, „ვოჟრიჟდენიე“ (რედაქტორი ოპოჩინინი თბილისიდანაც გააძევეს), „ბატუმსკაია ვესტი“ (დახურეს ინგლისელებმა, მის ნაცვლად გამოვიდა „ნამ კრაი“), „ნოვი დენ“, „ნამა ზნამია“ (ქონების კონფისკაციითა და რედაქტორის პასუხიმგებლობაში მიცემით), „სოციალ-დემოკრატი“ (რედაქტორები ზურაბოვი და ფირუმოვი, თბილისიდანაც გააძევეს), „ტიფლისკი ლისტოკ“, „ზნამია ნაროდა“, „ნაროდნი ზნამია“, „ზნამია სოციალიზმა“ და „რევოლუციონნაია ზნამია“, 1920 წელს – „კომუნისტ გრუზი“, „კომუნისტ“, „გრუზია“, „ნოვოსტი დნია“, „გოლოს რაბოჩეგო“, „ზნამია სოციალიზმა“, „კავკასკოე სლოვო“, „ნოვოსტი“ და „ნამ კრაი“ (ბათუმში).

1918 -1921 წლებში საქართველოში ჟურნალ-გაზეთები სხვა ენებზეც გამოდიოდა: „აფსნი“ (აფხაზურ ენაზე, 1919 წლის თებერვლიდან), ამიერ კავკასიის გერმანელთა კავშირის გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“ (კვირაში ორჯერ 1918 წელს გამოვიდა №91, 1919 წ. №26, 1920 წ. №99 და 1921 წ. №6), პოლონურად კვირეული ჟურნალი (1918 წელი), უკრაინულად „უკრაინკა ნაროდნა რესპუბლიკა“ (ეს იყო უკრაინის სამხარეო რადის ყოველდღიური ორგანო), რუსულ-თურქულად „ნამ კრაი“ (ბათუმში), ქართულ-თურქულად „სამუსულმანო საქართველო“ (ბათუმში), ქართულ-აზერბაიჯანულად „განახლებული მესხეთი“ (ახალციხეში), თურქულად „სედნი მილეთ“ (ბათუმში, დაიხურა მტრული პოზიციის გამო 1920 წელს), ინგლისურად „ჯორჯიენ მაილ“, „ტრანსკაუკაზიენ პოსტ“ (კვირაში ორჯერ), „ვენის ისტ ნიუს“ (სცემდა ამერიკის დამმხმარე კომიტეტი).

თბილისში განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა სომხური პრესა („აშხატავორ“, „ნორ აშხატავორ“, „მშაკ“ და ა. შ.). სომხები გაზეთებს არა მხოლოდ სომხურ, არამედ ქართულ და რუსულ ენებზეც სცემდნენ, რომელთა უმეტესი ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ ჩვენდამი დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მათზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ისინი ზოგადად განხილული გვაქვს თავში „სომხური კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ და თანაც მიგვაჩნია, რომ სომხურ ენოვანი პრესა უნდა გახდეს სომხური ენის კარგად მცოდნე სპეციალისტების საგანგებოდ შესწავლის საგანი. იგივე ითქმის საქართველოში გამოცემულ სხვა ენოვან გამოცემებზეც.

ზოგიერთი საკითხები 1924 წლის აჯანყებისა და აჯანყებაში ვანის მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის მონაწილეობის შესახებ

ეს აჯანყება საქართველოში ძირფესვიანად დაკავშირებულია საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებასთან და პროცესთა მიმდინარეობაზეც ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი, როგორც აჯანყების ინიციატორი, პოლიტიკური და სამხედრო მოქმედების კოორდინატორი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება აბსოლუტურად ყველა ფორმით შეეხო „ვანის რაიონს“ და მოვლენებმა აქაც რადიკალური ფორმით ჰპოვა განვითარება.

ანალიზით ირკვევა, რომ „ვანს“ აჯანყებაში პერიფერიულ რაიონებსა და დასახლებებს შორის მიკუთვნებული ჰქონდა არც თუ უმნიშვნელო ადგილი. ეს დაადასტურა აჯანყების ოთხ დღიან მონაკვეთში მოვლენათა განვითარებამ. ამასთან, როგორც ჩანს, „ვანში“, აჯანყების მომამზადებელი „ორგანიზები“ და მათი საქმიანობა მზადყოფნის კუთხით გამოკვეთილად და სრულყოფილად მიიჩნეეს.

როგორც ჩანს, „ვანში“ უპირატესად გამოკვეთილად და გააქტიურებლად ჩათვალეს აჯანყების ადგილობრივი საყრდენი ბირთვის „წვრილი ბურჟუაზიის“, ვაჭრების, სასულიერო წოდებათა, თავადაზნაურთა იმ ნაწილის მზადყოფნა და ფსიქოლოგიური განწყობაც, რომელთაც საჭირო მომენტში „ვანსა“ და მის ფარგლებს გარეთაც უნდა ეთამაშათ ნამყვანი როლი. სრულყოფილად ჩათვალეს აჯანყების აქტივისტთა შეიარაღების დონეც და მოქმედების ვარგისიანობაც, რაც საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობისას, როგორც იგი მთლიანად საქართველოში, აშკარად შეუსაბამო აღმოჩნდა თითქმის ყველა განზომილების მიხედვით.

ბოლო ხანებში ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული პიროვნული სიმპათია-ანტიპათიით. ზოგჯერ ზედმინვენით რომანტიკული ფერებითაც, სადღეგრძელოების დონე-ზე. ეს განსაკუთრებულად ჩანს, როდესაც პროცესები ვანთან მიმართებაში განიხილება. არამგონია, რომ საკითხისადმი ამდაგვარი მიდგომა ობიექტური დასკვნების გაკეთების ხელშემწყობად იქცეს.

ვინაიდან ვეხებით რაიონის განვლილი ცხოვრების პერიპეტიებს, რა თქმა უნდა ცუდი არ უნდა იყოს ასეთ მტკივნეულ პროცესებზე რაც შეიძლება მეტი მასალა დაიდოს, ოღონდ ეს მოხდეს ფაქტებთან შეჯერებული, ეპოქის რეალობიდან გამომდინარე განვითარების ლოგიკის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით. ჩემი აზრით ეს მოგვცემს ობიექტურ რეალობასთან მიახლოების საშუალებასაც. მომავალ თაობასაც, თუკი პროცესები დააინტერესებთ ცხადად დარჩებათ საკითხთა არსში გარკვევის საშუალება.

საქართველოში განზრახული აჯანყებისათვის მზადებას, „ვანშიც“, წინ უსწრებდა საკმაოდ საფუძვლიანი მუშაობა და მასში ჩართულნი იყვნენ აქვე მოქმედი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ჯერ კიდევ ადრე შექმნილი მხარდამჭერი საზოგადოებები. როგორც ირკვევა ასეთი ჯგუფები მოქმედებდნენ სოფელ „ვანშიც“ (დღეს ქალაქი), უხუთში, შუამთაში, ტობანიერში. არაა გამორიცხული მეტნაკლები სიძლიერით მსგავსი ჯგუფების მოქმედება სხვა სოფლებშიც და ცნობილია, რომ ისინი პარალელურად საქმიანობდნენ აჯანყების მზადებისათვის სპეციალურად შექმნილ პერიფერიულ ორგანიზაციებთან.

„მუშაობის გასაადვილებლად სამხედრო ცენტრს (ე. ი. აჯანყების ცენტრს) ყოველ თემში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, რომელთაც სამხედრო შტაბისათვის ცნობების შეგროვება ევალებოდა.“¹ ცხადია ეს ინფორმაციები არ იქნებოდა ცალმხრივი, შეზღუდული ხასიათის და მოიცავდა სამოქმედო უბნებზე ყოველმხრივი მონაცემების შეგროვებას, რომელსაც შემდეგში თავს უყრიდა და ანალიზებდა მაზრებში არსებული ზემდგომი შტაბები, რომლებიც 1922 წლიდან შეიქმნა სპეციალურად, აჯანყების მომამზადებელი პერიფერიული ორგანიზების საქმიანობის მოსაწესრიგებლად და კოორდინაციისათვის. შემდეგში კი დაშიფრული ინფორმაცია მიეწოდებოდა „დამკომს“ (დამოუკიდებლობის კომიტეტს). როგორც საქართველოს უშიშროების

¹ჯალერი ბენიძე 1924 წლის აჯანყება საქართველოში. გვ. 15

სამსახურის სპეცინფორმაციიდან ჩანს და ეხებოდა იგი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისათვის მზადებას. მინიშნებულია, რომ „რაიონების ორგანიზაციებს ერთმანეთს შორის ჰქონდათ კავშირი – ორგანიზაციები კარგადაა მოწყობილი, ხონში და სოფელ ტობანიერში“¹ (სოფელი ვანის რაიონში). ასეთი ხაზგასმა ხსენებული ინფორმაციიდან არ არსებობს იმერეთის რეგიონის არც ერთ სხვა დასახლებულ პუნქტზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტობანიერის თემის ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა „ვანში“ აჯანყების ორგანიზების ერთ-ერთ საყრდენ პუნქტს, ხოლო „ვანს“ საერთოდ აჯანყებაში მონაწილე ოპოზიციური ძალების მიერ მიცემული აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აჯანყების ხანმოკლე მსვლელობამაც დაადასტურა.

ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი ვანში აჯანყების პრაქტიკულ ხელმძღვანელებზე, მაგრამ აქ, აჯანყების მზადების მომენტებზე გავლენა აუცილებლად ექნებოდათ ლევან ბელთაძეს (როგორც მტკიცდება წარმოშობით ვანიდან, სოფელ ონჯოხეთიდან). სოლომონ ზალდასტანიშვილი თავის ნაშრომში „1924 წლის ამბოხი საქართველოში“ მიუთითებს აჯანყების ხელმძღვანელის გოგიტა ფალავას დაპატიმრების შემდეგ ლ. ბელთაძე შეყვანილი იქნა ხელმძღვანელ ბირთვში, ხოლო 1924 წლის 28 იანვარს გ. წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ, რომელიც ამზადებდა იარაღის პარტიას ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის მისანოდებლად, იმავე საკითხზე დაპატიმრეს ლევან ბელთაძეც. რაც ადასტურებს მის აქტიურ ჩართულობას შეიარაღებული აჯანყების მზადებაში. ამ ეტაპისათვის ვერ იქნა მასალები მიკვლეული, მაგრამ თუ გავყვებით მსჯელობის ლოგიკას ვერ გამოვრიცხავთ სპირიდონ კედიას გავლენასაც, რადგან იგი წარმოადგენდა ვანელ ჩიჯავაძეთა სიძეს, ხოლო ამ გვარის გავლენა, როგორც ყოფილი დიდი თავადებისა, ვანის პრივილეგიურებულ წრეებზე უდავოდ უნდა მივიჩნიოთ. ამავე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ რთული ბიოგრაფიის კაცის, ნიკოლო მინიშვილის საკითხიც, რომელიც ცოტა ადრე მასწავლებლობდა სოფელ ტობანიერში, თუმცა, იგი აქტიურ ფიგურად არ მოიაზრება.

ზემოთ ნახსენებ „დამკომში“ გაერთიანებულ პარტიათაგან „ვანში“ საკმაოდ მძლავრი ფორმით საყრდენები გააჩნდათ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს). არსებობს დამადასტურებელი მასალები, რომ ისინი აქტიურად შლიდნენ მუშაობას ახალგაზრდობაში. ჯერ ახალგაზრდა მარქსისტული წრეების ჩამოყალიბების, შემდეგ ამ წრეების რაიონულ კომიტეტად გაერთიანებისა და გადაკეთებით, რომლის მდივანიც 1924 წლის აჯანყებისას იყო აფრასიონ კიკაბიძე (შუამთელი ახალგაზრდა). მათ საქმიანობა მიჰყავდათ სკოლებშიც, ქალთა უჯრედების ჩამოყალიბებითაც და არასრულწლოვან მოსწავლე-ახალგაზრდობის მიზიდვითაც. მიჩნეული იყო, რაც მეტი ახალგაზრდა და მათ შორის არასრულწლოვნებიც იქნებოდნენ ჩაბმულნი მოძრაობაში, ეს იქნებოდა მეტი სტიმული აჯანყებაში ამ მოსწავლეთა მშობლების მასიურად მიზიდვისა და გამოყენების საქმეში. საქმიანობა გააძლიერეს ფედერალისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა. აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ვანთან“ დაკავშირებით ზემოთ დასახელებულ პოლიტპარტიათა შორის მენშევიკებისა და ფედერალისტების სიძლიერე განპირობებული იქნებოდა მათივე რამდენიმე მაღალი დონის ლიდერთა „ვანელობით“, თუმცა ზუსტად „ეს ორი პარტია გახლდათ 1912 წლის კიევის კონფერენციის მონაწილე, რომლებმაც საინგილო ოფიციალურად აღიარეს სათათრეთის (აზერბაიჯანის) აფხაზეთი-რუსეთის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ლორედან თბილისამდე სომხეთის შემადგენლობაში.“ ამ ქმედებაში საერთოდ არ ჩანს ზრუნვა საქართველოს დამოუკიდებლობის შეუქცევადობაზე, თუმცა ბატონი ნოე ჟორდანიაც თავის მტკიცებულებებში „თბილისს და მიმდებარე ტერიტორიებს ვერამდე, სომხეთ-აზერბაიჯანისად მიიჩნევდა, ხოლო ვერადან დასავლეთით ქართულ ქალაქად.“

ის, რომ ზემოთ მითითებულ პოლიტპარტიათა გავლენა „ვანში“ ძლიერია, ეს მომდინარეობს მათი საყრდენებიდანაც. ამ შემთხვევაში – „ფონს ქმნიდა რაიონის მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება. იგი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის თავისებურ აკუმულატორს წარმოადგენდა. ამას ხელს უწყობდა მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა, გავლენიანი სასულიერო ნოდება, ჩარჩ-ვაჭრები და მენშევიკების ტრადიციული გავლენა, რომელიც წვრილი ბურჟუაზიის ყველა ფენის ინტერესების გამომხატველი მასიური პოლიტიკური ორგანიზაცია იყო“². ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც ეს პარტია და მისი ლიდერიც

¹საარქივო მოამბე 10 (ლევან ჯიქია - 1924 წლის აჯანყება იმერეთში, შორაპნის მაზრა, ქუთაისის მაზრა.)

²ა.ლ. მაღლაკელიძე „კვალდაკვალ“.

საქართველოში, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებში ხაზგასმით საუბრობდა ბურჟუაზიის წამყვანი როლის შესახებაც და სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ აჯანყების პროცესში, ზემოთ მითითებული, როგორც უკვე პრივილეგიადაკარგული და განაწყენებული ძალების გამოყენებაზე გაკეთებულიყო აქცენტები. ამ მოსაზრებას ამყარებს საქართველოში 1924 წლის აჯანყების მკვლევარის ვალერი ბენიძის სიტყვებიც: – „ადგილებზე აჯანყების მომზადების საქმე მინდობილი ჰქონდათ პარიტეტული. კომიტეტის სპეციალურ წარმომადგენლებს, მათ ემორჩილებოდნენ რაიონული რწმუნებულები, ათეულების უფროსები აწარმოებდნენ იმ ძალების აღრიცხვას, რომელთაც შეეძლოთ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება. ასეთებად ისინი თვლიდნენ ხელისუფლებისაგან ცოტათი თუ ბევრად განაწყენებულ ადამიანებს, ანტისაბჭოთა პარტიების მომხრეებს, მემამულეებს, ბურჟუებს, მეფის მთავრობის ყოფილ ოფიცრებს, გვარდიელებს... აღრიცხვაზე აჰყავდათ და დიდ იმედებს ამყარებდნენ იმ პირებზე, რომელთაც სამხედრო სამსახური გაიარეს და შეეძლოთ აირალის ხმარება¹.“ მსგავს ფაქტებს აკონკრეტებს „საარქივო მოამბის“ შესაბამისი ნომრებიც, რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მასალებსა და წყაროებს ეყრდნობა.²

კონსპირაციის დაცვის მიზნით – განაგრძობს მკვლევარი ვალერი ბენიძე – „შეიარაღებული აჯანყების მომავალმა მონაწილეებმა არაფერი იცოდნენ მათ აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. რა თქმა უნდა ზედმეტია ლაპარაკი მათ სათანადო აზრსა და თანხმობაზე... ასეთ საკუთარ ვარაუდებზე დამყარებული აღრიცხვის თანახმად პარიტეტული კომიტეტი (ე.ი. საქართველოში აჯანყების მომამზადებელი ცენტრი) საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის საჭირო ძალებსა და გამოსვლების დაწყებისათვის სათანადო საფუძველს მომზადებულად თვლიდაო“ – დასძენს მოყვანილი ციტატების ავტორი.

ამ სტრიქონებს ნამდვილად არ სჭირდება არანაირი კომენტარი, რადგანაც მასში მოცემულია აჯანყების მზადების რამდენადმე სუმბურული არსი, მისადმი ნაკლებპრაგმატული დამოკიდებულებაც და საფუძვლიანი კრიტიკაც. თანაც ეს ნაშრომი იმ დროსაა გამოქვეყნებული, ავტორს ვერავინ დასწამებს საბჭოთა რეჟიმის ზენოლას.

1924 წლის ზაფხულისათვის პარიტეტულმა კომიტეტებმა დაამთავრა აჯანყების სამხედრო თვალსაზრისით მომზადება. ამავე დროისათვის საზღვარგარეთიდან მიიღეს ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი, აჯანყების გეგმა. განკარგულება ეძლევა პარიტეტულ კომიტეტს: „მოაწყოს ერთდროული აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით, მხოლოდ ამ შემთხვევაში ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და გაგვინებს დახმარებასო“.

როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა ბატონი ნოე ჟორდანია და მისი მომხრენი, მაგრამ აჯანყების საკითხზე ქართულ ემიგრაციაში არსებობდა სხვა მოსაზრებანიც. საზღვარგარეთ მყოფ მენშევიკების ნაწილს საქართველოში აჯანყების მოწყობისა და ევროპის ქვეყნებიდან დახმარების განევა თავის მოტყუებად მიაჩნდა. საკითხზე დაეჭვება და ორაზროვნება არსებობდა თვით ემიგრაციის ხელმძღვანელობაშიც, რიგ პოლიტიკურ პარტიებშიც და როგორც შემდეგმა მსვლელობამ აჩვენა ემყარებოდა პოლიტიკური პრაგმატიზმის ლოგიკას.

ამ საკითხთა ირგვლივ, მხოლოდ კონკრეტულ ასპექტში, კვლავ მოგვინებს მობრუნება და შეფასების გაკეთება, მაგრამ მანამდე შეიძლება ითქვას: აჯანყების დევიზი იყო მძლავრი და მარადიული – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს მენშევიკური ხელისუფლების მმართველობის დროს, პირველ მსოფლიო ომში მოკავშირეთა გერმანია-თურქეთის, საქართველოს ხელისუფლებაზე აქტიური ზემოქმედების შედეგად, რადგანაც მთელ რიგ განზომილებათა გამო ხსენებული ორი ქვეყნის შორსმიმავალ სტრატეგიულ ინტერესებში ჯდებოდა საკითხის ამგვარად გადაწყვეტა. ესაა რეალობა და არა ის, რომ საქართველოს სუვერენობის საკითხი როდისმე გულწრფელად აწუხებდათ ამ ქვეყნებს. საქართველოს დამოუკიდებლობა ამ მიმართულებით აძლევდათ მათ კარტ-ბლანშს და პირდაპირ რომ ითქვას გარკვეულ ეტაპზე შესძლეს კიდევაც მისი გამოყენება. დაიკარგა

¹ვალერი ბენიძე 1924 წლის აჯანყება საქართველოში გვ.23.

²ლევან ჯიქია 1924 წლის აჯანყება იმერეთში, საარქივო მოამბე 10

იგი ასევე მენშევიკური ხელისუფლების არსებობისას, მათ მიერ მართვის ფენომენში დაშვებულ კომპლექსურ შეცდომათა გამო და გარეძალების ზემოქმედების შედეგადაც.

დღეს არაპოპულარულია ამის თქმა, მაგრამ აქ გამუდმებულად ვიძახოთ რუსულ ფაქტორზე (რომელიც ცხადია იყო) თუ კარგად დავაკვირდებით გაცვდა და დამოუკიდებლობის დაკარგვაში არანაკლები როლი მიუძღვის ქართველთა ე.წ. მოკავშირეებსაც.

ამ საკითზე დეტალური საუბარი თემის ძირითად მიმართულებას არ წარმოადგენს, ამიტომ, მხოლოდ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტზე შევჩერდეთ მაშინდელი საქართველოს ეკონომიკის სფეროდან, რომელიც პრაქტიკული განმაპირობებელია, როგორც სოციალურ-კულტურულ აღმშენებლობათა დაწესრიგებისათვის, ასევე აისახება მასების განწყობასა და ფსიქიკაზეც. **რადგანაც ყველგან და ყოველთვის „პოლიტიკა დგას და წარმოადგენს ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოხატულებას“, რომლის გამოც გამართული ეკონომიკის პირობებში ინარჩუნებ ან სათავისოდ კარნახობ სიტუაციათა მიმდინარეობებს, ან მოშლილი ეკონომიკის პირობებში გკარნახობენ მას. ამავე პროცესებზეა დამკვიდრებული ქვეყნის შიგა პოლიტიკური სტაბილურობაც.**

მენშევიკური ხელისუფლების პერიოდი მიუხედავად გატარებული ზოგიერთი სახის რეფორმებისა საერთოდ, ან პერიფერიებში, მათ შორის, ვანის თემსაზოგადოებებშიც, არ ხასითდება მასების ყოფითი, ეკონომიკური, სოციალური პირობების მნიშვნელოვანი დაწესრიგებით. ეკონომიკური რყევები და კრიზისები დამახასიათებელი მოვლენა გახდა.

შევხედოთ, ფულადსაკრედიტო პოლიტიკას, ეკონომიკის მარგი ქმედების უპირველეს გამოხატულებას. სახელმწიფო ბიუჯეტი 1918-1919 წლებში აღწევდა 174250 მანეთს. გასავალი 663507 მანეთს, დეფიციტმა მიაღწია 489257 მანეთს. 1920 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტმა გადააჭარბა 76%-ს, პარალელურად მოიშალა ვაჭრობის სალდოც: იმპორტი 66%, ექსპორტი 34%. ამ საკითხზე ბატონი ნოე ჟორდანიას აცხადებდა: „დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ ხაზინა ცარიელი იყო (ე.ი. მენშევიკების ხელისუფლებაში მოსვლიდან დაახლოებით ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ) მართალია, შემოსავლის წყარო ფინანსური თვალსზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვექონდა... ჩვენ ვამბობდით – განმარტავს ის – ეკონომიკური მხრივ კატასტროფისაკენ მივისწრაფვოდით... ბევრს არ სჯეროდა ამ აღიარების... დღეს სიტყვა უკვე გამართლდა. თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, რომ ჩვენ არათუ მივდივართ კატასტროფისაკენ უკვე მივედით აქამდე.“¹

გულახდილი და საინტერესოა ეს მსჯელობა, მაგრამ აქ არ ჩანს საუბარი იმაზე, რომ, ლოგიკურად, მენშევიკური ხელისუფლების მმართველ გუნდს ევალებოდა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე არ მიეყვანა, მიუხედავად ურთულესი საშინაო-საგარეო ფაქტორებისა.

1919 წელს ბონების² რაოდენობა ავიდა სამ მილიარდ მანეთამდე, 1920 წელს 12 მილიარდამდე, 1920 წლის თებერვლამდე გამოიცა 17 მილიარდზე მეტი ბონი.

1918 წლის მაისისათვის ერთი მანეთი ღირდა 10 შაური³ ოქროთი წლის დასასრულს 1,5 კაპიკი, 1920 წელს ღირებულება დავიდა 1/20 კაპიკამდე. ამ დროისათვის ინგლისური გირვანქა სტერლინგი ღირდა (1913 წელს 10 მანეთი), 1918 წლის დეკემბერში 40 მანეთი, 1919 წლის ივნისში 300 მანეთი, 1919 წლის დეკემბერში 662 მანეთი, 1920 წლის აგვისტოსათვის მან მიაღწია 5000 მანეთს⁴. ამას უნდა დავუმატოთ აგრარული სფეროს მოშლა, რომ ნათესი ფართობები შემცირებულია 710 000-დან 479 000 დესეტინამდე, რაც მასიური შიმშილობის წამბიძგებელია, სამრეწველო პროდუქციის დონის დაცემა პირველ მსოფლიო ომამდელი დონის 13%-მდე, რასაც რელურად მოჰყვებოდა უმუშევრობის ზრდაც. პირობები კი გაუმჯობესებისა ნაკლებად იყო გამოკვეთილი. ამდენად, აგრარულ-ინდუსტრიული პოტენციალის ასეთი ვარდნა, ნაკლებგანვითარებული საქართველოსათვის, რომელიც მკაცრად აისახა ფულად

¹ ნოე ჟორდანიას – რჩული ნაწერები.

² ბონები – დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი - მისი გამოცემა ხდება იმ დროს, როდესაც ხმარებაში არსებული ფული გაუფასურებულია (დევალვირებულია) მაქსიმალურად.

³ შაური – 5 კაპიკის ექვივალენტი.

⁴ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, რობერტ კოჭლამაზიშვილი – საქართველოს სოფელში სასაქონლო ურთიერთობის ისტორიიდან.

საკრედიტო პოლიტიკაზე, უკლებლად აისახა ქვეყნის მდგომარეობაზეც და დროსა და სივრცეში საფუძვლიანად არყევდა და ეჭვის ქვეშ სვამდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

უკიდურესი მდგომარეობა იკვეთება პერიფერიებშიც. ავილოთ ქუთაისის მაზრაში შემავალი ვანის თემ-საზოგადოებები (დღევანდელი რაიონის მთლიანი ტერიტორია).

„ვანის რაიონში არავითარი საწარმო ობიექტები არ არსებობდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში იყო ჩაბმული. გარდა ამისა აგერ-ეგერ შეხვდებოდით ბობოლა გლეხებს. რომლებიც თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ მოჯამაგირეთა შრომას... ეკონომიკა იმ დონეზე იყო დაცემული, რომ არ ვიცი თუ ვინ ცხოვრობდა მაშინ ადამიანურ პირობებში¹, შიმშილი, სიშიშვლე და სიდუხჭირე საყოველთაო მოვლენა იყო. ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმს განსაკუთრებულად სოფლად ვერ შეხვდებოდით, სხვა დანარჩენ უბედურებასთან ერთად სამაძღროდ სიმინდის მჭადიც კი იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა, პურზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.“²

რომ ეს შეფასება გაზვიადებულად არ იქნას აღქმული საერთო მდგომარეობის ირგვლივ დავეყრდნობი ციტატას ბატონი ნოე ჟორდანიასაგან – „ქვეყანაში დიდი ეროვნული გაჭირვება სუფევდა, განსაკუთრებით კვების საქმე იყო ცუდად... მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან (ე.ი. ლანჩხუთიდან) ვიღებდი ხშირად. ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირ სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება მითხრეს შენ მინისტრი ხარ, რავა დავიჯერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონიაო...“³

ჩართული არამრავალი ამონარიდებითაც კარგად ჩანს საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი საერთო მდგომარეობა. ქვეყანაში, რომელშიდაც ეკონომიკა მოშლილია, ამის გამო სოციალური მდგომარეობაც გაუმართავია, პარტიათა შუღლი ურთიერთდაჭმამდეა მისული, დამოუკიდებლობის საკითხს ყოველთვის ამძიმებს კითხვის ნიშნები და ეს გამოჩნდა კიდევაც. საქართველოს ხელისუფლებასა და თურქეთს შორის 1918 წლის 4 ივნისის მოლაპარაკებით, რომლის დროსაც გაფორმდა თურქეთ-საქართველო-სომხეთის ხელშეკრულება „მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების თანხმობით – „ოსმალეთს გადაეცა გარდა ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოლქებისა – ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც... ოსმალეთს უფლება მიეცა სამხედრო საჭიროებისათვის საქართველოს რკინიგზით სარეგებლობისა⁴, მენშევიკურმა ხელისუფლებამ ივალდებულა მოეხდინა ქართული არმიის დემობილიზაცია, განეიარაღებინა სამხედრო გემები, გერმანიისა და თურქეთისათვის გადაეცა მთელი ტრანსპორტი, ნედლეულის ბაზები⁵. ხოლო „1918 წლის 28 მაისს გერმანიამ სცნო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლება და ფოთში გაფორმებული ექვსი ხელშეკრულებით სათავისოდ განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკური რესურსების ექსპლოატაციის მონოპოლიური საფუძვლებიც: – ფოთის პორტი და რკინიგზა გადავიდა გერმანიის სარდლობის განკარგულებაში. 10 ივნისს გერმანიის საჯარისო დანაყოფები 5 000 კაცი შედის თბილისში, ხოლო გერმანელთა სამხედრო გარნიზონები განლაგდნენ: ქუთაისში, გორში, სიღნაღში, სამტრედიამში, ახალსენაკში, ოჩამჩირესა და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ფოთში განლაგებული ჯარების რიცხვმა მიაღწია 10000 კაცს. მთლიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩაყენებული იქნა სხვადასხვა საჯარისო სახეობათა შემადგენლობის 30 000-მდე გერმანელი ჯარისკაცი. გერმანიის სამხედრო კონტროლს დაექვემდებარა: საქართველოს ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკი და სამხედრო ფინანსური უწყებანი. იმავე წლის 12 ივნისის ხელშეკრულებით გერმანიამ მიიღო ქიათურის მარგანეცის ექსპლოატაციის უფლება 30 წლით, ფოთის პორტის 60 წლით, შორაპან-ჭიათურა-საჩხერის რკინიგზისა 40 წლით“⁶ თითქმის ქვეყნის მთელი სტრატეგიული სფეროები. აი, ასე გამოიკვეთა და შეიქმნა საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე ტრამპლინი მოკავშირეთა

¹ მხედველობაშია 1920 წლის მიჯნა.

² ალექსანდრე მაღლაკელიძე – „კვადაკვალი“.

³ ნოე ჟორდანი – რჩეული ნაწერები.

⁴ მის. რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი – საქართველოს ისტორია გვ.968.

⁵ საქართველოს ისტორია. ავტორთა კოლექტივი ი. კაჭარავას რედაქციით გვ 171.

⁶ Гранданская война и военная интервенция в СССР. Энциклопедия. გვ 73-146

გერმანია-თურქეთის შემდეგი სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, ეს გეგმა ძალიან შორს მიმავალი იყო და იგივე ამბიცია ამოძრავებდათ ინგლისელებსაც, როდესაც ისინი საქართველოში შემოვიდნენ.¹ უფრო მოგვიანებით ჰიტლერულ გერმანიასა და თურქეთის სამხედრო პოლიტიკურ ალიანსს მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას. კონკრეტულ სიტუაციათა და განზომილებათა გამო ეს იყო ერთ-ერთი მიზეზიც და მიზანიც, როდესაც ეს სახელმწიფოები მოითხოვდნენ საქართველოსგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ძალიან რთულია დღეს ამაზე საუბარი, მაგრამ თუ ეს მეგობრული დახმარება იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის მიზნით, მაშინ ოკუპაცია რას ნიშნავს?!

ამაზე წერდა გაზეთი საქართველო 1919 წლის 28 მაისის ნომერში... „ეკონომიკის, უფულობის, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემას ხელი შეუწყო მოკავშირეთა (გერმანია-თურქეთის) ჩუმი პოლიტიკის წარმოებამ, რომელმაც გამოიწვია საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია. შეიძლება საქართველოს ოკუპაციას მოკავშირეთათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის კი პირდაპირ გამანადგურებელი და დამლუპველი.“ ამიტომაც მარტო ამით ჩანს, რომ საქართველოს მაშინდელი „სუვერენობა“ გვარიანად ბზარშერეულად გამოიყურება. პათოსი, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას უნდა ახდეს, მარტო ერთუზიანებით არ განისაზღვრება, მდგომარეობა იყო აბსოლუტურად შეცვლილი და მისი ნაკლებგათვალისწინებაც კი ღრმად მიმავალ ფესვებს ტოვებს.

„ქუთაისის მაზრაში პირველად „ვანის“ რაიონში მოხდა მენშევიკური გამოსვლები. მენშევიკებმა დაიკავეს სოფლები: საპაიჭაო, დვალისვილები, უხუთი, ტობანიერი და ბოლოს „ვანი“², სადაც მოჰკლეს აღმასკომის თავმჯდომარე კოლუაშვილი და ორი სხვა კომუნისტი“³.

ოფიციალური წყაროებითაც მითითებულია: „ქუთაისის მაზრაში აჯანყებულთა გამოსვლა „ვანის“ რაიონში 1924 წლის 28 აგვისტოს დაიწყო. აჯანყებას ამბერკი ადგიშვილი და ფერშალი პოლოკარპე ნაფეტვარიძე ხელმძღვანელობდნენ...“ დადასტურებულია იგივე ვერსია აჯანყებულთა მიერ მოკლული კომუნისტების შესახებ და აღნიშნულია... ხოლო აჯანყებიდან მესამე დღეს ბოლშევიკი არტემ ლომინაძე სიცოცხლეს გამოასალმეს, მომდევნო დღეს სოფელ პატრიკეთში ოთხი კომუნარი მოკლეს, მათ შორის, სოფელ სულორში „ვანის“ რაიონული ინსტრუქტორი ერმილე ძაგნიძე“⁴.

პრაქტიკულად „ვანის“ რაიონში აჯანყება იწყება თავისებური ფორმით, ე. წ. სატყუარას მონყობით. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აქ მზადება მიდიოდა საკმაოდ ფრთხილად, გათვლილად და ორგანიზებულად. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სოფელ დიხაშხოში დაგეგმილ ე. წ. საქმიან საღამოს, სადაც ადგილობრივ სცენის მოყვარულთა მიერ უნდა გამართულიყო სპექტაკლი პიესისა „რევოლუციის მოლოდინში“, რომლის ჩატარებაც გადანყვეტილი იყო დათიკო გოგორიშვილის ეზოში, ღია ცის ქვეშ, რადგან იმ დროისათვის სათანადო კულტურული დაწესებულებანი ჯერ კიდევ არ არსებობდა. როგორც ალ. მაღლაკელიძე თავის მოგონებებით გადმოგვცემს პიესაც იმ დროისათვის საკმაოდ პოპულარული ყოფილა. პოპულარული ყოფილა საქმიანი საღამოების გამართვაც, რადგანაც იგი ატარებდა საქველმოქმედო ხასიათსაც. აქედან შემოსული მცირე სახსრებით ეხმარებოდნენ სკოლებს, უმწეოებს და ა. შ., ხოლო შემდეგ იგი მთავრდებოდა გაშლილი სუფრით და ზოგჯერ დილაამდე ქეიფით. სპექტაკლის დადგმაზე უფლება გაუცია თვით ალ. მაღლაკელიძეს, როგორც „ვანის“ კომკავშირის რაიკომის მდივანს და რაიონული მასშტაბის ახალგაზრდა მუშაკს. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ

¹ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად საქართველოს ტერიტორია დატოვეს ზემოთხსენებულმა ქვეყნებმა და მათ ჩაენაცვლა ინგლისი, როგორც მანდატორი ქვეყანა და საქართველოში განალაგა თავისი საჯარისო ნაწილები.

² ამ პოზიციის ზოგიერთი ნაწილი სადავოა, რადგანაც იმ დროს მომხრეთა გადმოცემით, ვანის რაიონისაგან შენობის დაკავება განხორციელდა პარალელურად და საუბარი იმაზე, რომ „დაიკავეს ვანი“ რამდენადმე შეუსაბამოა, რადგანაც ამ დროისათვის, როგორც ჩანს აქ რაიმე ან რომელიმე სახის სამთავრობო შეიარაღებული ნაწილის ან რაზმის დგომა არ დასტურდება. პროცესი განვითარდა მომენტალურად, მოკლეს კოლუაშვილი, დაჭრეს რამდენიმე თანამშრომელი და ვანიც გადავიდა აჯანყებულთა ხელში.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი VII. გვ 200.

⁴ „საარქივო მოამბე“ 10, გვ. 70-71. მითითებული მკვლევარები ჩადენილია ადგიშვილისა და ნაფეტვარიძის აჯანყებულთა რაზმის მიერ.

ამ დროისათვის „ვანში“ გარდა ერთი პარტინსტრუქტორისა პარტიის რაიონული კომიტეტი არ ფუნქციონირებდა, ხოლო მაშინდელ კომკავშირის რაიკომებს მიცემული ჰქონდათ ჯეროვანი დატვირთვა, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობით. ისინი ასევე პასუხისმგებელნი იყვნენ ადგილებზე პროცესთა მრავალმხრივ მიმდინარეობასა და მონესრიგებაზეც.

სპექტაკლის დამდგმელთა ჩანაფიქრი იყო სულ სხვა რამ: სალამოზე სპეციალურად მიწვეულ კომკავშირელ აქტივისტთა, სოფელში მოქმედ კომუნართა და თვით ალ. მალლაკელიძის, როგორც იმ დროისათვის კომკავშირელი ლიდერის დაპატიმრება. საამისოდ „სცენის მოყვარეთა“ ჯგუფი მომზადებულიც ჩანს, ვენახში დამალული შეიარაღებით – თოფებით. ჩანაფიქრი მთლიანობაში ვერ განხორციელდა. ყველასათვის გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ღონისძიებაზე დასასწრებად მისული კომკავშირის რაიკომის მდივანი – მალლაკელიძე, საიდუმლოდ და სასწრაფოდ გაიწვიეს „ვანში“, აღმასკომის თავმჯდომარესთან კოლუაშვილთან¹ შესახვედრად, რომელმაც ისე დასტოვა ღონისძიება, რომ ე. წ. „შეთქმულების“ ორგანიზატორებმა ამაზე მოგვიანებით გაიგეს. თუმცა ღონისძიებაზე მისული ზოგიერთი მიწვეული კომკავშირელი და კომუნარი აქტივისტი იქვე განაიარაღეს და დააპატიმრეს. „ვანში“ კოლუაშვილთან შეხვედრის შემდეგ ალ. მალლაკელიძე იგებს აჯანყებისა და მოსალოდნელი გამოსვლების შესახებ.

როგორც მასალებით ირკვევა „ვანის“ სოფლებზე ამბერკი ადგიშვილის აჯანყებულთა დანაყოფის შეტევა განხორციელდა რამდენადმე მოულოდნელადაც, შერჩეული მიმართულებიდან და მათ მიერვე სწრაფად განხორციელებული მანევრით შესძლეს კომუნართა, ადგილობრივი მცირერიცხოვანი რაზმების განიარაღება, დაპატიმრებაც, ზემოდ მითითებული სოფლებისა და დასახლებული პუნქტების იოლად დაკავებაც. აჯანყების დაწყების საათებში „ვანში“ პასუხისმგებელ მუშაკთაგან ადგილზე აღმოჩნდა რამდენიმე: „აღმასკომის პირველი თავმჯდომარე წასული იყო სამტრედიაში, მეორე თავმჯდომარე ვარლამ ძნელაძე შუამთაში – საკუთარ სახლში, ასევე მილიციის უფროსიც გასული იყო რაიონიდან“.

„ღამის პირველი საათი სრულდებოდა, იგონებს ალ. მალლაკელიძე – როცა ვიღაც ორი მთვრალი ნელი ლილინით მოდიოდნენ. როგორც კი გაუსწორდნენ რაიღმასკომის შენობას მე გარეთ გამოვედი და ვიცანი ორი ცნობილი ინტელიგენტი, ანტისაბჭოთა ელემენტი... მათი ასეთი გამოჩენა საეჭვო იყო ვინ იცოდა, რომ ეს იყო თურმე აჯანყების დაწყების რამდენიმე წუთით ადრე მოწყობილი დაზვერვა ატყდა გამაყრუებელი სროლა წამოვარდა კოლუაშვილიც მაუზერით ხელში, მე კი ბრაუნინგით გამოვვარდი გარეთ, ყველაფერი ჩამობნელებული იყო, ისროდნენ სულ ახლოს, კოლუაშვილი¹ მოკლეს, დაჭრეს პარტიის წევრი ოლიფანტე ეფრემიძე და მილიციის უფროსის მოადგილე ვალოდია ახვლედიანი.² ალ. მალლაკელიძემ მოახერხა გაქცევა, შუამთაში ჩასვლა და აღმასკომის „მეორე თავმჯდომარის“ ვარლამ ძნელაძის საქმის კურსში ჩაყენება, რომლებიც შეუდგნენ სასწრაფო ღონისძიებათა გატარებას, მაგრამ პოზიცია დროში წაგებული იყო. აჯანყებულებმა იმავე სალამოს მოახერხეს სოფელ შუამთის დაკავებაც, ხოლო, უკვე, დღის საათებში შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა „ვანში“ აჯანყების ერთ-ერთმა მოთავემ, ფერშალმა პოლიკარპე ნაფეტვარიძემ და შეუდგნენ თავიანთი სამდღიანი მმართველობის განხორციელებას. ოფიციალურ წყაროებში აჯანყების ხელმძღვანელთა შორის მითითებული არაა ამბერკი ადგიშვილის თანამებრძოლზე და „ვანში“ გამოსვლების ერთ-ერთ ხელმძღვანელზე თვალაბეიშვილზე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ისიც საკმაოდ ენერგიული მოქმედი პირია. ორივენი მეფის ოფიცრები იყვნენ. საბრძოლო საქმის გამოცდილების მქონენი. ხოლო თვალაბეიშვილი 1920-იანი წლებიდან მუშაობდა „ვანის“ „წვევამდელთა სამხედრო ხელმძღვანელად.“ ცხადია, სამუშაო პროცესში იგი შენიღბული ჩანს, ხოლო როდესაც საამისო დრო დაინახა მან აიღო აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი. მიკვლეული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ აჯანყებაში თვალაბეიშვილის გარდა მონაწილეობდა „ვანის“ სამი სოფლის სამხედრო მაგიდის ხელმძღვანელი. აჯანყების დამარცხების შემდეგ თვალაბეიშვილი თავს აფარებდა ტყეს და დამოწმებული ინფორმაციით

¹კოლუაშვილი იყო ვანის აღმასრულებელი კომიტეტის მესამე თავმჯდომარე, პრაქტიკულად (მოადგილე).

²ალ. მალლაკელიძე – „კვალდაკვალ“.

მას შეუერთდა ყაჩაღი ვასილ დვალისძე, რომლის გაყაჩაღებაც პრაქტიკულად განაპირობა 20-იანი წლების „ვანის“ მილიციის ორგანოს ერთ-ერთი მუშაკის დანაშაულებრივმა მოქმედებამ. შემდეგში, ზოგიერთ წყაროთა ჩვენებით თვალაბიშვითი ტყეში ჩაცხრილა ვასილ დვალისძე და მიმაჩნია თუ ეს სწორია, დვალისძის ეს ქმედება მისივე მისამართით სვამს არც თუ უსაფუძვლო დამატებით კითხვებსაც. რაც შეეხება უშუალოდ ვასილ ნესტორის ძე დვალისძის მონაწილეობას აჯანყებაში, ადასტურებს ვანის მაშინდელი მუშათა და გლეხთა მილიციიდან მაზ-რის შესაბამის ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია,¹ სადაც იგი მოხსენიებულია, როგორც მონაწილე საბჭოს წევრი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ თითქოს იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი, ხელმძღვანელობდა აჯანყებულთა დანაყოფს და ა.შ. როგორც ჩანს მასთან დამოკიდებულებაში ზოგიერთ ავტორთა საუბარი რამდენადმე ჰიპერბოლიზებულია. ეყრდნობა არასწორ ინფორმაციას.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რამ განაპირობა, რომ აჯანყებულებმა ასე სწრაფად შესძლეს „ვანის“ და მისი ზოგიერთი სოფლის ხელში ჩაგდება და დროებითი გაკონტროლება. აქ რამდენიმე მომენტი ყურადსაღებია:

საქართველოსა და მისი პერიფერიული ნაწილებისათვისაც საერთოდ, აჯანყების მოულოდნელობაზე ზედმეტია საუბარი რადგანაც:

ა) – აჯანყება მზადდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, არალეგალურადაც და ლეგალურადაც. გამორიცხულია, რომ საქართველოს მაშინდელი უშიშროების სამსახურებს ეს ვერ შეეცყოთ. პირიქით – მათ მიერ გაშიფრული იყო მოქმედების თითქმის ყველა დეტალი, ხელმძღვანელი პირები, მათი გადაადგილებანი, კავშირები ადგილზეც და საზღვარგარეთულ ცენტრებთან. ხოლო მას შემდეგ რაც 1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბოშვილმა გასცა აჯანყების გეგმა, მთელი აღმოსავლეთის ზონის ხელმძღვანელი შემადგენლობა იმავე წლის მარტში აყვანილ იქნა პატიმრობაში, ამას მოჰყვა ძალების გადაადგილებისა და მოქმედების პროგრამის შეცვლის აუცილებლობაც. ამ საკითზე დეტალურად მიუთითებს სოლომონ ზალდასტანიშვილიც და იგი დამატებით ამხვილებს ყურადღებას პარტიული ორგანიზაციების პირადულ ამბიციებსა და აჯანყების მზადების მნიშვნელოვანი დეტალების გათქმების შესახებ, რასაც გარდაუვლად მოსდევდა საქართველოს უშიშროების ძალების მიერ აჯანყების ხელმძღვანელ პირთა პატიმრობით იზოლირებები.

საინტერესო მოსაზრება აქვს ამ საკითზე, გერმანიის ვერმახტის ყოფილ გენერალს შალვა მაღლაკელიძეს. ამ ვანელ კაცს მენშევიკურ ხელისუფლებაში ეჭირა ფრიად მაღალი საპასუხისმგებლო პოსტები და გააჩნდა კონტაქტები მენშევიკურ ლიდერებთან, მისი მოგონებიდან ჩანს თუ როგორ მძლავრობდა ყოფილი ხელისუფლების ემიგრაციულ ნაწილში, ურთიერთუტანლობა, რომელიც უდავოდ აისახებოდა აჯანყების მზადებაზე. „პარიზს (ე.ი. ემიგრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებს) ჩემი ხალხიც სძულს. კავშირი არა მაქვს მაგათთან და არც მინდა რაიმე კავშირი მქონდეს, მიუხედავად იმისა ჟორდანიაც და რამიშვილიც (ერთ პერიოდში) კარგად მექცეოდა.“ მაგრამ უფრო საგულისხმოა მისი შეფასება აჯანყების კონსპირაციის შესახებ: „პარიზიდან ჟორდანიამ შემატყობინა, ...წერილი მომივიდა... სასურველი არის შენი უკან დაბრუნება, საქართველოში. ინფორმაცია მაქვს მეტისმეტად საჭირო ხარო, როგორც სამხედრო პირი, გამოთხოვილი ვყოფილვარ. ...მე ვაცნობე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პარიტეტულმა კომიტეტმა იმოქმედოს, რომ თავიდან ბოლომდე პარიტეტული კომიტეტი ხელის გულზე უდევს საბჭოთა მთავრობას. იგი ... პარიტეტული კომიტეტი (ე.ი. აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა) დაარსებისთანავე აღმოჩნდა საბჭოთა მთავრობის ხელში“²

„...სარდალი ჰყავთ ვალიკო ჯუღელი³, ნოე ხომერიკი ...ამათ ჰგონიათ საზოგადოება მომზადებული ჰყავთ, ყველა პარტიები გაერთიანებული არიან ... ოცდაათი თოფი აქვთ და

¹ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები, ფონდი 296, საქმე 1

²შალვა მაღლაკელიძე, მოგონებები – ვ.რცხილაძის რედაქციით.

³ვალიკო ჯუღელი, რომელიც საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა როგორც აჯანყების ფაქტიური ხელმძღვანელი, მენშევიკების ხელისუფლების დროს იყო ქართული გვარდიის სარდალი. აღნიშნულ პიროვნებაზე საკმაოდ სპეციფიური შეხედულებანი გააჩნიათ, ქართველ გენერლებს გ. კვინიტაძესა და გ. მაზნიაშვილს.

ანყობილი აქვთ საქმე?! ნოე რამიშვილი არ მიდის (ე. ი. რომ აჯანყებას უხელმძღვანელოს) თუ ვინმე უნდა წასულიყო ნოე უნდა წასულიყო, მაგრამ ჭკვიანია და არ მიდის¹,“ სხვათა შორის ნოე რამიშვილის გამჭრიახობასა და ორგანიზაციულ ნიჭზე არაერთ პიროვნებათა შეფასების² მსგავსად დადებითად საუბრობს შალვა მალაქელიძეც. მაგრამ მოყვანილი ამონარიდი საგულისხმოა, როგორც ითქვა – აჯანყების კონსპირაციის დაუცველობით ემიგრაციაში გამეფებულ შეხედულებათა სხვადასხვაობით და განსაკუთრებულ ხაზგასმას აკეთებს აჯანყებულთა შეიარაღების, უპირველესი საბრძოლო ატრიბუტის ფაქტორზე „აქვთ ოცდაათი თოფი და გათავებულია საქმე“. ჩვენ ამ პროცესს თავის ჯერზე მივუბრუნდებით, მაგრამ გენერლის შეფასება მნიშვნელოვანია და სხვათა შორის სოლომონ ზალდასტანიშვილიც თავის მოგონებებში საუბრობს იმავე თემაზე, განსხვავებული რაკურსით, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია: აჯანყებულებს უნდა განეიარაღებინათ ვაზიანში განლაგებული სამთავრობო სამხედრო ნაწილები, წაერთმიათ მათ განკარგულებაში არსებული 120-ზარბაზანი და შემდეგ ასე შეეციათ თბილისში განლაგებული რეგულარული სამთავრობო სამხედრო ნაწილებისათვის. ეს იდეა თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს 1832 წლის შეთქმულების მოქმედების სცენარს, რომელიც ჩავარდა. ამდაგვარი პროცესი იშვიათ გამონაკლისში თუ განხორციელებულა იგი ალბათობაზეა დამოკიდებული, საომარი შეჯახებისას ალბათობა ვერ ჩაითვლება წარმატებული ოპერაციის გარანტიად. აქ საჭიროა დაგეგმვის ზუსტი კონკრეტული და საომარი რესურსებისა და ძალების გათვლაც და შეტევის დაწყების მომენტში ფლობაც, რომელიც არ შეიძლება არ სცოდნოდან აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელებს. ვინც აჯანყების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, პროფესიონალი სამხედროს ს. ზალდასტანიშვილის მოგონებებს გულდასმით გაეცნობა და შეაჯერებს რიგ წყაროებთან, აუცილებლად მივა დასკვნამდე, რომ მზადების ასეთი დონე ბადებდა განსხვავებულ შეხედულებებს სამხედრო ხელმძღვანელთა შორის და გადაწყვეტილებას აჯანყების დაწყების თაობაზე ჰქონდა ძირითადად პოლიტიკური ხასიათი, რომლის შესრულებაც შემდეგში დააკისრეს სამხედრო ხელმძღვანელებს. როგორც ჩანს კომპლექსში ეს იყო შეცდომა. აქვე უნდა ითქვას 1924 წლის აჯანყების ირგვლივ დოკუმენტურ მასალებზე დაფუძნებულ მეტად საინტერესო მოსაზრებას ანვითარებს ბატონი გელა სულაძეც თავის წიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“.

1924 წლის 13 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უგზავნის წერილს გრიფით – „ძალზედ სასწრაფოდ,“ „სრულიად საიდუმლოდ“ და ითხოვდა შესაბამისი ზომების გატარებას, ხოლო მანვე პირდაპირი სატელეფონო ხაზით, დაშიფრული ტექსტით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს გადასცა ინფორმაცია, რომ უტყუარი მონაცემებით, ანტისაბჭოთა პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა 28-29 აგვისტოს ღამით, ან 29-30 აგვისტოს ღამით და ითხოვდა დაუყოვნებლივ მიეღოთ ყოველგვარი ზომები აჯანყების მცდელობის აღკვეთის მიზნით³. აქედან ჩანს, რომ შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები უკვე ინფორმირებულნი იყვნენ, ცხადია ინფორმაცია ექნებოდათ „ვანის“ ხელმძღვანელობის პირველ პირებსაც.

ბ) – „ვანში“ აჯანყების ხელმძღვანელების განკარგულებაში, თუ ეს ინფორმაცია სწორია, თავმოყრილი იყო 200-კაციანი შეიარაღებული რაზმი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ძალა წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში წარმოადგენდა სერიოზულ ფაქტორს.

¹ შალვა მალაქელიძე, მოგონებები – ვ.რცხილაძის რედაქციით.

² მხედველობაშია ამერიკაში მცხოვრები პროფესორი გ. ნაკაშიძე, რომლის ინტერვიუ ბნ. ანზორ ერქომაიშვილთან გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1993 წელს. პროფესორი გ. ნაკაშიძე რამდენადაც პოზიტიურ შეფასებას აძლევს ნოე რამიშვილს, იმდენადვე ნეგატიურ ასპექტში მოიხსენიებს ნოე ყორღანისას. პირდაპირ წერს „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მოულოდნელი ამბავი ... დამოუკიდებლობა არ გამოცხადდებოდა რომ თურქები და გერმანელები არ შემოსულიყვნენ ... სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამდათ... ფედერალისტები კი დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ ... სოციალ-დემოკრატებს რუსეთის სოციალ-დემოკრატების გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ და ა.შ.“ ამასთან შეხედულება, რომ ისეთი ბატარა ერი, როგორც საქართველო კაპიტალისტური მონსტრების გარემოცვაში დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა – წარმოადგენდა მაშინდელი არა ერთი ლიდერის პოზიციას – შეხედულებას, მათ შორის შ. ამირეჯიბსაც.

³ საარქივო მოამბე 10 გვ.68

აჯანყებულებს ხელში უნდა ჩაეგდოთ რიონის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული „ვანის“ დასახლებანი და შემდეგ შეერთებოდნენ და ემოქმედათ გურიის აჯანყებულებთან ერთად.

გ) — აქ შეიძლება აქცენტი გავაკეთოთ „ვანის“ მაშინდელი ხელისუფლების რამდენადმე დაუდევრობაზეც. რადგანაც მიუხედავად გაფრთხილებისა, როგორც ირკვევა ვერ იზრუნეს ადგილობრივი მხარდამჭერი ძალების მობილიზებასა და ტაქტიკური მოქმედების კოორდინაციაზე. როგორც „ვანის“ ამ დროინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელის ალ. მალლაკელიძის მოგონებებიდან ირკვევა მათ ამ ძალების შეკრებაზე ზრუნვა მოუწიათ, უკვე განვითარებული პროცესების პარალელურად, სპონტანურად, რომელიც ვერ შეძლეს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა მიუხედავად ასეთი საპასუხისმგებლო მდგომარეობისა, ხელმძღვანელობის პირველ პირთაგან 28 აგვისტოს ღამით ადგილზე გარდა რამდენიმე პასუხისმგებელი პირისა არავინ აღმოჩნდა.

საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ, სიტუაციათა გათვალისწინებით საჭიროდ ჩათვალა პირველ საწყისიდანვე ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქების, პუნქტების, კომუნიკაციების დაცვისა და ბლოკირების უზრუნველყოფა. მოახდინა მის ხელთ არსებული საჯარისო დანაყოფების განლაგების კონფიგურაციის შეცვლა, გაძლიერებაც და გათვალა რა ხელთარსებული შესაძლებლობანი, პერიფერიულ ადგილებში აჯანყებულთა მოგერიება და მათი საბოლოო დამარცხება შედარებით იოლ ფაქტორად მიიჩნია. მოქმედებამაც დაადასტურა, რომ ეს მანევრი სტრატეგიულადაც და ტაქტიკურადაც სწორი გამოდგა. ამის გამოც „ვანზე“ მათ მიერ ყურადღება გადმოტანილი იქნა აჯანყების დაწყებიდან ცოტა მოგვიანებით.

უნდა ითქვას, იმაზეც, რომ აჯანყებულთა ძირითადი ძალების შეტევა წარიმართა ზუსტად ქვეყნის პერიფერიულ ნაწილზე. ასეთი მოქმედებისაკენ აჯანყების ცენტრს უბიძგა შექმნილმა გარემომდებამ, ერთი იმედით, რომ პერიფერიულ დასახლებებში ბრძოლების მოგების შემდეგ, მათ ხალხის მასებიც დაემატებოდნენ და კონცენტრირებულ შეტევას განახორციელებდნენ ქვეყნის სტრატეგიულ ქალაქებსა და ობიექტებზე. ჩემი აზრით, ეს მოლოდინი ტაქტიკურადაც და სტრატეგიულადაც მცდარი აღმოჩნდა და მოქმედების პროცესში ვერც აჯანყებამ შეიძინა სახალხო მასიური ხასიათი. მოქმედების ასეთი ჩავარდნა მოსალოდნელი იყო და ამას ხელი შეუწყო აჯანყების ცენტრისაგან საკითხისადმი რამდენადმე, მიამიტურმა დამოკიდებულებამაც. რომ აჯანყების დაწყების დღე (28 აგვისტო) „შემთხვევით არ იყო შერჩეული, იგი დაკავშირებული იყო რელიგიურ დღესასწაულთან მარიამობასთან. ამ დღესასწაულს, როგორც წესი თან ახლდა ხალხის მასობრივი თავყრილობანი. აჯანყების მესვეურნი ფიქრობდნენ, რომ სადღესასწაულოდ განწყობილი ხალხის თავყრილობები გააადვილებდა მათ ჩაბმას სტიქიური მოძრაობის ფერხულში, ხოლო რაკი ერთხელ ამოძრავდებოდა ხალხი, მიზნის მიღწევამდე მისი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა.“¹ თქმა არ უნდა, რომ ასეთი მარტივი გათვლებით, ფართო მასებში წინასწარი კონსპირაციული და უწყვეტი მუშაობის გარეშე, სტიქიურობაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი საკითხები იშვიათად თუ გადაწყვეტილა.

„ვანის“ ტერიტორიული სივრცის გაკონტროლების პარალელურად ადგიმვილი-ნაფეტვარიძე-თვალაბეიშვილის რაზმი მოქმედებას შლის რიონის მარჯვენა სანაპიროს დასახლებაშიც „აჯანყებულთა ერთ-ერთმა მეთაურმა ამბერკი ადგიმვილმა სამტრედია-მუხიანის მიმართულებით ბრძოლით რამდენიმე სოფელი დაიკავა: ბაში, საყულია, მუხიანი. მოგვიანებით ამბერკი ადგიმვილი დაეცა სოფელ პატრიკეთს, ორ-საათიანი ბრძოლის შემდეგ ამბოხებულებმა სოფელი პატრიკეთი დაიკავეს. აქვე მოკლეს 4 კომუნარი მებრძოლები შეიჭრნენ სოფელ უკანეთში, ბრძოლის დროს დაიჭრა 2 კომუნარი. ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეთაგან ზოგი ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულებს, ზოგმა კი გაქცევა მოახერხა.“² რიონის მარჯვენა სანაპიროზე საომარი მოქმედების გაშლით დასტურდება, რომ აჯანყების მოქმედების გეგმა ადგიმვილის რაზმთან დაკავშირებით რამდენადმე შეიცვალა და აჯანყების ცენტრიც მასზე ამ მომენტში განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა.

30 აგვისტოს მონაკვეთში „ვანში“ სიტუაციათა განვითარება რამდენადმე იცვლება. ცვლილებები აქაც და საერთოდაც განაპირობა სახელისუფლებო ძალების გაძლიერებულმა

¹ ვალერი ბენიძე – 1924 წლის აჯანყება საქართველოში გვ. 22

² სარქიო მოამბე 10 გვ.71

შეტევებმა აჯანყებულებზე, რომლის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ, პოზიციები ერთიმეორის მოყოლებით დაეთმოთ. ანალოგიური პროცესები იწყება „ვანშიც“ და აჯანყების „ვანელ“ ხელმძღვანელთა მოქმედებაც საკმაოდ სპეციფიურ ელფერს იღებს. ალ. მაღლაკელიძე (რომელიც შუამთაში დაატყვევა „ვანის“ ახალგაზრდა მარქსისტთა ლიდერმა აფრასიონ კიკაბიძემ და შალვა სვანიძემ – (ალ. მაღლაკელიძის თანაკლასელმა და გაძლიერებული ბადრაგით გადმოიყვანეს ვანში) იგონებს: „იქ დამხვდა (ე. ი. ვანში) დაპატიმრებული რაიონის თითქმის ყველა კომუნისტი და კომკავშირელი და მათთან ერთად ჩვენთან სტუმრად ჩამოსული ლომინაძე — საბჭოთა, პარტიული და სამხედრო მუშაკი ... ამ დროს „ვანის“ ქუჩებში მენშევიკებმა მანიფესტაცია მოაწყვეს დემონსტრაციის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, აქტიურმა მენშევიკმა ვალოდია ლორთქიფანიძემ“ მალე ჩვენ, ყველა, დაახლოებით 120 კაცი გადაგვიყვანეს ზედა ვანის ეკლესიაში ... მეორე დღეს აგვიყვანეს ალპურ საძოვრებზე აჭარა-ახალციხის მთებში. აქვე მოიყვანეს ვანო სტურუა – ამიერკავკასიის პარტკონტროლის კომისიის თავმჯდომარე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, ალექსანდრე ჩეჩელაშვილი – რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარი და „რუბენი“ (ი. ღლონტი) პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი. ისინი ბათუმში მიმავალნი აჯანყებულებს შეუპყრიათ მუხიანის სადგურში აქ, ყოფილა თურმე ადვიშვილის შტაბი მთელი შემადგენლობით და აჯანყების ხელმძღვანელობისათვის ემიგრაციიდან არალეგალურად ჩამოსული ვლასი მგელაძეც.“¹ უნდა დავამატო ერთიც: პროცესთა აღწერისას ალ. მაღლაკელიძე არა მარტო ობიექტურად გადმოგვცემს შექნილ სიტუაციას, არამედ მისი ნაამბობი ძირითად მომენტებში აბსოლუტურად ემთხვევა ოფიციალურ წყაროთა ინფორმაციებს, რაც მის მონათხრობთა სანდოობას ხაზგასმით ზრდის.

აჯანყებულთა მიერ დატყვევებული პირების მთაში გადაყვანა უკვე ცხადყოფს პროცეს-თა სხვა მიმართულებით განვითარებას. ჩანს, რომ აჯანყება წაგებულია და ამას ადასტურებს აჯანყებულთა დიდი რაოდენობით თავმოყრაც ამავე ადგილებში და ეპიცენტრისაგან განრიდებაც.

– აჯანყებულები უკვე ეგზალტირებულნი და დაბნეულნიც ჩანან და ინდივიდუალურად ცდილობენ თავდაღწევისათვის გამოსავლის მონახვას. ამ პერიოდში არ არის გამორიცხული მათ მხრივ დატყვევებულთა მისამართით შურისმაძიებლური მოქმედებაც. მაგრამ ამას ვერ ბედავენ, რადგანაც კვალში უდგანან სამთავრობო ძალები. ხოლო საზღვარგარეთ, აქედან თურქეთის ტერიტორიაზე მათი ასეთი მასიური სახით გადასვლა გამორიცხულია.

– აჯანყებულებმა ვერ მიიღეს ის დახმარება რომელსაც მათ აჯანყების ცენტრი სთავაზობდათ. ამისა და მომენტთა გამო მათი მოქმედებაც დეზორიენტირებული ჩანს და უკან დასახევი გზაც მოჭრილი აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, დროებითი სატყუარა აღმოჩნდა ადგილებზე აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ „აჯანყებულთა გასამხნეველები“ საუბრები, რომ „ბატონი ნოე ჟორდანიას საქართველოსაკენ გამოემართა სათანადო ევროპული ძალებით და სადაცაა აჯანყებას შემოუერთდება.“ ხოლო გაცილებით შეუსაბამო გამოდგა აჯანყების ცენტრის დაპირება, რომ მხარდაჭერა გარანტირებული იქნებოდა ევროპული ქვეყნების უმაღლესი წრეების მიერ, თანაც პრაქტიკული მოქმედებით. ცუდია, რომ ევროპელი მეგობრების მხარდაჭერა არც მაშინ გამოჩნდა ე.წ. „შევშფოთდით და აღვშფოთდით“ ფორმას, ხოლო ქვეყანა რამდენჯერ დადგა მარტოდმარტო რისკის წინაშე, ალბათ დათვლაც ძნელია. უფრო მეტიც, აჯანყების ცენტრმა, რომელმაც ცდა ნამდვილად არ დააკლო, რომ მოძრაობას საერთო კავკასიური მასშტაბი მიეღო და ამაზე სათანადო შეთანხმებაც გაფორმდა, ბოლო მომენტში მიიღო უარი აზერბაიჯან-სომხეთ-დაღესტნის წარმომადგენლებისაგან აჯანყებაში ჩართვის თაობაზე. ეჭვგარეშეა ზუსტად ამ მომენტში იყო მოქმედების სკრუპულოზური გათვლა საჭირო, რაც, როგორც ჩანს ვერ მოხდა. სხვათა შორის „ვანთან“ დამოკიდებულებაშიც, ამ ლოკალურ სივრცეშიც, მოვლენების საერთო განვითარების გავლენით სურათი ასეთნაირად გამოიყურება.

¹ ალ. მაღლაკელიძე „კვალდაკვალ“

– დატყვევებული სამთავრობო წარმომადგენლებისა და მოსახლეობიდან აჯანყებულთათვის არასანდო პირების „ვანის“ მთებში, შედარებით ძნელად მისანვლომ ადგილებზე გადაყვანასა და კონცენტრირებას ახლდა თავისებური დატვირთვა: აჯანყებულთა ხელმძღვანელობა დარწმუნებულია იმაში, რომ სამთავრობო ძალოვანი დანაყოფის შემოტევას ვეღარ გაუძლებდნენ, თანაც ფლობდნენ ინფორმაციას, რომ აჯანყებულებმა არათუ შეძლეს სტრატეგიული ქალაქებისა და ობიექტების დაკავება, არამედ პრაქტიკულად ბრძოლები წააგეს, ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა დატყვევებულთა გამოყენება მოლაპარაკების, გნებავთ ურთიერთგარიგების ერთ-ერთ საშუალებად, ურთიერთდათმობების მისაღწევად, როგორც ჩანს ეს ასეც მოხდა.

„ვანში“ აჯანყებულები სიტუაციებს მართავდნენ ოთხი დღის განმავლობაში. ბაღდათში, რომლის ძალებიც გზადაგზა ურთიერთ მოქმედებდნენ „ვანელ“ აჯანყებულებთან, სამი დღის განმავლობაში. მაგრამ ამას წინ უსწრებდა ზოგიერთი მომენტიც: კერძოდ, შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა მელიტონ ჟორჯოლიანმა რომელმაც მასზე მინდობილი ტაქტიკური გეგმის შესბამისად მოქმედება გაშალა აჯანყებულთა წინააღმდეგ, სოფელ ბაშში შეიპყრო ამბერკი ადგიშვილის რაზმის რამდენიმე ცხენოსანი. აპყარა მათ იარაღი და გადასცა ისინი სადგურ მუხიანში მყოფ კურსანტების სკოლის კომისარ მარქაროვს. „მოგვიანებით 2 სექტემბერს მელიტონ ჟორჯოლიანმა მარქაროვთან ერთად მონაწილეობა მიიღო „ვანის“ განთავისუფლებაში“¹ სხვა წყაროთა ჩვენებით დადასტურებულია ასევე, რომ ჟორჯოლიან-მარქაროვის სამთავრობო ძალების პარალელურად სოფელ სულორში მოქმედებდა ქუთაისისდან ჩამოსულ კომუნართა შეიარაღებული რაზმიც, რადგანაც ამ სოფელში აჯანყებულებმა მოახდინეს მათთვის არასანდო ადამიანთა მცირეწილის დაკავება და კონცენტრირება.

მთაში გახიზნულ აჯანყების ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად „ვანში“ სპეციალურად ჩამოდის მთავრობის თავმჯდომარე მამია ორახელიშვილი. მოლაპარაკებათა შედეგად დატყვევებულნი ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე განთავისუფლეს.

„საქართველოს უშიშროების სამსახურის მონაცემებით გაქცევის დროს ამბერკი ადგიშვილმა გაძარცვა კოოპერატივი და ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულება. იმავე კოოპერატივიდან წაიღო გლეხებზე დასარიგებელი თანხა 10 000 მანეთი. აჯანყების შედეგად მიყენებულმა ზარალმა „ვანის“ რაიონში მიაღწია 20000 მანეთს.“²

„ვანში“ აჯანყებიდან 4 დღის შემდეგ სტატუსკვო აღდგენილი იქნა, აჯანყება დამარცხდა. ადამიანები სახლებში დააბრუნეს. აჯანყების კოორდინაციისათვის საზღვარგარეთიდან ჩამოსული ვლასი მგელაძე „ვანის“ ალპური საძოვრებიდან გადავიდა თურქეთში და „თან წაიღო „რუბენისაგან“ (ი. ლლონტისგან) იძულებით დამონმებული ცნობა აჯანყების მასიურობის შესახებ. იმის დასტურად, რომ ევროპისათვის ეჩვენებინათ „აჯანყება ატარებს საერთო სახალხო ხასიათს“. იგივე ცნობა შემდეგში ქართული ემიგრაციის საშუალებით დაიბეჭდა ზოგიერთ ფრანგულ გაზეთში და დარჩა მხოლოდ გამოქვეყნებულ ცნობად, არაფრისმთქმელი რეაგირებით.

აჯანყების ხელმძღვანელებმა ადგიშვილმა და თვალაბეიშვილმა მოახერხეს მიმალვა, ხოლო შუამთელი ფერშალი და „ვანში“ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოლიკარპე ნაფეტვარიძე მოკლული იქნა სოფელ სულორში სამთავრობო რაზმის მიერ გაქცევის მცდელობის მომენტში.

შემდეგისათვის „ვანში“ წესრიგის დასაცავად დატოვებული იქნა 40 კაციანი ცხენოსანი რაზმი, რომელმაც ადგილობრივი 10 კაცის დამატებით და სპეციალური გეგმით, აჯანყების ხელმძღვანელების ადგიშვილისა და თვალაბეიშვილის დასაკავებლად, ჩაატარა სპეცოპერაცია სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლის გიგაურის ხელმძღვანელობით. თუმცა მათ ადგიშვილისა და თვალაბეიშვილის შეპყრობა ვერ მოახერხეს.

და აქვე დავაზუსტებ ერთ შედარებით გაზვიადებულ მონაცემს ამ საკითხზე: რომ თითქოს ამ პიროვნებათა დასაკავებლად გაემართა 300 კაციანი რაზმი, არასწორია. აღნიშნული ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე მინვევით იყო ალექსანდრე მალლაკელიძე, რომელიც მიუთითებს

¹ საარქივო მოამბე გვ.76

² საარქივო მოამბე გვ.75

„ვანში“ დატოვებული 40 კაციანი რაზმის გამოყენებასა და მასზე ადგილობრივი 10 კაცის დამატების შესახებ და პირდაპირ აღნიშნავს – ოპერაცია იმდენად არაპროფესიონალურად იყო დაგეგმილი, რომ ვერც ადგიშვილისა და თვალაბიშვილის დაკავება შესძლეს და პირიქით, მათვე მოუკლეს რაზმის რამდენიმე წევრი. ამასთანავე მიუთითებს ორივე ამ პიროვნების სიქველესა და ვაჟკაცობაზეც, ხოლო რაც შეეხება ახალგაზრდა მარქსისტთა (იგივე მენშევიკური ორგანიზაცია) რაიკომის მდივანს აფრასიონ კიკაბიძეს, მასთან მოლაპარაკების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ამ ორგანიზაციის დაშლის შესახებ. თუმცა, ამ მოლაპარაკებაში სხვა სამთავრობო პერსონები გარდა მაღლაკელიძისა ჩართულნი არ ყოფილან.

დასკვნის გაკეთებამდე შემიძლია ვთქვა: „ვანში“, როგორც ჩანს ასევე ქუთაისის მაზრაში მთლიანად, ამ აჯანყებას არ მისცემია მასიური სახალხო ხასიათი, რომელიც საკმაოდ მრავალგანზომილებიან რეალობაზე აკეთებს მინიშნებებს. ქუთაისის მაზრაში აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა 1200-მდე კაცი, რომელთა შორისაც ოფიციალური ინფორმაციით ძირითადად იყვნენ ვაჭრები, მდიდარი გლეხები – კულაკები, მეფის ოფიცრები თავადაზნაურობის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, მცირე რაოდენობით უბრალო გლეხობა და მასწავლებლები.

ჩვენ ცოტა ზემოთ ეჭვი გამოვთქვით ამბერკი ადგიშვილის რაზმის რიცხობრივ რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა არ ვდაობთ იმის შესახებ, რომ ეს ასე არ იყო. ასევე, როდესაც საუბარი მიდის ვანში აჯანყებაში მონაწილეთა მასიურობის შესახებ ორივე საკითზე დაეჭვების საფუძველს იძლევა მაშინდელი ვანის მუშურ-გლეხური მილიციის მიერ ქუთაისის მაზრის შესაბამის სამსახურებისათვის მიწოდებული ინფორმაცია, რომელშიდაც დაზუსტებულია ვანის სოფლებიდან პროცესში მონაწილეთა რაოდენობა, იგი გაშიფრულია ყველაზე აქტიური ცხრა სოფლის ბაზაზე და არ აღემატება 80 კაცს, აქედან: ღარიბია – 1, ვაჭარი – 6, მასწავლებელი – 24,¹ აქედან – 5 არალეგალი, მასწავლებელთაგან თითქმის ყველა საბჭოს წევრია, ერთი – იოსებ თეოფანეს ძე ნადირაძე, ვანის 9-წლიანი სკოლის დირექტორი, ამას გარდა შტაბის წევრია – 6 პიროვნება (მასწავლებლებიც და არამასწავლებლებიც), ფოსტის მოხელე – 1, სასამართლოს რეგისტრატორი – 1, თემსაზოგადოებათა სამხედრო მაგიდის გამგე – 3, ბუღალტერი – 3, ტყის გამგე – 1, ფარდულის გამგე – 2, მილიციელი – 1, ოფიცერი – 1 და ა.შ. ამ ადამიანთა განკარგულებაშია სულ ხუთ ერთეულამდე თოფი და ნაგანის ტიპის რამდენიმე რევოლვერი.² ეს მონაცემები მოგვყავს ყოველგვარი კომენტარების გარეშე.

... „ქუთაისის მაზრაში (რომელშიდაც ამ დროისთვისაც შედიოდა ვანის სოფლებიც) ჩეკისტთა მახვილს ემსხვერპლა 90 ადამიანი“³. იყო მსხვერპლი კომუნართა მხრივაც. აჯანყებულთაგან მსხვერპლთა მონაცემები ასეთია: აზნაური – 16; სასულიერო პირი – 7; ვაჭარი – 2; გლეხობა, ყველა ფენა – 48; ინტელიგენტი – 10; სამხედრო პირი – 2; სტუდენტი და მოსწავლე – 5;⁴ კონკრეტულად „ვანში“ აჯანყებულებმა მოკლეს 5 კაცი. პირველი გასროლაც და პირველი მკვლელობაც „ვანში“ მოახდინეს აჯანყებულებმა.

საუბარი იმაზე, რომ „ვანში“ ამის შემდეგ (ან იმავე დღეებში) მოეწყო მასიური სასაკლავო, საჭიროებს დაზუსტებას და უტყურ მასალებზე დაყრდნობით საუბარს. ეს ხმები, როგორც ჩანს, ემყარება შემდეგში შეთხზულ, ასევე არადაზუსტებულ ინფორმაციას და ვიდრე ამაზე, გარდა ზემოთ მითითებულისა დაზუსტებული ინფორმაცია არა გვაქვს, საუბრები ე.წ. მსხვერპლთა რაოდენობაზე არასერიოზულობად მიმაჩნია. იმ სიტუაციაში, „ვანთან“ დამოკიდებულებაში მსგავსი საუბრები ეჭვს ქვეშ დგება იქიდანაც, რომ მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებაში და შეთანხმების მიღწევაში, ტყვეთა განთავისუფლების საკითხებზე, ჩართული იყო საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირი და ე.წ. „ტყვეთა“ განთავისუფლების წინა

¹ მხედველობაშია მისაღები, რომ პედაგოგთა შემადგენლობის უმეტესობას ჯერ კიდევ წარმოადგენდა ყოფილი სასულიერო პირები.

² ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები. სახელობით მონაცემები დაცულია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“

³ საარქივო მოამბე – შესაბამისი ნომერი, გვ.78

⁴ ციფრობრივი მონაცემები აღებულია საარქივო მოამბის შესაბამის ნომერში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალიდან.

პირობა ცხადად იყო და ეს ასეც ხდება, აჯანყების მონაწილეთა ხელშეუხებლობა. ამის გამოც დიდი ალბათობით შეიძლება მტკიცება, რომ გარკვეულ პირობებსა და გარკვეულ ეტაპამდე მათი ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა. ამასთან მხედველობაშია მისაღები საქართველოს მაშინდელი მთავრობის (კონკრეტულად უშიშროების სამსახურის) ბრძანებაც რომელიც 4 სექტემბერს გამოქვეყნდა, რომლის ძალითაც, გარდა იმ პირებისა, რომელთა დანაშაულიც იძინდა განსაკუთრებით, მძიმე ხასიათს, აჯანყების დანარჩენ მონაწილეებს ვერ შეეხებოდნენ. რამდენადმე (შერბილდა) დამოკიდებულება სასულიერო მოღვაწეთა მიმართ, შემდეგში ვერცერთ მონაწილეზე სადამსჯელო პროცესები ვერ განხორციელდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე და არ დაუხვრეტიათ თვით აჯანყების უშუალო ხელმძღვანელი ამბერკი ადვიშვილი. სიტუაციათა შერბილების დასტურად გამოდგება აჯანყების დამარცხების შემდეგ „ვანის“ რაიონის სოფლებშიც აჯანყების მონაწილე ან თანამგრძობთა არაერთი ადამიანის ცხოვრებაც, რომელთაც რაიმეგვარი შევიწროება, მითუმეტეს სასჯელი არ შეხებიათ და მათივე მეზობლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ეს პირები ჩვენს მიერ განხილულ მოძრაობაში იყვნენ ჩართულნი. ეს სიტყვები არ ნიშნავს ფაქტის არც მტკიცებას და არც უარყოფას. მაგრამ სიზუსტისა და რეალობისათვის უკეთესია დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობა.

ამდენად, „ვანში“ მენშევიკთა „ტრადიციული“ გავლენის შედეგი გაცხადდა იმაში, რომ 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებულ გამოსვლებში იმერეთის რეგიონში თითქმის პირველნი და აქტიურადაც ჩაებნენ აქ მოქმედი შესაბამის ორგანიზაციათა ჯგუფები და არა „ვანის“ მთლიანი მოსახლეობა, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ.

... „28 აგვისტოს „ვანის“ ქუჩებში მენშევიკებმა მანიფესტაცია მოაწყვეს. არც ერთი მშრომელი გლეხი არ ლებულობდა მონაწილეობას ამ დემონსტრაციაში. სამაგიეროდ აქ იყვნენ ყველა რჯულის პრივილეგირებულნი თავადაზნაურობიდან დანწყებული, ჩარჩვაჭრებით დამთავრებული. უნდოდათ დასავლეთისათვის ეჩვენებინათ, რომ აჯანყებას მასიური ხასიათი ჰქონდა“. ამავე ავტორისა და ზოგიერთ სხვათა ცნობით მენშევიკების დროინდელი უკიდურესად მოშლილი ყოფიდან – ამ დროისათვის „ვანშიც“ ცხოვრება შედარებით გაუმჯობესდა. გაჩნდა პროდუქტები, ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმიც, მენშევიკები ვერ ურიგდებოდნენ ძალაუფლების დაკარგვას, ამიტომ მათი არალეგარული საქმიანობა არათუ შეწყდა კიდევ უფრო გაფართოვდა.¹ როგორც ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ამ ლეგალურ-არალეგალური მუშაობის შედეგი იყო (მათ შორის „ვანშიც“) შეიარაღებული გამოსვლები. ხოლო როგორადაც არ უნდა მოვერიდოთ ამ სიტყვას, მისი ერთი სეგმენტი ასევე იყო სახლმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობაც, რომელიც თითქმის სამ დღეში მარცხით დამთავრდა. თუმცა მათ გამოსვლებში სიტყვა რევანში, სოციალური, კლასობრივი ინტერესები არ ფიგურირებდა სპეციალურ გარემოებათა გამო და მოქმედებაც ეროვნული იდეის ლოზუნგით მიმდინარეობდა. მაგრამ ისტორია საუბრობს იმაზე, რომ იმ „მოკლე ვადიან“ პერიოდში სადაც კი მათ მიერ წარმატება იქნა მიღწეული დაუყონებლივ დაიწყო ადრეული სტატუსკვოს აღდგენა და ადრე მათ სარგებლობაში არსებული საკუთრების უკანვე დაბრუნებაც. ასე, რომ აგვისტოს აჯანყება აისახა ვანის მოსახლეობის ყოფასა და მასების ცნობიერებაზეც და რადგანაც მას ნაირ-ნაირი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენენ, თავს უფლებას მივცემ შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით და ფაქტებთან შეჯერებით, საკუთარი შეხედულებანიც რამდენიმე წინადადებით გამოვხატო და არ დავეთანხმო, ჩემი აზრით, ზოგიერთ ტენდენციურ მსჯელობებს, რომლებიც გამომდინარეობენ დროის მიმართ ხარკის გადახდის მიზნით და ეხება, როგორც განვითარებულ პროცესებს, ასევე შემდგომ სადამსჯელო მოქმედებებსაც, რადგანაც მიმაჩნია, რომ ნაკლებადაა გათვალისწინებული ზოგიერთ მოქმედებათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და განსჯა ატარებს მომხდარი პროცესების, ფაქტის შემდეგ მორალისტურ ეკლესიური მსჯელობის ხასიათს. მითუმეტეს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პოლიტიკური დაპირისპირებანი და შეიარაღებული შეჯახებანი მოქმედებათა პროცესში, ნაკლებად ითვალისწინებენ მორალურ-ეკლესიურ

ეტიკეტებს. თუმცა სასურველია ასე ხდებოდეს, მაგრამ ამდაგვარად ძალზედ იშვიათად ან საერთოდ არ ხდება.

გამოვეყნებულ რამდენიმე მომენტი: ამასთან, მნამს, მსჯელობის ზოგიერთი პუნქტი დღევანდელობასთან შესაბამისობაში შეიძლება არაპოპულარულია, მაგრამ ვთვლი, რომ ობიექტურობიდან არ იქნება გადახრილი. რადგან „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია.“

– ის, რომ აჯანყება მზადდებოდა 1921 წლიდან და 1924 წლის აჯანყებას სპონტანური ხასიათი არ ჰქონია, ამაზე ისტორიული ლიტერატურა საფუძვლიანად მიუთითებს. ამაზე არაიშვიათად საუბრობს საქართველოს ყოფილი, მენშევიკური ხელისუფლების ლიდერი ბატონი ნოე ჟორდანიაც, ხსენებული აჯანყების შემდეგ გამოქვეყნებულ თავის სტატიებშიც¹ რომ მისი დირექტიული წერილის სავარაუდო სამოქმედო გეგმის, ორი მიმართულებიდან ერთ-ერთი მკაფიოდ აკეთებდა აქცენტს შეიარაღებულ აჯანყებაზე, ესეც ცნობილია. ის, რომ აჯანყების ცენტრი განლაგებული იყო პარიზში, სადაც მოღვაწეობდა ემიგრირებული ხელისუფლება და ამ აჯანყებას უნდა მისცემოდა მაქსიმალურად მასიური ხასიათი დაფარული არც ეს იყო.

– არ იყო დაფარული, რომ აჯანყების მზადებას ხელმძღვანელობდნენ მენშევიკური ხელისუფლებისაგან ნდობით აღჭურვილი, გავლენიანი და მაღალავტორიტეტული პირები. ეს პროცესი ძალიან მარტივად მიუთითებს მიზანზეც, რომლის არსიც იმ მომენტში არის დაკარგული ძალაუფლების დაბრუნებაც. ამას დავარქმევთ რევანშს თუ სხვა სახელით შევმო-სავთ ბრძოლის მომენტში დიდად არ ცვლის მდგომარეობას, აქ საკითხს სწვევს ძალაუფლების დაბრუნება, რომ შემდგომში განხორციელდეს მიზანი, ან მიზანთა ერთობლიობა.

3. – იშვიათად თუ იცის ისტორიამ, (იმ დროისათვის მაინც) იმის ფაქტები, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ ხონჩით მართვა ვინმეს (ამ შემთხვევაში ოპოზიციას) მის ხელთ არსებული ძალაუფლება და მარტივად გადააბაროს მართვის სადავეები, მითუმეტეს თუ გრძნობს, რომ ოპოზიცია მას არც ერთი თვალსაზრისით არ აღემატება და საქმე მიდის ფაქტობრივ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე. ამიტომაც ხელისუფალთა მოქმედება, სამწუხაროდ, ლოგიკიდან გამომდინარე ხდება მკაცრიც და ულმობელიც. რაც და რომელიც აჯანყებაში მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავდა არც ის, რომ ორივე ფრთა მენშევიკებისაც და ბოლშევიკებისაც მარქსისტული მიმდინარეობისაა საბოლოო მიზნით სოციალიზმი, მაგრამ ურთიერთ შეურიგებელი მსოფლ-მხედველობით. აქვე, აჯანყებაში კლასობრივი ინტერესებიც ჩანდა, რომელიც იდეური ფილოსოფიით მიუღებელი იყო იმდროინდელი საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისათვის და მთავარი. არსებობდა 1921 წლის 26 თებერვლის ბრძანება გადატრიალების მცდელობისა და აჯანყებაზე. რომლის მესამე პუნქტის საფუძველზეც: „რევოლუციური წესრიგი დაცული უნდა იქნას სასტიკად – მესაბოტაჟები, რევოლუციური წესრიგის დამრღვევნი წინააღმდეგობის გამწვანნი დაისჯებიან სასტიკად, რევოლუციური დროის კანონების სიმკაცრით...“ რომელიც არსად და არასდროს არ წარმოადგენდა ჰუმანურობით გაჯერებულ აქტს და უკვე მოქმედებაში იყო შესული.

4. – როგორც ითქვა, მასალათა შეჯერება იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოძრაობამ „ვანში“ ვერ მიიღო მოსალოდნელი მასიური ხასიათი. მარიამობის დღესასწაულზე მოქეიფე საზოგადოება არ შეიძლება ჩაითვალოს მხარდაჭერის ქმედუნარიან მასიურობად. ხოლო საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში, მათთვის ე.წ. „მდაბიო გლეხობაში,“ მუშაობა სუსტად, ან ვერ გაშალეს და შედეგიც ასევე არაჯეროვანი მიიღეს. დასაშვებია არსებობდა სხვა უკიდურესობაც. აჯანყების მოთავეთა მიერ სამოკავშირეო აქცენტის გაკეთება წერილ ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობაზე, რომელთაც თავისთავად, განსაკუთრებული ინტერესებიც ამოძრავებდათ ლოგიკურია, მაგრამ ასევე ლოგიკურია, მასებმა არ ირწმუნეს, ნაკლებად ირწმუნეს, ან ჰქონდათ საბაბი აჯანყების რაიონულ ხელმძღვანელთა მოწოდებებს ნაკლებად გამოსმაურებოდნენ, ან თავი იჩინა დამახასიათებელმა ინდიფერენტიზმმა, რაც

¹ იხილეთ ნოე ჟორდანი – რჩეული ნაწერები.

ცხოვრებისაგან დაღლილი ხალხის სულიერ განწყობილებას ნამდვილად შეესაბამება. შეიძლება იგივე პროცესები მოქმედებდნენ ქვეყნის მასშტაბითაც, რამაც გავლენა იქონია აჯანყებაში მასების ნაკლებ აქტიურობაზე.

ჩვენი საუბრისას შევეხეთ ქვეყნის ეკონომიკურ მონაცემებს, როგორც ცხოვრებისა და მოქმედების მთავარ მსაზღვრელს, როდესაც ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური კატასტროფის პირზე დგება, მდგომარეობა გაუარესებულია ზომაზე მეტად, ხელისუფლება ვისი მმართველობის დროსაც ასეთი შედეგები დადგა და ჩამოშორებულია მართვის სადავეებს, უკიდურესად საეჭვოა მოსახლეობამ იფიქროს შეიარაღებული მოქმედების გზით ამ ხელისუფლების უკან მობრუნებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როგორი პატრიოტული მოტივითაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედების პროპაგანდირება. თუ ამას ემატება ისიც რომ ცხოვრების პირობები უკვე არამაქსიმალურად, მაგრამ რაღაც კუთხით გაუმჯობესებისაკენ იხრება. თუმცა, ამ პროცესში საეჭვოდ არ გამოიყურება ყოფილ პრივილეგიებულთა გააქტიურება, რომელთაც ახალი ცხოვრების წესის პირობებში პრივილეგიები ახადეს, რაც უფრო კლასობრივი დისკრიმინაციის ნგრევის შედეგს უნდა მივანეროთ და უკავშირდება ეპოქაში განვითარებულ მოვლენებს. ანალოგიურია მდგომარეობა ვანთან მიმართებაშიც. 1886 წლის აღწერის მიხედვით ვანის თემსაზოგადოებებში ცხოვრობდა 22580 კაცი. 1924 წლამდე ეს მონაცემი გაზრდილი დიდად ვერ იქნებოდა, მაგრამ ხსენებულ მონაცემებში თავადური გვარის იყო 140; აზნაური 2265, სასულიერო წოდება 502; ვაჭარი 59; გლეხი 19214. ცხადია პრივილეგიებულთა შორის ყველა იარაღის მატარებელი ვერ იქნებოდა, მაგრამ აღნიშნული განაწყენებული ფენის ჩართულობა აჯანყების პროცესში თავისთავად იქნებოდა მუხტის მატარებელი. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთა დამოკიდებულებაც ე.წ. „მდაბიოთა“ მიმართ იყო გარკვეული დისკრიმინაციის მატარებელი და კლასობრივი დაპირისპირების მთავარი საბაბიც. ეს კი თავისთავად გამოიციხავდა მასიურობას აჯანყებაში. ამას გარდა ფრიად საინტერესო მოსაზრებას ანვითარებს ბ-ნ სოლომონ ზალდასტანიშვილი: „ბევრი რუსის ერთგულ ქვეშევრდომებად გადაიქცნენ. ამას ხელს უწყობდა ჯერ არ დავინწყებული სპარს-ოსმალის მიერ საქართველოს მუდმივი დარბევა, რომლებმაც უკვე კაი ხანია გააჩინა ქართველ ხალხში რუსეთის მომხრე წრეები და მეთაურები... თავადაზნაურობაში, მოხელეებში, მხედრობაში ამ ხანშიც ჯერ არ გამქრალიყო რუსოფილური ტენდენციები და რუსეთთან შეტაკებაში მისმა ხელმძღვანელებმა ღირსეული ბრძოლა ვერ აწარმოეს“.¹ ჩვენი აზრით ეს საკმაოდ საინტერესო შეფასებაა, მრავალმხრივი და საგულისხმო. რის გამოც აჯანყება მომენტალურადვე დამარცხდა. თუმცა მსხვერპლი იყო ორივე მხრივ, ორივე ქართველობისაგან. ეს ფაქტი დაფიქსირებულია „ვანთან“ მიმართებაშიც.

ამ პროცესის მონაწილეთაგან ირკვევა ისიც, რომ აგვისტოს გამოსვლებში ჩართულ ადამიანთა ნაწილს, ნაკლებად, ან არც ჰქონდათ გაცნობიერებული მოქმედების მიზანი და სურვილიც, ეს ირკვევა ვანის მაგალითზეც. არაერთი მათგანი ხშირად იცვლიდა პოზიციას და ყველაზე მთავარი – „ვანის“ გამოსვლებში ჩართული პირები ორივე მხრიდან წარმოადგენდნენ ერთ სამეზობლოს, საახლობლოსა და სანაცნობოს. ამას ქართველთა შორის ყოველთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ამის გამოც ადგილზე, ეს შეჯახება არაიშვიათად ურთიერთ მიმტევებლურ ხასიათსაც ატარებდა. ამის ფაქტები გვაქვს. თუმცა ამის თქმა არ შეიძლება აჯანყების თავკაცებზე. რომ მოესწროთ, მათი რევანშის შედეგიც იქნებოდა სასტიკიც და ალბათ შურისძიებითიც. ამის სიმპტომებიც ჩანს და რა დიდ უცნაურობადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგანაც შეიარაღებული გზით სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლის წარმატებით დამთავრების შემდეგ არაჰუმანურია მაგრამ, ანგარისწორებები უცხო ხილი არაა, თუ აქ, მათ ზოგიერთ ხელმძღვანელთა მოქმედებასა და ინტერესთა გამოვლინებასაც დავაკვირდებით, აშკარად ჩანს სამაგიეროს გადახდის, დაკარგული ქონებისა და პრივილეგიების დაბრუნების მცდელობა და რევანშის განწყობაც. ამიტომ ამ უკანასკნელი ფენომენის მიერთება აჯანყებასთან, რომელიც ეროვნულ-განამნათავისუფლებელი იდეით მოქმედებს, მას მთალად სუფთა სამამულიშვილო

ხასიათს არ უნდა აძლევდეს. შეიძლება კამათი იმაზეც, რომ აჯანყებაში რამდენადმე ჩაქსოვილი იყო კლასობრივი ინტერესების აღდგენაც. ხოლო კლასობრივი ანტაგონიზმი თუ მონური ფსიქოლოგიით არ ცხოვრობს, ერი ყოველთვის იწვევს პროტესტს ჯერ შინაგანად, შემდეგ ძალისხმიერად. ამის ერთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს 1905-1907 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები, რომელშიდაც განთავსდა კლასობრივი ბრძოლაც და თავისუფლების სურვილიც. ის რაც ამ მხრივ მაშინდელი იმპერიის პატარა პროვინციაში, გურიაში მოხდა, სადაც ხალხი ლამის შეაწყდა იმპერიულ კლასობრივ ძალადობასა და უთანასწორობას, თვალსაჩინო ფაქტია გაცნობიერებისათვის და მტკიცებულებაა იმისაც, რომ გაბატონებული კლასობრივი პოზიციების დამცველნი, როდესაც საკითხი ეხება მათ ხელშეხებლობას, ადვილად უპირისპირდებიან საკუთარ ხალხს და გამყიდველური როლის მორგებიდანაც უკან არ იხევენ. XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისიდან, როდესაც სიტუაცია დიამეტრალურად შეიცვალა და იგი გზადაგზა აისახა ფსიქოლოგიაზეც, როდესაც პრივილეგიები პრაქტიკულად მოსპეს და სამართლიანადაც, ძნელი დასაჯერებელია ქვეყნის მწარმოებლურ და მრავალრიცხოვან, პრაქტიკულად უუფლებო მასას, რომლებიც მანამდე მდაბიოთა რანგში გადიოდა, კვლავ მონდომებოდა პრივილეგიებულ იერარქთა ხელისუფლებაში მობრუნება. ამდენად, როდესაც აჯანყების ზედმიწევნით მასიურობაზე მიდის საუბარი, ეს პროცესი მხედველობაშია მისაღები და თუ იგი მართლაც ეროვნულ განმანთავისუფლებელი სახალხო რევოლუციის სახეს მიიღებდა, როგორც ზემოთ ითქვა, მისი ასე იოლად გატეხვა შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ჩანს ამ პროცესში მასების ღრმად დარწმუნების ფაქტორი აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ ყველა დონეზე არასრულყოფილად იქნა გამოყენებული. ამ აზრის განსამტკიცებლად ისევ 1905-1907 წლების პროცესების ანალიზიც გამოდგება. შეიძლება ასეთი მსჯელობა დღევანდელიდან, დროისათვის ხარკის გადახდელთა თვალში არც ისე პოპულარულია, მაგრამ ფაქტია ჯიუტი. დღევანდელი გადასახედიდანაც, ამ აჯანყებიდან თითქმის 90 წლის შემდეგაც კი, უცხოოდ არ უნდა მოგვეჩვენოს ანტაგონიზმის ჩალრმავება, რადგან ვინც ბრმა არაა და ახსოვს XX საუკუნის ბოლოს განვითარებული მოვლენები, რომ ქვეყანაში სადაც 7-10% ცხოვრობდა ფუფუნებაში, ხოლო მინიმუმ 90% დღიური ლუკმას ეძებდა, არა მგონია მოწონებითა და სიხარულით ხედებოდნენ იმას რაც ცხოვრების თანმდევ მოვლენად იქნა ქცეული.

ისტორიოგრაფიაშიც აღიარებულია, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას რამდენადმე მისცა ბიძგი საბჭოთა ხელისუფლების მიერ იმ ეტაპზე დაშვებულმა შეცდომებმაც.

5. – როდესაც საუბარი მიგვყავს აჯანყების ნაკლებორგანიზებულობაზე ცენტრსა და ადგილებზეც, მხედველობაშია მისაღები სოლომონ ზალდასტანიშვილის შეფასებაც ა). მეთაური ორგანო უნდა ყოფილიყო აქტიური და გაბედული ზომების მომხრე. მერყევ პირებს მოქმედ წრეში ადგილი არ უნდა ჰქონოდათ... ბ). 25 - აგვისტოს 5-საათზე დამკომის ხელმძღვანელობამ (ჩამოთვლილია ინდივიდუალურად მათ შორის მითითებულია მთავარსარდალიც,) თბილისი მიატოვეს და ჩოლოყაშვილის ბინაში გადავიდნენ, ხოლო 26-აგვისტოს დამკომის „თბილისის განყოფილების კრებაზე გამოჩნდა, რომ მისი ახალი წევრები საქმეში ჩახედულნი არ იყვნენ. აჯანყება კი ორ დღეში უნდა დაწყებულიყო.“ აქ სხვა საკითხებთან ერთად კვლავ მხედველობაშია მისაღები სუსტი კონსპირაციულობა. ეს დასტურდება პროცესთა მიმდინარეობიდან არა ერთი ფაქტობრივი მასალით, რომელიც მოწმობს, რომ მიუხედავად იმისა აჯანყების ცენტრებს (კომიტეტებს) ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი სამხედრო პირები და პოლიტიკოსები. მათი მოქმედება მაქსიმალურად ამოიცნო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უშიშროების სამსახურმა. რასაც მოაყოლა აჯანყების წამყვანი ხელმძღვანელების განეიტრალება, მათი დაპატიმრებებით და დაბნეულობის შეტანა აჯანყების ხელმძღვანელობაში, რომლის გვირგვინიც იყო შეიარაღებული გამოსვლების დროზე ადრე დაწყებაც და ისიც, რომ საპირისპიროდ ხელისუფლებამ წინასწარვე შესძლო ძალების კონცენტრირება, მოსალოდნელი დარტყმების ადგილების გამაგრება და დაბლოკვაც. საკითხის უფრო ცხადად გააზრებისათვის მომყავს მენშევიკური ხელისუფლების ცნობილი მოღვაწის, აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის ვალიკო ჯუღელის მიმართვა თავისი კოლეგებისადმი.

ცნობილია, რომ ბატონი ვალიკო ჯუღელი, როგორც აჯანყების ხელმძღვანელობისათვის მოვლინებული პერსონა, საქართველოში ჩამოსვლისთანავე აიყვანეს პატიმრობაში, რომელსაც

აქვე გააცნეს საქართველოს უშიშროების სამსახურების მიერ აჯანყების მზადების ირგვლივ მოპოვებული და გაშიფრული მასალები, რითაც, როგორც ჩანს იგი დარწმუნდა, რომ აჯანყება ჩავარდა მე წინადადებას გაძლევთ – მიმართა მან თავის თანამოაზრეებს, სასწრაფოდ გააჩეროთ და შემდეგ სრულად მოხსნათ საკითხი აჯანყების მოხდენის შესახებ ... დღეს ეს ერისათვის აუცილებლად საჭიროა. ვიცი, რომ ბევრი ამ წერილს მიაწერს ჩემს სულმოკლეობასა და სიმხდალეს. ეს სულმოკლეობა არ არის, ეს ჩემი რწმენაა¹. არასერიოზულად გამოიყურება დღევანდელი მსჯელობა თითქოს მას შეაჩერეს გამოძიების მიერ შემუშავებული ვერსია აჯანყებაზე და მან ეს ირწმუნა. კაცი, რომელიც აჯანყების გეგმის ირგვლივ დეტალებში იყო გაცნობიერებული ძნელად თუ ირწმუნებდა ასეთნაირად „შეჩერებულ“ მასალას, თუ იგი არ ემთხვეოდა რეალურ გეგმას, რომლის ირგვლივ მას ჰქონდა საფუძვლიანი წარმოდგენა და რომლის შედგენაზეც, როგორც აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ალბათ, თვითონვე მუშაობდა.

6. – მიუხედავად ამისა, რომ აჯანყების დასკვნით ეტაპზე მოხდა აზრთა რამდენადმე შეჯერება, პროცესებზე მაინც იქონიებდა გავლენას ის პარტიკულარისტული დაავადება, რომელმაც თავი კვლავ იჩინა ემიგრირებულ პოლიტიკურ პარტიათა შორის. განსაკუთრებულად გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების გადახანჩლების საკითხებზე, რომ აჯანყების ცენტრი მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე წააწყდა წინააღმდეგობას პოლიტპარტიათა შორის არსებული შუღლისა და შეურიგებლობის გამოც. „ფაქტიურად ყველა პარტია მუშაობდა ცალ-ცალკე საკუთარი ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მიხედვით. პოლიტპარტიებს შორის დავა ძირითადად მიმდინარეობდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზებისა და საშუალებების, ისე გამარჯვების შემთხვევაში დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი მთავრობის შესახებ. განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სოციალ-დემოკრატები (ე.ი. მენშევიკები) და ეროვნულ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და ვარაუდობდნენ მმართველობაში დაებრუნებინათ მენშევიკური მთავრობა და დამფუძნებელი კრება... ეროვნულ დემოკრატებს არ სურდათ დამფუძნებელი კრების მოწვევა ძველი შემადგენლობით. ეროვნულ დემოკრატები არ მალავდნენ თავიანთ აზრს იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატებმა (ე.ი. მენშევიკებმა,) რომლებიც ქვეყნის მმართველ ძალას წარმოადგენდნენ, ვერ ააწყვეს სახელმწიფო მექანიზმი, ვერ უზრუნველყვეს რესპუბლიკის დაცვა... უფრო მეტიც, სოციალ-დემოკრატები ეროვნულ ინტერესებზე მალლა აყენებდნენ პარტიულ ინტერესებს. ყოველივე ამან დამოუკიდებელი რესპუბლიკა დალუპვამდე მიიყვანა“². ამ მოსაზრებაში, ვფიქრობ გადაჭარბებული არაფერია, ისე როგორც ეროვნულ-დემოკრატების მიერ საკითხისადმი მიდგომასა და შეფასებებში.

7. – განვითარებულ მოვლენათა შეჯერების საფუძველზე კეთდება დასკვნა: სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით აჯანყება თითქმის დაწყებამდე იყო წაგებული და ამ დროს ხელმძღვანელთა მიერ აჯანყების მხარდამჭერი ადამიანების საბრძოლო მოქმედებაში შეყვანა, თუ სხვა შედარებას არ გავაკეთებთ, ასევე სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით, უპასუხისმგებლობა მაინცაა. ამის შემდეგ მათგან მსხვერპლზე, თანაც ცალმხრივად, საუბარი გაფერმკრთალებული ჩანს. როგორც ზემოთ ვახსენეთ გასათვალისწინებელი იყო, 1921 წლის 26 თებერვლის ბრძანებაც, რომლის მე-3 პუნქტითაც: „რევოლუციური წესრიგი დაცული უნდა იქნეს სასტიკად – მესაბოტაჟეები, წინააღმდეგობის გამწვინი და წესრიგის დამრღვევნი დაისჯებიან სასტიკად რევოლუციური დროის კანონების სიმკაცრით“, (მითუმეტეს აჯანყების მონაწილენი.) ამიტომაც ამ პირობებში მოქმედება იუველური სიზუსტით უნდა განსაზღვრულიყო. ასეთ შეჯახებებში მსხვერპლი გარდაუვალია! გამორიცხულია, რომ ეს ფაქტორი გაცნობიერებული არ ჰქონოდათ იმ ბირთვის, რომელმაც პასუხისმგებლობა იკისრა აჯანყების მომზადებასა და განხორციელებაზე. საბრძოლო მოქმედების სტრატეგიიდანაც გამომდინარე თუ აჯანყება მთლიანად და ნორმალურად იყო ორგანიზებული, ერთი დღით

¹ მიხეილ რეხვიაშვილისა და ნუგზარ რეხვიაშვილის საქართველოს ისტორია გვ. 1035. ამ მიმართვასა და პროცესებზე საუბრობს სხვა არაერთი ისტორიული წყარო, მათ შორის, საარქივო მოამბეც.
² ვალერი ბენიძე – 1924 წლის აჯანყება საქართველოში გვ. 17

ადრე ან გვიან დაწყება სერიოზულ გავლენას ვერ იქონიებდა, რომ ამაში არ ვეძებოთ დამარცხების მიზეზები. სხვათა შორის ეს პროცესიც ხელმძღვანელი შტაბის სუსტ მხარეზე მიუთითებს.

8. – და მთავარი: აჯანყების პოლიტიკურმა ცენტრმა, როგორც ჩანს მხედველობიდან გაუშვა ის, რომ საქართველო 1922 წლის 30 დეკემბრიდან შედიოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სივრცეში და მიუხედავად იმისა რომ გააჩნდა ოფიციალური სახელმწიფოებრივი სიმბოლიკები, რესპუბლიკის ფაქტიური და იურიდიული სტატუსი, მთელი რიგი ასპექტებით მისი უფლებების ნაწილი დელეგირებული იყო სამოკავშირეო ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ისე, როგორც მაშინდელი დროის ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და იგი (საქართველო) უკვე მოიაზრებოდა ამ სივრცის შემადგენელ ნაწილად. ამდენად, აჯანყებას კიდევაც, რომ მიეღწია მიზნისათვის კრემლი რეალურად აღარ დაუშვებდა არც საქართველოს, არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ამ სივრციდან გამოცალკავებას, მითუმეტეს შეიარაღებული აჯანყების გზით. უბრალოდ, ამ პრეცედენტს არ დაუშვებდა. აქედან შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ხომ არ იყო ეს იმ ეტაპისათვის წინასწარ განწირული საქმისათვის შეჭიდება, მითუმეტეს ევროპის ქვეყნების სიყრუე, ამდგავარ პროცესებზე არაერთგზის გამოვლენილა და იგივე განმეორდა როგორც უკვე აღინიშნა, 1924 წლის აჯანყების პროცესშიც და შემდეგაც. ყოველ შემთხვევაში, მათგან აქტიური გამომხაურებები დეკლარირების ფორმებს არ გასცდენია. მხედველობაში იყო მისაღები ალბათ ისიც, რომ საქართველოს რიგ ადგილებში 1922-1923 წლებში გადაუარა ლოკალური აჯანყებების ტალღამ, საფიქრალი იყო, რომ პერმანენტული აჯანყების დაშვებას შეენიანალმდეგება ნებისმიერი მოქმედი ხელისუფლება და იგი ამ დროს გააკეთებს ყველაფერს არა მარტო აღკვეთოს ინცინდენტი, არამედ მოიქცეს ისე, შემდეგში მის განმეორებას ყოველგვარი საფუძველი გამოაცალოს. ამის გამო ე. წ. გამარჯვებული მხარის მოქმედება მიზნის მისაღწევად ლოგიკიდან მთლად ამოვარდნილად არ უნდა მოგვეჩვენოს და მოქმედების შემდეგი ქცევის გასამართლებლად ფაქტებსაც დადებს. ისტორიას ამის არაერთი მაგალითი აქვს იმ ქვეყნების ცხოვრებიდანაც კი, რომლებიც ჩვენ დღეს დემოკრატიის „შუქურებად“ მიგვაჩნია. აქ ბევრ რაიმეს განაპირობებს ეპოქაც და ამ ეპოქაში ჩამოყალიბებული რეალობები, რომელიც იძლევა მუხტს შემდეგი მოქმედებისათვის. თუმცა არსებობს დოკუმენტური მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ვანის თემ-საზოგადოებებში 1922-1923 წლებში მდგომარეობა მშვიდია. შეკითხვაზე – იყო თუ არა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის სანინალმდეგო გამოსვლები და რა ზომები იქნა მიღებული. ვანის მაშინდელი ხელმძღვანელობის პასუხებიდან ჩანს, რომ მსგავსი რამ არ ყოფილა.¹ მითუმეტეს ასეთი აქტის დამალვა იმ რეჟიმის წინაშე და იმ პირობებში გამორიცხულია.

9. – შემდეგში (აჯანყების დამარცხების შემდეგ) „საზღვარგარეთიდან“ თეორიული საუბრები „აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ყველა აჯანყებას გაუმარჯვია?“ სიტუაციას ნაკლებად ცვლის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეალობაში აჯანყებათა და შეთქმულებათა აბსოლუტურად დიდი ნაწილი თითქმის მარცხით მთავრდება. ცხადია, ამას მიზეზები გააჩნია. ისტორია საუბრობს იმაზეც, რომ დაშვებული შეცდომებით და ძალისხმიერი მეთოდებითაც ქვეყნიდან გაძევებული ან გაქცეული ხელისუფლება ვეღარ ახერხებს უკანვე, ისევე ხელისუფლებაში მობრუნებას. ასეთი რამ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება. ასევე ბატონი ნოე ჟორდანიას შემდეგი საუბრები იმაზე, რომ „აჯანყება საბაბი გახდა პოლიტიკური ანგარიშსწორების“² – ფაქტია ცუდი, რადგან ორივე მხარეზე ქართველები იდგნენ, მაგრამ ასევე ხომ ფაქტია, რომ აჯანყებამ ნამდვილად მისცა ბიძგი სადამსჯელო ღონისძიებების დაბადებას და აქაც მოულოდნელობის ფაქტორი არ უნდა არსებობდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) შეიარაღებული აჯანყება როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, განიხილება როგორც რომელიმე მხარის სანინალმდეგოდ მიმართული საომარი მოქმედების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც თავის თავში გულისხმობს მსხვერპლსაც, სისხლსაც და ანგარიშსწორებასაც.

¹ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები.
²ნოე ჟორდანია – რჩული ნაწერები გვ.128

ბ) აჯანყება რაღაც კუთხით, რა ფორმითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ იგი ატარებს რევანშის ხასიათსაც. არაპოპულარულია დღეს ამაზე საუბარი, მაგრამ 1924 წლის აჯანყებას რბილად, რომ ვთქვათ რაღაც სეგმენტში ჰქონდა შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ხასიათი. გამოვრიცხოთ სიტყვა რევანში და იგი ვერც მასიურ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობად იქცა.

გ) პრაქტიკა ადასტურებს, შეიარაღებულ დაპირისპირებათა არეალში არც ერთი მხარე არ განირჩევა დიდი ჰუმანურობით. არც ისინი, რომლებიც აჯანყების დროში მოდიან და არც ისინი რომლებიც არსებული სტატუსკვოს შესანარჩუნებლად იბრძვიან.

საბოლოოდ გამარჯვებული მხარე (ზემოდაც ითქვა) ატარებს იმ ღონისძიებებსა და მიმართავს იმ ზომებს, რომელსაც მოცემულ პოლიტიკურ ეტაპზე თვლის საჭიროდ. ამ ქცევაში დევს მონინაალმდეგის დათრგუნვის კოდიც. ამაზე მსოფლიო ისტორიის მაგალითების მოხმობა სულაც არაა საჭირო. ჩვენი ერის ამ პერიოდამდე არსებული ისტორიაც მდიდარია მსგავსი, მაგრამ სავალალო მაგალითებით. ეს ცუდია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეც ხდება. საუბარი იმაზე, რომ მენშევიკები გამარჯვების შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიებებზე არ წავიდოდნენ ალბათ, გულუბჟყვილობაა. ამას „ვანის“ მაგალითებიც ადასტურებს, ხოლო მორალური ასპექტით თუ განვსჯით, საბრძოლველად გამზადებული კაცი როცა იარაღს იღებს ხელში, თუ მანამდე არ ეშველა საქმეს, აუცილებლად გაისვრის და რადგანაც ეს მოხდება იქნება მსხვერპლიც, რომელიც სამწუხაროდ ბადებს ახალ მსხვერპლს. ჩემი აზრით, ობიექტურობა იქნება ვისაუბროთ საერთო მსხვერპლზე. თუ ეს შეფასება გაკეთდება, მაშინ პასუხისმგებლობაც გადანანილდება.

აქ საუბარი ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ბრძოლას, მითუმეტეს ეროვნული განთავისუფლებისათვის, არა აქვს აზრი. ვიზიარებ პრინციპს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და თუ ამ უნარს ერი ჰკარგავს ჭაბუა ამირეჯიბის პერიფრაზით იგი საძოვარზე მიშვებულ ნახირს ემსგავსება, მაგრამ სიტუაციები და ობიექტური ისტორიული რეალობები უჩვენებენ – ამ ბრძოლას სჭირდება შესაფერისი დრო, მოქმედების ჭკვიანი გათვლა, მონინაალმდეგის ყოველმხრივი და ობიექტური შეფასება, სამხედრო და ფსიქოლოგიური მომზადება, შესაფერისი ეკონომიკური და დიპლომატიური მუხტი, საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ძლიერი ხელმძღვანელი ბირთვი და ა. შ. ხოლო მონინაალმდეგის შეუფასებლობის ერთ მაგალითს, რაც ხშირად გვჩვენია აქვე მოვიყვან. რა თქმა უნდა იგი აჯანყების დამარცხების შემდეგ გაკეთდა, მაგრამ, როგორც ჩანს ამ ადამიანს, როგორც ლიდერს ასეთივე წარმოდგენა ჰქონდა აჯანყების მზადებისა და მსვლელობის პროცესშიც. „ლაჩარი მმართველობის თვისებაა ბრძოლას გაექცეს, ხოლო ბოლშევიკური მმართველობა ხომ ლაჩარზე ულაჩრესია“¹. არ ვიცი, ბატონი ნოე ჟორდანიას ეს მიგნება, რომელიც განაწყენებული და რამდენადმე იმედგაცრუებული კაცის პოზიციაზეც მიუთითებს, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს, მაგრამ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების ყოფილ პირველ პირს ბრძოლიდან გაქცევის თაობაზე ნამდვილად არ უნდა მიჰყავდეს საუბარი და კიდევ: ისტორიული სინამდვილიდან ეს ასე არ დასტურდება. ბოლშევიკთა ადვოკატობა ჩემს ფუნქციებში არ შედის და ვერც ვიკისრებ, მაგრამ იმავე „ლაჩარმა ბოლშევიკებმა“ წარმატებით მოიგერიეს ანტანტის, კოალიციური 14 ქვეყნის მასიური, ამერიკისაგან მხარდაჭერილი, ქართველ მენშევიკთა სიმპათიით აღჭურვილიც ინტენვერცია რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ცოტა მოგვიანებით, როდესაც მათ უშუალოდ ბატონი ნოე ჟორდანიასა და ჩვენი, ქართველთა თანამემამულე ედგა სათავეში, ისეთი მსოფლიო სიძლიერის მონსტრი, როგორც იყო ჰიტლერული გერმანია, პრაქტიკულად ევროპის მპყრობელი, სამხედრო თვასაზრისისთაც და ეკონომიკური მნიშვნელობითაც თავის მოკავშირეებთან – სატელიტებთანად გადაამტვრია ხერხემალში და ეს მოახერხა ჯერ კიდევ 1944 წლის 6 ივნისამდე, ვიდრე ინგლის-ამერიკის (მოკავშირეთა) ჯარები ევროპაში გახსნიდნენ მეორე ფრონტს, ხოლო საბოლოოდ შექმნეს მსოფლიო მნიშვნელობის სუპერ სახელმწიფო ყველა განზომილების მიხედვით. სხვათაშორის ეს პროცესი ბატონ ნოე ჟორდანიასა და მის

¹ ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწარმოები. გვ.129

მომხრეთა სიცოცხლეში განვითარდა და მას როგორც ევროპისა და მსოფლიო განვითარების პროცესებში ჩახედულ პიროვნებას არ შეიძლება არ სცოდნოდა. მონინააღმდეგის ობიექტური შეფასება და ადეკვატური მოქმედება აზრს არასდროს კარგავს.

სახელმწიფოს მშენებლობა არის ურთულესი პროცესი. კიდევ უფრო რთული ჩანს ეროვნული თვითმყოფადობის მოპოვება. გაცილებით რთული – შენარჩუნება. აქ ერის შიგა ერთიანობაა გადამწყვეტი, საბედნიეროდ, სახელმწიფოს მშენებლობის გზა ნაირ-ნაირია, მაგრამ სამწუხაროდ ვერაფერ იუველური სიზუსტით ვერ იტყვის რომელს შეიძლება მიენიჭოს ასპროცენტისანი უპირატესობა. ერთ ძალიან დიდ სახელმწიფო მოღვაწე ქართველს აქვს ნათქვამი – ეროვნული დამოუკიდებლობა, სეპარაცია, ავტონომია, კონფედერაცია, ერის შიგა კონსოლიდაციასთან ერთად ასევე დამოკიდებულია ამ ერის გარშემო ჩამოყალიბებულ პროცესებსა და სიტუაციებზე. პროცესთა სწორი მართვა აქ შეიძლება დამჯდარი გონებით და გონიერთა გაერთიანებით.

ჩვენ აქ შევეხეთ და კომპენტენტურ მოსაზრებებსა და რიგ ფაქტებზე დაყრდნობით საკუთარი შეხედულება გამოვხატეთ აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომებსა და გარდაუვლად დამდგარ შედეგებზე. მაგრამ არასდროს არათუ გვითქვამს, არც გვიფიქრია, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არა აქვს აზრი. ყოველ დროსა და ყოველ სიტუაციაში, მთავარია ამ აზრის შემონახვა და კონდიციამდე ჩამოყალიბებული გამართულობა, შედეგთა წინასწარი ამოსახვა. საკუთარ ხალხზე დაყრდნობა სწყვეტს პრობლემას. დანარჩენი ყველა ფაქტორი, თუ შეძლებ გამოყენებას და არ გიმტყუნებენ, მეტნაკლები სახით დამხმარე საშუალებებია. ჩვენს ქვეყანას ბევრჯერ უმტყუნეს ...კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, „დამასკოს“ მთავრი შტაბის უფროსი, 1924 წლის აგვისტოს შემდეგ სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა: „ჩვენ არ ვიყავით მომხრე ინტერვენციის ...მხოლოდ ვცდილობდით, რომ ევროპის

საზოგადოების აზრი ჩვენს მხარეზე ყოფილიყო ...იმედი გვქონდა, რომ როდესაც ჩვენ აქ აჯანყებას მოვანყობდით იქედანაც მივიღებდით დახმარებას. აი, ამ იმედით გადავდგით ნაბიჯი“¹.

„მართალია აშკარად თვალსაჩინო და უშუალოდ ხელშესახები არაფერი ისეთი მოუცია ევროპა-ამერიკის პოლიტიკურ თანაგრძნობას ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეში – აღნიშნავს ბატონი გრიგოლ ლორთქიფანიძე, მაგრამ ამით უზარმაზარი პოლიტიკური კაპიტალი კი დავაგროვეთ, იშვიათად დარჩა მთელს მსოფლიოში ისეთი პარლამენტი, მთავრობა, კონგრესები და ყრილობები სადაც საქართველოს საკითხი არ წამოჭრილიყო. საქართველოს საკითხის უანგარო გუმავლობა იკისრა მსოფლიო მუშათა კლასმა თვით ინტერნაციონალისა და ნაციონალური ორგანიზაციების მეშვეობით, რომ კაცობრიობის გულსა და გონებაში ამოისახა და ჩამოყალიბდა საქართველოს საერთაშორისო ინდივიდუალობა.“ ლამაზი რომანტიკული ფერებითაა დახატული ეს პროცესი, რომელსაც რეალობასთან საერთო თითქმის არაფერი აღმოაჩნდა, ხოლო რეალობა ევროპა-ამერიკის შესაბამის დანესებულებათა სათათბირო კედლებს არ გასცილებია, პოლიტიკაში კვლავ ცივი გონება, რეალიზმი და ანგარიშიანობა რჩებოდა და რჩება მოქმედების ეპიცენტრად, სიტუაციათა მართვაც პრაქტიკულ ნაბიჯებს ეყრდნობოდა და არა ლამაზ ღიმილიან აღუსრულებელ დაპირებებს.

საკითხზე საუბარს დავასრულებთ ასევე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სიტყვებით რომელმაც არ შეიძლება ამ ადამიანის მიმართ დადებითად არ განგანყოთ – „ჩვენ დავმარხვდით ფიზიკურად, მაგრამ მორალურად არ დავმარცხებულვართ, რადგან იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა დარჩა ისევ და თქვენც გწამთ ეს იდეა ...დახ, იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა არის თქვენთვისაც და ჩვენთვისაც საყვარელი და წმინდა“.

ჩემი აზრით აშკარად იმსახურებს პატივისცემას ეს მოსაზრება, განწყობაც და დამოკიდებულებაც. რადგანაც იგი ხედავდა, რომ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლიზება არ შეიძლება. დაპირისპირებულ „ბანაკებში“ ისევ ქართველები დგანან, ხოლო სამშობლოს მოძულე ქართველი გარდა ერთეული გადაგვარებულებისა წარმოუდგენელია. სამშობლოს,

¹ საარქივო მოამბე. გვ.119 – კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დასკვნითი (საბოლოო) სიტყვა სასამართლო პროცესზე.

ერის საქმე ერთად საკეთებელია, ამაზე მან საფუძვლიანად გაამახვილა ყურადღება და ეს სიტყვები მიმართა მომავლის შეგონებადაც. რადგანაც არანაირი პოლიტიკური ხედვები არ დგას ერსა და სამშობლოზე მაღლა და კიდევ ერთიც: დღემდე არავის უარყვია ხელისუფალთა პასუხისმგებლობის საკითხი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. უშეცდომონი არ არსებობენ, მაგრამ ამ კასტას ნამდვილად არა აქვს უფლება შეცდომების დაშვებისა, რადგან ამის შემდეგ შედეგები დგება ძალიან მძიმე, ხანგრძლივად გაუსწორებელი ან საერთოდ გაუსწორებელი. იმ ეტაპისათვის ისევ მენშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერის, ვანელი კაცის გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვებით, რომ შევაფასოთ – „საქართველოს სოციალ-დემოკრატია (ე.ი. მენშევიკები) არ აღმოჩნდა მზად დამოუკიდებლობის პროცესში სიტუაციათა მართვისათვის“.¹

ამდენად: აჯანყება დამარცხდა, არ დამარცხებულა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეა. მხედველობაში მაქვს რეალურად შემდგარი დამოუკიდებლობა, როდესაც ქართველობა თვითონვე იქნება თავისი ბატონ-პატრონი და არ დაელოდება სხვათა გამონერვილ ცხოვრების რეცეპტებს. ამ იდეის დამარცხებას შეძლებს მხოლოდ ერთი რამ, როდესაც ერს გაუჩნდება ან გაუჩნენ თავის პოტენციალზე, შესაძლებლობებზე დაეჭვებისა და არასრულყოფილების განცდის სინდრომს, რომელიც დაფარავს ეროვნულ ცნობიერებას, თავმოყვარეობასაც და ბრძოლის ჟინსაც. ამ დროს თავისუფლად შეიძლება დადგეს ერის არსებობის საკითხიც. ქართულმა გენმა და იმ განცდამ, რომ სამშობლო უზენაესი და ერთადერთია ეს არ უნდა დაუშვას, ეს არ უნდა მოხდეს!

ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე
(საბაქელი¹ ჩიჯავაძეები სოლომონ I და სოლომონ II მეფეობაში)

XVII საუკუნის დასასრული და XVIII საუკუნის პირველი ნახევარი, ჩიჯავაძეთა სათავადოს გაუქმებისა და თავად ჩიჯავაძეთა გვარის დაკნინების პერიოდია იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. XVII საუკუნის ბოლოს, ალექსანდრე IV მეფობის დროს, ჩიჯავაძეთა ერთიანი სათავადო, ცენტრით საბეკეს ციხე-სასახლეში, დაიშალა და წარმოიქმნა საბეკელი (კარის ეკლესია ახლანდელ ვანში), ისრიეთელი (კარის ეკლესია ისრიეთში), საჩინოელი I (ციხით ჯვარისერის გორაზე), საჩინოელი II (ციხე და კარის ეკლესია, დღევანდელი შუამთის გორაზე), ბზვანის (ჯინჭველაურის გორის ციხითა და წმ. გიორგის კარის ეკლესიით), ამალღებელი ჩიჯავაძეები, მიუხედავად იმისა, რომ ჩიჯავაძეთა სათავადოს პირველი გაყოფის დროს, დიდი იყო ცენტრიდანული ძალები, რაც იმერეთის სამეფო კარზე გურიის მთავრების გიორგი III და მამია III გურიელების მიერ იმერეთის ბაგრატიონთა ტახტის დროებითა მიტაცებამ და დიდთავადთა ორიენტაციის მერყეობამ გამოიწვია, მათ მაინც ერთი საგვარეულო-საძუალე ეკლესია ჰქონდათ ვანში (ამჟამად, ზედა ვანი) მთავარანგელოზ — მიქაელის და გაბრიელის სახელობისა, სადაც ჩრდილომინაშენის კედლებზე ჩიჯავაძეთა გვარის გამოჩენილი პიროვნებების ნახატები იყო შემორჩენილი XIX საუკუნის ბოლომდე.

ჩიჯავაძეთა გვარის დაკნინება გრძელდება ალექსანდრე V (1720-1752) დროსაც, როცა იმერეთის ტახტზე ალექსანდრეს მოცილე ძმამ, მამუკა ბატონიშვილმა დაიპყრო საბეკეს ციხე და რიონგალმა მხარე თავის საუფლისწულოდ გამოაცხადა – ალექსანდრე მეფის წაყრუებით. ჩიჯავაძეთა უფლებები, როგორც მათი სამემკვიდრო სათავადოს მმართველობაში, ასევე სამეფო კარის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, არსებითად გაუქმებული იყო სოლომონ I (1752-1784) და დავით მეფის (1784-1789) დროსაც.

პროფესორი ო. სოსელია თავის გამოკვლევაში „დასავლეთ საქართველოს სათავადოების შესახებ“ მოტანილი აქვს დოკუმენტური მასალები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენელთაგან ხშირად მოხსენიებულნი არიან ვახუშტი, ანტონი, ქაიხოსრო, გიორგი, ამათგან პირველი ორი საბეკელი ჩიჯავაძეა, ხოლო ორი დანარჩენი – ისრიეთელი. ამათგან უპირველესად ანტონ ჩიჯავაძეა გამორჩეული პიროვნება. ძმები ანტონ და ვახუშტი ჩიჯავაძეები საბეკელი გიორგი ჩიჯავაძის შვილები იყვნენ. ანტონ ჩიჯავაძე, რომელმაც ყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსის სასულიერო წოდებას მიაღწია, იმერეთის საკათალიკოსოში 4 საეპისკოპოსოდან ერთ-ერთს – ხონის ეპარქიას განაგებდა, რომლის სამწყსოში შედიოდა ვაკის (კათედრა ხონში) მხარე (ხონი, სამიქელაო, საჭილაო, საბეკე-საჩინო-საჩიჯავაძო, საჩხეიძეო – ბაღდათი, რიონგამოღმა მხარე) თავისი სათავადოებით. ანტონ ჩიჯავაძის გარდაცვალების თარიღია 1822 წელი. დაბადების წელი სავარაუდოა 1734-37 წელია, რასაც ადასტურებს ანტონ ეპისკოპოსის ერთი ანონიმი ბიოგრაფის ცნობა. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, ანტონ ჩიჯავაძე მთავარეპისკოპოსად ხელდასხმული იყო აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსის, მეფის ძე იოსების (ბაგრატიონის) (1769-1776) მიერ 1769 წელს და სარგებლობდა მისი მფარველობით. ამ ფაქტს ასე გამოხატავს ანტონ მთავარეპისკოპოსის ბიოგრაფიის ანონიმი ავტორი: „მთავარეპისკოპოსი ანტონი იყო შთამომავლობით იმერეთის თავადი ჩიჯავაძეთა გვართაგანი, აღზრდილი კათალიკოსის იოსებისა და აყვანილი ხარისხსა ზედა მღვდელმთავრობისა.“ შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვან ცნობას გვანვდის იგივე ანონიმი ავტორი: „რომელიმე ცხოვრება მისი ამას შიგან აღწერილივ,

¹საბეკე – ადგილმდებარეობა ქალაქ ვანის ტერიტორიაზე, სადაც დღეისათვის განლაგებულია ვანი-ბაღდათის ეპარქიის ადმინისტრაციული შენობა, სტადიონი, პოლიკლინიკა და ა. შ. XVII საუკუნეში აქ მდებარეობდა ჩიჯავაძეთა ერთიანი სათავადოს ციხე-სასახლე.

არ მოსწონდა პირველ მეფესა სოლომონ იმერეთის. პირველად, შუალობითა მოძღვრისასა და შემდგომ თვით პირისპირი წინადადება მთავარეპისკოპოსსა რათა მოსპოს მან, არა ნახული და არცა გაგონილი სხვისგან, მის მიერ ქმნული ჩვეულება და აღასრულებდეს მოვალეობასა მწყემსმთავრობისა სწავლათაებრ წმიდათა მამათა: ანუ განმარტოს მისის გასაკვირვებელი ცხოვრება, რომელიც უკეთუ გამოჩნდება კეთილი და თანახმა წმიდათა მამათა სჯულის კანონისა, მაშინ იგი და ერიც მისის სამეფოსა შეუდგებიან მაგალითსა მისსა. გარნა მთავარეპისკოპოსი კადნიერებით მიუგებდა მეფესა: „მეფეო! თქვენ არა ხელგეწიფების შეხვიდეთ მსჯელობასა შინა ჩემი ცხოვრებისა“. ისმის კითხვა, თუ როდის შეიძლებოდა ეს მკვეთრი დაპირისპირება მომხდარიყო სოლომონ I-სა და ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს ანტონს შორის? ცხადია ამ დროს იოსებ მეფის ძე კათალიკოსი ცოცხალი არ იქნებოდა. ალექსანდრე მეფის ძე და სოლომონ I -ის ძმა იოსებ კათალიკოსი, რომელიც მფარველობდა ანტონ მთავარეპისკოპოსს, ამ დაპირისპირების ვითარებაში არ იხსენიება. იოსებ კათალიკოსი გარდაიცვალა 1776 წელს, ამ დროს ანტონ მთავარეპისკოპოსი ხონის ეპარქიის და ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმთავარია, რაც ჩანს ხონის ტაძრის დოკუმენტებიდან. 1775 წელს სამეფო წყალობათა დოკუმენტებზე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მამები ასეთი განრიგით აწერენ ხელს: „ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, მთავარეპისკოპოსი ანტონი, ნიკოლასწმინდელი არქიეპისკოპოსი სოფრონიოს“, მაგრამ, როცა აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოსად 1776 წელს აირჩიეს მაქსიმე (აბაშიძე), ხოლო, 1778 წელს სოლომონ I -ის მესამე თანამეცხედრე და იმერეთის დედოფალთ-დედოფალი გახდა ნულუკიდის ასული გულქანი, მისი ძმა ბერი ნულუკიძე კი, „თ-ა განაზრახი ჩვენი კარისა, ჩვენისა გამგე დიდებული, თავადი სარდალი, ბოქაულთუხუცესი, მოურავი,“ გასაგები ხდება სამეფო ოჯახის დაპირისპირება ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენელ მთავარეპისკოპოს ანტონთან, რომლის საეკლესიო მიწებთან ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მიდამოში, ბერი ნულუკიდის სათავადო ახალი მიწების და ყმა-გლეხების დაუფლებისათვის იბრძოდა, ხოლო, საბეკელ ჩიჯავაძეთა კუთვნილი საპაიჭაო მანამდეც მიტაცებული ჰქონდა მას. როგორც ანტონ მთავარეპისკოპოსის ანონიმი ბიოგრაფი წერს: „მაშინ მეფემან სოლომონ დაითხოვა იგი ეპარქიისაგან. ყ“დ სამღვდლო წავიდა ქალაქსა შინა ტფილისს, უკანასკნელი ირაკლისთან, რომელმანცა მიიღო იგი სტუმართმოყვარეობით და ინახავდა ყოვლითურთ უზრუნველად, ვიდრე გარდაცვალებამდე მეფის პირველის სოლომონისა.“

თბილისში და ქართლ-კახეთის სამეფოში, ანტონ მთავარეპისკოპოსის წასვლა განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ იგი XVIII ს. დიდი საეკლესიო და სამეცნიერო-კულტურული მოღვაწის ანტონ I (1720-1788) კათალიკოსის მიმდევარი იყო და სრულიად საქართველოს კათალიკოსად ის მიაჩნდა. ანტონ მთავარეპისკოპოსის ეს პოზიცია, რომელსაც ალბათ იმერეთის კათალიკოსი, მეფის ძე იოსებიც თანაუგრძნობდა, მოუთმენელი იქნებოდა იმერეთში, ანტონ I-ის ქართლ-კახეთის პატრიარქად ერეკლე II მიერ 1764 წელს მეორედ აღსაყდრების შემდეგ, ქსნისა და არაგვის ერისთავების და გაბაშვილების იმერეთის სამეფო სახლსა და სასულიერო წრეებში გაბატონებული მდგომარეობის შექმნის შემდეგ. ცხადია, შანშე ქსნის ერისთავის აჯანყების (1737-40 წლები) შემდეგ და ალექსანდრე V მიერ მისი და განსაკუთრებით მისი შვილის გედეონის აღზევება სოლომონ I-ის კარზე, კარგ ურთიერთობაზე არ მეტყველებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ამ ორ დიდ მეფეს შორის, რაც კიდევ უფრო იძაბებოდა მამა-შვილ შანშე და გედეონ ქსნის ერისთავების ფარული კავშირით მეფე ვახტანგ VI (1716-1737) ბაგრატიონის მემკვიდრეებთან.

ტფილისში ანტონ მთავარეპისკოპოსი აქტიურ სასულიერო-ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. მისი საფასურით და დავალებით ითარგნმა და გადაინერა მრავალი სასულიერო ლიტერატურული ძეგლი და როცა, 1784 წელს სოლომონ I გარდაიცვალა და იმერეთის ტახტი დაიჭირა სოლომონ I ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ (ვინაიდან ტახტის კანონიერი მემკვიდრე ალექსანდრე ახალი გარდაცვლილი იყო) იმ პირობით, რომ სრულწლოვანების მიღწევისას მეფობა გადაეცემოდა ტახტის კანონიერ მემკვიდრეს სოლომონ I ძმიშვილ დავით არჩილის ძეს,

ანტონ მთავარეპისკოპოსი იმერეთში დაბრუნდა. ანტონ მთავარეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ხონის ეპარქიის წინამძღვრად არ აღუდგენია დავით მეფეს. მაგრამ, 1787 წელს გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმეს (ერისთავის ძე იგივე შერვაშიძე გურიიდან) შეწირულების წიგნში გელათის წმ. ნიკოლოზის საყდრისადმი, რომელიც ქსნის ერისთავის შანშესა და მისი შვილის – დავით მეფის სიძის, ქუთაისის მოურავისა და ბოქაულთუხუცესის ელიზბარ ერისთავის მიერ გელათში სასაფლაოსათვის ძღვენის მირთმევას გვაუწყებს. მღვდელმთავრები დოკუმენტს შემდეგი თანმიმდევრობით აწერენ ხელს:

„ბეჭედი წარწერით: გაენათელი მიტროპოლიტი (ასომთ.) ეფთვიმე ქ. ჩვენ ყ“დ სამღვდლო მთავარეპისკოპოსი ანტონ ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მთავარეპისკოპოსი ანტონი.

ჩვენ ყ“დ სამღვდლო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ ვამტკიცებთ...

ბეჭედი წარწერით : ყ“დ სამღვდლო ქუთათელი მიტროპოლიტი (ასომთ) დოსითეოს“.

აქ მოტანილ დოკუმენტში, ანტონ მთავარეპისკოპოსი სიგელზე, ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოს (წერეთელზე) წინ აწერს ხელს!

დავით გიორგის ძის და დავით არჩილის ძეთა იმერეთის ტახტზე ცილობის პერიოდში (1784-1790 წწ.) ანტონ მთავარეპისკოპოსს ხონის ეპარქიის წინამძღვრობა ჩამორთმეული აქვს და სავარაუდოა გელათის მონასტერში ეწევა მოღვაწეობას. მაგრამ მის უმცროს ძმა ვახუშტისთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული დავით არჩილის ძის დასის საქმიანობაში, მიტაცებული ტახტის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებისათვის. 1789 წლის 11 ივლისს, დავით არჩილის ძისა და დავით გიორგის ძის მომხრეთა შორის სოფ. მათხოჯთან გამართულ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოუჩენია ვახუშტი ჩიჯავაძის საჩინოელთა ლაშქარს, რომელიც იბრძოდა მთავარეპისკოპოს ანტონის მომხრე მათხოჯელ და ხონის წმ. გიორგის ტაძრის მრევლთან მხარდამხარ, რაზედაც ამ ბრძოლაში გამარჯვებული დავით არჩილის ძე (შემდეგ სოლომონ II) თავის ერთ-ერთ სიგელში, რომელიც დათარიღებულია 1797 წლით წერს: „მე ს-დ იმერთა მეფე დავითიანი მეორე სოლომონ და ერთხორცი ჩემი დედოფალი დადიანის ასული მარიამ... უბეგროაშვილი სონაძე ივანე პირველთაგან შენის წმიდის ტაძრის შეწირული ყოფილიყო და ... წულუკიძეს დაეპყრა და ოდეს ძალშენობითა შენითა მივიღეთ მეფობა ივერთა, მას ჟამსა გამოვიძიეთ და ვსცანით ჭეშმარიტი და წულუკიძეს გამოვართვი...“ (ხაზგასმა ჩვენია, თ.ე.).

ხაზგასმული ადგილი სიგელიდან აშკარად მეტყველებს იმ დიდ დამსახურებაზე, რაც ჩიჯავაძეებს, საერთოდ და კერძოდ – ანტონ მთავარეპისკოპოსს მიუძღვის სოლომონ II-ის მიერ „ივერთა მეფობის მიღება“-ში. ცხადია, ამ სიგელზე ბერი წულუკიძის ნაცვლად ხელს აწერს სასახლის კარზე პირველ ვაზირად დანიშნურებული ზურაბ წერეთელი, რომელიც ღალატობის და გამცემლობის სიმბოლოდ იქცა შემდეგ საქართველოში.

აქ, ჩვენ არ განვიხილავთ ანტონ მთავარეპისკოპოსის შესახებ იმ ღირსეულ და ცილისმწამებლურ-უღირს ქმედებათა დახასიათებას, რაც დეტალურადაა გარჩეული ჩვენს ნაშრომში და მოვიტანთ ამ დიდი სასულიერო მოღვაწისა და მწიგნობარის ცხოვრებიდან ორ მომენტს:

1810 წლის ზაფხულზე, რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმების და ანექსიის წინააღმდეგ სოლომონ II მეთაურობით მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა დევნილმა მეფემ ველარ შეძლო ვარციხეში თავშეფარებული დედოფალ მარიამის გამოხსნა და გადაყვანა ახალციხეში, რუსთაგან დატყვევებული და რუსეთში ეტაპით გაგზავნილი დედოფალი, ხონის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მთავარეპისკოპოსს ანტონს წერს:

„ქ. მათს ყ“დ უსამღვდლოესებას და ჩვენს სასოებას უფალს ბატონ მთავარეპისკოპოს:

„სინმინდისა თქვენისა მსასოებელი დედოფალი მარიამ უმდაბლეს მსახურებას და წმინდას სამეუფოს მარჯვენეს ამბორებას მოგახსენებ. მერმეთ ვიცი თქვენის მოწყალებისაგან ჩვენს ამბავს მოიხსენებ და ეს არის რუსეთს წამიყვანეს. დიდი ხანი არის აღთქმა მქონდა თქვენის ეკლესიის, ეს გლეხები ახალაძენი უნდა შემეწირა. ეს ორი წელიწადი არის წიგნიც დაწერილი

მაქვს და მიახლები (სიც) ნიგნიც და ეს ახალაძეებიც. თქვენ იცით და თქვენმა მამაშვილობამ რასაც მას მოუვლით, კაცს ხელი არავის აქვს. თუ ვინმე მოსიტყვე მოდგეს, ეს ნიგნი წარადგინე და პასუხი უბრძანე. კ(უალა)დ ამას გევედრები: თქვენს წმინდას ლოცვაშიდ ნუ დაგვივიწყებთ, გახსოვდე უ(ფა)ლო. სხვას ამას გევედრები, თქვენის ეკლესიის შენირული გახლავს ჩემი ძიძა და ძიძიშვილები და გებრალეობდეს, ურიგოდ არავინ რამე აწყენონის უ(ფა)ლო, ბეჭედი ასომთავრული: „დედოფალი მარიამ.“

უფლებააყრილი, დატყვევებული, ახლობლებისაგან მიტოვებული დედოფლის გულის-შემძვრელი ანდერძი, საქართველოდან რუსეთში გასახლების მომენტში რომ ადგენდა, მიმართული იყო იმ ადამიანისა და სულიერი მამისადმი, რომელსაც იგი თხოვს: „ლოცვაშიდ ნუ დაგვივიწყებთ, გახსოვდე უ(ფა)ლო“-ო. ასეთი ექსპრესიული გამომსახველობის ანდერძი უმაღლესი სასოების განცდისას შეიძლება დაწეროს ადამიანმა იმ მომენტში, რომელიც რუსეთის თვითმყობელობის მიერ იყო შექმნილი უსასოო დედოფლის მიმართ.

კიდევ ერთი შეუპოვრობის და სინმინდის მაგალითი ანტონ მთავარეპისკოპოსმა უჩვენა 1819-1820 წლებში რუსეთის წინააღმდეგ იმერეთში მომხდარი აჯანყების დროს, რომელსაც ზოგჯერ ვულგარიზატორების მიერ „ეკლესიური სინმინდეების დასაცავად მოწყობილ ბუნტად“ მოიხსენიებენ. ამ აჯანყების მოთავეებად, მართლაც იმერეთის უმაღლესი სასულიერო მოღვაწეები ეფთვიმე (ერისთავი) გელათელი რუსეთში გადაასახლეს, ხოლო დოსითეოს (წერეთელი) ქუთათელი დაპატიმრების დროს ხიშტებით დაჩხვლეტილი და გზაში გარდაცვლილი ანაწურში საიდუმლოდ დაკრძალეს. 1719-1920 წლების აჯანყების მოთავეთა შორის, რატომღაც არ იხსენიება ანტონ მთავარეპისკოპოსი, მაშინ როცა იოვანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) მას მოიხსენიებს ამ ამბოხების მოთავეთა შორის. ანტონ მთავარეპისკოპოსის ანონიმი ბიოგრაფიის ავტორი, რომელიც არ გამოირჩეოდა მისდამი სიმპათიებით, წერს: „ჩყკ“ (1720) წელსა მარტის 20 რიცხვსა უმაღლესის ხელისუფლების ბრძანებით დატყვევებულ და წარგზავნილ იქმნენ იმერეთიდან რუსეთში ორნი მიტროპოლიტნი ქუთათისის დოსითეოს და გაენათისა ეფთიმი, ღამით... დარჩა მხოლოდ გარდა ანტონ მთავარეპისკოპოსისა, რაჭის არხიეპისკოპოსი სოფრონიოს, რომელსა მიენდო განსაგებად ოთხივე ეპარქია, ესე იგი ქუთათისისა, გაენათისა, ხონისა და რაჭისა,“ იმ დროს ანტონ მთავარეპისკოპოსი მხოლოდ ეპარქიის გამგებლობისაგან გადააყენეს და არ დააპატიმრეს იმის გამო, რომ ღრმად მოხუცებული და დაუძღურებული იყო! მაგრამ მკვლევარი ო. სოსელიას მონაცემებით ანტონ მთავარეპისკოპოსი „მონაწილეობდა 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებაში. ის იყო პირველი მიზეზი უკმაყოფილო ხალხის თავმოყრისა ვაკის ოლქში“. ამ თავმოყრის შესახებ ამბოხების ერთ-ერთი ტყვედ ჩავარდნილი მეთაურის წამებით მიღებულ ჩვენებაში ნათქვამია:

„შარშან ამ ვაკეზედ, რიონის პირას, ამ ხეების ქვეშ ყრილობა იყო ყველა თავადებისა, აზნაურების, სამღვდელოების და მრავალი ათასეული მდაბიო ხალხისა. ამ ყრილობაზე გადაწყვეტილი იყო მთლად განყვეტა რუსებისა და საკუთარი მეფის ამორჩევა. ყრილობის განაჩენი (ღრამოტა) დაწერილია ქალაქზე მოთავეთა ხელის მოწერით და შემონმეებულია ბეჭდების დასმით. ფიცი კი ჯვარსა და სახარებაზე იყო მიღებული. შემდეგ ამასა იქვე არჩეულ იქმნენ მებრძოლ რაზმთა (ჯარისკაცთა) მოთავენი.“

აქ მოტანილი ისტორიული ცნობა აჯანყების შესახებ შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ის, რომ კრება ვაკის მაზრისა და ეპარქიის ცენტრში შეგდა და თუ გავითვალისწინებთ ანონიმი ავტორის ჩანაწერს, რომ: „აქენდა ჩვეულება იმერეთის ყ“დ სამღვდელოსა. დროსა, უკეთუ რაიმე უწესობა განმრავლდებოდა, მოახდენდნენ კრებასა და მაშინა მთავარეპისკოპოსს მისსა აზრსა“, ცხადი ხდება ის წვლილი, რაც ანტონ მთავარეპისკოპოსს აქვს შეტანილი 1819-1829 წლების აჯანყების ორგანიზებაში.

ანტონ მთავარეპისკოპოსი, როგორც აღნიშნული იყო გარდაიცვალა 1822 წლის 17 ივნისს და დაკრძალულია ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) ტ. II. თბილისი 1974.
2. ანონიმი ავტორი, ცხოვრება ქუთაისის ლუბერნიასა შინა მყოფის ან გარდაცვალებულის ყ“დ სამღვდლო ხონელ მთავარეპისკოპოს ანტონის. ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 3-2784.
3. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები ნ. II, თბილისი, 1922 წ.
4. თ. ეფრემიძე. ცხოვრება და ღვაწლი ყ“დ სამღვდლო მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის ხელნაწერი.
5. თამარ პაპავა. „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში.“ პარიზი, 1937. თბილისი, 1990 წ.
6. იოვანე ბატონიშვილი. „კალმასობა.“ ქართული პროზა. წიგნი VI. ახლანდელი მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი ქართველთა და იმერეთანი. „საბ. მწერალი.“ თბილისი 19.
7. ვ. ნვერავა. ხონის საეპისკოპოსოს ისტორიიდან. განთიადი, №1-2, 169-73, 2002 წ.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი თავის კრებულ „მატიანეში“ რუბრიკით „ღირსეულ ვანელთა თანავარსკვლავედი“ იწყებს მასალების გამოქვეყნებას სახელოვანი თანამემამულეების: სასულიერო პირების, მეცნიერების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, სპორტსმენების, მედიცინის დარგის მუშაკების, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს არა მარტო რაიონის, არამედ ქვეყნის სულიერი, მატერიალური და კულტურული ცხოვრების მშენებლობასა და აღორძინების საქმეში.

რუბრიკას – „ღირსეულ ვანელთა თანავარსკვლავედი“ უძღვება საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნი-ერებათა დოქტორი, პროფესორი –თეიმურაზ ალაიშვილი.

თეიმურაზ ალაიშვილი

პროფესორი

აკადემიკოსი ჯუმბარ ლომინაძე

2016 წელს დაბადებიდან 86 და გარდაცვალებიდან ორი წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს და ამავე აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს მდივანს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორს, საქართველოს კოსმოსური სააგენტოს თავმჯდომარეს, ღირსეულ მამულიშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ფართო ინტერესებისა და ნატიფი სულის ადამიანს აკადემიკოს ჯუმბერ (გიორგი) ლომინაძეს.

აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ნიჭი, ბუნება და უნარი მრავალმხრივია. იგი იყო მშვიდი, თანმიმდევრული და ყოველდღიურობაზე ამაღლებული, კაცთმოყვარე და ადამიანის ღირსებებით აღტაცების ნიჭით მაღლცხებული, მშვენიერებასთან ნილნაყარი ფაქიზი სულის ადამიანი. მას ბუნების საიდუმლოებათა გააზრებისა და ირგვლივმყოფთა შემოქმედებითი დამუხტვის დაუშრეტელი ენერგია გააჩნდა. ამ თვისებათა შერწყმა განაპირობა ჯუმბერ ლომინაძის ინტერესების, შემოქმედებისა და ცხოვრების მრავალფეროვნებამ, ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც იგი ასრულებდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონი ჯუმბერი სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ფიზიკის ფაკულტეტზე (1950-1955 წწ.), სადაც სპეციალიზდებოდა ატომბირთვის აგებულების მიმართულებით. პარალელურად მის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა პლაზმის ფიზიკის პრობლემები, რადგანაც ძირითად მიზნად ისახავდა თერმობირთვული იარაღის „გაკეთილშობილებას“ – ისეთი რეაქტორის აგებას, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა ბირთვული რეაქციების მართვა და ამის შედეგად, კაცობრიობისთვის ფაქტობრივად ამოუწურავი, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროს შექმნა.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯუმბერ ლომინაძე სამუშაოდ გაანაწილეს ურალის ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც უშუალოდ მონაწილეობდა ისტორიის იმ ეტაპზე აქტიური თერმობირთვული იარაღის სრულყოფის პროგრამაში. მიუხედავად ამისა, მისი სამეცნიერო ინტერესები განუყრელად იყო დაკავშირებული პლაზმისა და ასტროფიზიკის ამოცანებთან.

1958 წელს ბატონი ჯუმბერი დაბრუნდა საქართველოში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა წარმატებულ ჯგუფთან ერთად შეუდგა პლაზმის ფიზიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

საწყის ეტაპზე მისი სამეცნიერო საქმიანობა პლაზმის ფიზიკის დარგში დაიწყო ქ. ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც არსებობდა ცნობილი სამეცნიერო ცენტრი პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული სინთეზის მიმართულებით. ჯუმბერ ლომინაძის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები შესრულებული იქნა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპოდენტის კ.სტეპანოვის ხელმძღვანელობით.

აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის მეცნიერული მოღვაწეობა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი შეეხება პლაზმის ფიზიკის თეორიას – მართვადი თერმობირთვული რეაქციები, კოლექტიური მოვლენები პლაზმურ რეაქტორ ტოკამაში, ციკლოტრონული ტალღების თეორია და სხვა. მეორე ეტაპი ეხება კვლევებს მეცნიერების ახალ მიმართულებებში – პლაზმურ ასტროფიზიკაში, რომელიც პლაზმისა და ასტროფიზიკის მიჯნაზე შეიქმნა.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ბატონი ჯუმბერი დაუკავშირდა აკადემიკოს ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯის ინსტიტუტის ცნობილ მეცნიერს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპოდენტს ა. მიხაილოვსკის და მასთან ერთად შეასრულა გამოკვლევების საინტერესო ციკლი კოლექტიური მოვლენები ტოკამაკებში და პულსარების გამოსხივების თეორიაში. ბატონი ჯუმბერის საქმიანობის მოტივაციის მხოლოდ მცირე ნაწილი ემსახურება მის თვითდამკვიდრებას, ხოლო ძირითადი ნაწილი კი მეცნიერებაში თვითგამოხატვით ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობით, ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდით, სამეცნიერო სკოლის შექმნით იყო განპირობებული. სწორედ ამიტომაც მისი მოღვაწეობა საფუძვლიანი, თანმიმდევრული და არა იმპულსური – სწრაფ გარეგან ეფექტებზე გათვლილი. ის პლაზმის ფიზიკაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აწარმოებდა კვლევას ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე პროცესების შესწავლის დროს. ამ ეტაპზე ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯ. ლომინაძის მჭიდრო თანამშრომლობას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტთან და პირადად აკადემიკოსებთან როალდ საგდევეთან, ალბერტ გალევთან, ლევ ზელიონისთან და ჩვენს თანამემამულესთან პროფ. გიორგი მანაგაძესთან.

აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა თეორიული ასტროფიზიკის სამეცნიერო სკოლა, სადაც მიმდინარეობდა ფუნდამენტური კვლევები უწყვეტ გარემოში შეშფოთებათა დინამიკისა და ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე პროცესების შესასწავლად. ამ მიმართულებით კვლევის ობიექტების სპექტრი საკმაოდ ფართოა და მოიცავს აქტიურ გალაქტიკების ბირთვებს, შავი ორმოების აკრეციულ დისკოებს, პულსართა მაგნიტოსფეროებს, მზეს, დედამიწის მაგნიტოსფეროს.

ეს სამეცნიერო სკოლა ჩამოყალიბდა თეორიული ასტროფიზიკის ჯგუფის ბაზაზე, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ევგენი ხარაძის ინიციატივითა და ბატონი ჯუმბერის ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. სკოლა იქმნებოდა ისეთ სამეცნიერო ცენტრებთან ფართო თანამშრომლობის პირობებში, როგორებიცაა: მერილენდის უნივერსიტეტი (აშშ): კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტი (რუსეთი); ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი (რუსეთი); კემბრიჯის და კარდიფის უნივერსიტეტები (დიდი ბრიტანეთი); კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ); კეპლერის სახელობის ასტრონომიული ცენტრი (პოლონეთი); რამანის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი (იტალია); ტურინის ობსერვატორია (იტალია); პარიზის ობსერვატორია (საფრანგეთი) და სხვა.

პლაზმაში მიმდინარე ელექტრომაგნიტური მოვლენების მრავალი წლის ინტენსიური კვ-

ლევებით ჯუმბერ ლომინაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელექტრონულ ციკლოქტრონული ტურბულენტობის თეორიის შექმნაში. მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველები იყო მის თეორიულ შრომებში, შემდგომ ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს უცხოელმა მეცნიერებმა. მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებამ დააინტერესა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამომცემლობა – „პეგამონ პრესს“, რომელმაც 1981 წელს გამოსცა ბატონი ჯუმბერის მონოგრაფია „ციკლოქტრონული ტალღები პლაზმაში.“ ეს ნაშრომი ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნი გახდა.

აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ და მისმა თანამშრომლებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას ელექტრონულ-პოზიტრონული პლაზმის ელექტრომაგნიტურ თეორიას, რომლის საფუძველზეც აიგო კიბორჩხალას ნისლეულში მდებარე პულსარის გამოსხივების თეორიული მოდელი. მისი ასტროფიზიკური კვლევების არეალმა ასევე მოიცვა სამყაროს ყველაზე ეგზოტიკური ობიექტების — შავი ორმოების ირგვლივ არსებული ე.წ. აკრეციულ დისკოებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა თეორიული მოდელი, რომელიც ხსნის ამ დისკოების რენტგენული გამოსხივების თავისებურებებს. ამ ტიპის დინამიკური მოვლენების კვლევისათვის არაადეკვატური აღმოჩნდა კლასიკური მათემატიკური მოდელი. საჭირო გახდა ოპტიმალური მათემატიკური ფორმალიზმის შემუშავება და გამოყენება. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევებისათვის მკვლევართა ჯგუფს ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით, 2002 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერების დარგში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ჯუმბერ ლომინაძის აქტივობა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში. 80-იანი წლების დასაწყისში ი. კურჩატოვის ატომური ენერჯის ინსტიტუტის თანამშრომელ, პროფესორ ვლადიმერ ფეტვიაშვილთან ერთად, აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შეიქმნა ექსპერიმენტული დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა დედამიწის ატმოსფეროსა და ოკეანეებში გრიგალების ჩამოყალიბებისა და დინამიკის მოდელირება. ასევე მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები აქვს მიღებული ჯუმბერ ლომინაძეს მზეზე, დედამიწის მაგნიტოსფეროსა და ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევაში. ამ კუთხით ზოგიერთი ნაშრომი ამ სტრიქონების ავტორის მონაწილეობითაცაა შესრულებული.

მეცნიერული კვლევების ეს ფართო არეალი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან და ბატონი ჯუმბერის მიერ შექმნილი სკოლისათვის დამახასიათებელი ფიზიკური აზროვნების მაღალი კულტურა, ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ მკვლევარებად სწრაფ ჩამოყალიბებას განაპირობებდა. ამ სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა ოცამდე მეცნიერებათა კანდიდატი და მომზადდა ექვსი მეცნიერებათა დოქტორი, რომლებმაც ძირითადად ბატონ ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით დაიცვეს საძიებელი ხარისხები. ის იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის (მათ შორის ავტორი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებისა) მთავარი ოპონენტი. აქ სკოლაგამოვლილი მეცნიერები მუშაობენ ამერიკაში, ბელგიაში, ინგლისში, იტალიაში, ისრაელში, პოლონეთში და სხვა. ეს სკოლა შესანიშნავი ტრამპლინი გახლდათ ახალგაზრდა მეცნიერთა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებისა და შემდგომი გზის გაკვლევისათვის. ბატონი ჯუმბერი ყოველთვის ხელს უწყობდა ამ ინტეგრირებას, იგი ამაცობდა ამით. თავის დროზე ახალგაზრდა მეცნიერებზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი, მისი თაოსნობით კოსმოსური პლაზმის საერთაშორისო სკოლის, „ვარნა-აბასთუმნის“ დაარსება. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ასტროფიზიკური პლაზმის და მომიჯნავე დარგების ცნობილმა სპეციალისტებმა.

აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის მეცნიერული საქმიანობა საქართველოში პლაზმური ასტროფიზიკის სკოლის შექმნით არ შემოიფარგლა. მის თანადგომას და ზრუნვას ყოველთვის გრძნობენ საქართველოს სხვა სამეცნიერო დანესებულებები. მისი მეცნიერებაზე ზრუნვა

ვრცელდებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ინვედნენ ექსპერტად რუსეთის ფედერაციის ბირთვულ ცენტრებში „ჩელიაბინსკ-70“-ში და „არზამას-16“-ში გამართულ კონფერენციებზე – „მეცნიერება მშვიდობისათვის“, სადაც კითხულობდა ლექციებს ტურბულენტობის თეორიაში კოსმოლოგიაში და ასტროფიზიკაში.

ბატონ ჯუმბერს განსაკუთრებით უყვარდა ქუთაისი, რაიმე შემთხვევასაც კი არ დატოვებდა ყურადღების გარეშე. უყვარდა გამოვლა სოფელში მამისეულ სამკვიდროში (ვანის რაიონის სოფელი ზეინდარი). სტუმრობისას მონაწილეობდა სხვადასხვა დონის სამეცნიერო ფორუმებში, კითხულობდა საჯარო ლექციებს თანამედროვე ასტროფიზიკაში, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები.“ ძალზე დიდია მისი წვლილი ტექნიკურ უნივერსიტეტში კოსმოფიზიკური გამოკვლევების პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გელათის ობსერვატორიის ჩამოყალიბება-აღდგენის საქმეში.

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე 1982 წლიდან, როგორც აკადემიკოს-მდივანი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას. ხოლო 2010 წლიდან ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. ქვეყნისათვის უმძიმეს ეკონომიკურ პერიოდში (1992-2000 წწ.) მან ითავა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორობა. გარკვეული წლების განმავლობაში, პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილ რთულ პირობებში მან იტვირთა ისეთი მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა, როგორც იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა. 2003 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს კოსმოსური სააგენტო. კოსმოსური ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარება თანამედროვე ქვეყნების აუცილებელი ატრიბუტია. ბატონმა ჯუმბერმა მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმითა და თანმიმდევრობით, ნაბიჯ-ნაბიჯ დაამკვიდრა ეს ახალი ტიპის ორგანიზაცია საქართველოში, რომელშიც მას მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და ურთიერთობები დაეხმარა. ჯუმბერ ლომინაძეს საზოგადოებრივ საქმიანობაში მეგზურობას მისი კეთილმოსურნეობა და ინტელიგენტურობა, მომავლის თანდაყოლილი რწმენა უწევდა. „ნუ მიაგებ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდით წინააღმდეგომს“ – გვასწავლის ახალი აღთქმა. ბატონ ჯუმბერს ჭეშმარიტად შეეძლო ავისმოსურნისათვისაც სიკეთის მიგება. ასეთი იყო მისი შინაგანი ბუნება, მისი შინაგანი არსი. ადამიანებს სჯეროდათ ბატონ ჯუმბერ ლომინაძის სიკეთის და იმდენად იყვნენ დარწმუნებული მის გულახდილობაში, რომ კეთილი საქმიანობებისათვის მადლიერების გრძნობის გამოხატვას საჭიროდ არ მიიჩნევდნენ. ეს სიმძიმე თავის მხრივ, მას უადვილებდა ადამიანებთან ურთიერთობას.

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე გახლდათ ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი. ის კარგად იცნობდა ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, ფოტოხელოვნებას, შესანიშნავად ასრულებდა ფოკუსურ ნომრებს. ეს გატაცებები მისი ცხოვრების, მისი სიყვარულის მემატიანედ იქცა. ამ გატაცებით განაცვიფრა მან ქართული საზოგადოება, როდესაც ამ საუკუნის დასაწყისში ცისფერ გალერეაში მოაწყო მისი მეუღლის, ქალბატონი ლიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. მასზე წარმოდგენილი იყო ჯუმბერ ლომინაძის მიერ ორმოცდაათი წლის განმავლობაში გადაღებული ფოტოები, მისი ცხოვრების გზისა და მშვენიერი გრძნობის ამსახველი, რაც ქალბატონ ლიასთან აკავშირებდა.

2010 წლის სექტემბერში სამეცნიერო საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა სახელოვანი აკადემიკოსის 80 წლის იუბილე, ძირითადი სხდომა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა. მასში ქუთაისიდან პროფესორ თორნიკე ეფრემიძესთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. ჩემი მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა გამოხატა თავისი დიდი მადლიერება და პატივისცემა ჩვენი ქალაქის ინტელიგენციისადმი.

ბატონი ჯუმბერის საიუბილეო დღეები ქუთაისშიც გაიმართა. მას მიეძღვნა საერთაშორისო კონფერენცია „კოსმოსი მახლობელი და შორეული“, რომელზეც სამწუხაროდ ავადმყოფობის გამო ვერ ჩამობრძანდა სახელოვანი მეცნიერი. ის მაშინ ისრაელში ბრძანდებოდა სამკურნალოდ. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია ბატონ ჯუმბერს. ვერ დაძლია უკურნებელი სენი და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გასული წლის იანვარში გარდაიცვალა.

2015 წლის 21-23 ნოემბერს ქ. ქუთაისში საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, ქუთაისის გაენათის ეპარქიის ხელმძღვანელობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა სახელგანთქმული მეცნიერის 85 წლის იუბილეს და ხსოვნის წლისთავს. კონფერენციის მასალები დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში.

ძნელია ბატონ ჯუმბერზე წარსულ დროში ლაპარაკი, თუმცა კოლეგებსა და მეგობრებს სანუგეშოდ ისიც გვეყოფა, რომ მის პიროვნებაში სრულადაა წარმოჩენილი დიდი რუსთაველის შეგონება „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ნათელში იყოს მისი სპეციაკი სული სამარადისო სასუფეველში.

**ღვანულადი მეცნიერი-ფიზიკოსი
თორნიკე ეფრემიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო (ემერიტუს) პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების ისტორიის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარეს, რეგიონის საბუნებისმეტყველო მეცნიერების პატრიარქს, სახელოვან მამულიშვილსა და მეცნიერს, ბატონ თორნიკე ეფრემიძეს ვანური წარმომავლობა აქვს.

ადამიანის ამსოფლიური არსებობის დრო შემოსაზღვრულია. ღმერთი მას არჩევანს უტოვებს სიკეთის გზით ივლის თუ ბოროტებისა. ამასთან ერთად ანიჭებს გონივრულ და ფიზიკურ შესაძლებლობებს მისი ამქვეყნიური მოღვაწეობა სიკეთის და სიყვარულის საკეთებლად გამოიყენოს. სწორედ ასეთ მოღვაწეთა რიგის სათავეში იდგა ბატონი თორნიკე ეფრემიძე. მთელ მის საკმაოდ სოლიდურ ასაკს უწყვეტი ბრწყინვალეობით გასდევს ადამიანისადმი სიკეთისა და სიბოძის მინიჭების სწორუპოვარი უნარი, კაცთმოყვარეობისა და ტოლერანტობის, ჩვენი დიდი წინაპრებისაგან ბრძოლით დაცული და დღემდე მოტანილი უმდიდრესი ტრადიციები.

პროფესორი თ. ეფრემიძე დაიბადა 1932 წლის 10 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ სალხინოში. 1939 წელს სწავლა დაიწყო და 1950 წელს წარმატებით დაამთავრა სალხინოს საშუალო სკოლა. იმავე წელსვე ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელი უნივერსიტეტი) და გახდა სტუდენტი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობით. 1954 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ მასწავლებლობა დაიწყო მშობლიური რაიონის ისრითის საშუალო სკოლაში. 1955 წლის სექტემბრიდან ის სამუშაოდ მიიწვიეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრაზე, სადაც გაიარა გრძელი გზა უფროსი ლაბორანტობიდან, ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობამდე. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობას, თავკაცობდა მეცნიერების ისტორიის ქუთაისის განყოფილებას და ფიზიკის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარიის მუშაობას.

პროფესორი თ. ეფრემიძე 1964-1965 წლებში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პ.ლენინის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში (ქ.მოსკოვი) იმყოფებოდა მიზნობრივ ასპირანტურაში თეორიული ფიზიკის მიმართულებით. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თეორიულ ფიზიკაში (ხელმძღვანელობდა პროფესორი ვ. ფაინბერგი), ხოლო 1997 წელს, იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის საპატიო ხარისხი.

წლების განმავლობაში ბატონი თორნიკე უნივერსიტეტის პარალელურად ლექციებს კითხულობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, ხოლო საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ხელმძღვანელობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციას. ბატონი თორნიკე მრავალი ათული წლების განმავლობაში მაღალ მეცნიერულ დონეზე კითხულობდა ლექციებს ფიზიკის, ასტროფიზიკის, კოსმოლოგიისა და სხვა მიმართულებით. აღზარდა მრავალი მაგისტრანტი, ასპირანტი თუ დოქტორანტი.

პროფესორი თ.ეფრემიძის სამეცნიერო მოღვაწეობის არსენალი 500-ზე მეტ ნაშრომსა და პუბლიკაციას შეადგენს, რომელთა შორის ზოგიერთი უცხოურ პერიოდულ გამოცემებშია დაბეჭდილი.

ბატონი თორნიკეს პირველი მონოგრაფია „გრიგოლ ხაჭალია და მისი გარემოცვა,“ არამარტო პროფესორ გ. ხაჭალიას ღვაწლის, არამედ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ისტორიის წარმოჩენასაც ემსახურება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ.

ეფრემიძის ავტორობითა და ინიციატივით გამოცემული, უნივერსიტეტის თანამშრომლებისადმი მიძღვნილი „დაუფინყართა კრებული“, რომელშიც მთელი სიცხადით არის წარმოდგენილი ამ მეცნიერების წმინდა ტაძარში მოღვაწე ცნობილ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლი, ჯერ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისა და შემდეგ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბება-განვითარების მამულიშვილურ საქმეში.

მისი წიგნი „ფიზიკა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე და ალექსეი გრუზინცევი“ ეძღვნება ფიზიკის განვითარების საკითხების კვლევას საქართველოს ბედუკულმართობით განპირობებული რუსეთში გადახვენილი ქართველების მიერ შესრულებულ ნაშრომებში.

ბატონ თორნიკეს 2003 წელს გამოცემულ წიგნში „ნ. მუსხელიშვილი და ქართული მათემატიკური სკოლის დამკვიდრება“ და 2011 წელს გამოსულ აკადემიკოს ნ.მუსხელიშვილის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი,“ წარმოდგენილია ქართველ მათემატიკოსთა შორის დამოკიდებულების პრობლემური საკითხები, დიდი მეცნიერის საოჯახო და საარქივო მასალები და მისი თანამედროვე გამოჩენილ სწავლულთა მოგონებები მისი მხარდაჭერითა და თანადგომით დოცენტ იროდიონ ერემეიშვილის გამოცემულ ნარკვევებში „ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა“, გადმოცემულია მათემატიკური დისციპლინების განვითარების პერსპექტივები გასული საუკუნის პირველ მეოთხედში.

2004 წელს ბატონმა თორნიკემ გამოსცა წიგნი „პროფესორი ზაალ გაბრიჭიძე,“ რომელშიც ღრმადაა გაანალიზებული ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პედაგოგისა და შემდეგ უნივერსიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პროფესორ ზ.გაბრიჭიძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

პროფესორ თ.ეფრემიძის, პროფ. შ. კირთაძესთან ერთად 2006 წელს გამოცემულ წიგნში „ნიკო მუსხელიშვილის ადრეული უცნობი ნაშრომები მათემატიკურ და თეორიულ ფიზიკაში“, განხილულია აკად. ნ. მუსხელიშვილის ადრეული (1920-1927 წწ.) ნაკლებად ცნობილი ან უცნობი, მათემატიკური და თეორიული ფიზიკის დარგში შესრულებული გამოკვლევები. კერძოდ, წარმოდგენილია შრომები ჰიდროდინამიკის ბრტყელი ამოცანების, ატომის ბორი-რეზონანსისა და სითბური გამოსხივების კვანტური თეორიის მათემატიკური პრობლემებიდან.

2009 წელს გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გამოცემულ წიგნში „პროფესორი იასონ მეცხვარიშვილი“, ბატონი თორნიკე ეხება ქართველ მათემატიკოსთა შესანიშნავი ოთხეულის ა. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის, გ. ნიკოლაძისა და ა.ხარაძის მიერ შექმნილი ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის პროფ. იასონ გიორგის ძე მეცხვარიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესწავლის საქმეს. მასში საფუძვლიანადაა წარმოდგენილი ცნობილი მეცნიერის მუშაობის სხვადასხვა ეტაპები სანკტ-პეტერბურგის, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში.

პროფ. თ. ეფრემიძის წიგნში „ეფრემიძის გვარ-სახელის ეტიმოლოგიისა და ისტორიის სახელისათვის“ განხილულია ერთიანი საქართველოს მეფეთა-მეფის გიორგი პირველის უმცროს ვაჟიშვილ დემეტრეს მემკვიდრე ბაგრატიონ-ეფრემიძეთა გვარ-სახელით მთა-ოსეთის (ბასიანის) სამეფო დინასტიად დამკვიდრებისა და სამთაჯვარელ-ნიკონწმინდელ ეფრემიძესთან მათი შესაძლო კავშირი. ასევე წარმოდგენილია კარსნელ-მცხეთელ, გულიყონელ-მცხეთელ, ცაიშელ-ზუგდიდელ, ზენობნელ-ვანელ, ეფრემიძე-ეფრემიძის გვარსახელთა მატარებელი მოსახლეობის შესაძლო გადაადგილებისა და მასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ასევე შესულია ავტორის სამტომეულში: „მოგონებები, ნარკვევები, ესეები, რომელიც 2009-2011 წლებში გამოსცა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

სამტომეული წარმოადგენს თ. ეფრემიძის ერთგვარ შემაჯამებელ ნაშრომს, რომელშიც თავმოყრილია როგორც ადრე გამოქვეყნებული საგაზეთო-ჟურნალისტური ხასიათის პოპულარული სტატიები, ისე საბუნებისმეტყველო და ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულების ფუნდამენტური გამოკვლევები. სამტომეულის მესამე ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშობლიური ვანის რაიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევას და ამ მხრივ შეიძლება ითქვას ბატონმა თორნიკემ ახალი სიტყვა თქვა საქართველოს ისტორიაში. ჩვენი

აზრით მის მიერ მოკვლეული ისტორიული ხასიათის ფაქტები სათანადო გამოძახილს ჰპოვებს სპეციალისტებში და შესაბამის ყურადღებასაც დაიმსახურებს.

პროფესორ თორნიკე ეფრემიძეს საფიცარ ხატებად სამი აღმზრდელი მასწავლებელი ჰყავს წარმოჩენილი, რომლებსაც უმაღლის კიდეც მის ზნეობრივ და ინტელექტუალურ მდგომარეობას. ესენია: დოცენტი კაკო სულავა (ქუთაისის პედინსტიტუტი), აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი (თბილისის უნივერსიტეტი) და აკადემიკოსი იგორ ტამი (ნობელის პრემიის ლაურეატი, მოსკოვი). ბატონებს კაკო სულავასა და მათე მირიანაშვილს მან ფუნდამენტური გამოკვლევები მიუძღვნა კაკო სულავა – „მეცნიერი და მოძღვარი“ (2004 წ.), „აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი“ (გამოცა 2005 წ. ქუთაისი) და მასში გადმოგვცა სახელოვანი მეცნიერების შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, ასახა მათი ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია და ლიტერატურა მათი შემოქმედების შესახებ. ამ მხრივ გარკვეული ხარვეზი შეიმჩნევა ბატონ ი. ტამის მიმართ. იმედია ბატონი თორნიკე ღირსეულ პატივს მიაგებდა ამ უდიდესი პიროვნების ნათელ ხსოვნას და შესაფერის მონოგრაფიას მიუძღვნიდა მისი მოღვაწეობის ამსახველ უმნიშვნელოვანესი ეტაპების წარმოჩენას, მაგრამ ვერ მოასწრო, თუმცა, მისი ხელნაწერების სახით ის არსებობს და მზის სინათლეს ელოდება.

რასაკვირველია ბატონი თორნიკეს მთელი სამეცნიერო მოღვაწეობის ასეთ შეზღუდულ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში გადმოცემა შეუძლებელია და ეს არც არის ჩვენი მოკლე მიმოხილვის მიზანი. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ მისი მდიდარი შემოქმედებითი საქმიანობის მთავარი საკვანძო საკითხები წარმოგვედგინა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ მეცნიერებაში ბატონ თორნიკეს სათაყვანო გენიოსი ალბერტ აინშტაინია, პოეზიაში და მწერლობაში მისი სულიერი საზრდო გალაკტიონი და კონსტანტინეა. გალაკტიონი თავისთავად გასაგებია. უმდიდრესი ისტორიის ვანური ფესვების მქონე პიროვნება არ შეიძლება თავყანს არ სცემდეს გენიალური გალაკტიონის მსოფლნააზრევს. რაც შეეხება კონსტანტინეს, ალბათ მისადმი ესოდენ დიდი სიყვარული და ღრმა მონივნება ამ გენიალური მწერლის მიერ ქართული ისტორიული რომანების შექმნამ განაპირობა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბატონი თორნიკესნაირ პიროვნებას არ შეიძლებოდა ელაღაბა დიდი კონსტანტინეს შვილისათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლისა და ამ საქმისადმი შეწირული დიდი ზვიადისადმი და მამა დავითის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მშობლიური მინისადმი მისი მიზარებისას მამაკაცური ცრემლი არ გაეყოლებინა შეუდრეკელი მამულიშვილისათვის.

ბატონი თორნიკე უდიდესი შრომისმოყვარეობითა და ღრმა ენციკლოპედიური ცოდნით გამოირჩეოდა. ის სანიმუშო მეურნე იყო. დიდი რუდუნებით უვლიდა ქართველი კაცისათვის ერთობ საამაყო ვაზს და ფლობდა ღვინის დაყენების (მათ შორის სახელგანთქმული ალადასტურის) ურთულეს ხელოვნებას. 83 წელი უანგაროდ ემსახურა მეცნიერ-პედაგოგის ურთულეს პროფესიას, მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი აღზარდა და ჩვეული ინტერესით ემსახურა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომავლის გზის გაკვლევას.

ბატონმა თორნიკემ შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი. ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი, რომლებიც სასახელო ოჯახებითა და შვილებით (ბ-ნ თორნიკესთვის შვილიშვილებით) გულწრფელად ემსახურებიან საქართველოს.

მან, თორნიკემ, სრულიად მოიხადა ვალი მამულის წინაშე და ბოლოს, მისი მდიდარი სული 2015 წლის 15 იანვარს, სამარადისო სასუფეველში დამკვიდრდა. ჩვენი რაიონის ინტელიგენცია მუდამ მონივნებით ეპყრობოდა ამ დიდ პიროვნებას და არასოდეს დაივინწყებს მის სახელს.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- კვლევის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექციას.
- გულწრფელი მადლობა ბიზნესმენსა და მეცენატს, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორ-გამომცემელს, **ბატონ ბეჟან ნაქაძეს**, წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.
- მადლობას ვუხდით „მზმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი **ომარ კახანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
- თემურ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.
- თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.
- ურჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ქრისტინე მეძველია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.
- ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.
- ზაურ თათვიძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
- ბეჟან ნაქაძე** – რედაქტორ-გამომცემელი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**
კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე, ქეთევან ძაგნიძე**
კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე
ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „მზმ-პოლიგრაფის“ მიერ
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54